

საქართველოს უზენაესი სასამართლო

SUPREME COURT OF GEORGIA

მართლმსაჯულება  
J U S T I C E

№ 3

სამეცნიერო-პრაკტიკული რეცენზირებული ჟურნალი  
Scientific-Practical and Reviewed Journal

2007

## **რედაქტორი**

მისამართი გოგიშვილი

### **სარედაქციო კოლეგია:**

გიორგი ბერძული  
ავთანდილ ღემოტრაშვილი  
გაია გაჩაძე  
ლალი ლაზარაშვილი  
გესარიონ ლოლაძე  
თევდორე ნინიძე  
ნუგზარ სსირტლაძე  
იური ტყეშელაშვილი  
გიორგი ტყეშელიაძე  
გარიბაშ ცისპაძე  
სოფიო ცისპაძე  
ზურაბ ქლიერიშვილი  
ნათია ჯგუფლაძე  
გიორგი ხუბუა  
სანდრო ჯორბენაძე

### **ცოდვები მუშაობაზე:**

**შურცალისტი**  
ქათევან ტყეშელაშვილი  
**სტილისტი**  
გაია ლუმბაძე  
**კომპიუტერული უზრუნველყოფა**  
ემა ჩიბიროვა  
**ვორტუზრუნველყოფა**  
დავით ხიჭახიშვილი

<b>სიახლეები . . . . .</b>	5
<b>საქართველოს სამოსამართლო კოიკის ფესტივალი . . . . .</b>	10

**მეცნიერება**

<b>გაგა სალეინაშვილი ნიკოლოზ გუბლაძე</b> სისხლის სამროცელი და აღმინისტრაციული სამროცელი შეთანხმების თავისებურებაზე საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით . . . . .	15
---	----

**დოკტორატია ფორუმი**

<b>გიორგი გორაშვილი</b> ქართული ანტირეპეტული კანონმდებლობის ზოგიერთი პრობლემური საკითხი . . . . .	21
---	----

<b>GIORGI GORASHVILI</b> Comparative-Legal Analysis of Some Problematic Issues of Georgian Anti-Racket Legislation . . . . .	36
--	----

<b>ანზორ გაგარაძე</b> კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის იურიდიული ბუნება. . . . .	46
--	----

<b>ANZOR MAKHARADZE</b> Juridical Nature of Private Criminal Law Persecution. . . . .	63
--	----

<b>გიორგი ჭანტურიძე</b> აღკვეთის ღონისძიების - გირაოს გამოყენება. . . . .	73
--	----

<b>უჩა ზაკაშვილი</b> სამოქალაქო სარჩევი სისხლის სამართლის პროცესში . . . . .	80
---	----

<b>UCHA ZAKASHVILI</b> Civic Plea in Criminal Procedure. . . . .	92
---	----

<b>ნინო იოსელიანი</b> ნება იორსელიანი ნება განმარტება. . . . .	101
---	-----

<b>NINO IOSELIANI</b> Interpretation of Agreement . . . . .	115
--	-----

<b>თეა სუხიტაშვილი</b> სელიურულების განმარტება თანამედროვე ქართულ სამოქალაქო სამართალში . . . . .	126
---	-----

<b>TEA SUKHITASHVILI</b> Interpretation of Contract in Contemporary . . . . . Georgian Civil Law ირმა გერებაშვილი	136
--	-----

დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში. . . . .	143
<b>IRMA MEREBASHVILI</b> <b>The Default Judgment in Georgian and Foreign Legislations. . . . .</b>	158
მარინა მარინაშვილი, ნუკრი გელაშვილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ადგილი სამართლის წყაროთა სისტემაში . . . . .	167
<b>MARINA MARINASVILI</b> <b>NUKRI GELASVILI</b> <b>Place of resolution of the Georgian Constitutional Court in the system of law sources. . . . .</b>	171
მარიამ ჯიქია განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მყოფი პირები პუმანიტარულ სამართლაში. . . . .	172
<b>MARIAM JIKIA</b> <b>Persons under Special Protection in Humanitarian Law. . . . .</b>	184
მაია ბითაძე ორგანიზაციის კონფენციის მოთხოვნების გათვალისწინება ქართულ სამართლაში . . . . .	191
<b>MAIA BITADZE</b> <b>Implementation of Aarhus Convention according to Georgian Legislation. . . . .</b>	208
<b>სასამართლო პრაქტიკა . . . . .</b>	220

## მოსამართლეთა ეკიპაჟის კონფერენცია



2007 წლის 20 ოქტომბერს კინოთეატრ „რუსთაველში“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა მოსამართლეთა მე-6 კონფერენცია გახსნა. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ მოსამართლეებს გააცნო ის სიახლეები, რომლებიც უახლოეს მომავალში სასამართლო სისტემაში განხორციელდება.

კონსტანტინე კუბლაშვილმა ისაუბრა რეფორმირებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ, რომელიც ადარ წარმოადგენს პრეზიდენტის

სათათბირო ორგანოს. საბჭოში მოსამართლეთა უმრავლესობა შეიქმნა და იგი საბოლოოდ სასამართლო სისტემის მართვის დამოუკიდებელ ორგანოდ ჩამოყალიბდა. მან ასევე ყურადღება გააძლიერდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ, რომელსაც უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია სასამართლო სისტემის მიუკერძოებელი, პატიოსანი და, რაც მთავარია, კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებაში.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებით, სრულდება ერთიანი კომპიუტერული ქსელის შექმნა, რაც უზრუნველყოფს მოსამართლეთათვის ახალი ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფის საკითხს. თითოეულ მოსამართლეს შეეძლება, გაეცნოს ერთგვაროვანი პრაქტიკის განმსაზღვრულ გადაწყვეტილებათა პროგრამას, რაც ხელს შეუწყობს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დაწერვებასა და დაინტერესებული პირთა დაუყოვნებლივ ინფორმირებას.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოსამართლეთა ტექნიკური და მატერიალური პირობების შექმნის, მართლმსაჯულების შეუფერხებლად და ოპერატიულად განხორციელების მიზნით, 2008 წელს საქართველოში ყველა სასამართლო გარემონტდება და აღიჭურვება ევროსტანდარტების დონეზე. ამ მიმართულებით ჩატარებული ინტენსიური სამუშაოების შედეგად ამჟამად დასრულებულია 24 სასამართლოდან 21-ის სრული რეკონსტრუქცია და გარემონტებულია 12 მაგისტრატი სასამართლო.

მოხსენების დასასრულს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რეფორმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება, იქნება ეს მატერიალური ბაზის გაუმჯობესება თუ ხელფასების ზრდა, ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს – მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გაზრდას.

კონფერენციას გაწეული მუშაობის ანგარიში ჩააბარეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ვალერი ცერცემებმ და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე დიმიტრი გეგელიამ.

კონფერენციამ დამტკიცა „საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები“.

## სასამართლო სედონაში კომპაქტ-დისკენზა ჩაითვარება



საქართველოს უზენაეს სასამართლოში სასამართლო სხდომის ოქმებს კომპაქტ-დისკენზე ჩაწერენ.

თუ დღემდე საქართველოს სასამართლოებში სხდომების მიმდინარეობის შესახებ ჩანაწერი სხდომის მდივნების მიერ კეთდებოდა, ამიერიდან, ახალი კომპიუტერული პროგრამის ამოქმედების შემდეგ, სასამართლო პროცესი სპეციალურ კომპაქტ-დისკზე ჩაიწერება.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა განაცხადა, რომ „საქმეთა განხილვის დაჩქარებისა და სხდომების შესახებ

ინფორმაციის სიზუსტისა და საჯაროობის ამაღლების მიზნით საქართველოს ყველა სასამართლოში გათვალისწინებულია სასამართლო პროცესის ტექნიკური ფიქსაციის სპეციალური სისტემის დაწერვა. ამ სისტემის მეშვეობით სინქრონულად, ციფრულ ფორმატში ჩაიწერება სხდომის მიმდინარეობა. სხდომის დამთავრებისთანავე განხორციელდება სასამართლო პროცესის ჩაწერა კომპაქტ-დისკზე და ამოიბეჭდება თანდართული სხდომის მოკლე ოქმი. სხდომის აუდიოჩანაწერი შეიძლება წაკითხულ იქნეს ნებისმიერ მულტიმედიურ კომპიუტერზე. აღნიშნული სისტემა უკვე მოქმედებს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.“

მხარის მოთხოვნით, პროცესის დასრულებისთანავე იგი კომპაქტ-დისკს ოპერატიულად მიიღებს. კომპაქტ-დისკის მეშვეობით, დროის ზუსტი მონაკვეთის განსაზღვრით, მხარეს ჩანაწერში შეეძლება სხდომის საინტერესო ნაწილის წაკითხვა და მოსმენა.

სხდომების კომპაქტ-დისკზე ჩაწერის სპეციალური სისტემა 2008 წლის ბოლომდე ამოქმედდება სხვა სასამართლოებშიც, რაც ხელს შეუწყობს სხდომების შესახებ ზუსტი ინფორმაციის შენახვას, გავრცელებას, საქმეთა განხილვის დაჩქარებასა და, შესაბამისად, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

## სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოებში “გაიდლაიხოს” გამოიყენება



ქართულ მართლმართულებაში სერიოზული სახელება – ქართული სასამართლოები სექტემბრიდან, სისხლის სამართლის საქმეების განხილვის დროს, სახელმძღვანელო წინადადებებს, ეწ. „გაიდლაინებს“ იყენებენ. ამგვარი სახის პრაქტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1984 წლიდან მოქმედებს.

სასამართლოში „გაიდლაინის“ მოქმედება კონკრეტული დანაშაულის ჩადენის დროს შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით კონკრეტულ საჯელზე მითითებას გულისხმობს.

რეკომენდაციებს თვეების მანძილზე ამუშავებდნენ უზენაეს სასამართლოსთან არსებულ სასამართლო პრაქტიკის შესწავლის, განზოგადებისა და მოსამართლეთათვის სახელმძღვანელო წინადადებების განმსაზღვრულ მუდმივმოქმედ კომისიაში. 2007 წლის 28 ივლისს ამ კომისიის საქმიანობის პირველი შედეგი – სამასგვერდიანი კრებული უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარებ უურნალისტებისთვის გამართულ ბრიფინგზე წარადგინა.

კონსტანტინე კუბლაშვილმა ბრიფინგზე განაცხადა: „კომისიამ განაზოგადა სასამართლო პრაქტიკია და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებთან დაკავშირებით ჩამოაყალიბა სახელმძღვანელო წინადადებები, რომლებსაც გამოიყენებს თითოეული მოსამართლე კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღების დროს. სახელმძღვანელო წინადადებები დეტალურად განსაზღვრავენ, თუ რა სასჯელი უნდა დანიშნოს მოსამართლემ ამა თუ იმ მუხლით პირის მსჯავრდების დროს შესაბამისი გარემოებების არსებობის ან არასებობის შემთხვევაში. ეს წინადადებები და, ასევე, თავად მოსამართლეთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები მოიცავს სასამართლოებში ყოველწლიურად განხილულ საქმეთა დაახლოებით 80 პროცენტს“.

მოსამართლეების განცხადებით, ამ რეკომენდაციების გამოყენებით რამდენიმე თვეში სასამართლოებში სისხლის სამართლის ნორმების გამოყენებისა და სასჯელის შეფარდების ერთგვაროვნება მიიღწევა. თავის მხრივ, კომისიის წევრთა განცხადებით, ეს ნიშნავს, რომ სახელმძღვანელო წინადადებებით და რეკომენდაციებით ფაქტობრივად ცხადი გახდება პროცესურორებისა და ადვოკატებისათვის, რომ კონკრეტულ საქმეში არსებული კონკრეტული გარემოებების შემთხვევაში განსასჯელს მიუსჯიან ზუსტად 4 წელსა და 6 თვეს, და არა, მაგალითად, 4-ს ან 5-ს, ან სამ-ნახევარს, ან, მითუმეტეს, 6 წელს და ა.შ. შედეგად, ფაქტობრივად, სასჯელთან დაკავშირებით საპოლოოდ გამოირიცხება ისედაც უკიდურეს მინიჭებამდე დასული ფარული გარიგებები, ამასთან, კიდევ უფრო მომატებს საპროცესო შეთანხმებათა რაოდენობა, რაც, დააჩქარებს მართლმსაჯულებას და სასამართლო პროცესს გახდის უფრო გამჭვირვალეს, სწრაფს, ობიექტურსა და მიუკერძოებელს.

ცალკეულ შემთხვევებში, თუკი საქმეში სხვა მნიშვნელოვანი გარემოებებიც გამოიკვეთება, მოსამართლეს შეეძლება მითითებული სასჯელების შემცირება ან გაზრდა ექვს თვემდე ვადით. „ვერავინ და ვერაფერი, თავად მოსამართლეების გარდა, ამას ვერ შეცვლის. ეს არის მოსამართლეთა ობიექტურობის, მოუკერძოებლობის, საერთო ჯამში კი დამოუკიდებლობის ერთ-ერთი ყველაზე რეალური, ძლიერი და მნიშვნელოვანი საფუძველი“, – განაცხადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ.



## ახარიჯელი მოსამართლის ჯონ უოლკარის ვიზიტი უზენაეს სასამართლოში

2007 წლის ზაფხულში აშშ-ის პრეზიდენტის – ჯონჯ ბუშის ბიძაშვილის, მოსამართლე ჯონ უოლკერის პროტოკოლით გათვალისწინებული 45-წელიანი ვიზიტი უზენაეს სასამართლოში სამ საათს გაგრძელდა. შეხვედრას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე ქუბლაშვილი, თავმჯდომარის მოადგილე ზაზა მეიშვილი და ამერიკის იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარესთან შეხვედრის შემდეგ ჯონ უოლკერმა სასამართლოს შენობა დათვალიერა და შთაბეჭდილებები ჟურნალისტებს გაუზიარა: „უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან შეხვედრის ხანგრძლივობა სუბრის საინტერესო დეტალებმა განაპირობა. ჩვენი საუბარი შეეხებოდა იმ უმნიშვნელოვანეს სასამართლო რეფორმს, რომელიც დღეს ხორციელდება თქვენს ქვეყნაში. ბევრი საინტერესო ცვლილების შესახებ მივიღე სრულყოფილი ინფორმაცია. ჩემი გამოცდილების გათვალისწინებით

უკვე შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში ყველაფერი კეთდება სამართლიანი, გამჭვირვალე სასამართლო სისტემის შესაქმნელად. ვიცი, რომ წარსულში თქვენს საზოგადეობას არ პქონდა სასამართლოს მიმართ ნდობა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ დღეს მიმდინარე რეფორმების შედეგად საზოგადოებაში ეს ნდობა აუცილებლად გაიზრდება. მალე საზოგადოება დარწმუნდება, რომ ქართული სასამართლო ნამდვილად დამოუკიდებელი, მიუკერძოებელია და იღებს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც რეალურად ადამიანთა ინტერესებს ემსახურება. ბატონი კუბლაშვილის ხელმძღვანელობით სასამართლო აუცილებლად შეიძენს ამ ავტორიტეტს.

აღფრთოვანებული ვარ მიღწეული შედეგით და დარწმუნებული ვარ უფრო მეტს მიაღწევთ“  
– ასე შეაფასა ამერიკელმა მოსამართლემ ქართულ სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმები.

ამერიკელ მოსამართლესთან შეხვედრა დადებითად შეაფასა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემაც: „ბატონი უოლკერი თავადაც მოსამართლეა, თანაც გამოცდილი მოსამართლე, ამიტომ მას სასამართლოსთან დაკავშირებული ბევრი საკითხი არსებობდა. იგი ჩაატარებს სპეციალურ ტრენინგს მოსამართლეებისთვის თბილისსა და ბათუმში. ტრენინგის თემა იწება მოსამართლის უნარ-ჩვევები. დარწმუნებული ვარ, ბატონ უოლკერს უკვე აქვს ჩამოყალიბებული საკუთარი შეხედულება ქართულ სასამართლო სისტემაზე და მიხარია, რომ ჩვენ მიერ გაწეულ საქმიანობას დადებითად აფასებს“.

უზენაეს სასამართლოში ვიზიტის გარდა უოლკერი სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანსაც შეხვდა.

## ისტორიული მოსამართლეები სტუმრად საქართველოში

11 სექტემბერს თბილისში ესტონელ მოსამართლეთა დელეგაცია ჩამოვიდა. ვიზიტი არაოფიციალური იყო და მიზნად ისახავდა საქართველოს სამართლებრივი სისტემის გაცნობასა და თავად ქვეყნის მონახულებას. ესტონელი მოსამართლეების 26-კაციანი ჯგუფი სტუმრად უზენაეს სასამართლოს ეწვია. მათ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა და თავმჯდომარის მოადგილე ზაზა მეიშვილმა ისტორიული შენობა დათვალიერებინეს. შეხვედრაზე ისაუბრეს სამართლებრივი საკითხების, ქართულ სასამართლო ისტემაში განხორცილებული ცვლილებების, მანდატურის სამსახურის ამოქმედებისა და სპიკერ-მოსამართლის ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით.

ესტონელ მოსამართლეთა დელეგაციისათვის დაგევმილი იყო კულტურული და სპორტული ღონისძიებებიც. დელეგაციის წევრები მეორე დღეს ბათუმში გაემგზავრნენ.



## კიბელად მოსამართლეება ფილი იუსტიციის უაღლესი საბჭოს წინაშე დადგის



2007 წლის 14 სექტემბერს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა ფილის დადგების საზეიმო ცერემონია გაიმართა. 7-მა ახალმა მოსამართლემ: ნინო კორძაძემ, მამუკა აზვლედიანმა, მანანა მესხიშვილმა, ქეთევან ჯაჭვაძემ, ლელა ნოზაძემ, მამია ფხაკაძემ და შოთა ნიკურაძემ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე საზეიმოდ დადო ფიცი.

ადრე მოქმედი კანონმდებლობით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო პრეზიდენტის სათათბირო ორგანო იყო, რომელსაც პრეზიდენტი თავმჯდომარეობდა, ამიტომ მოსამართლები ფიცის პრეზიდენტის წინაშე დებდნენ.

კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილების თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უკვე აღარ არის პრეზიდენტის სათათბირო ორგანო, საბჭოს თავმჯდომარე კი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეა.

ახლად დანიშნულმა მოსამართლეებმა (მათგან ერთი ყოფილი ადგომკატია, ერთი – ყოფილი პროკურორი, ხოლო დანარჩენებს აქვთ სასამართლო ისტემაში მუშაობის დიდი გამოცდილება) უკვე გაიარეს ტრენინგი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში. ფიცის დადგების შემდეგ ისინი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში უფლებამოსილების შესრულებას შეუდგნენ.

2007 წლის 16 ნოემბერს კიდევ რვა ახალმა მოსამართლემ დადო ფიცი, მათ შორის – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილმა მდივანმა ვალერი ცერცვაძემ, რომელიც დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ.

# საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები

## პრეზენტაცია

საქართველოს მოსამართლეები

**აცნობიერებენ რა,** რომ საზოგადოებრივი რწმენა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების უმთავრეს ღირებულებას;

**აცნობიერებენ რა,** რომ მოსამართლის ქცევა როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ისე, სხვა საქმიანობის განხორციელების დროს წარმოადგენს საზოგადოების სასამართლოსადმი ნდობის და სასამართლო ავტორიტეტის განმტკიცების მნიშვნელოვან საფუძველს;

**ეყრდნობიან რა** საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს, ასევე, სამოსამართლო ეთიკის სფეროში მოქმედ საერთაშორისო სამართლებრივ ღირებულებებს, მათ შორის, მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებს და ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს №3 მოსაზრებას მოსამართლეთა პროფესიული ქცევის პრინციპებისა და წესების, კერძოდ, ეთიკის, შეუფერებელი ქცევისა და მიუკერძოებლობის თაობაზე;

**ადგენენ** სამოსამართლო ეთიკის წესებს, რომელთა მიზანია მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სასამართლო ხელისუფლების ერთიანობის განმტკიცება, სასამართლო ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობისა და რწმენის ამაღლება, მოსამართლის თანამდებობის პრესტიჟისა და ავტორიტეტის დაცვა.

## I. მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

### მუხლი 1

მოსამართლე მართლმსაჯულების განხორციელებისას დამოუკიდებელია და გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კანონის შესაბამისად.

### მუხლი 2

მოსამართლე უნდა იყოს კანონისა და მოსამართლის ფიცის ერთგული, მართლმსაჯულების განხორციელებისას – კანონისა და სამართლის უზენაესობის გარანტი. მისი აზრი არ უნდა მერყეობდეს პოლიტიკური, სოციალური, მხარის ინტერესის, საზოგადოებრივი ზემოქმედების ან სხვაგვარი ურთიერთობის ზეგავლენის გამო ანდა კრიტიკის შიშით.

### მუხლი 3

მოსამართლე ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი.

#### მუხლი 4

მოსამართლე უნდა უფრთხილდებოდეს მართლმსაჯულების პრესტიჟს, სასამართლო შენობაში თუ მის გარეთ არ იქცეოდეს სასამართლოს ავტორიტეტისა და მოსამართლის თანამდებობისათვის შეუფერებლად.

#### მუხლი 5

სამოსამართლო მოვალეობის შესრულებისას მოსამართლე თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი წინასწარ შექმნილი აზრის ან შეხედულებისაგან. იგი უნდა მოერიდოს ისეთ ქცევას, რომელსაც პროცესის მონაწილენი ან საზოგადოება აღიქვამს წინასწარ შექმნილ შეხედულებად.

#### მუხლი 6

მოსამართლე საჯაროდ არ უნდა გამოხატავდეს უარყოფით აზრს ან შეხედულებას სხვა მოსამართლისა და კოლეგის პროფესიონალიზმსა თუ პირად თვისებებზე, აგრეთვე, უპატივცემულოდ იხსენიებდეს სხვა მოსამართლის მიერ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

#### მუხლი 7

მოსამართლეს ეკრძალება პროცესის მონაწილეთა ან/და საქმით დაინტერესებული პირის მიღება, მასთან კომუნიკაცია სასამართლოში ან მის გარეთ საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. ამასთან, მოსამართლე ვალდებულია, დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს სასამართლოს თავმჯდომარეს პროკურორის, ადვოკატის ან პროცესის სხვა მონაწილის მიერ კანონით აკრძალული ფორმით კომუნიკაციის მცდელობის თაობაზე.

### II. მოსამართლის პომავატენტურობა და გულისხმივრება

#### მუხლი 8

მოსამართლე ვალდებულია, მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

#### მუხლი 9

მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია, უზრუნველყოს წესრიგის დაცვა, იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა პირისაგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ.

## **მუსლი 10**

მოსამართლე ვალდებულია, უზრუნველყოს პროცესის მონაწილეთა კანონის წინაშე თანასწორობა. დაუშვებელია, რომ პროცესის მონაწილის რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი, წოდებრივი, თანამდებობრივი, ქონებრივი, რელიგიური, სქესობრივი კუთვნილება ან სხვა გარემოება გავლენას ახდენდეს მოსამართლის გადაწყვეტილების კანონიერებასა ან მისი უფლებამოსილებების სათანადოდ განხორციელებაზე.

## **მუსლი 11**

მოსამართლე პატივს უნდა სცემდეს სასამართლოს პერსონალს, აგრეთვე, თვალყურს ადევნებდეს, რომ სასამართლოს მოხელე იცავდეს პროფესიული ეთიკის ნორმებს, თავშეკავებულად მოქმედებდეს, არ იჩენდეს რაიმე მიკერძოებას ან არ ავლენდეს განსხვავებულ დამოკიდებულებას მხარეების მიმართ.

## **მუსლი 12**

მოსამართლე გალდებულია, სათანადო რეაგირება მოახდინოს სასამართლოს მოხელის, მხარის ან მისი წარმომადგენლის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევაზე.

## **მუსლი 13**

მოსამართლემ პროფესიული მოვალეობის განხორციელებისას მოპოვებული ინფორმაცია არ უნდა გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის ან სხვათა უფლებების საზიანოდ. დაუშვებელია მსგავსი ინფორმაციის გამჟღავნება მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგაც.

## **მუსლი 14**

სამოსამართლო ფუნქციების სათანადო კომპეტენტურობით განხორციელების მიზნით, მოსამართლე ვალდებულია, პერიოდულად იმაღლებდეს პროფესიული ცოდნის დონეს და სისტემატურად ეცნობოდეს მის სფეროში მიმდინარე სიახლეებს. იგი, აგრეთვე, ხელს უნდა უწყობდეს სასამართლოს მოხელეთა პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის ამაღლებას, აძლევდეს მათ საჭირო რჩევა-დარიგებას.

## **III. მოსამართლის მასშედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობა**

## **მუსლი 15**

მოსამართლემ აზრის გამოთქმის უფლებით სარგებლობისას არ უნდა შელახოს მართლმსაჯულების ღირსება, მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.

## **მუსლი 16**

მოსამართლე მასშედიასთან ურთიერთობის დროს უნდა მოერიდოს საკუთარი აზრის გამოთქმას განსახილველ, განხილვის პროცესში არსებულ ან უკვე განხილული საქმის თაობაზე, თუ ეს არ ეხება საქმის წარმოების ორგანიზაციულ ან ტექნიკურ მხარეს.

### მუხლი 17

სპიკერ-მოსამართლე, მედიის მოთხოვნის ან ამ მოთხოვნის გარეშე, გასცემს ინფორმაციას სასამართლოს საქმიანობაზე, აგრეთვე, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით აშუქებს სასამართლო გადაწყვეტილებებს.

### მუხლი 18

მოსამართლემ მასმედიისთვის ინფორმაციის მიწოდების დროს არ უნდა გაახმაუროს კოლეგებს შორის ამა თუ იმ საკითხზე წამოჭრილი დავა ან დისკუსია. ამასთან, განცხადების გაკეთებისას არ უნდა გაითვალისწინოს ამა თუ იმ მხარის პოპულარობა და ამ საკითხით მასმედიის თუ ხელისუფლების ორგანოების დაინტერესება.

### მუხლი 19

მოსამართლე საჯაროდ ან პირად საუბარში უნდა მოერიდოს ისეთ განცხადებას, რომელსაც შეუძლია წარმოშვას საფუძვლიანი წინაპირობა, რომელიც ხელს შეუშლის საქმეზე მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღებას.

### მუხლი 20

მოსამართლემ თავის განცხადებაში უნდა გამოიჩინოს სათანადო კორექტულობა, არ გამოიყენოს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი სიტყვები და გამოთქმები ან დისკრიმინაციული ტერმინოლოგია. ამასთან, მოსამართლემ სასამართლო მოხელესაც უნდა ურჩიოს ამგვარი განცხადების გაკეთებისაგან თავის შეკავება.

### მუხლი 21

მოსამართლემ ყურადღება უნდა მიაქციოს, თუ სად და რა ვითარებაში აკეთებს განცხადებას, რომ საზოგადოებამ არ აღიქვას იგი მხოლოდ ერთ ორგანიზაციასთან თუ ჯგუფთან მიმართებაში. ამასთან, მოსამართლე ყურადღებით უნდა მოეკიდოს საჯარო შეხვედრებზე გამოსვლას, რათა მისი ესა თუ ის მოსაზრება არ ჩაითვალის პოლიტიკურ მხარდაჭერად ან მიკერძოებად.

## IV. მოსამართლის არასამოსამართლო საქმიანობა

### მუხლი 22

მოსამართლის საქმიანობა, რომელიც არ უკავშირდება სამსახურებრივ მოვალეობას, დასაშვებია, თუ იგი არ ეწინააღმდეგება მოსამართლისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპებს, არ უქმნის საფრთხეს სასამართლოს ავტორიტეტს, არ ქმნის ეჭვის საფუძველს სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში, არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და ამ ქცევის წესებს.

### **მუსლი 23**

კანონით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, მოსამართლე არ შეიძლება ეწეოდეს რაიმე ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო ან შემოქმედებითი საქმიანობისა, თუ იგი ხელს არ უშლის სამოსამართლო უფლებამოსილების სათანადოდ განხორციელებას.

### **მუსლი 24**

მოსამართლემ მონაწილეობა არ უნდა მიიღოს მის სამსახურებრივ სტატუსსა და მოვალეობასთან შეუთავსებელ გარიგებაში.

### **მუსლი 25**

მოსამართლე არ შეიძლება გახდეს ისეთი გაერთიანების წევრი, რომელიც ერთგულების ფიცის დადებას მოითხოვს ანდა ეჭვქვეშ აყენებს მოსამართლის რეპუტაციას, ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს.

### **მუსლი 26**

მოსამართლე არ უნდა ეწეოდეს პოლიტიკურ საქმიანობას. იგი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი ან ასრულებდეს პარტიულ დავალებას, ან პოლიტიკური ორგანიზაციის სახელით გამოდიოდეს სიტყვით.

### **მუსლი 27**

მოსამართლე საჯაროდ არ უნდა ამჟღავნებდეს თავის პოლიტიკურ შეხედულებას. აკრძალულია მისი მსრიდან წებისმიერი პოლიტიკური პროპაგანდა როგორც სასამართლო დარბაზში, ისე — მის გარეთ. მან, ასევე, საჯაროდ არ უნდა დააფიქსიროს თავისი პოზიცია სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატის მიმართ. ამასთან, მოსამართლემ სასამართლოს მოხელესაც უნდა ურჩიოს, თავი შეიკავოს პოლიტიკური საქმიანობის ან პოლიტიკური შეხედულების დემონსტრირებისაგან.

### **მუსლი 28**

მოსამართლეს ეკრძალება გაფიცვა. მას არა აქვს უფლება, რაიმე მოტივით კოლექტიურად თუ ინდივიდუალურად უარი თქვას ან სხვას მოუწოდოს სამსახურებრივი და პროფესიული მოვალეობის შეუსრულებლობისაკენ.

## მაპა საღსინაშვილი

იგანე ჯაფახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
საჯარო სამართლის მიმართულებით

## ნიკოლოზ ჭუბლაძე

საქართველოს ადგომგატო ასოციაციის წევრი,  
ადგომგატი სისხლის სამართლის სპეციალობით,  
თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის მასწავლებელი

## სისხლის საკროცხალო და აღმინსტრუმენტი საკროცხალო ეთანხმების თავისებურებაზე საქართველოს კანონის მიხედვით

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი 2004 წლის 13 თებერვლის კანონით დამკვიდრდა და იმთავითვე ფართო სამართლებრივი მსჯელობის საგანი გახდა. მოგვიანებით, 2007 წლის დასაწყისში, შემუშავდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტი, სადაც პირველად საქართველოს ისტორიაში საფუძველი ჩაეყარა ისეთ საკანონმდებლო ნოვაციას, როგორიცაა ადმინისტრაციული შეთანხმება. საქართველოს პარლამენტში დღემდე განხილვის საგანია ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც, თავის მხრივ, ბევრ სიახლეს გვთავაზობს, მათ შორის, ადმინისტრაციული შეთანხმების ინსტიტუტის შემოღებას, რომელიც ვფიქრობთ, მომავალში მწვავე სამართლებრივი დისკუსიების საგნად შეიძლება იქცეს.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სისხლის სამართლის პროცესი მეტად ნელია და თუ გავითვალისწინებო იმას, რომ ბოლო პერიოდში სისხლის სამართლის საქმები უფრო გარიცემდა, განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს პროცესის დაჩქარებული პროცესის იდეა საერთო სამართლის ქვეყნებს ეკუთვნით. საქართველოს სსკ-ის 473-ე მუხლში მოცემულია სისხლის სამართლის პროცესის შეკვეცილი წარმოება. პირდაპირი და სერიოზული მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაშიც კი ადგომგატი უფლებამოსილია, თავის კლიენტს ურჩიოს სასამართლოში ბრალის აღიარება, რაც შეიძლება გახდეს სისხლის საპროცესო შეთანხმების საფუძველი. თუ გადავხედავთ ამერიკის, ევროპის მოწინავე ქვეყნების კანონმდებლობას, დავრწმუნდებით, რომ საპროცესო შეთანხმება სხვადახვაგვარად არის გაგებული. მაგ. აშშ-ში ბრალდებული ცალმხრივად, საკუთარი შეცდომის აღიარების სანაცვლოდ, უთანხმდება პროკურატურას ბრალდების მოცულობაზე.<sup>2</sup> ინგლისისა და უელსის სასამართლოები „ბრალის აღიარებით გარიგების ინსტიტუტს“ ნებატიურად უყერებენ. ფრანგულ სისხლის საპროცესო სამართალს თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ზოგიერთ დანაშაულზე კანონი იძლევა საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას, მაგ, საგადასხადო საქმეზე შესაძლებელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ეჭვმიტანილისათვის ფაქტების აღიარებისა და საქმის შეწყვეტის სანაცვლოდ ფიქსირებული თანხის გადახდა.<sup>3</sup> ეს, თავის მხრივ, წააგავს ადმინისტრაციულ

<sup>1</sup> ქმნ პრადელი. შედარებითი სისხლის სამართალი. თბილისი, 1999 წ. გვ. 393.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 397.

<sup>3</sup> ნ.გვენეტაძე, მ.ტურავა. სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ. 2005წ. გვ. 139.

## მეცნიერება

შეთანხმებას, თუმცა დანაშაულის ნიშნების არსებობის გამო, ვერ მივაკუთვნებოთ ამ უკანასკნელს, ვინაიდან ადმინისტრაციული შეთანხმების ინსტიტუტის იურიდიული ბუნება განსხვავებულია.

სისხლის საპროცესო მოდელის შემოღებამ ნათლად დაგვანახა ის პრობლემები, რომლებმაც ამ ინსტიტუტის ამოქმედების შემდგომ იჩინა თავი. საქართველოს სსკ-ის 679<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება, ხოლო საპროცესო შეთანხმების საფუძველია საპროცესო შეთანხმება ბრალზე.<sup>4</sup> საპროცესო შეთანხმების დადებისას მხედველობაში მიღება საგამოძიებო ორგანოებისათვის ისეთი უტყუარი ცნობების მიწოდება, რომლებიც ხელს შეუწყობს დანაშაულის გახსნას. პირველად, როდესაც საქართველოში შემოვიდა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი, მხედველობაში მიღებიდა ბრალდებულის (განსასჯელის) ნება, ეთანამშრომლა გამოძიებასთან. 2004 წლის 25 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებით საპროცესო შეთანხმებას დაედო ორი საფუძველი – ბრალზე გარიგება და სასჯელზე შეთანხმება, რაც ფორმალური და არაეფექტური დაყოფა აღმოჩნდა, კერძოდ, ბრალის აღიარებისას ბრალდებული (განსასჯელი) აღიარებს დანაშაულს და ეთანხმება პროკურორს სასჯელის მთლიანად ან ნაწილობრივ შემსუბუქებაზე, ე.ი. ბრალის აღიარება საფუძველია სასჯელის შემცირებისას, ხოლო სასჯელის შეთანხმებისას ბრალდებულს (განსასჯელს) უფლება აქვს, დაეთანხმოს პროკურორს სასჯელის ზომაზე ისე, რომ არ აღიაროს დანაშაული, ანუ ბრალდებული (განსასჯელი) არ აღიარებს დანაშაულს. მაშინ გაუგებარია რის საფუძველზე განსაზღვრავს პროკურორი მისთვის სასჯელის ზომას? ამ პერიოდისათვის საპროცესო შეთანხმებების თაობაზე მიღებული სასამართლო განაჩენები, კანონის მიხედვით, გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა, რაც შეუძლებელს ხდიდა წინასწარი გამოძიებისა და შემდგომ სასამართლოს მიერ დაშვებულ შეცდომების აღმოფხვრას, საპროცესო შეთანხმების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას ზემდგომ ინსტანციაში.<sup>5</sup>

2005 წლის 25 მარტის კანონით ცვლილებები შევიდა საქართველოს სისხლის საპროცესო კოდექსში და სისხლის საპროცესო შეთანხმების სრულიად ახალი მოდელი ჩამოყალიბდა. კერძოდ, საპროცესო შეთანხმების მოქმედი ინსტიტუტი მისი ორივე საფუძვლით – შეთანხმებით ბრალსა და სასჯელზე – გათავისუფლდა ისეთი პირობისაგან, როგორიცაა გამოძიებასთან თანამშრომლობა და დახმარება. ვეთანხმებით მეცნიერთა იმ ჯვეუფლის, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ბრალზე გარიგება და სასჯელზე შეთანხმება ფორმალური გაყოფაა და ისედაც არაერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას კიდევ უფრო მეტ პრობლემას უქმნის.<sup>6</sup>

საპროცესო შეთანხმების შეთავაზება, მოქმედი კანონის შესაბამისად, როგორც პროკურორის, ასევე, ბრალდებულის (განსასჯელის) და მოსამართლის უფლებაა. სასამართლო უფლებამოსილია, სისხლის სამართლის არსებითი განხილვის გარეშე გამოიტანოს განაჩენი, თუ არსებობს შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე. საპროცესო შეთანხმება ფორმდება წერილობით და მტკიცდება სასამართლო სხდომაზე. საპროცესო შეთანხმების დადება შესაძლებელია, როგორც წინასწარი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის, ასევე, საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის სტადიაზე, სასამართლო კამათის დაწყებამდე, როდესაც მოსამართლე უფლებამოსილია, მხარეებს შესთავაზოს საპროცესო შეთანხმება.

სხვათა შორის, სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია. კერძოდ, პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც სააპელაციო სასამართლოში მოსამართლე არათუ მხარეებს სთავაზობს საპროცესო შეთანხმებას, არამედ პირიქით, იყენებს

<sup>1</sup>საქართველოს სისხლის საპროცესო კოდექსი, 1998წ. გ. 679.

<sup>2</sup>გვენეტაძე, მ.ტურავა. სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ. 2005წ. გვ. 141.

<sup>3</sup>იქვე, გვ. 143.

რა საქართველოს სსკ-ის 529-ე მუხლის VI ნაწილს, სააპელაციო საჩივარს მიღებიდან 2 კვირის გადაში იხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე სასკელის შემცირების მოთხოვნისდა მიუხედავად.<sup>7</sup> გამოდის, რომ ბრალდებული (განსასჯელი) ამ შემთხვევაში მოკლებულია უფლებას, საპროცესო შეთანხმების საკითხი დასგას სასამართლო სხდომაზე. აქედან გამომდინარე, სსკ-ის 529-ე მუხლის VI ნაწილი და 679<sup>1</sup>-ე მუხლი ეწინააღმდეგება ერთმანეთს და ასეთი შეუთაგსებლობა დასახვეწია.

ყურადსალებაა ის გარემოებაც, რომ მოქმედი სისხლის საპროცესო კანონმდებლობით საპროცესო შეთანხმების დადება დაიშვება როგორც ნაკლებად მძიმე, ისე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი ბრალდებულის მიმართ. სისხლის საპროცესო კანონმდებლობაში მითითებულია, რომ დაუშვებელია დამტკიცების უშუალო მონაწილეობისა და ბრალდებულის (განსასჯელის) წინასწარი შეთანხმების გარეშე საპროცესო შეთანხმების დადება, რაც თავის მხრივ, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია.

პრაქტიკში არის შემთხვევები, როდესაც საქალაქო (რაიონულ) ან სააპელაციო სასამართლოებში საქმის განხილვის სტადიაზე ბრალდებულს (განსასჯელს) მიცემული აქვს აღიარებითი ჩვენება ან რაიმე სახის ინფორმაცია საგამოძიებო ორგანოებისათვის და ამ ინფორმაციის საფურველზე შესაძლებელია სხვა დანაშაულის გახსნა, ხოლო, თუ ამ დანაშაულს საგამოძიებო ორგანოები გახსნიან მას შემდეგ, რაც საქმე გადაიგზავნება საკასაციო ინსტანციაში, საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობა აღარ არსებობს. მიგვაჩნია, რომ საკასაციო სასამართლოში საპროცესო შეთანხმების დადების შეუძლებლობა ზღუდავს ბრალდებულის (განსასჯელის) უფლებებს.

სისხლის საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს, მიუხედავად მისი დადებითი მხარეებისა, უარყოფითი მხარეებიც აქვს, კერძოდ, ყველაზე „ცუდ“ მდგომარეობაში საპროცესო შეთანხმების დადებისას არის დაზარალებული, რაც შემდეგში გამოიხატება: დაზარალებულს, რომელსაც პროცესურორი, საქართველოს სსკ-ის 679<sup>8</sup>-ე მუხლის შესაბამისად, ატყობინებს საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ, ეკარგება უფლება, მონაწილეობა მიიღოს როგორც მხარე სასამართლო განხილვაში და გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება. საპროცესო შეთანხმება დაზარალებულს არ ართმევს სამოქალაქო სარჩელის უფლებას. მხოლოდ სამოქალაქო სარჩელის წარდგენა არ ნიშნავს იმას, რომ დაზარალებულის უფლება დაცულია. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში საჭიროა, კანონმდებელმა უფრო მეტად დაიცვას დაზარალებულის უფლება, კერძოდ, დაზარალებულის თანხმობის გარეშე არ უნდა ხდებოდეს საპროცესო შეთანხმების დადება, ვინაიდან ამ შემთხვევაში მოქალაქის უფლება საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების ნაწილში უგულებელყოფილია. მართალია, საპროცესო შეთანხმება ამ შემთხვევაში გულისხმობს მხარეთა შორის რაიმეზე თანხმობას, მაგალითად, ბრალზე ან სასჯელზე, თუმცა აյ უკვე დაზარალებული მხარის როლში არ გამოდის და მისი უფლებები დაუცველი რჩება. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი საკანონმდებლო დონეზე გადახედვას საჭიროებს.

საინტერესო საკანონმდებლო ნოვაციას წარმოადგენს ადმინისტრაციული შეთანხმების ინსტიტუტი. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა დღეს მოქმედი კოდექსისათვის უცხოა ადმინისტრაციული შეთანხმება, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტი იცნობს ადმინისტრაციული შეთანხმების ინსტიტუტს, კერძოდ, მე-IX თავი ეთმობა ამ მეტად აქტუალურ საკითხს.

ადმინისტრაციული შეთანხმება იდება ადმინისტრაციულ ორგანოსთან, გადაწყვეტილება ადმინისტრაციული შეთანხმების დადების შესახებ წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს

<sup>7</sup>იხ. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საქმეზე №1/ბ-2092, თბ. 2007წ.

## მეცნიერება

დისკურსულ უფლებამოსილებას. სზაგ-ის მე-2 მუხლის „ლ” პუნქტის თანახმად,<sup>8</sup> დისკურსული უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილებას, რომელიც აღმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას, საჯარო და კერძო ონტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

სისხლის საპროცესო შეთანხმებისაგან განსხვავებით, აღმინისტრაციული შეთანხმება ხდება აღმინისტრაციულ სახდელზე ან/და მის აღსრულების წესზე. აღსანიშნავია ისიც, რომ აღმინისტრაციული შეთანხმებით სახდელად შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ ჯარიმა.

აღმინისტრაციული სამართადამრღვევის ინტერესებიდან გამომდინარე, აღმინისტრაციული შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს ჯარიმის გადახდევინების წესი (გადავადება ან განაწილება), რაც არ უნდა აღემატებოდეს ერთ კალენდარულ წელს მხარეთა მიერ აღმინისტრაციული შეთანხმების ხელმოწერის დღიდან. ამ უკანასკნელის შეთავაზება შეუძლია როგორც აღმინისტრაციულ ორგანოს, ისე, სამართალდამრღვევს. აღმინისტრაციული შეთანხმება ფორმდება წერილობით და მას უნდა დაერთოს აღმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ განკარგულება.<sup>9</sup>

აღმინისტრაციული შეთანხმება, ისევე, როგორც სისხლის საპროცესო შეთანხმება, შესაძლებელია გასახივრდეს. გასახივრების სუბიექტი ორივე შემთხვევაში სამართალდამრღვევია, კერძოდ, აღმინისტრაციულ სამართადარღვევათა კოდექტის პროექტის 56-ე მუხლის თანახმად, აღმინისტრაციული შეთანხმება შეიძლება გასახივროს სამართალდარღვევის ჩამდენმა პირმა შემდეგ შემთხვევებში: თუ აღმინისტრაციული შეთანხმება დაიდო მოტყუებით; თუ აღმინისტრაციული შეთანხმება დაიდო იძულებით, ძალადობით, მუქარით ან დაშინებით; თუ აღმინისტრაციული შეთანხმება დაიდო არაუფლებამოსილი პირის მიერ; თუ აღმინისტრაციული შეთანხმება დაიდო კანონის არსებითი მოთხოვნის დარღვევით.<sup>10</sup>

ყურადსალებია ის გარემოება, რომ აღმინისტრაციული შეთანხმების დადებისას დაზარალებულს არ აქვს უფლება, გასახივროს აღმინისტრაციული შეთანხმება. სისხლის საპროცესო შეთანხმებისა და აღმინისტრაციული საპროცესო შეთანხმებისას დაზარალებულის უფლებები გასახივრების კუთხით უარყოფილია. უფრო მეტიც, დაზარალებულს არავინ ეკითხება, თანახმაა თუ არა დაიდოს აღმინისტრაციული ან სისხლის საპროცესო შეთანხმება, რაც, ჩვენი აზრით, ყოვლად უსამართლოა და მიგვაჩნია, რომ ორივე შემთხვევაში კანონმდებელი უნდა ზრუნავდეს დაზარალებულის უფლებების დაცვაზე. დაზარალებულის თანხმობის გარეშე არ უნდა ხდებოდეს არც სისხლის საპროცესო და არც აღმინისტრაციული შეთანხმების დადება.

აღმინისტრაციულ სამართადარღვევათა კოდექტის პროექტის 54-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, აღმინისტრაციული შეთანხმება არ ათავისუფლებს აღმინისტრაციული სამართადარღვევის ჩამდენს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან. საქართველოს სისხლის საპროცესო კოდექტის 679<sup>1</sup> მუხლის მე-8 ნაწილის თანახმადაც, ბრალდებული საპროცესო შეთანხმების დადების მიუხედავად არ თავისუფლდება სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან. ჩვენი აზრით, ეს მუხლი მეტ-ნაკლებად ამსუბუქებს დაზარალებულის სამართლებრივ მდგომარეობას იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევმა მატერიალური ზიანი მიაყენა დაზარალებულს. ეს კი, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია.

განსხვავება სისხლის და აღმინისტრაციულ შეთანხმებას შორის ისაა, რომ სისხლის საპაროცესო შეთანხმების დადება შესაძლებელია მხოლოდ მოსამართლის მიერ, ხოლო

<sup>8</sup>საქართველოს ზოგადი აღმინისტრაციული კოდექტი, 1999წ. მ.2. „ლ” პუნქტი.

<sup>9</sup>საქართველოს აღმინისტრაციულ სამართადარღვევათა კოდექტის პროექტი, თბ, 2007წ.

<sup>10</sup>იქვე, მუხლი 56.

ადმინისტრაციული შეთანხმება დაიდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და ამ შემთხვევაში სასამართლო არ იღებს მონაწილეობას. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ სისხლის საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში, შეთანხმება ხდება სასჯელზე, რაც იწვევს პირის ნასამართლობას,<sup>11</sup> ადმინისტრაციული შეთანხმების დადებისას კი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ იწვევს ნასამართლობას (სხვათა შორის, ადმინისტრაციულ სამართლადარღვევათა დღეს მოქმედი კოდექსის თანახმადაც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ნასამართლობას არ იწვევს).

ყურადსალებია ასევე თანხის ოდენობის განსაზღვრა სისხლის საპროცესო შეთანხმების დადებისას. მოქმედი სისხლის საპროცესო კოდექსი არ განსაზღვრავს საპროცესო შეთანხმების დადებისას თანხის მინიჭებს და მაქსიმუმს, რაც, თვის მხრივ, პრაქტიკაში ბევრ სირთულეებს ქმნის. მაგალითად, შესაძლებელია მობილური ტელეფონის ქურდობისათვის საპროცესო შეთანხმება მოხდეს 100000 ლარზე და თანამდებობის პირის მიერ უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევაში საპროცესო შეთანხმება გაფორმდეს 10000 ლარზე, რაც, ჩვენი აზრით, ყოვლად გაუმართლებელია. ეს საკითხი მხოლოდ მოსამართლის შეფასების საგანი არ უნდა იყოს და სასურველია, კანონმდებელმა განსაზღვროს დანაშაულთა კატეგორიის მიხედვით სავარაუდო თანხის ოდენობა. ეს, თვის მხრივ, თავიდან აგვაცილებს ბევრ გაუგებრობას და უსამართლობას. სხვათა შორის, არც ადმინისტრაციული შეთანხმების დადებისას არ არის გათვალისწინებული ჯარიმის მაქსიმუმი და მინიმუმი, რამაც, ჩვენი აზრით, მომავალში შესაძლებელია ბევრი პრობლემა წარმოშვას.

და ბოლოს, მიგვაჩნია, რომ საქართველოში სისხლის საპროცესო შეთანხმების და ადმინისტრაციული შეთანხმების ინსტიტუტების შემოღება დროულია, თუკი გავითვალისწინებთ საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას, თუმცა ქართული მოდელი მეტ სრულყოფას და დახვეწას მოითხოვს.

### ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ორი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი: სისხლის საპროცესო შეთანხმება და ადმინისტრაციული შეთანხმება. შედარებითი მეთოდის გამოყენების საფუძველზე განხილულია ამ ინსტიტუტების პრობლემატური საკითხები. კერძოდ, სისხლის და ადმინისტრაციული შეთანხმების დადების წესი, აღსრულების და გასაჩივრების საკითხები და სხვა.

სტატიის დაწერა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი 2004 წლის 13 თებერვლის კანონით დამკვიდრდა და იმთავითვე ფართო სამართლებრივი მსჯელობის საგანი გახდა. მოგვიანებით, 2007 წლის დასაწყისში, შემუშავდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტი, სადაც პირველად საქართველოს ისტორიაში საფუძველი ჩაეყარა ისეთ საკანონმდებლო ნოვაციას, როგორიცაა ადმინისტრაციული შეთანხმება. საქართველოს პარლამენტში დღემდე განხილვის საგანია ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც, თავის მხრივ, ბევრ სიახლეს გვთავაზობს, მათ შორის, ადმინისტრაციული შეთანხმების ინსტიტუტის შემოღებას, რომელიც მომავალში, ვფიქრობთ, მწვავე სამართლებრივი დისკუსიების საგანი შეიძლება გახდეს.

სტატიაში ყურადღებაა გამახვილებული სისხლის საპროცესო შეთანხმების და ადმინისტრაციული შეთანხმების იურიდიულ ბუნებაზე, მათ თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებზე, რაც დახმარებას გაუწევს იურისტებს ამ საკითხების სიღრმისეულ შესწავლაში.

<sup>11</sup>[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge) ზ. მექოშვილი, ო. ჯორბეგაძე. საქართველოს სისხლის საპროცესო კოდექსის კომენტარები. 2006 წლის რედ. გვ. 930.

## **RESUME**

The article deals with the institute of plea bargaining under the Criminal and Administrative laws of Georgia. It provides the comparative analyses of the problem areas associated with the institute, with particular focus on the procedures for entering into the criminal and administrative plea bargaining agreements, rules of their enforcement, appeal, etc.

The institute of plea bargaining has been the subject of extensive legal debate ever since it was introduced by virtue of the Criminal Procedures Law on 13<sup>th</sup> February 2004. In early 2007 the Code of Administrative Offences was drafted, introducing a legal innovation in the form of the administrative plea bargaining for the first time in the history of Georgia.

The newly drafted Code of Administrative Offences is being reviewed by the Parliament. The Code introduces a number of novelties, including the administrative plea bargaining agreements, which are likely to become the subject of the future heated legal discussions.

The article highlights the legal nature and theoretical and practical aspects of the two agreements and is intended to assist legal experts in exploring the issues raised therein.

## გიორგი გორაშვილი

იგანე ჯაფახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული  
ფაკულტეტის დოქტორანტი, აღვოტატი

### ქართული ანტირეკატეტი კანონმდებლობის ზოგიერთი პროგლოგი საქონის გენერალის-სამართლებრივი აცლიზი

რეკეტი, რეკეტული დაჯგუფება და რეკეტირი ქართული სისხლის სამართლისთვის ნოვაციას წარმოადგენს. ტერმინი რეკეტი ჩვენს კანონმდებლობაში 2004 წლიდან დამკვიდრდა, ამიტომ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში იმ დრომდე არ არსებობდა ამ ტერმინის განმარტება. ზოგადად ვიცოდით, რომ რეკეტი არის გამოძალვა<sup>1</sup>. 2005 წლის 20 დეკემბერს კი ამოქმედდა სპეციალური კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ”. ამის გარდა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითაც რეკეტირის მიმართ მთელი რიგი შეზღუდვები იქნა გათვალისწინებული.

ქართულმა ანტირეკეტულმა ნორმებმა თავიდანვე კითხვები დაბადა ორგორც თეორიაში, ისე, პრაქტიკაში. მატერიალური სამართლის თვალსაზრისით, ბუნდოვანია ანტირეკეტული ნორმების მიზანი, რეგულაციის სფერო, პრობლემა შეიქმნა დანაშაულის სხვადასხვა ფორმებიდან მისი გამიჯვნისას. აღნიშნული მიზეზების გამო, ახალი ანტირეკეტული ნორმები პრაქტიკულად უმოქმედოა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკისა და ინფორმატიზაციის გაყოფილების ინფორმაციით, სასამართლო წარმოებაში რეკეტთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეები არ განხილულა: „2005-2007 წლებში არ შემოსულა საქმეები სსკ-ის 17<sup>1</sup> და 224<sup>1</sup> მუხლებით”<sup>2</sup>.

პრობლემაში გარკვევის სურვილმა გვიბიძგა შეერთებული შტატების ანტირეკეტული კანონმდებლობის შესწავლისაკენ, რომელიც, შეიძლება ითქვას, იდეურ ქვაკუთხედს წარმოადგენს მსგავსი შინაარსის ქართული ნორმებისთვის.

საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ, ნაციონალური სახელმწიფოების ხელისუფლების სისუსტის, სოციალური კონტროლის არაეფექტურად განხორციელების გამო ორგანიზებულმა დანაშაულმა დიდი მასშტაბი შეიძინა. მე-20 საუკუნის ბოლოს პოსტსაბჭოური რესპუბლიკების უმრავლესობაში თითქმის ერთნაირი მდგომარეობა შეიქმნა: ორგანიზებულ დანაშაულთა შედეგად ადამიანთა ერთმა ჯგუფმა ხელთ იგდო არა მხოლოდ დიდი სიმდიდრე და გავლენა ახლად აღმოცენებულ საბაზო ეკონომიკაზე, არამედ შეაღწია ხელისუფლების ყველა შტოში. ქართველი კანონმდებელი შეცადა, გამოიყენებინა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში წარმატებული ქვეყნების გამოცდილება და აღნიშნულ მოვლენასთან სისხლისსამართელბრივი ღონისძიებებით დაეწყო ბრძოლა. ვფიქრობთ, რომ ქართველი კანონმდებელი ძირითადად დაეყრდნო აშშ-ს „სტატუტს რეკეტული და კორუმპირებული ორგანიზაციების შესახებ”,<sup>3</sup> რადგანაც ქართველი ანტირეკეტული ნორმები აშკარად განიცდის „რიკოს” კანონის ზეგავლენას. აშშ-ს კანონმდებლობის ეფექტურობა ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლაში საყოველთაოდ

<sup>1</sup>ო. გამყრელიძე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბილისი 2005 წ. გვ.150-ე.

<sup>2</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლო, სასამართლო სტატისტიკისა და ინფორმატიზაციის განყოფილების №63-კ პასუხი ჩვენს 2007 წლის 6 სექტემბრის წერილზე.

<sup>3</sup>სტატუტი რეკეტული და კორუმპირებული ორგანიზაციების შესახებ (Racketeer, influenced and Corrupt Organizations [RICO] statute) ქვემოთ მოხსენიებული იქნება ორგორც „რიკო”.

## დოკუმენტი ზორავრი

აღიარებულია. ვფიქრობთ, ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებული, რომელსაც სურვილი აქვს, შექმნას ეფექტური სამართლებრივი აქტი ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ, აუცილებლად უნდა გაეცნოს იმ კონცეფციებს, რომლებზედაც დაფუძნებულია აშშ-ში ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ მიმართული ნორმები.<sup>4</sup>

შევეცადეთ, შეგვესწავლა ამერიკის შეერთებული შტატების ანტირეკეტული ნორმები არამხოლოდ ზოგადად, ზედაპირულად, არამედ გავრკვეულიყავით იმ ძირითად ფუძემდებლურ პრინციპებსა და კონცეფციებში, რომლებზე დაყრდნობითაც იქცა ზემოაღნიშნული ნორმები ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ მიმართულ ეფექტურ იარაღად. აღნიშნული ამოცანის შესრულების შემდეგ შედარებით-სამართლებრივი, ისტორიული, შედარებით-ისტორიული, ფორმალურ-ლოგიკური, დოგმატური, სისტემურ-სტრუქტურული მეთოდების გამოყენებით გამოგვერკვია:

1. რამდენად ეფექტურად მოერგო ანტირეკეტული ნორმები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სისტემას, როგორ შეეთავსა არსებულ სამართლებრივ ინსტიტუტებს;
2. ანტირეკეტული ნორმების რეგულირების სფერო, დეფინიციური პროცედურები;
3. რამდენად ეფექტურია ანტირეკეტული ნორმები ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

### 1. კრიმინალიზაციის საზრისი

ტერმინი „ორგანიზება“ წარმოიშვა ბერძნული სიტყვიდან – „organon“ და ფრანგულიდან – „organiser“. აღნიშნული სიტყვა ბერძნულად ნიშნავს „ინსტრუმენტს, იარაღს“, რაც შეეხება ფრანგულ ტერმინს, იგი განიმარტება ორგორც „მოწესრიგება, დაგეგმვა, გაერთიანება“.

„ორგანიზებული დანაშაულის“ ცნებაში მოიაზრება დაგეგმილი, წინასწარ მოფიქრებული და მომზადებული დევიანტური ქედვა. რაც შეეხება „ორგანიზებულ დანაშაულებრივ საქმიანობას“, მასში უნდა ვიგულისხმოთ ცალკეულ „ორგანიზებულ დანაშაულთა“ ერთობლიობა. პირთა ჯგუფის მიერ განხორციელებული „ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა“ უდევს საფუძვლად „ორგანიზებულ დანაშაულს“.<sup>5</sup>

„ორგანიზებული დანაშაული“ არსებითად ჯგუფური დანაშაულის ერთ-ერთი სახეა.<sup>6</sup> ჯგუფური დანაშაულის შესახებ ნორმები მოცემულია საქართველოს სსკ-ის მე-7 თავში. ჯგუფური ორგანიზებულობის ნიშნები შეიძლება ვებიოთ თანამონაწილეობაში (სსკ-ის 23-ე მუხ.), აგრეთვე, ჯგუფური დანაშაულის ისეთ სახეებში, როგორიცაა დანაშაული, ჩადენილი ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით (სსკ-ის 27-ე მუხ. ნაწ. მე-2) და დანაშაული, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ (სსკ-ის 27-ე მუხ. ნაწ. მე-3).

ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, რეკეტირობის გარდა დასჯადა „უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა, ანდა მასში მონაწილეობა“ (სსკ-ის 223-ე მუხ.), „ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა“ (სსკ-ის 2231 მუხ.), „აბანდიტიზმი“ (სსკ-ის 224-ე მუხ.), „ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა ან ხელმძღვანელობა, ანდა მასში მონაწილეობა“ (სსკ-ის 327-ე მუხ.) და სხვა. ყველა

<sup>4</sup>დაწვრილებით იხ: **გვორაშვილი** „ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინალიზაციის შედარებით – სამართლებრივი ანალიზი“, სადოქტორო სემინარი, თბილისის ივ ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოურიდიული ფაკულტეტი, 2006 წ.

<sup>5</sup>იხ: ტერმინი შედგენილია 1999 წლის 20 მარტის საქართველოს კანონის მიხედვით.

<sup>6</sup>იხ: **ზ. წულაძე**. კრიმინოლოგია, ზოგადი ნაწილი, თბ. 2003წ. გვ. 225.

ზემოჩამოთვლილი ნორმა ორგანიზებული ჯგუფის სპეციალური, კრიმინალიზებული ფორმაა. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ჯერჯერობით არ არსებობს ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ მიმართული ზოგადი ნორმა. ზემოაღნიშნული სპეციალური ნორმები ორგანიზებულ დანაშაულთა მხოლოდ კონკრეტულ გამოვლინებებს არ ეულირებს, მაგრამ მათ გარეთ მოუწესრიგებელი რჩება დანაშაულებრივი საქმიანობის საკმაოდ დიდი წრე. აშშ-ს ნაციონალური უსაფრთხოების საბჭოს 2000 წლის მოხსენებაში, ორგანიზებულ დანაშაულებრიობასთან ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებულ კრიტიკულ წინადაღებებში აღნინიშნა, რომ „ყოფილი საბჭოთა კავშირის არც ერთ რესპუბლიკაში არ არის კანონები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემდა სამართალდამცავ ორგანოებს, პასუხისებებაში მიეცათ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მიზნით გაერთიანებული პირები და არა მხოლოდ ისინი, ვინც უკვე ჩაიდინა დანაშაული.“<sup>7</sup>

შეერთებულ შტატებში „რიკოს“ კანონი მიმართულია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ. „რიკოს“ მიღებისას, 1970 წელს, კონგრესის მიზანი იყო მაფიისა და სხვა დანაშაულებრივი სინდიკატების გავლენის შესუსტება, ხოლო შემდეგ – მათი სრული გაძევება აშშ-ს ეკონომიკიდა.<sup>8</sup> „კონგრესი ადგენს, რომ ორგანიზებული დანაშაულებრიობა შეერთებულ შტატებში არის მეტად რთული, მრავალფეროვანი და ფართოდ გავრცელებული მოვლენა. ყოველწლიურად მრავალი მიღიარდი დოლარით ზარალობს ამერიკის ეკონომიკა უკანონო ძალადობის, თაღლითობისა და კორუფციის შეწიგად“.<sup>9</sup>

„რიკო” გათვალისწინებულია შეერთებული შტატების კოდექსის მე-18 ნაწილის 96-ე თავში, §§ 1961–1968 (Chapter 96 of Title 18 of the United States Code, 18 U.S.C. § 1961 through 18 U.S.C. § 1968). იგი ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის კანონის ნაწილს წარმოადგენს (901(a)).<sup>10</sup> შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „რიკოს” მეშვეობით ორგანიზებული დანაშაულის ყველა გამოვლინებაზე უნდა ანხსორციელებულიყო მძღოლი დარჩევა.<sup>11</sup>

<sup>7</sup>The report of Advice of National Safety, International crime threat assessment, chapter I, Global Context of International Crime 2000, Іаððââíá í Æðññééé ýçûé, Âëæâéæñðôéññéé Öäíðò í î èçó÷åíèþ íðãàíèçíàííé iðâñðöííñðòé Á.Á. Í í ñ aðâáíéí, Á.Á.Æðâá÷åíéí, 2001 c. 18. ob; [www.crime.vl.ru](http://www.crime.vl.ru)

<sup>8</sup>参见：<http://www.ricoact.com/ricoact/faq.asp>

<sup>9</sup> Ob: <http://graham.main.nc.us/~bhummel/INS/RICO.html#CRMPEN>. Section 1 of Pub. L. 91-452.

<sup>10</sup> უნდა აღინიშვნოს აგრძოვე ის ფაქტორიც, რომ ამჟამად გარდა ფედერალური კონისა, უკვე 29 შტატმა მიიღო საკუთარი „რიკოს“ კანონი ([http://www.labex.ru/page/inkz\\_usa\\_uk\\_8.html](http://www.labex.ru/page/inkz_usa_uk_8.html)).

<sup>11</sup> **ob:** **Weiner J.** RIKO, Terrorism and extraterritoriality: can RIKO reach foreign conduct? p.15  
[www.nesl.edu/intljournal/vol1indx.cfm](http://www.nesl.edu/intljournal/vol1indx.cfm)

### 2. თავისუფალი ინტერპრეტაციის კონცეფცია

შეერთებული შტატების კონგრესმა შეიმუშავა ე.წ. „თავისუფალი ინტერპრეტაციის” კონცეფცია, რომლის მიზედვითაც: „შესაძლებელია მოცემული კანონის დებულებების თავისუფალი ინტერპრეტირება ამავე კანონში აღწერილი მიზნების მისაღწევად”.<sup>12</sup> არ არსებობს სისხლის სამართლის კანონი, რომელიც მსგავს დებულებას შეიცავდეს. უფრო მეტიც, ტრადიციულად მიღებულია, რომ სისხლისამართლებრივი ნორმები დაწერილი უნდა იყოს ერთმნიშვნელოვნად და ნებისმიერი გაუკრევევლობა უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

„თავისუფალი ინტერპრეტირების” კონცეფცია გამომდინარეობს თვითონ ორგანიზებული დანაშაულებრიობის, როგორც მოვლენის, მრავალმხრივობიდან, აგრეთვე, მისი ზუსტი იურიდიული დეფინიციის შემუშავების სირთულიდან. ორგანიზებულ დანაშაულთა ცვალებადობა და დანამიურობა სისხლის სამართლის კანონისგან არანაკლიბ მოქნილობას მოითხოვს, რათა დაუსჯელი არ დარჩეს არც ერთი დამნაშავე მხოლოდ იმის გამო, რომ სისხლის სამართლი არ არეგულირებს საზოგადოებრივი ურთიერთობის კონკრეტულ სფეროს. „რიკოს” კანონი არ შეზღუდულა ორგანიზებულ დანაშაულთა მანამდე არსებული ეთნიკური სტერეოტიპებით. მისთვის მნიშვნელოვანია არა დანაშაულის ფორმა, არამედ შინაარსი. მისი ავტორები იყნებენ ზოგად ტერმინებს და თავს არიდებენ ორგანიზებული დანაშაულის ცენტრის განმარტებას.<sup>13</sup> „კონგრესმა სპეციალურად გააფართოვა კანონის მოქმედების ფარგლები, რათა არ დაეტოვებინა მცირე ხერებისას.”<sup>14</sup>

„რიკოს” ფართო სამართალგანმარტება შესაძლებლობას იძლევა, აღნიშნული კანონი გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევების დროსაც, რომლებიც მისი მიღების მომენტისთვის არ იყო გათვალისწინებული, აგრეთვე, ისეთ „როულ საქმეებში . . . (რომლებიც) არ რეგულირდება სამართლის ტრადიციული ნორმებით და საზოგადოებაში იწვევს ძლიერ უარყოფით ემოციას”<sup>15</sup>.

„რიკოს” დებულებების თავისუფალი ინტერპრეტაციის მაგალითი იყო აშშ-ში გახმაურებული სასამართლო პროცესი „აშშ ტურკეტეს წინააღმდეგ“, რომლის დროსაც აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „ორგანიზაცია”, რომელიც კრიმინალურ საქმიანობას ეწევა, არ არის აუცილებელი, იყოს შექმნილი ლეგალურ საფუძველზე, იგი შეიძლება იყოს და-ფაქტო წარმონაქმნი და „შეზღუდვითი განმარტება „ორგანიზაციისა“, როგორც მხოლოდ ლეგალურ საფუძველზე შექმნილი იურიდიული პირისა, გამოიწვევს კანონის („რიკოს“) პროფილაქტიკური ფუნქციების უგულებელყოფას”<sup>16</sup>.

ქართულ სისხლის სამართალში „თავისუფალი ინტერპრეტაციის” კონცეფციის გაზიარება, ვიჟირობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მიზანშეწონილი, თუკი ამით წინააღმდეგობა არ შეიქმნება ლეგალობის ზოგადსამართლებრივ პრინციპთან. კანონიერების პრინციპი ასახულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველ და

<sup>12</sup>Racketeer, influenced and Corrupt Organizations statute, § 1961; Liberal Construction of Provisions; Supersedure of Federal or State Laws; Authority of Attorneys Representing United States Section 904 of title IX of Pub. L. 91-45

<sup>13</sup>იხ: **Weiner J.** დასახელებული ნაშრომი, გვ. მე-15.

<sup>14</sup>იხ : **Cormaney M.** Rico in Russia: effective control of organized crime or another empty promise? ქართული სამართლის სამართლებული სამსახურის მიზანშეწონილი, თუკი ამით წინააღმდეგობა არ შეიქმნება ლეგალობის ზოგადსამართლებრივ პრინციპთან.

<sup>15</sup>იხ : **Cormaney M.** დასახელებული ნაშრომი.

<sup>16</sup>იხ: [http://www.ipsn.org/court\\_cases/us\\_v\\_turkette-supreme-1981-06-17.htm](http://www.ipsn.org/court_cases/us_v_turkette-supreme-1981-06-17.htm)

მეშვიდე მუხლებში და „ვლინდება არა მარტო დანაშაულის ასპექტით, არამედ სასჯელის ასპექტითაც”<sup>17</sup>. აქედან გამომდენარე, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ეგილით კანონიერების პრინციპის უგულებელყოფა გამართლებულად არ მიღვაჩნია.

აშშ-ში გააცნობიერეს ის ფაქტორი, რომ „რიკოს“ “თავისუფალი ინტერპრეტაციის” შესაძლებლობა წარმოშობის სამართლებრივი თვითნებობის საშიშროებას. ზემოაღნიშნული პრობლემის დასარევულირებლად აშშ-ის ოუსტიციის სამინისტროში შეიქმნა ორგანიზებულ დანაშაულთან და რეგეტოან ბრძოლის სპეციალური განყოფილება („OCRS“), რომლის ამოცანას შეადგენს „რიკოს“ კანონის გამოყენებაზე ზედამხედველობა. „რიკოს“ კანონით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისათვის აუცილებელია ზემოაღნიშნული განყოფილების საქცია. იგი ამავდროულად თვალყურს ადევნებს სასამართლო წარმოებაში არსებულ საქმეებს.<sup>18</sup>

2004 წლის 24 ივნისის კანონით ქართველმა კანონმდებელმა, ჩვენთვის სრულიად გაუგებარი მიზეზის გამო, ანტირეკეტული ნორმა მოათვასა სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში (17<sup>1</sup> მუხ.), რითაც მას დამოუკიდებელი, სანქციით აღჭურვილი, დანაშაულის სახე წაართვა. ამასთან, ზოგადი ნაწილით აღწერილი ანტირეკეტული ნორმა სსკ-ის განსაკუთრებული ნაწილის მხოლოდ ერთი დანაშაულის გამოძალვის (სსკ-ის 181-ე მუხ.) – შემადგენლობაში აისახა დამამძიმებელი გარემოების სახით. შეიქმნა ისეთი სურათი, თითქოს აშშ-ში ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ მიმართული ყველაზე მკაცრი და მოქნილი კანონი საქართველოში გამოძალვის ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებამდე „დაკნინდა“... ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ ზოგად ნაწილში რეკეტის ცნების გათვალისწინებით კანონმდებელმა შექმნა მისი ფართოდ გამოყენების წინაპირობა, ამოვიდა რა „რიკოს“ „თავისუფალი ინტერპრეტაციის“ კონცეფციიდან. ეს თუ ასეა, უნდა ითქვას, რომ ნორმის ფართოდ გამოყენების პირობების შექმნით, კანონმდებელმა იმდენად ამორფული გახდა 17<sup>1</sup> მუხლის რეგულაციური სფერო, რომ ნორმა ეხება ხუთი წლის განმავლობაში განმეორებულ თითქმის ყველა დანაშაულს. „თავისუფალი ინტერპრეტაცია“ ვერ განხორციელდება, თუ გაურკვეველია, რის ინტერპრეტაციას ვაზდენთ და ეს ინტერპრეტაცია რა მიზანს ემსახურება. შეერთებულ შტატებში „თავისუფალი ინტერპრეტაციის“ კონცეფცია ემსახურება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, ამისთვის „რიკო“ ადგენს „პრედიკატულ დანაშაულთა“ ჩამონათვალს, განსაზღვრავს რა რეალული საქმიანობის სახეებს და აწესებს შესაბამის სასჯელს. ქართული ნორმის მიხედვით კი განუსაზღვრელია რეკეტული საქმიანობის სახეები. 2006 წლის 15 ივლისის კანონის 224<sup>1</sup>-ე მუხლი ანტირეკეტულ ნორმებში შეიძლება წინგადადგმულ ნაბიჯად მივიჩნიოთ, რადგანაც აღნიშნული ნოვაციის წყალობით ნორმა სანქციით აღიჭურვა და დამოუკიდებელი დანაშაულის სახედ ჩამოყალიბდა სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სისტემაში, მაგრამ კვლავ გაურკვეველია, რა მოიაზრება რეკეტულ საქმიანობად. თუ დავუშვებთ, რომ კანონმდებელს რეკეტი გამოძალვის ერთ-ერთი სახედ მიაჩნია, მაშინ უსაზრისოა გამოძალვის ორი შემადგენლობის – ზოგადის და სპეციალურის – არსებობა იმ დროს, როდესაც გაურკვეველია, რითი განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან.

<sup>17</sup>იხ: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექ. გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2007 წ. გვ.18.

<sup>18</sup> [http://www.labex.ru/page/inzk\\_usa\\_uk\\_8.html](http://www.labex.ru/page/inzk_usa_uk_8.html)

### 3. პასუხისმგებლობის ერთობლიობის კონცეფცია

საქართველოს სისხლის სამართლს კოდექსის მე-17<sup>1</sup> მუხლისა და „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „რეკეტი არის შემოსავლის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის სისტემატურად მიღების მიზნით წარმოებული არაერთჯერადი და ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია განზრახი დანაშაულის ჩადენასთან (თუ ნასამართლობა არ არის გაქარწყლებული ან მოხსნილი), თუ იგი განხორციელდა ორჯერ მაინც ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში, რომელშიც არ შედის რეკეტირის დაპატიმრებისა და სასჯელის მოხდის ვადა.“ ე.ი. ქართული კანონმდებლობის მიხედვით, პირი რეკეტირად ჩაიდენს განზრახ დანაშაულს. აღნიშნული კონცეფცია „პასუხისმგებლობის ერთობლიობის“ სახელითაა ცნობილი და სისხლის სამართალში უთვარ სიახლეს წარმოადგენს<sup>19</sup>. მას საუზველი ამერიკის შეერთებული შტატებში „რიკოს“ კანონის მიღებამ დაუდო და მიმართულია ორგანიზებული ჯგუფების წევრების პასუხისმგებლობისა და სასჯელის მაქსიმალური გამკაცრებისგენ, საზოგადოებისთვის ამ უკანასკნელთა მომეტებული საშიშროების გამო.

„რიკო არის ერთადერთი სისხლის სამართლის სტატუტი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ბრალდების მხარეს, წარმოადგინოს დანაშაულებრივი ორგანიზაციის საქმიანობის სრული სურათი, ორგანიზებული დამნაშავეების „ოჯახის“ სახით. იმის მაგიერ, რომ სისხლის სამართლებრივი დევნა განახორციელოს მხოლოდ რომელიმე მცირე ჯგუფის ხელმძღვანელისა და მისდამი დაქვემდებარებული რამდენიმე დამნაშავის მიმართ, ამ უკანასკნელთა მიერ ჩადენილი ერთი რომელიმე დანაშაულის გამო, ბრალდება უფლებამოსილია, დაადანაშაულოს ორგანიზებული დამნაშავეების მთელი „ოჯახი“... ჩადენილი ერთი რომელიმე დანაშაულებრივი აქტის მტკიცების ნაცვლად, „რიკო“ შესაძლებლობას იძლევა, დადგინდეს პირის მთელი დანაშაულებრივი საქმიანობა მისი ცხოვრების მანძილზე.“<sup>20</sup>

“რიკო” მიხედვით, თუ პირი, ან პირთა ჯგუფი, ათი წლის განმავლობაში ორჯერ ჩაიდენს გათვალისწინებული ორმოცდათაზე მეტი დანაშაულიდან (40-ზე მეტი ფედერალური და 9 სახელმწიფო დანაშაულიდან) ერთ-ერთს, აშშ-ს ატორნეის (ფედერალური ბრალმდებელი, შენიშვნა ჩვენია - გ. გორაშვილი), ბრალდების საუზღველზე შეიძლება ცნობილ იქნეს რეკეტირად.<sup>21</sup> „რიკოს“ კანონი 1961-ე პარაგრაფში ადგენს საქმიანოდ ვრცელ ჩამონათვალს იმ დელიქტებისა, რომლებიც ითვლება „რეკეტულ საქმიანობად“. აღნიშნულ საქმიანობად მიჩნეულია, მაგალითად, „ჰობსის“ კანონის დარღვევა<sup>22</sup>, ფულის გათეთრება, მკვლელობა, მძღვდად ხელში ჩაგდება, მექრთამეობა, თაღლითობის სხვადასხვა სახები, სამართალწარმოებისათვის ხელის შეშლა, ნაქურდალის საერთაშორისო გადაზიდვა, კრედიტის უკანონოდ მიღება და ა.შ.<sup>23</sup>

„პასუხისმგებლობის ერთობლიობის“ კონცეფციის შინაარსში გასარკვევად უნდა მივუთითოთ, რომ აშშ-ს „რიკოს“ კანონი მოქმედებას იწყებს დანაშაულის განმეორების შემთხვევაში. განმეორებული დანაშაული უნდა მიეცათვნებოდეს ე.წ. „საკონტროლო დელიქტების“ ჯგუფს. ამას გარდა, აშშ-ს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ჩადენილ დანაშაულს უნდა ასასიათებდეს

<sup>19</sup> იხ.: [HTTP://SOSRUSSIA.COM/ANALYSE/LIBRARY/CLUSA/PAGE2/](http://SOSRUSSIA.COM/ANALYSE/LIBRARY/CLUSA/PAGE2/)

<sup>20</sup> Abadinsky H. Organized Crime. Nelson-Hall publishers. Chicago. იაბაბა ან ასახ. - ნია. : ეცაბაბა ნი. - იაბაბა ან ასახ. 2002 წ. 542

<sup>21</sup> იხ.: [http://www.labex.ru/page/inkz\\_usa\\_uk\\_8.html](http://www.labex.ru/page/inkz_usa_uk_8.html)

<sup>22</sup> იხ.: 18 U.S.C. sec. 1951 (1982) (prohibiting extortionate or violent interference with interstate or foreign commerce).

<sup>23</sup> იხ.: 18 U.S.C. CHAPTER 96—RACKETEER INFLUENCED AND CORRUPT ORGANIZATIONS, § 1961. Definitions.

„ურთიერთდაკავშირებულობა” და „უნდა არსებობდეს საფრთხე აღნიშნული ქმედებების გაგრძელებისა”<sup>24</sup>. „რიკოს” კანონით, პირი პასუხს აგებს არა ცალკეული დანაშაულისათვის, არამედ მის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისთვის, რომ იგი ორგანიზებულ დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევა. ქართულ სისხლის სამართალში „პასუხიმგებლობის ერთობლიობის” კონცეფციის ანალოგი „დანაშაულის სიმრავლეში” შეიძლება ვეძიოთ. მოვაზრებთ არაერთგზის დანაშაულს (სსკ-ის მე-15 მუხ.), დანაშაულთა ერთობლიობას (სსკ-ის მე-16 მუხ.), და დანაშაულის რეციდივს (სსკ-ის მე-17 მუხ.).

აშშ-ს „პასუხიმგებლობის ერთობლიობის” კონცეფციასა და ქართულ „დანაშაულის სიმრავლეს” შორის ის განსხვავებაა, რომ, თუ საქართველოში დანაშაულის გამეორების შემთხვევაში პირი პასუხს აგებს მის მიერ ჩადენილი კონკრეტული დანაშაულისათვის და გამეორება მიიჩნევა პასუხიმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად, აშშ-ში „საკონტროლო დელიქტების” გამეორება თვისობრივად ახალი დანაშაულის შემაღებულობას იძლევა და ჩვეულებრივი სისხლის სამართლის ნორმების ნაცვლად პირი პასუხს აგებს „რიკოს” მიხედვით.

რეკეტირობის ძირითად ნიშნად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 17<sup>1</sup>, 224<sup>1</sup> მუხლებისა და „ორგანიზებული დანაშაულისა და რეციდივის შესახებ” სპეციალური კანონით მოიაზრება ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა, დანაშაულის სიმრავლე კი აღნიშნული ორგანიზებულობის გამოხატვის ფორმაა. „როგორც სსკ 17<sup>1</sup> მუხლის შინაარსიდან ირკვევა, რეკეტი დანაშაულის სიმრავლისა და ჯგუფური დანაშაულის ინსტიტუტების მიჯნაზე დგას. სახელდობრ, რეკეტის განმარტების თანახმად, დამნაშავე უნდა მოქმედებდეს არაერთჯერადად და ორგანიზებულად”<sup>25</sup> პოზიცია იმის შესახებ, რომ „არაერთჯერადობა” და „ორგანიზებულობა” რეკეტის ცნების თანაბარმნიშენელოვანი ნიშნებია”<sup>26</sup>, შეიძლება დამატებით დაზუსტდეს იმ თვალსაზრისით, რომ დანაშაულის გამეორება ზუთი წლის განმავლობაში ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის მიმანიშნებელია. დანაშაულის სიმრავლე ამ შემთხვევაში არის შინაარსის გამოხატვის ფორმა და არა თვითონ შინაარსი. არ შეიძლება შინაარსი გავაიგივოთ ფორმასთან, ანუ რეკეტირობის შინაარსობრივი ნიშანი მისი ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი სახისადმი კუთხნილებაა. აქედან გამომდინარე, ნორმის მოთავსება სსკ-ის დანაშაულთა სიმრავლის თავში (მუხლი 17<sup>1</sup>) მოხდა ფორმალური და არა შინაარსობრივი ნიშნით და წინააღმდევობაში მოდის აღნიშნული ნორმის კრიმინალიზაციის საზრისთან და ბუნებასთან.

#### 4. საკონტროლო დელიქტთა კონცეფცია

„პასუხისმგებლობის ერთობლიობის” კონცეფციასთან კავშირში უნდა განვიხილოთ „საკონტროლო დელიქტთა” („predicate offences“) კონცეფცია. აღნიშნული კონცეფციის თანახმად, „რიკოს” კანონის ამოქმედებისთვის პირმა უნდა განახორციელოს მინიმუმ ორი საკონტროლო (პრედიკატული) დანაშაული 10 წლის განმავლობაში. „საკონტროლო დელიქტის” ცნებაში იგულისხმება ის დანაშაულები, რომლებიც, აშშ-ს კანონმდებლობის თანახმად, ქმნან „რიკოს” შემაღებულობას და მათი ამომწურავი ჩამონათვალი მოცემულია აღნიშნული კანონის 1961-ე პარაგრაფში (40-ზე მეტი ფედერალური და 9 სახელმწიფო დანაშაული).<sup>27</sup> პრედიკატული

<sup>24</sup>იხ: <http://www.ricoact.com/ricoact/faq.asp>

<sup>25</sup>სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექ. გამომცემლობა „მერიდიანი”, თბილისი, 2007 წ. გვ. 346.

<sup>26</sup>სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დას. ნაშრ. გვ. 346.

<sup>27</sup>იხ: 18 U.S.C. CHAPTER 96—RACKETEER INFLUENCED AND CORRUPT ORGANIZATIONS, § 1961. Definitions.

## დოკუმენტის გვერდი

დანაშაულის პირველად ჩადენის შემთხვევაში, პირი პასუხს აგებს საერთო წესით, ხოლო სპეციალური რეციდივის შემთხვევაში, ანუ აღნიშნული დანაშაულების ხელმეორედ ჩადენის შემდეგ, ამოქმედდება „რიც“.

აშშ-ს უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად, 10 წლის განმავლობაში ორი საკონტროლო დელიქტის განხორციელების გარდა, „რიკოს” კანონით პასუხისმგებაში მიცემისათვის აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს ის, რომ აღნიშნული „საკონტროლო დელიქტები” დაკავშირებული უნდა იყოს ერთმანეთთან და არსებობდეს საშიშროება დანაშაულებრივი საჭმიანობის გაგრძელებისა.<sup>28</sup>

პრედიკატული დელიქტების გაუთავლისწინებლობა ქართულ ანტირეგეტულ ნორმებს ფაქტობრივად უმოქმედოდ ტოვებს, რადგანაც გაუგებარია აღნიშნული ნორმების მოქმედების ფარგლები, რეგულაციური სფერო. შეუძლებელია გაივლოს მიჯნა დანაშაულის სიმრავლის სხვა სახეებთან (არაერთგზის დანაშაულთან, დანაშაულთა ერთობლიობასთან და დანაშაულის რეციდივთან), აგრეთვე, ორგანიზებული ჯგუფის სხვა სპეციალურ სახეებთან („ქურდული სამყაროს წევრობასთან“, „კანონიერ ქურდობასთან“) (სსკ-ის 223<sup>1</sup> მუხ.), „ბანდიტიზმთან“ (სსკ-ის 224-ე მუხ) და სხვა).

„საკონტროლო დელიქტთა“ („predicate offences“) კონცეფციის გაუთვალისწინებლობაში წარმოშვა გაუგებრობა იმ საკითხში, თუ რა მოიაზრება რეკეტირობაში და რომელი დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელება წარმოადგენს რეკეტულ საქმიანობას. პრედიკტული დელიქტების განსაზღვრამდე ქართველმა კანონმდებლმა პირველ რიგში უნდა გადაწყვიტოს, ენება ქართულ ანტირეკეტულ ნორმებს აშშ-ს ანტირეკეტული ნორმების შესაბამისად ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ მიმართული ზოგადი თუ ბანდიტიზმის (სსკ-ის 224-ე მუხ.), ქურდული სამყაროს წევრობის, კანონიერი ქურდობის (სსკ-ის 223<sup>1</sup> მუხ.) და სხვათა მსგავსად ორგანიზებული ჯაგუფის, კრიმინალიზებული, სპეციალური ნორმის სახე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავის დროზე „რიკოს“ კანონი არ შეიზღუდა ორგანიზებულ დანაშაულთა მანამდე არსებული ეთნიკური სტერეოტიპებით. „რიკოს“ კანონისთვის მნიშვნელოვანია არა დანაშაულობის ფორმა, არამედ მისი შინაარსი. „რიკოს“ მიღებამდე, ორგანიზებულ დანაშაულობას ეთნიკურ დაჯგუფებებს (კონცეფცია „alien-conspiracy model“), განსაკუთრებით კი იტალიურ-ამერიკულს უკავშირებდნენ.<sup>29</sup> აშშ-ს კანონმდებლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აქცევნტი გაკეთდა ორგანიზებულ დანაშაულებრიობაზე, როგორც ზოგად მოვლენაზე და არა მის ცალკეულ გამოვლინებებზე, ანუ არა ფორმაზე, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, არამედ – შინაარსზე. ამის გამოთ, რომ „რიკოს“ დღეს იყენებენ დანაშაულთა ისეთი სახეების წინააღმდეგაც, რომლებიც მისი მიღების დროს საერთოდ არ არსებოდა<sup>30</sup>. არსებობს მოსაზრება „რიკოს“ როლის ზრდაზე ჭროროსისტულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ასპექტითა�.<sup>31</sup>

ქართულ ანტირეკეტულ კანონმდებლობას ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული ზოგადი ნორმის ხასიათი ამჟამად არ გააჩნია და ამით უკვე წინააღმდეგობაში მოდის ამერიკულ ანალოგთან. ზემოაღნიშნულის დასტურად საქართველოს სსკის 224<sup>1</sup> მუხლის სანქციაც საკმარისია, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების ადგენერას ხელიდან.

<sup>28</sup> **où:** <http://www.ricoact.com/ricoact/faq.asp>

<sup>29</sup>Óâ ë î á í å çàéî í ïäàøåëüñòâí ÑØÀ, <http://sosrussia.com/analyse/library/clusa/page2/>

<sup>30</sup>Cormaney M. Rico in Russia: effective control of organized crime or another empty promise? Iåðåäåï. I.

Áóðýê, 2002 á [http://www.crime.vl.ru/docs/stats/stat\\_145.htm](http://www.crime.vl.ru/docs/stats/stat_145.htm)

<sup>310b</sup>: **Nathan Irvin & Juster Kenneth**, Law Enforcement Against International Terrorists: Use of the RICO Statute, 60 U. COLO. L. REV. 1989.p.564; Weiner J. RIKO, Terrorism and extraterritorially: can RIKO reach foreign conduct? p.13 [www.nesl.edu/intljournal/vol1/idx.cfm](http://www.nesl.edu/intljournal/vol1/idx.cfm)

ათ წლამდე. მაგალითად, თუ პირი ორგანიზებულ დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევა და ხუთი წლის განმავლობაში ორჯერ ან მეტჯერ ჩაიდენს განსაკუთრებით – მძიმე დანაშაულს (მაგ. ტრეფიკინგი სსკ-ის 143<sup>1</sup> მუხ.) ჩადის, მისი პასუხისმგებლობის შემსტუქებად იქცევა, როდესაც პირიქით უნდა იყოს. ამიტომ აღნიშნული პირი პასუხისმგებაში შეიძლება მიეცეს დანაშაულთა ერთობლიობისათვის, ანუ რეკეტირობისა და ტრეფიკინგისთვის, განსხვავებით აშშ-ს „რიკოს“ კანონისგან, რომლიც თავის თავში მოიაზრებს ყველა პრედიკატულ დანაშაულს. აშშ-ს „რიკოს“ მიხედვით, ორჯერ ან მეტჯერ პრედიკატული დელიქტების ჩადენის შემთხვევაში, ამასთან, თუ აღნიშნულ დელიქტებს ახასიათებთ ურთიერთკავშირი და არსებობს საშიშროება კრიმინალური საქმიანობის გაგრძელებისა, პირი პასუხს აგებს არა ჩვეულებრივი წესით, არამედ გაცილებით მკაცრად როგორც რეკეტირი...<sup>32</sup>

შეერთებულ შტატებში, სადაც ორგანიზებული დიდი მრვალფეროვნებით ხასიათდება, „რიკოს“ კანონი წარმატებით მოქმედებს იმ მიზნის გამო, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ იფარგლება ეთნიკური ან სხვა სახის სტერეოტიპებით. ამ თვისების გამო ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებებისთვის 1970 წელს მიღებული კანონი მზად აღმოჩნდა. ქართველმა კანონმდებელმა, თუ ის გაითვალისწინებს აშშ-ს გამოცდილებას, უნდა შექმნას ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ მიმართული ზოგადი ნორმა, იქნება ეს ანტირეკეტული ნორმებისა თუ სხვა ფორმით<sup>33</sup> (ფორმას, ჩვენი აზრით, არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა), მთავარია, მათში აისახოს ის შინაარსი და ფუქტებულური პრინციპები, რამაც აშშ-ს წარმატება მოუტანა ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქართული ანტირეკეტული კანონმდებლობისთვის უმნიშვნელოვანესია „საქონტროლო დელიქტთა“ („predicate offences“) კონცეფციის ამოქმედება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად შეიძლება ორი მიმართულება გამოვყოთ:

1. საქართველოს სსკ-ის 17<sup>1</sup> მუხლში რეკეტის და რეკეტირობის დეფინიციის შემდეგ ჩამონათვალის სახით გათვალისწინებულ იქნეს სსკ-ის განსაკუთრებული ნაწილის კონკრეტული ნორმები, რომლებსაც კანონმდებელი ორგანიზებულ დანაშაულთა პრედიკატულ დელიქტებად ჩათვლის, ხოლო ამ უკანასკნელთ კი დაემატოს შესაბამისი დამამდიმებელი გარემოება, რომელიც პირობითად შეიძლება ასე განისაზღვროს: „ჩადნილი რეკეტირის მიერ“. მსგავსი პრეცენდენტი საქართველოს სსკ-ში უკვე გავაქვს გამოძალვის შემადგენლობის სახით (181-ე მუხლის მე-4 ნაწ.). აღნიშნული გზით თუ წავალო, თავისთავად დადგება საქართველოს სსკ-ის 224<sup>1</sup> მუხლის გაუქმების აუცილებლობა, რის დასტურადაც დღვეანდელი მდგომარეობაც გამოგვადგება: მაგალითად, თუ გამოძალვა ჩაიდინა რეკეტირმა, გამოდის, რომ მან პასუხი უნდა აგოს როგორც გამოძალვის შესაბამისი დამამდიმებელი გარემოებით (181-ე მუხლის მე-4 ნაწ.), აგრეთვე, რეკეტისთვის ცალკე (224<sup>1</sup> მუხლი). აღნიშნული მდგომარეობა წინააღმდეგობაში

<sup>32</sup> იხ. ზევით „პასუხისმგებლობის ერთობლიობის კონცეფცია“.

<sup>33</sup> ჩვენ გვქონდა მოსაზრება, რომ ახალი დეფინიციების შემოღების ნაცვლად ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ მიმართულ ზოგად ნორმად „ბანდიტიზმი“ ქცეულიყო. იხ: გ. გორაშვილი „ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინალიზაციის შედარებით – სამართლებრივი ანალიზი“, სადოქტორი სემინარი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2006 წ. 58-62.

<sup>34</sup> ანტირეკეტული ნორმების მიხედვით, პირი იმიტომ არის რეკეტირი, რომ მან დროის გარკვეულ პერიოდში გაიმორა პრედიკატული დანაშაული, ზუსტად აღნიშნული გამეორების გამო ისჯება იგი უფრო მკაცრად. (შენიშვნა ჩვენია).

<sup>35</sup> ამ კონკრეტული მაგალითიდან გამომდინარეობს, რომ პირი ისჯება რეკეტირობისთვის (181-ე მუხლის მე-4 ნაწ.) და კიდევ რეკეტულ დაჯერებაში მონაწილეობისათვის (224<sup>1</sup>-ე მუხლი).

## დოქტორანტთა ფორუმი

მოდის არამარტო „საკონტროლო დელიქტების” ფუძემდებლურ კონცეფციასთან,<sup>34</sup> არამედ ერთი და იმავე ქმედებისთვის ორგერ დასჯის დაუშვებლობის კონსტიტუციურ პრინციპთანაც.<sup>35</sup> თუკი მსჯელობას საბოლოოდ შევაჯამებთ, ანტირეკეტული ნორმების რეგულაციური სფერო პრედიკატული დანაშაულების სახით უნდა განისაზღვროს საქართველოს სსკ-ის 17<sup>1</sup> მუხლში, კონკრეტულ საკონტროლო დელიქტებს დაემატოს შესაბამისი დამამდიმებელი გარემოება: „ჩადენილი რეკეტირის მიერ”, ხოლო 224<sup>1</sup> მუხლი გაუქმებულ იქნება.

2. „საკონტროლო დელიქტთა” კონცეფციის ამოქმედების მეორე მიმართულება, ჩვენი აზრით, უფრო გამართულია შინაარსობრივი თვალსაზრისით, ადვილად ჯდება ქართული სისხლის სამართლის კოდექსის სისტემაში და უფრო ახლოს დგას აშშ-ს „რიკოს” კანონის სტრუქტურასთანაც. ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება საქართველოს სსკ-ის 224<sup>1</sup> მუხლში გათვალისწინებულ იქნეს რეკეტისა და რეკეტირობის განმსაზღვრული დეფინიცია და შემდეგ საკონტროლო დელიქტთა ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა ორგერ ან მეტჯერ ჩადენა ხუთი წლის განმავლობაში შეფასებული იქნება ორგანიზებულ დანაშაულებრივ საქმიანობად. საქართველოს სსკ-ის 224<sup>1</sup> მუხლი აღინიშულოს უფრო მკაცრი სანქციით, ვიდრე მასში შემავალი კონკრეტული პრედიკატული დანაშაულები. დაუშვათ, რომ რეკეტული საქმიანობის სახეებად საქართველოს კანონმდებელმა განსაზღვრა ძალადობრივი ძალა (სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის “დ” პუნქტი), ყაჩაღობა (სსკ-ის 179-ე მუხ.) და ტრეფიკინგი (სსკ-ის 143<sup>1</sup> მუხ.). დელიქტურარიანი პირის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელმაც ხუთი წლის განმავლობაში ორგერ ან მეტჯერ ჩადენინა აღნიშნული დანაშაულები, შეფასდება რეკეტირობად, ჩადენილი ძარცვის, ყაჩაღობისა და ტრეფიკინგის საფუძვლზე, სასამართლო განჩენში მითითებული იქნება საქართველოს სსკ-ის 224<sup>1</sup> მუხლზე და სასკელიც აღნიშნული მუხლის სანქციის მიხედვით დაინიშნება.<sup>36</sup> მეორე მიმართულებით წასვლის შემთხვევაში ლოგიკურია, რომ უნდა გაუქმდეს საქართველოს სსკ-ის 17<sup>1</sup> მუხლი, რადგანაც იგი უფუნქციონულ დარჩება, ამასთან, მისი გაუქმება სისტემური – სტრუქტურული თვალსაზრისითაც მიზანშეწონილი იქნება.

### 5. ორგანიზაციული შეთანხმების კონცეფცია

აშშ-ში არსებობს „სტატუტი დანაშაულებრივი შეთანხმების შესახებ”, რომლის მიხედვითაც, ორი ან მეტი პირის შეთანხმება მიმართული დანაშაულის ჩასადენად, დამთავრებულ დანაშაულად ითვლება. შეთანხმების დამთავრებულ დანაშაულად ცნობისთვის აუცილებელია, რომ ორი ან მეტი პირი გეგმავდეს კანონით აკრძალული ქმედების განხორციელებას და აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაიწყოს „აშკარა მოქმედება”.<sup>37</sup>

როგორც აღინიშნა, „აშკარა მოქმედების” დაწყების გარეშე შეთანხმება დამთავრებულ დანაშაულად არ ითვლება. „აშკარა მოქმედების” დაწყების ანალოგი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დაუმთავრებელ დანაშაულთა სახეებში, მომზადებასა და მცდელობაში (სსკ-ის 18-ე, მე-19 მუხლები) შეიძლება ვებით. დანაშაულებრივი შეთანხმება, აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით, დამთავრებულ დანაშაულად ითვლება, თუ დაფიქსირდა შეთანხმებულთა მხრიდან დანაშაულის განხორციელებისაკენ მიმართული გარკვეული ქმედება, იქნება ეს პირობების განზრას შექმნა თუ დანაშაულის ობიექტური მხრის გარკვეული ნაწილის შესრულება.

ქართული სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით, დანაშაულებრივი შეთანხმება, უკვე დამოუკიდებელ დანაშაულად ითვლება.

<sup>36</sup> რეკეტის შემადგენელ დანაშაულებზე მოსამართლე განაჩენის აღწერილობით ნაწილში მიუთითებს.

<sup>37</sup> იხ: Abadinsky H. Organized Crime. Nelson-Hall publishers. Chicago. წარმატებული 2002 წ. 536.

არ შეიძლება, არ აღინიშნოს ის გამონაკლისი, რომელიც დანაშაულებრივი შეთანხმების წინააღმდეგ მიმართულ სტატუტშია დაფიქსირებული. კერძოდ, დანაშაულის დამთავრების ეტაპი ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით ერთი საფეხურით წინაა გადმოტანილი და არ მოითხოვს „აშკარა მოქმედებას“.<sup>38</sup> დამთავრებულ დანაშაულს წარმოადგენს ორი ან მეტი პირის შეთანხმება ნარკოტიკულ ნივთიერებათა ბრუნვის ფედერალური ნორმების დარღვევის შესახებ.<sup>39</sup>

„დანაშაულებრივი შეთანხმების“ სამართლებრივი ინსტიტუტის სასიკეთოდ აშშ-ს სამეცნიერო წრეებში შემდეგი მოსაზრებებია გამოთქმული:

1) „დანაშაულებრივი შეთანხმების“ დამთავრებულ დანაშაულად ჩათვლა შესაძლებლობას აძლევს სამართალდამცავებს, მოახდინონ რეაგირება მანამ, სანამ დამნაშავები ქმედების განხორციელებას დაიწყებდნენ;

2) „დანაშაულებრივი შეთანხმების“ მონაწილეს არ შეუძლია, თავიდან აიცილოს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ საბაბით, რომ მან არ იცოდა „შეთანხმების“ ყველა დეტალის შესახებ, ან პიროვნულად არ იცნობდა მასში მონაწილე ყველა წევრს;

3) „დანაშაულებრივი შეთანხმებაში“ მონაწილე თითოეული პირის ქმედება მტკიცებულებად ითვლება სხვა მონაწილეთა მიმართ;

4) „დანაშაულებრივ შეთანხმებაში“ მონაწილე პასუხისმგებელია შეთანხმების სხვა მონაწილეთა ქმედებებისთვის, რომელიც განხორციელდა მანამდე, სანამ იგი გაწევრიანდებოდა ჯგუფში, თუკი ახალი მონაწილე იცნობს „დანაშაულებრივი შეთანხმების“ ძირითად მიზნებს და თანახმაა, მონაწილეობა მიიღოს მათ განხორციელებაში;

5) „დანაშაულებრივი შეთანხმების“ ინსტიტუტი ორგანიზებულ დანაშაულთა, განსაკუთრებით მისი ზედა ეშელონების, წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური იარაღია. იგი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ პასუხისგებაში მიეცნენ ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელები, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათ არ განუხორციელებიათ რაიმე „აშკარა მოქმედება“ საკმარისია, დამტკიცდეს ის ფაქტი, რომ ისინი „შეთანხმების“ მონაწილეები არიან.<sup>40</sup>

„რიკოს“ ავტორები, დაკურდნენ რა „დანაშაულებრივი შეთანხმების“ სტატუტს, და მასში აღწერილ დებულებებს, შეიძუშვეს ახალი, „ორგანიზაციული შეთანხმების“ კონცეფცია. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც „რიკო“ საკმაოდ უფასტური გამოდგა ორგანიზებულ დანაშაულებთან ბრძოლაში, არის ზუსტად „ორგანიზაციული შეთანხმების“ ახალი კონცეფციის დამსახურება.

„ორგანიზაციული შეთანხმება“ მნიშვნელოვან იარაღად იქცა ორგანიზებულ დანაშაულთა ლიდერების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ხელმძღვანელობდნენ კრიმინალურ დაკავუფებებს, პირადად იშვიათად არღვევდნენ კანონს. „რიკომ“ ისეთი ფორმულირება მისცა „დანაშაულებრივი შეთანხმების“ ნორმებს, რომ შესაძლებელი გახდა პასუხისგებაში მიცემულიყვნენ ისინი, ვინც რეალურად წარმართავდა ორგანიზებულ დანაშაულებებს.<sup>41</sup>

<sup>38</sup> იხ: Abadinsky H. დასახ. ნაშ. გვ. 591.

<sup>39</sup> იხ: აშშ-ს უზენაესი სასამართლოს 1994 წლის განაჩენი [United State v. Shabani N: 93-981] <http://www.law.cornell.edu/supct/html/93-981.ZO.html>

<sup>40</sup> Abadinsky H. დასაზღვრებული ნაშრომი, გვ. 536.

<sup>41</sup> იხ: Nathan Irvin & Juster Kenneth, Law Enforcement Against International Terrorists: Use of the RICO Statute, 60 U. COLO. L. REV. 1989.p.564.

**თანამონაწილეობის ნორმები არაეფექტურად მუშაობენ ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდევ, რადგან, როგორც წესი, კრიმინალურ ორგანიზაციაში რეალიზდება სხვადასხვა სახის დანაშაულებრივი შეთანხმება. იმის გამო, რომ არ არსებობს ერთიანი კოლექტიური შეთანხმება ან ერთიანი კოლექტიური დანაშაულებრივი მიზანი, მთელი ჯგუფის პასუხისმგებაში მიცემა შეუძლებელია. „შეუძლებელია, დამტკიცდეს ერთიანი შეთანხმება და ერთიანი დანაშაულებრივი მიზანი სრულიად სხვადასხვა დანაშაულზე და მათ ჩამდენ პირებზე, რომლებიც კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში ურთიერთკავშირში არ იმყოფებიან.“<sup>42</sup>**

„რიკოს“ კანონმა მოხსნა ეს პრობლემა „ორგანიზაციული შეთანხმების“ კონცეფციის შემოღებით. „ორგანიზაციული შეთანხმების“ მიზედვით, ორგანიზაციის კრიმინალურ საქმიანობაზე პასუხისმგებელია მისი ყველა წევრი, არა აქვს მნიშვნელობა უშუალოდ იღებდა თუ არა იგი მონაწილეობას რეკეტული დანაშაულის ჩადენაში. ამას გარდა, მნიშვნელობა არა აქვს იცოდა თუ არა პირმა ორგანიზაციის სხვა წევრების საქმიანობის შესახებ, ანდა ფლობდა თუ არა ორგანიზაციის საქმიანობის ყველა სფეროს შესახებ ინფორმაციას. „ორგანიზაციული შეთანხმების“ კონცეფცია საშუალებას იძლევა, განვიხილოთ დანაშაულებრივი ორგანიზაცია როგორც ერთი მთლიანი და არა როგორც მისი ნაწილების ჯამი.<sup>43</sup>

ვეფიქრობთ, ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის ეფექტურად წარმართვისთვის საჭიროა საქართველოს სსკ-ის 27-ე მუხლში გათვალისწინებული იქნეს დანაშაულებრივი ორგანიზაციის (გაერთიანების) ცნება და აღნიშნული ცნების შემუშავებისას დავყერდნოთ „რიკოს“ „ორგანიზაციული შეთანხმების“ ძირითად დებულებებს, განსაკუთრებით პასუხისმგებლობის საკითხის დადგენისას, რადგანაც ზუსტად პასუხისმგებლობის ფარგლების „რიკოსული“ გადაწყვეტა იქცა ორგანიზებულ დანაშაულთა თავკაცების სამართლიანად დასჯის საფუძველად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და ამავე მუხლის შენიშვნის მიხედვით ორგანიზებული დანაშაულის ცნებაში მოიაზრება როგორც ორგანიზებული ჯგუფი, ისე დანაშაულებრივი ორგანიზაცია. ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ქართველმა კანონმდებელმა ეს ორი განსხვავებული მოვლენა ერთი ცნების ქვეშ მოაქცია და დანაშაულებრივი ორგანიზაციასა და ორგანიზებული ჯგუფს შორის ტოლობის ნიშანი დასვა. აღნიშნული მიღვომა ვფიქრობთ არ არის მართებული, რადგანაც დანაშაულებრივი ორგანიზაცია გაცილებით უფრო რთული მოვლენაა, ვიდრე ორგანიზებული ჯგუფი. ერთ-ერთი უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი მათ შორის არის ის, რომ დანაშაულებრივი ორგანიზაცია იქმნება მრავალი დანაშაულის ჩასადენად, ანუ მისი შექმნისას არსებობს კრიმინალური საქმიანობის მიზანი, მაშინ როდესაც ორგანიზებული ჯგუფი შეიძლება შეიქმნას ერთი დანაშაულის ჩასადენადაც<sup>44</sup>. დანაშაულებრივი ორგანიზაციის კრიმინალიზებულ სახედ ტრადიციულად „ბანდიტიზმს“ (საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხ.) მიიჩნევენ. „ბანდა“ (Banda)

<sup>42</sup>იხ: Cormaney M. Rico in Russia: effective control of organized crime or another empty promise? Іაზაზა 1. აბდე, 2002 ა [http://www.crime.vl.ru/docs/stats/stat\\_145.htm](http://www.crime.vl.ru/docs/stats/stat_145.htm)

<sup>43</sup>იხ: Cormaney M. დასახ. ნაშ.

<sup>44</sup>იხ: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივის გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2007 წ. გვ.225.

<sup>45</sup>ო. გამყრელიძე ცნებაში „სიმყარე“ ჯგუფის სრუქტურული მახასიათებლის, ანუ წევრობის უწყვეტობის გარდა, მოიაზრებს მრავალი დანაშაულის ჩადენის მიზანსაც, ეს „სიმყარის“ ცნების ფართო გაგებაა. ვფიქრობთ, საქართველოს სსკ-ის კოდექსის „სიმყარის“ ცნების ვიწრო გაგებას უნდა დაყერდნოს, სადაც სიმყარის ცნებაში სტრუქტურული მახასიათებლი იქნება გათვალისწინებული, ხოლო დანაშაულებრივი საქმიანობის მიზანმა დამოუკიდებელ ასახვა უნდა ჰქოვოს.

იტალიური წარმოშობის სიტყვაა და გამოიყენება მყარი<sup>45</sup> დანაშაულებრივი ჯგუფის აღსანიშნავად, რომელიც რამოდენიმე დანაშაულის ჩასადენად იქმნება (იტალიური ტერმინის სინონიმებია: გერმანული – **Die Bande** და რუსული **Ø à é ê à**).<sup>46</sup>

„სისხლის სამართლის მეცნიერებაშ კარგა ხანია, რაც შეიმუშავა დანაშაულებრივი ორგანიზაციის ცნება. დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომლის ერთ-ერთ სახესაც შეიარაღებული ბანდა წარმოადგენს, ყოველგვარი სხვა დანაშაულებრივი დაჯგუფებისაგან ერთი არსებითი ნიშნით გაქცევაში გვეხმარდება – ეს არის მყარი ჯგუფი.“<sup>47</sup>

ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია ის თოროიული და პრაქტიკული პრობლემები, რაც რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულებრივი ორგანიზაციის სპეციალური კრიმინალიზტული ფორმის შემოღებას ახლდა თან. საუბარია „დანაშაულებრივი გაერთიანების (ორგანიზაციის) შექმნაზე“ (რვ სსკ-ის 210-ე მუხ.). აღნიშნული ნორმა ნოვაციას წარმოადგენს და „სისხლის სამართლის კოდექსში თეორეტიკოსებს, პრაქტიკოს მუშაკებს და კანონმდებლებს შორის დიდი დავის შემდეგ იქნა გათვალისწინებული. ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მრავალი დაობდა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ რამდენად მიზანშეწონილი და აუცილებელი იყო შემოღებულიყო დასჯადობა არა კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებების გამო, არამედ მხოლოდ დანაშაულებრივი ორგანიზაციის შექმნის, ან მასში მონაწილეობასთვის. საიდუმლოს არავისოვის არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დღესდღეობით რუსეთში ყველაზე გავლენიანი დანაშაულებრივი გაერთიანებების, თუ ორგანიზაციების ლიდერები პირადად არ მონაწილეობენ კონკრეტულ დანაშაულებში და ამის გამო სისხლის სამართლის რეგულირების ფარგლებს გარეთ რჩებან.“<sup>48</sup> რვ სსკ-ის 210-ე მუხლის შემუშავებისას კანონმდებლის მიზანს შეადგნდა შექმნა ისეთი ეფექტური ნორმა, რომელიც ორგანიზტულ დანაშაულთა წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული.<sup>49</sup>

ରେ କୁଣ୍ଡଳିରେ „210-ଟାର୍“ ମୁଖ୍ୟମାନଙ୍କ ଦେଇଲାଯାଇଛନ୍ତି ଶେଷମାତ୍ରାଙ୍ଗକାଳରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା ଏହାରେ ପରିବର୍ତ୍ତନ ହେଲାଯାଇଥାଏଇବେ।

1. მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩადენის მიზნით დანაშაულებრივი გაერთიანების ან ორგანიზაციის შექმნაში;

2. აღნიშნული დანაშაულებრივი გაერთიანების (ორგანიზაციის), ან მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელობაში;

3. მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩასადენად გეგმების შემუშავებისა და პირობების შექმნის მიზნით დანაშაულებრივი ჯგუფების ორგანიზატორების, ხელმძღვანელების, ან სხვა წარმომადგენლობის ჯართიანების შექმნაში;

4. დანაშაულებრივ გაერთიანებაში მონაწილეობაში;
5. ორგანიზებული ჯგუფების ორგანიზატორების, ხელმძღვანელების და წარმომადგენლობის

6. ზემოხამოთვლილი ქმიდებების განხორციელებაში სამსახურებრივი მდალმართების

გამოყენებით.”<sup>50</sup>

**მ.** გაერთიანდეს საკონფერენციო სასხლის სამართლის ძრევების გახმარება. თბ. 2005 გვ. 208

“...” ისე თვითმდგრადია ვინ გატაცების საქონის გაძლ გაზეთი „ახალი საქართველო“ 14-20 მაისი 1998 წ.

**T**inteiha A.A. laeueela P.A., Eae'e ale'aia auou neeoaea a laeanoe aiouau n loaaleci aa rite iidañoosíiñidöüf? Ääeüüäähäindöüe . 2002 ã. n. 5.

<sup>50</sup>Oai e iâ iâ iâ iðââi. Iñi iââiay ðâñou. Ei eeâeðeâ âaðiðiâ. Eça. Iiði à 1. 2000 n. 381.

<sup>50b</sup>: I ñ i ei í ia A.A. Iaéüi eé á P.A. Eaéi é á iéæfá áuðuñ riééðeéa á íaéanðe áiðuñuñ n iðaaíeçí aa i ié  
riðañðo r í iñðuñ? Áaéüiñâiñ ñòñé . 2002 á c 6.

როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის მიზანმა რფ სსკ-ის 210-ე მუხლი „მკვდარ“ შემადგენლობად აქცია.<sup>51</sup> ორი ან მეტი პირის გაერთიანება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩადენის მიზნით ისედაც დასჯადია, რადგანაც დანაშაულის მომზადებად ითვლება. ამ ლოგიკით 210-ე მუხლის რფ სისხლის სამართლის კოდექსში შემოტანა საერთოდ უსაგნო გამოდის. როგორც მართებულად აღნიშნავს ა. დოლგოვა, „აზალ კოდექსში ისევ გამოვლინდა ძველებური მიდგომა, რაც, რბილად რომ ვთქვათ, ორგანიზებული დანაშაულის ფერომენის შეუსწავლელობის ბრალია.“<sup>52</sup>

„რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიღების შემდეგ, თუკი დანაშაულებრივ ჯგუფში ორგანიზებულობის მცირე ნიშნები მაინც შეინიშნებოდა, ბრალდება ცდილობდა გამოეყენებინა რფ სსკ-ის 210-ე მუხლი. სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა განმაურებული გამამართლებელი განაჩენების შემდეგ. დღესდღეობით სამართალდამცავები ცდილობენ ჯგუფური დანაშაულობის ზოგადი ნორმების გამოყენებას და ყველანაირად თავს არიდებენ 210-ე მუხლს... ამგვარი ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში აღნიშნული ნორმის მკვდრ შემადგენლობად გადაქცევის საფრთხე იქმნება.“<sup>53</sup> რფ სსკ-ის 210-ე მუხლით აღძრული საქმეების სტატისტიკა მართლაც შემაშფოთებელია: 1997 წლის განმავლობაში მთელი რუსეთის მასშტაბით აღძრულ იქნა მხოლოდ 48 სისხლის სამართლის საქმე, რომელთაგან მხოლოდ 9 დამთავრდა გამამტკუნებელი განაჩენით. 1998 წელს აღიძრა 160 სისხლის სამართლის საქმე, რომელთაგანაც მხოლოდ ერთი დამთავრდა გამამტკუნებელი განაჩენით.<sup>54</sup>

აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სსკ-ის 27-ე მუხლის მესამე ნაწილში მითითებული, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღების მიზანი უსაფუძვლოდ ზღუდავს ნორმის მოქმედების ფარგლებს. როგორც წესი, უმრავლეს შემთხვევებში ორგანიზებული ჯგუფის მოქმედება მართლაც დაკავშირებულია უკანონოდ მატერიალური სიკეთის მიღების მიზანთან, მაგრამ წესიდან გამონაკლისებიც არსებობს. მაგალითად, შეიძლება ტერორისტული აქტი (საქართველოს სსკ-ის 323-ე მუხ.). ან საბოტაჟი (საქართველოს სსკ-ის 318-ე მუხ.). ჩაიდინოს ორგანიზებულმა ჯგუფმა, რომელიც ეთნიკურ-სეპარატისტულ იდეოლოგიურ პლატფორმაზე მოქმედებს და რომელსაც სარგებლის მიღების მიზანი არ გააჩნია. საქართველოს სსკ-ის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მსგავსი ჯგუფი ორგანიზებულად ვერ ჩაითვლება უკანონო სარგებლის მიღების მიზნის არარსებობის გამო, რაც სრულიად ალოგიკურ ვითარებაში გვაყენებს. როგორც ზემოაღნიშნულმა, რუსეთის ფედერაციის „მწარე“ გამოცდილებამ გვაჩვენა, სარისკო ორგანიზებული დანაშაულის ცნების შეზღუდვა კონკრეტული მიზნით. მიზანი, ორგანიზებულ დანაშაულებრიბასთან დაკავშირებით, შეიძლება იყოს მხოლოდ ზოგადად დანაშაულებრივი საქმიანობა. ორგანიზებული დანაშაულის ცნების მკაცრ ჩარჩოებში მოქცევა თავის დროზე არ ისურვა, ასევე, შეერთებული შტატების კანონმდებელმაც, „რიკოს“ კანონში შემოიფარგლა რა ზოგადი ტერმინებით.<sup>55</sup>

<sup>52</sup> ასეა ა. ე. ებებერეაშვილი შემადგენლობაზე დანაშაულის მიზნით იმუშავებოდების შემთხვევაში. 1997. წ. 53.

<sup>53</sup> ა. ე. ებებერეა. ებებერეა. საქართველოს კანონმდებელი დანაშაულის მიზნით დანაშაულებრიბასთან დაკავშირებით. შეიძლება იყოს მხოლოდ ზოგადად დანაშაულებრივი საქმიანობა.

<http://web1.law.edu.ru/magazine/sibvestnik/article.asp?magNum=3&magYear=2004&articleID=1183199>

<sup>54</sup> ა. ე. კრესმან ტ. სამართლებულის მიზნით დანაშაულის მიზნით დანაშაულებრიბასთან დაკავშირებით. შეიძლება იყოს მხოლოდ ზოგადად დანაშაულებრივი საქმიანობა.

[http://www.crime.vl.ru/docs/stats/stat\\_84.htm](http://www.crime.vl.ru/docs/stats/stat_84.htm)

<sup>55</sup> იხილეთ ზევით თავისუფალი ინტერპრეტაციის კონცეფცია.

## დ ა ს კ ვ ნ ა

წინამდებარე სტატიაში შევეცადეთ, ყურადღება გაგვემახვილებინა ქართული ანტირეკეტული კანონმდებლობის ყველაზე პრობლემურ საკითხებზე და ისაც მხოლოდ მატერიალური სისხლის სამართლის კუთხით. უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც კვლევამ გვიჩვენა, ანტირეკეტული კანონმდებლობის ირგვლივ კიდევ ბევრი კითხვა ჩნდება და არა მარტო მატერიალური, არამედ სისხლის სამართლის პროცესუალური კუთხითაც. მიგვაჩნია, რომ **ანტირეკეტული ნორმების ბუნება ჯერ მატერიალურ სისხლის სამართლში უნდა გაირკვეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს პროცესი მათ გამოყენებას.** აქედან გამომდინარე, შევეცადეთ ანტირეკეტული ნორმების პრობლემატიკა ზუსტად მატერიალური სამართლის კუთხით წარმოგვეჩინა. ქართული ანტირეკეტული კანონმდებლობა თავის რეგულირების სფეროს პპოვებს სამოქალაქო პროცესშიც, სადაც კითხვები დაიბადა ქონების ჩამორთმევასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ერთი სტატიის ფარგლებში შეუძლებელი იყო მოგვექცია ყველა საჭირობოროტო საკითხი და აქედან გამომდინარე, ყურადღება მხოლოდ ძირითადზე გავამახვილეთ.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ანტირეკეტული ნორმები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სისტემას ეფექტურად ვერ მოერგო და ვერ შეეთავსა არსებულ სამართლებრივ ინსტიტუტებს. გაურკვეველია მათი რეგულაციური სფერო. როგორც ზემოთ მოვანილმა ანალიზმა გვაჩვენა, საქართველოში არ იქნა გათვალისწინებული არათუ კრიტიკული წინადადებები, რაც აშშ-ს ანტირეკეტული ნორმების მიმართ არის გამოთქმული, არამედ „რიკოს“ პროგრესული კონცეფციების თანამიმდევრობით გადმოღებაც კი ვერ მოვახერხეთ. სამართლებრივი ინსტიტუტის რეცეფციის დროს უმთავრესია შინაარსის და არა ფორმის გათვალისწინება. სამწუხაროდ, ჩვენმა კანონმდებელმა რეკეტული დანაშაულობის წინააღმდეგ მიმართულ ნორმებში ასახა „რიკოს“ ფორმა და არა მისი შინაარსი. ყოველივე აღნიშნულის გამო, ანტირეკეტული ნორმები დღესდღობით პრაქტიკულად უმოქმედოდა და მათ მკვდარ შემადგენლობად გადაქცევის საფრთხე ემუქრება.

ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება საკანონმდებლო მექანიზმებით მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელია. იმედს ვიტოვებთ, რომ ქართული ანტირეკეტული კანონმდებლობა, აშშ-ს „რიკოს“ მსგავსად ოდესმე ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ მიმართულ ყველაზე მკაცრ, მოქნილ და ეფექტურ ნორმებად იქცევა.

GIORGI GORASHVILI  
Competitor for Doctor's Degree  
of Law Faculty of Tbilisi State University  
Attorney

## COMPARATIVE-LEGAL ANALYSIS OF SOME PROBLEMATIC ISSUES OF GEORGIAN ANTI-RACKET LEGISLATION

Racket, racketeer grouping and racketeer is a novelty in the Georgian Criminal Law. A term Racket first appeared in our legislation since 2004. This is why there was no definition of this term in Georgian legal literature up to that time. Generally we had a notion that the racket is extortion".<sup>1</sup> And on December 20, 2005 a special Law on "Organized Crime and Racket" entered into force. Besides, series of restrictions towards the racketeer were anticipated in the Georgian Criminal Procedure legislation.

The Georgian anti-racket norms caused certain questions as in theory, so as in practice at the very beginning. From the point of material law, purpose and regulation sphere of anti-racket norms are vague and certain problems raised while differentiating them from other forms of the crime. **By mentioned reasons the new anti-racket norms are practically inactive. According to the Supreme Court Department on Statistics and Informatization, in 2005-2007 there no criminal cases have been heard in the court on anti-racket norms, "in 2005-2007 there were no cases heard in the court on Articles 17<sup>1</sup> and 224<sup>1</sup> of the Criminal Code of Georgia."**<sup>2</sup>

A purpose to elucidate the problem stimulated us to study the USA anti-racket legislation, that could be said, serves as an ideological corner-stone for the identical Georgian norms.

After ruining of the Soviet Union, because of the national state authority weakness and ineffective social control, the organized criminality gained large scales. At the end of the 20<sup>th</sup> century there was nearly common situation in majority of the Post-Soviet countries: As a result of the organized crimes, one particular group of people captured not only wealth and influence over the newly grown market economy, but penetrated into each branch of the authority. The Georgian legislator tried to use experience of those countries that had success in fight against the organized criminality and thus to start struggling against the mentioned problem by means of the Criminal Law measures. We think that the Georgian legislator mainly based its norms on the USA "Racketeer, Influenced and Corrupt Organizations (RICO) Statute"<sup>3</sup>, as the Georgian anti-racket norms are obviously affected by the "RICO" Act. Effectiveness of the USA legislation in fight against the organized crimes is generally acknowledged. We think that the legislators of each country, which tend to create effective legal act against the organized crimes, must certainly get familiar with those concepts, on which the norms against the organized criminality in USA are based.<sup>4</sup>

We tried to study the USA anti-racket norms not only generally, superficially, but to get familiar with the main fundamental principles and conceptions, based on which the above mentioned norms turned into the effective weapon against the organized crimes. After fulfillment of the task, using comparative-legal, historical, comparative-historical, formal-logical, dogmatic, systematic-structural methods, we attempted to elucidate:

1. How effectively did the anti-racket norms match with the Georgian Criminal Code system, how did it coincide with the existed legal institutes;
2. Regulation sphere of the anti-racket norms, definitional problems;
3. How effective are the anti-racket norms in fight against the organized criminality.

<sup>1</sup>Otar Gemkrelidze, Definitions of the Criminal Code of Georgia, Tbilisi, 2005, p.150.

<sup>2</sup>Supreme Court of Georgia, Department of Statistics and Informatization, No.63-k respond to our letter of September 6, 2007.

<sup>3</sup>Recketeer, Influenced and Corrupt Organizations (RICO) Statute, further used as "RICO".

<sup>4</sup>See in details: Giorgi Gorashvili, "Comparative-Legal Analysis of Criminalization of the Organized Crimes", Seminar for a Doctor's Degree, Iv.Javakhishvili Tbilisi State University, Department of Law, 2006.

## 1. Concept of Criminalization

A term “to organize” comes from the Greek word “**organon**” and the French “**organiser**”. The mentioned word in Greek means “instrument, weapon”. As to the French term, it is defined as “regulation, planning, union”.

Under the notion of “the organized crime” a planned, previously deliberated and prepared deviant conduct is meant. As to “the organized criminal activity”, we should mean separate “organized crimes” in common. “The organized criminal activity” committed by group is the base of “the organized crime”.<sup>5</sup>

“Organized crime” in general is one of the forms of the crimes by group.<sup>6</sup> The norms about group crimes are envisaged in the 7<sup>th</sup> chapter of the Criminal Code of Georgia. We may seek the signs of organized grouping in complicity (Art. 23, CCG), as well as in such forms of group crimes as are the crimes committed by group aforethought (Art. 27, par. 2, CCG) and the crimes committed by the organized group (Art. 27, par. 3, CCG).

According to the Criminal Code of Georgia, besides racketeering, those deeds are punishable as are: “Formation or Leading of or Participating in Paramilitary Units” (Art. 223, CCG), “Membership of Thieves’ Community, Thief in Law” (Art. 223<sup>1</sup>, CCG), Banditism (Art. 224, CCG), “Formation of Terrorist Organization or Leading Thereof or Participation Therein (Art. 327, CCG) and others. Each of the above-listed norms is a special, criminalized form of the organized group. **According to the Georgian legislation there are until no general legal regulations directed against the organized criminality. The above mentioned special norms regulate only the concrete cases of the organized crimes, but beyond them rather wide circle of felonious activities remain unadjusted.** The USA National Safety in its report 2000, section on issues of fight against the organized criminality, critically noted that “there are no laws in any Post-Soviet countries that would provide the law-enforcement bodies with possibility, to bring to a criminal liability not only those persons who had already perpetrated a crime, but also those, which previously came into cahoots to commit the crime.”<sup>7</sup>

In the USA, the RICO Act is directed against the organized crimes. in 1970 when RICO was adopted, purpose of the Congress was to weaken the influence of mafia and its criminal syndicates and then to expel them completely from the US economy.”<sup>8</sup> The Congress stated that the organized crimes in the United States is very hard, diverse and widely spread event. Every year the US economy in result of violent acts, forgery and corruption suffers damage in amount of billion dollars.”<sup>9</sup>

RICO is considered in chapter 96 of Title 18 of the United States Code, 18 U.S.C. §1961 through 18 U.S.C. §1968. It is the part of the Law on Fight Against the Organized Crimes (901 (a).<sup>10</sup> According to the Ruling of the Supreme Court of the United States, by means of RICO the hard blows were to be stricken on each revealing of the organized criminality.<sup>11</sup>

As we saw, adoption of the RICO Act in the United States of America aimed at fighting against the organized crimes. The same purpose caused the Georgian legislators, when in 2004 they introduced the anti-racket norm in the Criminal Code of Georgia, and in 2005 accepted the special Law on “Organized Crimes and Racket”, which in its very first article it is said that “purpose of this law is to support fight against the organized criminality, thieves’ community and racket, as well as to reject them”. In spite of similar purpose of the legal regulations, we will see below that series of problems occurred, because of which the Georgian

<sup>5</sup>See: Criminology, Manual for the Higher Education Institutions. Under common edition of Doctor of Legal Sciences, Prof. **A.I.Dolgovoy**, M.2002. pp.67-69.

<sup>6</sup>See: **Z.Tsulaia**, Criminology, General Part, Tb., 2003, p.225.

<sup>7</sup>The Report of Advice of National Safety, International Crime Threat Assessment, chapter 1, Global Context of International Crime 2000, translation into Russian, Vladivostoc Centre on studies of the organized criminality, **A.V.Ponomarenko, E.V.Kravchenko**, 2001, p.18. See: [www.crime.vl.ru](http://www.crime.vl.ru)

<sup>8</sup>See: <http://www.ricoact.com/ricoact/faq.asp>

<sup>9</sup>See: <http://graham.main.nc.us/-bhummel/INS/RICO.html#CRMPE> Section 1 of Pub. L. 91-452.

<sup>10</sup>It is worth noting also the fact that for this moment, besides the Federal Law, almost 29 States adopted its own RICO act ([http://www.labex.ru/page/inz\\_k\\_usa\\_uk\\_8.html](http://www.labex.ru/page/inz_k_usa_uk_8.html))

<sup>11</sup>See: **Weiner J. RIKO**, Terrorism and extraterritorially: can RIKO reach foreign conduct? p.15 [www.nesl.edu/intljournal/vol1indx.cfm](http://www.nesl.edu/intljournal/vol1indx.cfm)

anti-racket norms appeared to be more incapable of solution problems against the organized crimes than their American analogue did.

### 2. Concept of Liberal Construction

The United States Congress worked out a so called “**Liberal Construction**” conception, according to which “**liberal construction of provisions of the given law is possible if this serves to reach the purposes envisaged by this law**”.<sup>12</sup> There is no criminal law including the provision of this type. Even more, it is traditionally accepted that the penal law ought to be written unambiguously and each indistinctness must be solved in favor of a defendant.

“Liberal Construction” conception ensues from the organized criminality itself as the variety of the event, as well as from its complicity to develop its accurate legal definition. Unsteadiness and dynamic of the organized crimes requires proper flexibility of the criminal-law regulations in order not to leave a single offender unpunished only because that the concrete sphere of common relations is not regulated by Criminal Law. RICO Act has not been confined by the then existed ethnic stereotypes of the organized criminality. Important is not form of the crime, but its content. Its authors use general terms and thus evade to give definition of a notion of the organized crime.<sup>13</sup> “The Congress intentionally extended scopes of law regulations in order not to leave even the lesser hole, applying to which the perpetrators of the organized crime would escape punishment.”<sup>14</sup>

A wide legal definition of RICO gives an opportunity to implement the mentioned act in such cases that were not foreknown by the moment of its adoption, as well as in such complicated matters...[that] were not regulated by the traditional legal regulations and evoked the strong negative emotions in society.”<sup>15</sup>

As an example to liberal construction of RICO provisions could be served a sound court-hearing on case USA v. Turkette. The Supreme Court of the USA stated that “organization” perpetrating criminal activities, is not mandatory to be established on legal bases, but it might be a de-facto foundation. “Limited definition of “the organization” as of the one foundations on legitimate bases will cause rejection of preventive functions of the (RICO) Act.<sup>16</sup>

We think that sharing of the “liberal construction” concept in the Georgian Criminal Law would be expedient only in case if it would not contradict with the general-law principle of legality. Legality principle is described in Articles 1 and 7 of the Criminal Code of Georgia and “is revealed not only in crime aspect, but in penalty perspective as well”.<sup>17</sup> It follows that under the aegis of fight against the organized crimes we do not find rightful to neglect the legality principle.

The factor that opportunity of RICO “liberal construction” causes a risk of legal arbitrariness was well-acknowledged in the USA. In order to regulate the above-mentioned problem, a specialized Organized Crime and Racketeering Section was created at the Ministry of Justice of the USA. Aim of this Department was to supervise implementation of RICO Act. According to RICO Act, in order to initiate the criminal proceeding, a sanction of the mentioned department is necessary. Besides, they observe case-hearings in court.<sup>18</sup>

In the Law of June 24, 2004 the Georgian legislator, based on absolutely unclear to us reasons, placed the anti-racket norm in General part of the Criminal Code of Georgia (Art. 17<sup>1</sup>) and thus deprived this norm of an independent, sanctioned type of a crime. Moreover, the anti-racket norm, described in General Part of the Code, was reflected in corpus delicti of a sole crime – that is **Extortion** (Art. 181, Special Part, CCG) as an

<sup>12</sup>Racketeer, influenced and Corrupt Organizations Statute, §1961; Liberal Construction of Provisions; Supersedure of Federal or State Laws; Authority of Attorneys Representing United States, Section 904 of title IX of Pub. L.91-45

<sup>13</sup>See: **Weiner J.**, the mentioned work, p.15.

<sup>14</sup>See: **Cormaney M.** Rico in Russia: effective control of organized crime or another empty promise? Translation by M.Buryak, 2002 [http://crime.vl.ru/docs/stats/stat\\_145.htm](http://crime.vl.ru/docs/stats/stat_145.htm)

<sup>15</sup>See: **Cormaney M.**, the mentioned work.

<sup>16</sup>See: [http://www.ipsn.org/court\\_cases/us\\_v\\_turkette-supreme-1981-06-17.htm](http://www.ipsn.org/court_cases/us_v_turkette-supreme-1981-06-17.htm)

<sup>17</sup>See: General Part of the Criminal Code of Georgia, Manual, authors group. Edition “Meridiani”, Tbilisi, 2007, p.18

<sup>18</sup>[http://www.labex.ru/page/inzk\\_usa\\_uk\\_8.html](http://www.labex.ru/page/inzk_usa_uk_8.html)

და მთლიანობას ამ ერთობაში. „ინტერესი“ არის ობიექტური სამყაროს ასახვისა და სუბიექტის შინაგანი არსის გამოხატვის ერთობა, ადამიანური კულტურის მატერიალური და სულიერი ფასეულობების ერთობლიობა ამ სუბიექტის ცნობიერებაში<sup>11</sup>. ფსიქოლოგების შეხედულებით, ინტერესი – ეს პიროვნების არჩევითი დამოკიდებულება ობიექტისადმი მისი სასიცოცხლო მნიშვნელობისა და ემოციური მიმზიდველობის გამო, ან ადამიანთა ცნობიერი სწრაფვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ<sup>12</sup>. სხვები აღიარებენ რა ინტერესის ობიექტურ შინაარსს, განუყრელად აკავშირებენ მას ცნობიერებასთან და ვარაუდობენ, რომ ცნობიერების, ფსიქიკის გარეშე ინტერესს არსებობა არ შეუძლია<sup>13</sup>.

ჩვენი აზრით, სწორი შეხედულება აქვთ ჩამოყალიბებული იმ მეცნიერებს, რომლებიც ინტერესს განიხილავენ ობიექტური და სუბიექტურის ერთიანობაში.

ამრიგად, „ინტერესი – სოციალური სუბიექტების (ინდივიდის, ჯგუფის, საზოგადოების) ობიექტური დამოკიდებულება გარემომცველი სინამდვილის საგნებისა და მოვლენებისადმი, რომელიც განპირობებულია ამ სუბიექტების მდგომარეობით და რომელიც მოიცავს მათ ობიექტურად არსებულ სოციალურ მოთხოვნილებებსა და გზებს, და მათი დაკმაყოფილების საშუალებებს“<sup>14</sup>.

დაზარალებულის ინტერესი წარმოადგენს სუბიექტურ კატეგორიას, მიუხედავად ამისა, განპირობებულია თუ არა ობიექტური ფაქტორებით, სახელდობრ, დანაშაულის ჩადენით, რომლითაც დაზარალებულისათვის მიყენებულ იქნა ზიანი.

ინტერესებს განასხვავებენ მათი შინარსის ან მიმართულების მიხედვით. გამოყოფენ მატერიალურ, საზოგადოებრივ და სულიერ ინტერესებს. ამ დაყოფის მიხედვით დაზარალებულში ყველაზე ხშირად არსებობს მატერიალური ინტერესი, სახელდობრ, ინტერესი აინაზლაუროს მიყენებული ზარალი, თუმცა ამით დაზარალებულის ინტერესი არ იზღუდება. მას შეიძლება პქონდეს სხვა პირადი ინტერესებიც (მაგ.: პატიოსნებისა და ღირსების დაცვა, სამართლიანობის აღდგენა, დამნაშავის დასჯა და ა.შ.).

ცალკე უნდა გამოვყოთ ინტერესები, რომლებიც გამოიხატება მართლმსაჯულების, ბრალდებულის მსჯავრდებისა და დასჯის წვდომაში. ამიტომ სისხლის სამართალწარმოების მიხედვით ინტერესები შეიძლება დავყოთ მატერიალური და საპროცესო სამართლებრივი გაგებით. ამავე დროს მატერიალური ინტერესების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო ქონებრივი, არამედ მატერიალური სამართლის ნორმებიდან გამომდინარე ნებისმიერი ინტერესიც. დაზარალებულის საპროცესო ინტერესი კი მდგომარეობს მართლმსაჯულებისადმი წვდომაში, განახორციელოს მისი კანონიერი ინტერესების დაცვა.

სისხლის სამართლის პროცესის მეცნიერებაში ყოველთვის ხაზგასმულია, რომ დაცვას ექვემდებარება მხოლოდ კანონიერი ინტერესი. ამავე დროს კანონიერი ინტერესების ცნებაში მეცნიერები დებენ სხვადასხვა შინაარსს. ასე, ზ.ს. კოვრიგინა პირადი ინტერესის კანონიერებას უკავშირებს საზოგადოებრივ ინტერესთან მის შესაბამისობას<sup>15</sup>. კოლიზიის წარმოქმნის დროს საზოგადოებრივ და პირად ინტერესებს შორის მოქმედებს „საზოგადოებრივი ინტერესების იურიდიული პრიორიტეტი“<sup>16</sup>.

ა.ვ. მალკოს აზრით, „კანონიერი ინტერესი – ეს სამართალში ასახული ან მისი საერთო მნიშვნელობიდან გამომდინარე და გარკვეულწილად სახელმწიფოს მიერ გარანტირებული

<sup>11</sup> იხ. ზღვაგომისლოვი ა.გ. მითითებული ნაშრომი გვ. 6-7.

<sup>12</sup> ტაბაეა ა.ა. ინეძი ეთებ ება ასე ინი 1970. წ. 140-147.

<sup>13</sup> ტაბაეა ა.ა. ტაბა ასე ასე ინი 1969. წ. 20.

<sup>14</sup> ტაბაეა ა.ა. ტაბა ასე ინი 1999. წ. 92.

<sup>15</sup> ტაბაეა ა.ა. ტაბა ასე ინი 1984. წ. 167.

<sup>16</sup> ტაბაეა ა.ა. ტაბა ასე ინი 1982. წ. 132.

## დოქტორანტთა ფორუმი

მარტივი იურიდიული ნებართვაა, რომელიც გამოიხატება სუბიექტის სწრაფვაში, გამოიყენოს კონკრეტული სოციალური კეთილდღეობა, აგრეთვე, ზოგიერთ შემთხვევაში დაცვისათვის მიმართოს კომპეტენტურ ორგანოებს თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, რომელიც არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივს“<sup>17</sup>.

განვსაზღვრავთ რა „კანონიერი ინტერესის ცნებას, უნდა დავადგინოთ მისი თანაფარდობა საზოგადოებრივ ინტერესებთან, რომელიც დაცულია სისხლის სამართლის პროცესში“.

რიგი ავტორები ამტკაცებენ, რომ, თუ „პროცესის მონაწილის ინტერესი არ ემთხვევა მართლმსაჯულების ინტერესებს, სახელმწიფო საკუთარ თავზე ღებულობს ვალდებულებას, დაიცვას ასეთი ინტერესი.“

ასეთი პრზიცა ნაკარნახევი იყო ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩვენს საზოგადოებაში გაბატონებული პირადულზე საზოგადოებრივი ინტერესების პრიორიტეტის იდეით, რამაც თავისი ასახვა ჰქოვა სისხლის სამართლის პროცესში – საჯაროობის პრინციპის გამოცხადებაში. აქვე შეიძლება ითქვას, რომ საჯარო ინტერესების უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია პირადი ინტერესების უზრუნველყოფა.

დღეს ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ საზოგადოებრივი ინტერესი ბევრად განისაზღვრება პიროვნების ინტერესით. საქართველოს სსსკ-ის მე-14 მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულია, რომ „პირად კანონიერ ინტერესს აქვს პრიორიტეტი დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის დასჯის საჯარო ინტერესებთან შედარებით. პიროვნების კანონიერი ინტერესების დაცვა სისხლის სამართლის პროცესში საზოგადოების ინტერესებს ემსახურება“. ამასთან დაკავშირებით კვლავ დადგა საკითხი სისხლის სამართლის პროცესში დისპოზიციურობის ფარგლების შესახებ.

დისპოზიციურობის ცნებამ და არსება ყველაზე ფართო გაშუქება ჰქოვა სამოქალაქო პროცესის მეცნიერებაში, სადაც დისპოზიციურობა განიხილება როგორც პროცესის პრინციპი, რომლის შესაბამისად საქმი მონაწილე პირებს (მხარეებს) შეუძლიათ თავისუფლად განკარგონ თავიანთი მატერიალური და პროცესუალური უფლებები, აგრეთვე, მათი დაცვის საშუალებები.

სისხლის სამართლის პროცესში დისპოზიციურობაში მოიაზრება „სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ჩარჩოებით შეზღუდულ თავისუფლებას მისი მონაწილეების მიერ პროცესის მსვლელობაში სისხლის სამართლის საგნის, უფლებებისა და ვალდებულებების განკარგვისას“, ხოლო, თავის მხრივ, პროცესის საგნის განკარგვა „ნაშავს, რომ პროცესის დაწყება, შემდგომი გაგრძელება და პროცესის შეწყვეტა კანონით დადგენილ შემთხვევებში დამოკიდებულია კერძო პირის ნების გამოხატვაზე<sup>18</sup>.

დღეისათვის უფლებების უზრუნველყოფა გულისხმობს დაზარალებულის საპროცესო აქტივობისათვის სათანადო პირობების შექმნას, კერძო საწყისებთან მისი შეჯერების პარმონიზაციას, საჯაროობის პრინციპის ზეგავლენის სფეროს შემცირებას.

საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დაშვებულია პირადი ცხოვრებისა და კერძო ინტერესების სფეროში ჩარევა თვითონ დაზარალებულის ნებასურვილით, ან სასამართლოს სანქციით, ან პროკურორის შესაბამისი კანონის მოთხოვნის შესრულებიდან გამომდინარე.

უნდა აღინიშნოს, რომ დისცპოზიციურობის პრინციპი მაქსიმალურად რეალიზდება ანგლო-საქსონური მოდელის ქვეყნებში. XX საუკუნის დასაწყისამდე დიდ ბრიტანეთში დამნაშავის მიმართ დევნისა და ბრალდების აღმვრის ტვირთი აწვა დაზარალებულს. მას უნდა შეეკრიბა მტკიცებულებები, ანდა ადვოკატისათვის ან კონსტებლისთვის (პოლიციელისათვის) გადაწადა

<sup>17</sup> საქართველოს კანონის 1 მუხლის 2 პუნქტის მიხედვით. // ავტ. მისამართის მიერ გამოსახული 1999 წლის 15/6 ნოვემბრის 15 დღის შესრულებული დღის შესახებ გადაწყვეტილი დოკუმენტი. ავტ. მისამართის მიერ გამოსახული 1999 წლის 15 დღის შესრულებული დღის შესახებ გადაწყვეტილი დოკუმენტი.

<sup>18</sup> საქართველოს კანონის 1 მუხლის 2 პუნქტის მიხედვით. // ავტ. მისამართის მიერ გამოსახული 1999 წლის 15 დღის შესრულებული დღის შესახებ გადაწყვეტილი დოკუმენტი.

1994 წლის 13 დეკემბერი.

ამ მომსახურებისათვის. ამასთან დაკაგშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისის სისხლის სამართლის პროცესს საფუძვლად უდევს ტრადიციული დოქტრინა იმის შესახებ, რომ სისხლის სამართლის საქმე – ესაა დავა ჩადენილი კონკრეტული დანაშაულის შესახებ, რომელიც სასამართლოში განიხილება ისევე, როგორც სხვა დავგები (ქონებრივი, შრომითი, საოჯახო). კერძო პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის მოკლევა, როგორც ამას ამტკიცებს ინგლისური წყაროები, არის, ერთის მხრივ, პიროვნების ინდივიდუალური უფლებების დაცვა, მეორე მხრივ საზოგადოების ქანონიერი ინტერესებისა.

„დანაშაულის სისხლისამართლებრივი დევნის შესახებ“ 1985 წლის კანონში პირდაპირ მითითებულია, რომ კერძო პირს უფლება აქვს, დაიწყოს წარმოება ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე ან გააგრძელოს წარმოება, თუ შესაბამისი სამსახური თავის უფლებამოსილებას არ ახორციელებს სისხლისამართლებრივ დევნაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქათ, თეორიულად ყველა ქმედუნარიან ინგლისელს უფლება აქვს, განახორციელოს სისხლისამართლებრივი დევნა ნებისმიერი დანაშაულის ჩატვირთვისას, ასევე, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე<sup>19</sup>.

ჩვენს დორში სისხლის სამართლის საქმის მოკვლევა კერძო პირის მიერ ძალიან იშვიათად ხდება და ეს მაშინ, როდესაც ხელისუფლება არ მოქმედებს, ან არასათანადოდ მოქმედებს. გარდა ამისა, კანონმდებლობა აძლევს ხელისუფლებას ფართო უფლებებს კონტროლი გაუწიოს კერძო პირების ამ უფლებას.

კონტინენტური (რომანულ-გერმანული) სამართლებრივი სისტემის ქვეექიც საკმაო მოცულობით იყენებენ კერძო ბრალდების ინსტიტუტს. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვნოთ გერმანია, საფრანგეთი, ოზალია და ა.შ.<sup>20</sup>.

ყოველივე ზემოაღნიშვნულის შემდეგ იბადება კითხვა: კონკრეტულად რომელი დანაშაულები უნდა შევიდეს კერძო ბრალდების ჩამონათვალში? რომელი დარგის პროცესუალური თუ მატერიალური სიმართლის ნორმებით უნდა განისაზღვროს დანაშაულთა ის ჩამონათვალი, რომელიც კირძო ბრალდების წესით იდენტიფირდება?

პროცესუალურ მეცნიერებაში კამათის საგანს წარმოადგენდა მატერიალური თუ პროცესუალური კანონმდებლობით იმ დანაშაულთა წრის განსაზღვრა, რომელიც კერძო ბრალდების წესით იდევნება. ი.გ. შეგლოვიტოვა თვლიდა, რომ კერძო ბრალდების დანაშაულთა კატეგორიების სისხლის სამართლის კოდექსში განთავსება საკსებით სწორია, რამდენადაც კერძო საჩივრის ინსტიტუტი ეფუძნება ქმედების განსაკუთრებულ მახასიათებლებს, რომელიც აღიარებულია კერძო სისხლისსამართლებრივი ნორმებით და არა პრეცესუალური პირობებით მის დევნაზე<sup>21</sup>.

ანალიგიურ შეხედულებას ავთარებს ვკ. დოროშკოვი, რომელსაც მიაჩნია, რომ გარევულ დანაშაულთა წრე, რომელიც იღენება კერძო ბრალდების წესით, სისხლის სამართლის კანონის პრეროგატივაა, მაგრამ არ ეთანხმება მის დასკვნას იმის შესახებ, რომ არ უნდა იყოს გათვალისწინებული ის მომზნტი, რომელიც დაკავშირებულია პროცესში სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასთან. მისი აზრით, ეს პრობლემა სწორად იყო გადაწყვეტილი XIX საუკუნის რუსეთის კანონმდებლობაში, სადაც დანაშაულთა ჩამონათვალი, რომელიც კერძო ბრალდების წესით დევნის შერჩავდა, იყო არა პროცესუალური, არამარტინისტური სამართლი<sup>22</sup>.

<sup>19</sup> **ఆంధ్రాపితి కే.ఓ. ఆంధ్రాపితి కే.ఐ.** కొలాంబు సాగ్రాంతికాలా. లి. 2001. నీ. 58-59.

<sup>20</sup> იხ. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები (თარგმანი ჭიქარიშვილი) 2002. გვ. 146. გვ. 151. გვ. 171.

<sup>22</sup> კვლეოროშქოვის მითითებული ნაშრომი გვ.40.

## დოპტორანტთა ვორ უმი

დღეისათვის შეიძლება ითქვას, რომ რიგ სახელმწიფოებში კერძო ბრალდების ინსტიტუტი რეგულირდება მატერიალური სისტემის სამართლის კანონმდებლობით და არა პროცესუალური სამართლით. პოლონეთისა და ოუგონსლავის კანონმდებლობაში დანაშაულის გამო დევნის წესები და, ამასთან, კერძო ბრალდების დევნის წესები საერთოდ განისაზღვრება მატერიალური კანონით. ა.მ. ლარიონი თავის მონოგრაფიაში გადმოგვცემს პოლონელი პროცესუალისტების შეხედულებას კერძო ბრალდების საკითხებზე და განმარტავს, რომ პოლონეთის სამართლისათვის უცნობია კერძო ბრალდების ცნება იმ გაგებით, როგორითაც ის არის აღიარებული, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს დასკვნა, რომ ყველა დანაშაული საჯაროა და რომ დაზარალებული, რომელიც კერძო ბრალდების დასკვნა მონაწილეობს, მოქმედებს როგორც სახელმწიფო ორგანო<sup>23</sup>.

ჩვენი აზრით, ზემოთ აღნიშნული შეხედულება არასწორი და მიუღებელია თუნდაც იმიტომ, რომ სისხლისამართლებრივი დევნის განხორციელების წესები საპროცესო კანონმდებლობის პრეროგატივა და არა მატერიალური სამართლის სფერო, მიუხედავად იმისა, ამას ახორციელებს სპეციალური სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენელი თუ დაზარალებული როგორც კერძო ბრალმდებელი. დაზარალებულის საჩივარი კერძო ბრალდების საქმეზე შეიძლება ასრულებდეს საბრალდებო აქტის ფორმას, სადაც ფიქსირებული უნდა იყოს დანაშაულის შემთხვევის აღწერა, ცნობები დანაშაულისა და მისი შედეგის (ზიანის) შესახებ და ა.შ. მაგრამ ეს არ იძლევა საფუძველს იმისა, რომ კერძო ბრალდების რეგულირება მატერიალური სამართლის პრეროგატივად გამოვაკვადოთ.

პროცესუალურ ლიტერატურაში ყოველთვის დომინირებდა მოსაზრება, მეცნიერების მიერ დამატებულიყო და გაფართოებულიყო იმ დანაშაულთა ნუსხა, რომელიც იდევნებოდა მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძვლზე.

რიგი მეცნიერები მიმართავდნენ სისხლის სამართლის პროცესის ისტორიას და აღიარებდნენ, რომ დანაშაულებმა თანდათან დაკარგეს ის კერძო ხასიათი, რომელსაც ისინი ატარებდა ადრე ისტორიულ ეპოქაში. შესაბამისად, საჯული, მათი აზრით, მხოლოდ საჯარო ხასიათს ატარებდა<sup>24</sup>, სხვები კი პირიქით მიიჩნევდნენ, რომ ცალკეულ დანაშაულებში, რომლებიც ხელყოფს მოქალაქის პირად უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, სახელმწიფო მათი სურვილის გარეშე არ უნდა ჩაერიოს. პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის გადაწყვეტილება დაზარალებულის ნებასურვილით უნდა გადაწყვდეს<sup>25</sup>.

ისტორიული ექსკურსის ანალიზი გვაძლევს საფუძველს, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმათან დაკავშირებით, რომ ერთსა და იმავე ქვეყანაში კონკრეტული დანაშაულები სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში იღენებოდა სხვადასხვაგვარად. ეს რა თქმა უნდა კანონმდებლის ნებაზე იყო დამოკიდებული. კანონის მიღებისას მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ამა თუ იმ ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი. თუ კანონმდებელი ხედავს, რომ დანაშაული, რომელიც იღენებოდა კერძო ბრალდების წესით, ხდება საზოგადოებრივად უფრო საშიში, ან, თუ იზრდება ამ სახის დანაშაულთა რაოდენობა, მაშინ დადგება საკითხი, რომ აღნიშნული დანაშაულის მიმართ შეიცვალოს დევნის ფორმა და იგი გამოკადდეს საჯარო ბრალდების საქმედ. შეიძლება მოხდეს პირიქით. საჯარო ბრალდების საქმე შეიძლება აღარ იყოს მომატებული საზოგადოებრივი საშიშროების მქონე და მაშინ იგი მიღებს კერძო ბრალდების დევნის სახეს.

<sup>23</sup> Èàðèí À. I. Çàùèòà ïðàâ ïîòåðïåâøèõ â óãïëâíì ïðîöåññå. I. 1993. n. 133, 217.

<sup>24</sup> Öiéiéöééé É. B. Éööñ öáí èíáííáí ñööäííööééç áí äñoöåà 2-ä èçä. NÍÁ. 1896. ö.1. n. 2,9. Äéäéñáíäöðíá Á. N. Äéñííçéòéäíñööü à öáí èíáííáí íööí öäñoñå. // Ååööðåööðåä äéñ. éäíá. þöðéä. íáöéé. ííááí ð íä. 1995. n. 13.

საქართველოს სსკ-ის 626-ე მუხლი კერძო ბრალდების საქმეთა კატეგორიას მიკუთვნებული დანაშაულების გასარკვევად მიუთითებს ამავე კოდექსის 27-ე მუხლზე, რომელსაც პქვია „კერძო სისხლისსამართლებრივი დეკრა.“ აღნიშნული მუხლის თანახმად, ამგვარ დანაშაულებს მიეკუთვნება ორად ორი დანაშაული, გათვალისწინებული: 1) სსკ-ის 120-ე მუხლით – ჯანმრთელობის განზრას მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა გამოიწვია; 2) სსკ-ის 125-ე მუხლი – ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1960 წლის საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული იყო ოთხი სახის დანაშაული. ამ დანაშაულთა კატეგორიას განკუთვნებოდა: 1) სსკ-ის 112-ის მუხლი – სხეულის მსუბუქი დაზიანება; 2) სსკ-ის 116-ე მუხლი – ცემა და წამება; სსკ-ის 137-ე მუხლი – ცილისწამება; სსკ-ის 138-ე მუხლი – შეურაცხყოფა.

ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით სსკ-ის 148-ე მუხლი – „ცილისწამება, დანაშაულის დაბრალებით“ – კანონში შესული საკანონმდებლო ცვლილებებით ამოღებულია, ხოლო შეურაცხყოფა მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით დეკრიმინალიზებულია. სისხლისსამართლებრივად დასჯადია სპეციალური სუბიექტის – სამხედრო მოსამსახურის შეურაცხყოფა – მუხლი 387-ე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ თემასთან დაკავშირებით შედარებითი ანალიზისათვის, განვიხილოთ საზღვარგარეთის კანონმდებლობა.

რესერტის სსკ-ის 20-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ დანაშაულებს მიკუთვნება: სსკ-ის 115-ე მუხლი – ჯანმრთელობის განზრას მსუბუქი დაზიანების მიყენება; სსკ-ის 116-ე მუხლი – ცემა; სსკ-ის 129-ე მუხლის 1 ნაწილი – ცილისწამება; სსკ-ის 130-ე მუხლი – შეურაცხყოფა.

დაზარალებულისა და მისი წარმომადგენლის პროცესუალური მდგომარეობის რეგლამენტაციას დიდი ყურადღება აქვს დათმობილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1977 წლის 1 თებერვალს მიღებულ და 1987 წლის 7 აპრილის რედაქციით მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. საკმარისია ვთქავთ, რომ გფრ-ის სსკ-ის მეხუთე წიგნი მთლიანად მიძღვნილია პროცესში დაზარალებულის მონაწილეობისადმი (სულ გფრ-ის სსკ შედგება 7 წიგნისაგან).

სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის მონაწილეობა გათვალისწინებულია სამი ფორმით: კერძო ბრალდების საქმებზე ბრალმდებლის, საჯარო ბრალდების საქმეებზე თანაბრალმდებლისა და სამოქალაქო მოსარჩევის სტატუსით.

გფრ-ის სსკ-ის 374-ე პარაგრაფის თანახმად, დაზარალებულს კერძო ბრალდების წესით შეუძლია აღძრას დევნა საქმეზე იმ სფეროს მიკუთვნებულ დანაშაულებზე, რომელთა წრე გაცილებით ფართოა და მოიცავს შემდეგს: 1) საცხოვრებლის, სამსახურებრივი სადგომის დარღვევა (გფრ-ის სსკ-ის §123); 2) შეურაცხყოფის შესახებ (სსკ-ის §§185-187), თუ შეურაცხყოფა არ ეხება არცერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც დასახელებულია სსკ-ის § 194-ის მე-4 აბზაცში; 3) მიმოწერის საიდემლოების დარღვევის შესახებ (სსკ-ის §202); 4) სხეულის დაზიანების შესახებ (სსკ-ის §223, 223 ა და 230); 5) მუქარა (სსკ-ის §241); 6) ქონებრივი ზიანის მიყენება (სსკ-ის §303); 7) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედებები (§§4, 6ს, 12, 15, 17, 18 და 20); 8) სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედებები, რომელიც გათვალისწინებულია პატენტის შესახებ კანონის §142 1 აბზაცით; სასაქონლო ნიმუშების შესახებ კანონის §25 1 აბზაცით; ხარისხის დაცვის შესახებ კანონის §39 1 აბზაცით;

## დოპტორანტთა ვორ უმი

სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის §25 1 აბზაცით და § 26-ით; ასორტიმენტიდან აღებული ნიმუშების შესახებ კანონის §14 1 აბზაცით; საავტორო უფლების შესახებ კანონის §106-108; სახეითი ხელოვნებისა და ფოტოგრაფიის ნაწარმოებებზე საავტორო უფლების შესახებ კანონის 33-ე პარაგრაფით<sup>26</sup>.

კვირისათვის ამოცანული გამოცდილების გათვალისწინება გასაზიარებელია ჩვენი კანონმდებლობისათვის ამ კატეგორიას მიეკუთვნებულ დანაშაულთა წრის გაფართოების თაობაზე.

საინტერესოდ გვეჩვენება, როგორ არის გადაწყვეტილი კერძო სისხლისამართლებრივი დეპინის საკითხები ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის კანონმდებლობაში.

ყაზახეთის 1997 წლის სსკ-ის გაცილებით გააფართოვა სისხლისამართლებრივად დასჯადი ქმედებები, რომლებიც კერძო ბრალდების წესით იღენდნა ამ კატეგორიის დანაშაულებზე. სსკ-ის 33-ე მუხლის თანახმად, დევნა ხორციელდება შემდეგზე: ჯანმრთელობის განზრას მსუბუქი დაზიანების მიყენებისათვის; გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის დაზიანებისათვის; მუქარისათვის; გაუპატიურებისათვის, სექსუალური ხასიათის ძალმომრებლობით მოქმედებისათვის; სექსუალური კავშირის ძალურებისათვის; მამაომავლობისათვის; ლესბიანობისათვის ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტისათვის; ცილისწამებისათვის; შეურაცხოფისათვის; შვილების ან შრომისუუნარო მშობლების თანხის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდებისათვის; შრომისუუნარო მეუღლის ან მეუღლების დახმარების გაწევაზე ბოროტად თავის არიდება; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევისათვის; სამკურნალო საიდუმლოების გახმაურებისათვის; საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის დარღვევისათვის, გაუფრთხილებლობით სხვისი ქონების დაზიანება ან განადგურებისათვის; საგზაო მოძრაობის წესებისა და სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის წესებს დარღვევისათვის; წესების დარღვევისათვის, რომელიც ქმსახურება ტრანსპორტის მუშაობის უსაფრთხოებას.

გარდა ზემო აღნიშნულისა, კერძო ბრალდების კატეგორიას კიდევ 20-მდე დანაშაულია მიკუთვნებული, რომელთა არსი მდგომარეობს იმაში, რომ ამ დანაშაულებზე დევნა აღიძვრება მხოლოდ დაზარალდებულის საჩივრის საფუძველზე, ე.ი. ატარებს კერძო ბრალდების ნიშანს, მაგრამ მსარეთა შერიცხვის შემთხვევაში იგი შეიქვემდას არ ექვემდებარება<sup>27</sup>.

შეიძლება ითქვას, რომ ყაზახეთის საპროცესო კანონმდებლობამ უარი თქვა კერძო-საჯარო ბრალდების დამოუკიდებელ სახედ ჩამოყალიბებაზე და ამ ნიშნების მატარებელი დანაშაულები გააერთიანა კერძო ბრალდების სფეროში, მაგრამ მათ შენარჩუნებული აქვს კერძო-საჯარო დეკნის წესი.

ბელორუსის 1999 წლის სსკ-მა, ასევე, გაცილებით გააფართოვა სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედებები, რომელიც იღებულია კერძო ბრალდების წესით.

სსს კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კერძო ბრალდების დანაშაულთა კატეგორიას განკუთვნება: სსკ-ის 153-ე მუხლი – სხეულის განზრას მსუბუქი დაზიანება; სსკ-ის 177-ე მუხლი – შვილად აყვანის საიდუმლოების გამჭდავნება; სსკ-ის 178 მუხლის 1 ნაწილი – მკურნალობის საიდუმლოების გამჭდავნება; სსკ-ის 179-ე მუხლის 1 ნაწილი – პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის არაკონონიერად შეკრება და გავრცელება; სსკ- 188-ე მუხლის 1 ნაწილი – ცილისწამება; სსკ-ის 189-ე მუხლი – შეურაცხყოფა; სსკ-ის 201-ე მუხლის 1 ნაწილი – სავტორო, მომიჯნავე, გამოგონებისა და პატენტის უფლების დარღვევა; სსკ-ის 202-ე მუხლის 1 ნაწილი – ბინისა და სხვა კანონიერი მფლობელობის ხელშეუხლებლობის დარღვევა; სსკ-ის 203-ე მუხლის 1 ნაწილი – პირადი მიმოწერის, ტელეკომუნიკაციის საუბრის,

<sup>26</sup>Óa éi á iñ-i-í-ði öáññóáëüíûé éi áæen Óáááðáæéáííé Ðáññóáéééé Áðóíàíéé. / iñð. Á.Á. Öéëéííííá / i. 1994.

<sup>27</sup>Áiðííéí Á., íðiècái áñòåí ìí áåéèáì ÷áñòóííáí íáåééíáíéý á áñíñóáàðñòååò ñí áðóææñòåå. // Ðíññééñéåý þñòèöéý // 11. 2002 á. n.46.

სატელეგრაფო ან სხვა შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა; სსკ-ის 216-ე მუხლის 1 ნაწილი – ქონებრივი ზიანის მიუწება ძარცვის ნიშნების გარეშე; სსკ-ის 217-ე მუხლი – მიბარებული ქონების უკანონოდ გასხვისება; სსკ-ის 317-ე მუხლის 1 ნაწილი – საგზაო მოძრაობისა და ავტოსაგზაო სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესების დარღვევა.

სსკ-ის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, კერძო ბრალდების საქმეებს ასევე განეკუთება შემდეგი დანაშაულები: 1) ქურდობა – სსკ-ის 205-ე მუხლის I ნაწილი; თაღლითობა – სსკ-ის 209-ე მუხლის პირველი ნაწილი; მითვისება და გაფლანგვა – სსკ-ის 211 მუხლის პირველი ნაწილი.

აქვე განმარტებულია, რომ ამ ნაწილში მითითებული დანაშაულები კერძო ბრალდების წესით დარჩევულისადება, თუ დანაშაულისაგან დაზარალებულს უჟღველი ურთიერთობა გააჩნია პირთან – ოჯახის წევრთან, ახლო ნაორესაგან ან ისეთ პირად, რომელსაც იგი დასაბუთებულად თვლის მის ახლობლად<sup>28</sup>.

შეიძლება ითქვას, რომ სხვა ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისაგან განსხვავებით საქართველოს სსს-ის კანონმდებლობა მინიმალურ ფარგლებში არეგულირებს კერძო სისხლისამართლებრივი დევნის საკითხებს.

ჩვენი აზრით, საინტერესოა განვიხილოთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის დებულება, რომელიც ეხება კერძო სისხლისამართლებრივი დევნის ინსტიტუტს<sup>29</sup>.

საპროცესო კოდექსის პროექტის 177-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად, სისხლისამართლებრივი დევნა შეიძლება იყოს საჯარო და კერძო. პროექტში საერთოდ არ არის მითითებული იმ კატეგორიის საქმეებზე, რომლებიც განხილულ და გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო კერძო ბრალდების წესით. უფრო მეტიც, საპროცესო კოდექსის პროექტით საერთოდ უარყოფილია კერძო-საჯარო სისხლისამართლებრივი დევნის ფორმა. აქ ცხადია იბადება კითხვა – სისხლისამართლებრივი დევნის რომელ ფორმას უნდა მივაკუთვნოთ ის დანაშაულები, რომლებიც კერძო-საჯარო ბრალდების კატეგორიას მიეკუთვნება?

ყოველივე ზემოგნადილულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოგაყალიბოთ ჩვენი მოსაზრება აღნიშნულ პრობლემებთან დაკაშვირებით.

პირველ რიგში, მიგვაჩნია, რომ უნდა გაფართოვდეს კერძო სისხლისამართლებრივი დევნის ინსტიტუტის მნიშვნელობა, გავიზიაროთ ზემოთ განხილული ქვეყნების გამოცდილება ამ სფეროში და გავზარდოთ იმ დანაშაულთა კატეგორიები, რომლებიც კერძო ბრალდების წესით რეგულირდება. რაც შეეხება კერძო-საჯარო ბრალდების კატეგორიის დანაშაულებს, მიგვაჩნია, რომ ისინი უნდა დავუკუმინდებაროთ კერძო სისხლისამართლებრივი დევნის ფორმას, რმდენადაც ასეთ დანაშაულებზე დევნა იწყება დაზარალებულის საჩივრით, მაგრამ დევნის დაწყებისას მათ უნარჩუნდებათ საჯარო პრინციპი. აქ, რა თქმა უნდა, პრიორიტეტი, პირველ რიგში უნდა მივანიჭოთ მოქალაქის პირად ინტერესებს, რომელიც სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების სურვილზე იქნება დამოკიდებული. შემდგომ, გამოძიების დაწყების პროცესში, იგი საჯარო პრინციპების მოთხოვნას ექვემდებარება. აქ, რა თქმა უნდა, არ ვსუბრობოთ კერძო ბრალდების კატეგორიის იმ დანაშაულებზე, რომლებზეც გამოძიება არ ტარდება და ეს დაზარალებულის პრეროგატივაა. აღნიშნული პრობლემა სრულყოფილად არის დარგულირებული სხვა ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობებით, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი და, ვფიქრობთ, გასაზიარებელია.

<sup>28</sup> ტარგი არ არის მდგრადი და უსაკუთრებელი გადასახარებელი და უსაკუთრებელი გადასახარებელი.

<sup>29</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი 2006 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით.

## დოკუმენტიანული ფორმა

დისპოზიციურობის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინებაა შერიგებითი პროცედურის არსებობა. კერძო ბრალდების საქმეთა განხილვის დროს შერიგების ინსტიტუტის შემუშავება შესაძლებლობას აძლევს დანაშაულისაგან დაზარალებულ პირს, გამოხატოს თავისი აზრი და აქტიური მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის საქმის საბოლოო გადაწყვეტაში.

საქართველოს სსკ-ის 27-ე მუხლის (კერძო სისხლის სამართლებრივი დევნა) თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე და 125-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩამდენი პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა იწყება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე და უნდა შეწყდეს ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების გამო. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შერიგება დასაშვებია სასამართლოს (მოსამართლის) სათათბირო ოთახში გასვლამდე.

ზემოთ აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ დანაშაულთა ჩადენასთან დაკავშირებით კერძო ბრალდების საქმეთა წარმოება ხორციელდება საქართველოს სსკ-ით დადგენილი საერთო წესებით და კერძო ბრალდების საქმეთა წარმოების თავით (XII) გათვალისწინებული სპეციალური ნორმების გამოყენებით (სსკ-ის 626-ე მუხლი). კერძო ბრალდების საქმეებზე თავმჯდომარე განუმარტავს დაზარალებულს შერიგების უფლებას.

შერიგება ორმხრივი აქტია, რომელიც მოითხოვს არა მარტო დაზარალებულის, არამედ – ბრალდებულის თანხმობასც. მხარეთა სურვილი, საქმე მშვიდობიანად დასარულონ, ყოველთვის უნდა იყოს გაცნობიერებული, ნებაყოფლობითი და გულწრფელი. თავიანთი სურვილის შესახებ დაზარალებულმა და ბრალდებულმა უნდა შეატყობინონ სასამართლოს ზეპირად ან წერილობით. ზეპირი განცხადები შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში, ხოლო წერილობითი დაერთვის საქმეს. იმ შემთხვევებში, როდესაც დაზარალებული არასრულწლოვანია ან პირს, თავისი ფიზიკური და ფინანსური ნაკლის გამო, არ შეუძლია დამოუკიდებლად დაიცვას თავისი ინტერესები, შერიგება დაიშვება არა მხოლოდ თვით დაზარალებულის, არამედ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობისას. თუ დაზარალებულისათვის ზიანი მიყენებულია რამდენიმე პირის მიერ, მაშინ მას უფლება აქვს, შეურიგდეს როგორც ყველას, ისე – ერთ პირს.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ დაზარალებულები, როგორც წესი, თანხმდებან შერიგებას, თუ განსასჯელი (ბრალდებული) საჯაროდ მოიხდის ბოდიშს და აანაზღაურებს მიყენებულ ზიანს.

მოცემული ინსტიტუტი წარმოადგენს ძალზე ეფექტურ საშუალებას, განაჩენის გამოტანის გარეშე აღმოიფხვრას ყველა შესაძლო კონფლიქტი, რომლებიც წარმოიქმნება ცალკეულ მოქალაქეებს, მეგობრებს, ნათესავებს, მეზობლებსა და ოჯახის წევრებს შორისაც კი.

კერძო ბრალდების საქმეებზე და, აგრეთვე, სხვა საქმეებზეც ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების ინსტიტუტს აქვს დიდი მნიშვნელობა მისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

თუმცა, ჩვენი აზრით, სასამართლო არ უნდა ესწრაფოდეს ყველა საქმეზე დაზარალებულისა და ბრალდებულის შერიგებას. მოცემული საკითხის გადაჭრის დროს უნდა გამოვიდეთ საქმის ფაქტობრივად გარემოებებიდან ბრალდებულისა და დაზარალებულის პიროვნების მახასიათებლების გათვალისწინებით.

მ.გ. ფლამერი, რ. მასკულოვი, ა. გრასენკოვა ემსრობიან მ.რ. გრაბოვსკის, ი.ი. სოლდინის, პ.ს. ელკინის ადრე გამოთქმულ პოზიციებს, რომ შერიგება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულმა „ჰეშმარიტად გააცნობიერა თავისი ბრალი, მზადაა ბოდიში მოიხდოს დაზარალებულის წინაშე, მოაგვაროს მისი ბრალით წარმოქმნილი კონფლიქტი“<sup>30</sup>.

<sup>30</sup> საქართველოს მთავრობის მინისტრის მიერ გვიჩვენებული შერიგების დაზარალებულის შესაძლებლობის შესახებ და მისი უფლებების და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

საკითხი შერიგების ინსტიტუტის იურიდიული რეგულირების შესახებ გამოიყურება ძალზე როგორად.

თუ კერძო ბრალდების საქმებზე სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმე მხარეთა შერიგეობით, მაშინ კერძო-საჯარო და საჯარო ბრალდების საქმებზე<sup>31</sup> პროცესის მწარმოებელი ორგანო არ არის ვალდებული საქმე შეწყვიტოს მხარეთა შერიგებით. მცირე სიმძიმის (იგულისხმება სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა) დანაშაულებზე ბრალდებულთან შერიგების შესახებ დაზარალებულის განცხადება აუცილებელია, მაგრამ სისხლის სამართლის საქმის შეწყვიტის არც ისე საკმარისი პირობაა. კერძო-საჯარო და საჯარო ბრალდების საქმებზე სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესს. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა პროცესის მწარმოებელი ორგანოსათვის არა ვალდებულება, არამედ უფლებაა (ამ საკითხების განხილვა სცილდება ჩვენი თემის ფარგლებს).

კერძო ბრალდების საქმებზე მიძღვნილ ლიტერატურაში მითითებულია დაზარალებულის ბრალდებულთან შესარიგებლად ყველა შესაძლო ზომების მიღების აუცილებლობაზე. ვფიქრობთ, რომ „ყველა შესაძლო ზომები“ გულისხმობს როგორც თვით ამ ზომების მრავალფეროვნებას, ისე – უფრო ფართო დროით საზღვრებს, რომელთა ჩარჩოებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეს ზომები, მათ შორის, სასამართლო განხილვის სტადიაზე და საქმის წარმოების დაწყებამდეც.

სისხლის სამართლის პროცესში დისპოზიციურობის პრინციპის მოქმედების სფეროს გაფართოება აუცილებლად მოითხოვს უფრო ფართო წრის საქმებზე მხარეთა შერიგებისათვის ხელშეწყობის ვალდებულების გავრცელებას, რაც შესაძლებელია სსსკ-ში ფორმულირებით ნორმის სახის სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე მუხლზე მითითების გზით, ან ცალკე ნორმის რეგლამენტირებით, მაგალითად, ასეთი ფორმულირებით: „სასამართლო, რომელიც განიხილავს საქმეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ იმ დანაშაულებზე, რომელთა მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას, დაზარალებულის ინტერესებიდან გამომდინარე, ვალდებულია, მიიღოს ზომები დაზარალებულისა და დანაშაულის ჩამდენი პირის შესარიგებლად“.

აქევე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ არეგულირებს თვით შერიგების პროცესს, დაზარალებულისათვის ზარალის კომბენსაციის ფორმებსა და ოდნობას, არ განსაზღვრავს დაზარალებულის წარმომადგენლის როლს და შერიგებაში მისი მონაწილეობის შესაძლებლობებს. შერიგების პროცედურა დეტალურად განმტკიცებული უნდა იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში და არ შეიძლება დაყვინილ იქნეს ფორმალობამდე. კანონში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შერიგების ისეთი წესი, რომლის თანახმად, ის შეიძლება მიღებულ იქნეს მოსამართლის (სასამართლოს) მიერ ბრალდებულის გულწრფელი მონაიებისა და დაზარალებულის წინაშე ბოდიშის მოხდის შემთხვევაში.

მოცემული ინსტიტუტის ჩამოყალიბების დროს შეიძლება მივმართოთ საზღვარგარეთის კანონმდებლობას, კერძოდ, ავსტრიის, საფრანგეთის, ესპანეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობებს. მითითებულ ქვეყნებში შექმნილია ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების სპეციალური ორგანო. ყველაზე ხშირად ესაა მუნიციპალიტეტთან არსებული შემრიგებლური

<sup>31</sup> აქ ჩვენ ვვლისხმობთ სსსკ-ის 26-ე მუხლს (კერძო-საჯარო სისხლის სამართლებრივი დევნა). 1 ნაწილის თანახმად, საქმე შეიძლება შეწყდეს იმ შემთხვევაში, როცა სისხლის სამართლებრივი დევნის გავრძელებამ შეიძლება ზარანი მიაყენოს როგორც დაზარალებულს, ისე – ბრალდებულს. ასევე სსსკ-ის 28-ე მუხლის „თ“ პერქტის მითითებას სსსკ-ის 69-ე მუხლის გამოყენებაზე (სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დაზარალებულთან შერიგების გამო), რომელიც ეხება საჯარო ბრალდების საქმეს, რომელთა მაქსიმალური სასჯელი 3 წლამდეა გათვალისწინებული.

## დოპტორანტია ვოლუმი

საბჭო, რომელიც შედგება ადგილობრივი აქტივისტებისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისაგან. საბჭოში საქმე შედის პროკურატურის ან სასამართლო ორგანოებიდან. მხარეთა შერიგებაში ადგომკატები და სასამართლო სისტემის ოფიციალური პირები არ მონაწილეობენ. შეთანხმების მიღწევის დროს შესაბამისი დოკუმენტი იგზავნება პროკურატურაში ან სასამართლოში. ამით სისხლის სამართლის იუსტიციის ორგანოთა საქმიანობა წყდება, თუ მხარეები შეთანხმდებიან და ხდება კონფლიქტის ლიკვიდაცია<sup>32</sup>.

გფრ-ის სსსკ, აგრეთვე, თავდაპირველად აწესებს ამაზე უფლებამოსილი შუამავლური ორგანოების მიერ შემრიგებლური წარმოების ჩატარებას. სსსკ-ის §380-ე პარაგრაფის თანახმად, საცხოვრებლის, სამსახურებრივი დაწესებულებების ხელშეუხლებლობის; შეურაცხყოფის; მიმოწერის საიდუმლოებათა დარღვევის, სხეულის დაზიანების, ქონებრივი ზიანის მიყენების შესახებ საქმეებზე ბრალდების აღძვრა დაიშვება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიწების იუსტიციის სამართველოების მიერ მითითებული შუამავლური ორგანოები წარუმატებლად შეცდებიან მხარეთა შერიგებას. თანაც ბრალმდებულმა (დაზარალგბულმა) ბრალდებულთან ერთად უნდა წარადგინოს ცნობა ამის შესახებ.

ზემოაღნიშნული ნამდვილად საინტერესო გამოცდილებაა, თუმცა დღესდღობით ჩვენს ქვეყანაში ასეთი განსაკუთრებული სპეციალიზირებული ორგანოების შექმნა კრიმინალური კომფლიქტების მშენდობიანი გზით დასარეგულირებლად საკმაოდ პრობლემატურია ეკონომიკური და შესახამისი სოციალური ტექნოლოგიების არარსებობის გამო.

ამასთან დაკავშირებით ასევე უნდა აღვნიშოთ, რომ შერიგების ინსტიტუტი წარმოადგენს აღდგენითი მართლმსაჯულებისათვის დამახასიათებელ თვისებას, რომელიც არის დასჯითი მართლმსაჯულების საწინააღმდეგო.

დასკით მართლმსაჯულებაში დანაშაული, რომელიც მიმართულია ადამიანის წინააღმდეგ, ითვლება სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად, სხვა სიტყვებით – დანაშაულის ბუნებაში, პირველ რიგში, ხედავენ დანაშაულის ჩამდენი პირისა და სახელმწიფო სანქციის დამკიდებულებას და არა ადამიანებს შორის ურთიერთობას ან საზოგადოებისა და დანაშაულის ჩამდენი პირის დამკიდებულებას.

დასჯით მართლმსაჯულებაში ხდება სამართალდამრღვევის უბრალიდ საზოგადოებიდან გარიყვა. „დანაშაულთა მსხვერპლები ამ დროს იშვიათად ღებულობენ ზარალის ანაზღაურებას და ხშირად, შეიძლება ითქვას, მეორეჯერ იტანჯებიან თვით სახელმწიფოს გამო“<sup>33</sup>. სადამსჯელო ღონისძიებათა არაუფაქტურობის გაცხობიერებამ მიგვიყვანა კრიმინოლოგის მრავალი თანამედროვე სკოლის მიერ აღდგენითი მართლმსაჯულების იდეის შემუშავებამდე, რომლის ჩარჩოებში საუბარია რატონიბუციული „დასჯითი“ იუსტიციიდან „რესტორატიულ“ აღდგენით იუსტიციაზე გადასცემის აუცილებლობის შესახებ<sup>34</sup>.

<sup>32</sup> Áīèéíá Á.Á. Càùèòà æåðòâ ïðåñòðïéåíé á ô ñäïëíàíí ñóäïïðòèçåíàñòåâ. ì. 1998. n. 25.

<sup>34</sup>მართლშესაჭიდების ძირითადი პრინციპების დეკლარაცია ხელისუფლების დანაშაულებათა და ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის. საქართველოს კანონები ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტები და კონვენციები. თბ., 1998. გვ. 510-518. იხ. ცაბ. Ӧ. აინიბარიანის შესახებ იმართვის მიზანების შესახებ და მათ განვითარების მიზანების შესახებ. თბ., 1998. გვ. 519-520. იხ. ცაბ. Ӧ. აინიბარიანის შესახებ და მათ განვითარების მიზანების შესახებ.

60

შესაძლებლობა, თავისი ქცევით ზემოქმედება მოახდინოს არა მარტო საქმის მიმდინარეობაზე, არამედ – კომპენსაციის ოდენობაზეც. მას ნამდვილად შეუძლია გახდეს სისხლის სამართლის სამართალწარმოების უფრო აქტიური და სრულუფლებიანი მონაწილე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან და დისპოზიციურობის პრინციპის ბუნებიდან გამომდინარე, საკამათოა კერძო ბრალდების საქმეში პროკურორის ჩაბმა, რაც, მართალია, არაფრით ზღუდვის ჩვეულებრივი დაზარალებულის უფლებებს, მაგრამ იმპერატიული ნორმით სსსკ-ის 634-ე მუხლის ნაწილის თანახმად, მე-3 „დაზარალებულის განსასჯელთან შერიგებით საქმე არ წყდება“. საკითხის ამგარა გადაწყვეტა ეწინააღმდეგება დისპოზიციურობის პრინციპის არსეს, რამდენადაც შერიგების შემთხვევაში საქმის შეწყვეტა ამ კერძო ბრალდების ინსტიტუტის თვისობრივი ნიშანია. როგორც ზემოთ გვქინდა განხილული, აღნიშნული შეზღუდვა, დაზარალებულის ინტერესებიდან გამომდინარე, ეწინააღმდეგება კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას. აღნიშნული პრობლემა სწორად არის გადაწყვეტილი რუსეთის საპროცესო კანონმდებლობაში. რუსეთის სსსკ-ის 318-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ პროკურორი ჩაერთვება სისხლის სამართლის საქმეში, მხარეებს არ ერთმევათ უფლება შერიგებისა და საქმე შეიძლება შეწყდეს წარმოებით.

ჩვენი აზრით, კერძო სისხლისამართლებრივი დევნის ბუნებიდან გამომდინარე, სსსკ-ის 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის ბოლო წინადადება: „ასეთ შემთხვევაში სისხლისამართლებრივი დევნია არ შეიძლება შეწყდეს მხარეთა შერიგებით“, ამოღებულ უნდა იქნეს. შესაძლებელია აქ ჩაემატოს წინადადება: „ასეთ შემთხვევაში მხარეებს არ ერთმევათ უფლება შერიგებისა. ამასთან მიმართებაში სსსკ-ის 634-ე მუხლის (პროკურორის მონაწილეობა კერძო ბრალდების საქმეში) მე-3 ნაწილი საერთოდ ამოღებულ უნდა იქნეს.

## დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული კვლევის შედეგად დასკვნის სახით შემუშავებულ იქნა წინადადებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სრულყოფისათვის:

1. საქართველოს სსსკ-ის 27-ე მუხლის 1 ნაწილში შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ კერძო სისხლისამართლებრივი დევნის ცნება, როგორც „სისხლისამართლებრივი დევნის ფორმა (სახე), როცა დევნა აღიძვრება დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე, ხორციელდება მის მიერვე და დაზარალებულის ბრალდებულთან შერიგების გამო ექვემდებარება შეწყვეტას პროცესის ნებისმიერ სტადიაზე სასამართლოს (მოსამართლის) სათათბირო ოთახში გასვლამდე“. 2.

დისპოზიციურობის ფარგლების გაფართოვების თვალსაზრისით აუცილებელია იმ დანაშაულთა კატეგორიების განსაზღვრა, რომლებიც შეიძლება კერძო სისხლისამართლებრივი დევნის წესით განხორციელდეს: აქედან გამომდინარე, სსსკ-ის 27-ე მუხლში საკანონმდებლო წესით შესაძლებელია დაემატოს შემდეგი სახის დანაშაულები:

სსსკ-ის 124-ე მუხლის 1 ნაწილი (ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით); სსსკ-ის 151-ე მუხლი (მუქარა); სსსკ-ის 157-ე მუხლის 1 ნაწილი (პირადი და ოჯახური საიდუმლოების ხელყოფა); სსსკ-ის 158-ე მუხლის 1 ნაწილი (კერძო საუბრის საიდუმლოების დარღვევა); სსსკ-ის 159-ე მუხლის 1 ნაწილი (პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა); სსსკ-ის 160-ე მუხლი 1 ნაწილი (ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა); სსსკ-ის 175-ე მუხლის 1 ნაწილი (შვილად აყვანის საიდუმლოების გამეღავნება); სსსკ-ის 176-ე მუხლი (აღიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება); სსსკ-ის 188-ე მუხლის 1

## დოქტორანტთა ცორუმი

ნაწილი (ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით); სსკ-ის 189-ე მუხლის 1 ნაწილი (ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა).

ამავე მუხლს შესაძლებელია დაემატოს 2<sup>1</sup> ნაწილი, რომელიც დარეგულირდება კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის წესით და იგი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

სსკ-ის 27-ე მუხლის 2<sup>1</sup> ნაწილით კერძო ბრალდების საქმეებს ასევე განეკუთვნება შემდეგი დანაშაულები: 1) სსკ-ის 177-ე მუხლის 1 ნაწილით (ქურდობა); სსკ-ის 180-ე მუხლის 1 ნაწილით – (თაღლითობა); სსკ-ის 182-ე მუხლის 1 ნაწილით – (მითვისება და გაფლანგვა). თუ დანაშაულისაგან დაზარალებულს უეჭველი ურთიერთობა გააჩნია ქმედების ჩამდენ პირთან, როგორც ოჯახის წევრთან, ახლო ნაოესავთან ან ისეთ პირთან, რომელსაც იგი დასაბუთებულად თვლის მის ახლობლად.

3. აღნიშნულ საკითხებზე, როგორც განხილული გვქონდა ნაშრომში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის 177-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დენა შეიძლება იყოს საჯარო და კერძო. კანონმდებელმა პროექტის დებულებებში საერთოდ უარი თქვა კერძო-საჯარო ბრალდების ფორმაზე, ამიტომ, ჩვენი აზრით, ეს საკითხები შეიძლება საკანონმდებლო წესით გადაწყდეს შემდეგნაირად:

კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის მუხლის 1 ნაწილში უნდა შევიტანოთ ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულთა კატეგორიები და ამავე მუხლის მეორე ნაწილში უნდა გავაერთიანოთ (პირობითად კერძო-საჯარო ბრალდების სახის) იმ დანაშაულთა კატეგორიები, რომლებიც აღიძვრება დაზარალებულის საჩივრით, მაგრამ მხარეთა შერიგების შემთხვევაში შეწყვეტას არ ექვემდებარება.

**ANZOR MAKHARADZE  
Competitor for Doctor's Degree  
of Law Faculty of Tbilisi State University  
Post-graduate assistant-professor of Shota Rustaveli State University**

## **JURIDICAL NATURE OF PRIVATE CRIMINAL LAW PERSECUTION**

Among the features of criminal law pursuit the private criminal law persecution is an interesting institute, by the standpoint that the legislator gave the right to the victim to realize pursuit about criminal cases. The abovementioned persecution, as a rule, is implemented not by legislative organ (inspector, prosecutor), but by a private person. The legislator gives the right of processes to the victim, which he uses according to his wish. Towards the affirmation of accusation this is expressed in no existence of obligation of the victim – to present the statements, to convince the court in substantiation of his accusation. Especially the abovementioned status is shown at cases of private accusation.

27<sup>th</sup> article of criminal law process code of Georgia singles the production of private accusation cases as an independent facet of private criminal law pursuit, and the process legislation bases and discusses in the twelfth door – the characteristics of separate categories of criminal law production. New legislative law differently from soviet law, regulated the production of accusation cases in details by whole complex of special norms, which assisted the development of private accusation institute.

According to 23<sup>rd</sup> article of criminal law process code of Georgia criminal law persecution may be public, subside, private-public and private.

In order to determine the main point of private accusation, the status of so called victim, it's necessary to analyze the essence of criminal law pursuit.

According to 43<sup>1</sup> part of 44<sup>th</sup> article of criminal law process code the criminal law persecution is explained as – “whole complex of actions made by plenipotentiary person considered by this code, which aim is providing of measurements considered by criminal law process legislation towards the accused or suspected”. The abovementioned explanation makes us say that criminal law pursuit means step by step and purpose movement following to criminal action, using the rules established by process code.

On the bases of this explanation it may be said that in the essence of criminal law persecution are meant the actions of plenipotentiary persons considered by process code, who present the accusation part.

23<sup>th</sup> article of criminal law process code singles out four features of criminal law persecution, according to the fact who arises it and according to which procedure is made its realization. These features are: a) criminal law persecution implemented by public rule; b) criminal law persecution implemented by subside rule; c) criminal law persecution implemented by private-public rule; d) criminal law persecution implemented by private rule.

Accordingly we may make a conclusion that the victim may be the subject of criminal law persecution in the bounds of his process rights. So, the subject having the right at implementation of criminal law persecution, may be only the victim. He determines the possibility of beginning, continuing and seizing the process. According to active criminal law process legislation the beginning of criminal law persecution has several characteristics at private accusation case. According to 27<sup>th</sup> article of criminal law process code, the private criminal law pursuit starts only on the base of complaint of the victim.

General accusation complaint of the victim presents the demand, that the judge to discuss the case<sup>1</sup> (2<sup>nd</sup> part of 627<sup>th</sup> article of criminal law process code). According to criminal law process legislation, regional (city) court judge discusses private accusations cases. Maker of a complaint (victim or his legislative representative) presents the private accuser (627<sup>th</sup> article of criminal law process code). Here also should be mentioned that private criminal law persecution begins in the court by the victim by the way of making the complaint, without making the correspondent act of competitive state organ. This procedure is basely different from the rule of arising criminal law case and from the procedure of starting the production of the case.

What for the essence of private accusation, here may be said that in juridical procedure science it isn't investigated well. The private accusation is understood as the form of criminal law pursuit, when the persecution is arisen by the complaint of the victim, is realized by himself and subordinates under seizing at any stage of the process because of the fact that the victim reconciles with the accused.

In juridical process literature there always was a disputable question about singling out the criminal circles, which persecution is implemented according to the rule of private accusation. Solving this problem has a principal meaning because such an accusation has special reasons and base, because of which the private accusation is singled out as an independent facet of accusation. And the facet of private accusation, is singled out as the case of special category<sup>2</sup>.

M. V. Savitsky formed the bases of special categories of private accusation cases. These are:

- a) In usual conditions a few degree of public danger of the actions which persecution is made according to the rule of private accusation, comparably with actions which persecution is made by state organs;
- b) Specific character of law abrogation, which concerns to the personality of a citizen, and, as a result of this, - in some cases the necessity of considering the opinion of a victim in order to ascertain the action and its results.
- c) The necessity to offer citizens the possibility to regulate the conflict and settle normal relationships without interfering court organs.
- d) Aspiration of state to provide the defence of citizens' rights and interests with the way of heightening their activeness<sup>3</sup>.

Unfortunately, in juridical science of Georgia there isn't made researches about the theme. We think it trustworthy the conclusions of S.I. Katkalo and V.Z. Lukashevich, who think that singling out of crimes, which persecution is made according to the rule of private accusation, is determined by the following bases. For the first, by the nature of this crime, which encroach the subjective rights of citizens, their dignity, honesty, health; the second, by the complexity of ascertaining not only the personality of the criminal but also the component part of crime without considering the subjective opinion of the victim; the third, by the conditions that the private accusation cases, as a rule, concerns to the circle of special persons: interests of family members, relatives, acquaintances, and so on and arise on the base of domestic conflicts; the fourth, by no existence of the necessity of preliminary investigation; the fifth, by the specific of committing these crimes, which gives an opportunity to victim citizens to solve validly in each concrete case, to regulate the arisen conflict without interference of state organs; the sixth, the peculiarity of these cases, when state

<sup>1</sup> About it we should mention that in criminal law process code the additions considered with the rule dated by 25 March 2005, before making the changes there acted the institute of arising criminal law case. The victim referred to regional (civil) court judge about private accusation cases. If the judge ascertained in private accusation case that there exited the points of private accusation crime, he made the resolution. About the question, that the judge has no right to implement the function of the accused, became the subject of discussion in juridical procedure literature. About the abovementioned you may see in details M. Patsia – the questions of constitutions of arising the criminal law case of private accusation by the judge. "Human and Constitution" 2001. <sup>11</sup>. pg. 136-142; K. Kobakhidze – for ascertaining the norms of criminal law persecution (private criminal law persecution), magazine "Law", 2001. <sup>17</sup>. pg. 72-76; A. Paliashvili. Constitution of Georgia and Criminal Law Code. (Incompatibility and resistances), magazine "Human and Constitution" – 2001. <sup>14</sup>; edited by A. Paliashvili. Criminal law Process (text book). Tbilisi, 2002. pg. 552. I. Gabisonia. Discussing of Criminal law Cases in the Court. 2002. pg. 464-465.

<sup>2</sup> V. M. Savitsky, state accusation, M. 1971. pg. 321-322.

<sup>3</sup> V. S. I. Katkalo, V. Z. Lukashevich Court discussion about the private accusation LSU 1972. pg. 44-45.

organs may cause a damage against the will of the victim and may bring us to aggravation of the conflict; the seventh, they are characterized with less social danger to the crime, which persecution is made according to the state rule, which would consider the characteristics of the given category cases, and also could provide effectively defence the legislative interests of victims or other participants of the process<sup>4</sup>.

V.V. Doroshkov in his work published in 2000, analyses the opinions of the abovementioned scientists and explains that they are different and isn't always grounded sufficiently.

As he says, such a situation is caused by no existence of common systemic investigation of private accusation institute and common research subject. He mentions that for the first - scientists at the time of investigating the given question, use different terminology: base, motive, characteristics (peculiarity) and so on. That's why it's better to use many parameters with correspondent common terminology – base; and the second what for the subject of research, in one case there was talked about the crime and in another case about criminal law case, about criminal law persecution.

That's why the subject of science should be not bases of singling or crimes but the private accusation, independent facet of criminal law persecution<sup>5</sup>.

In accordance with this we share Doroshkov's opinion, who mentions it correctly that investigation of private accusation institute should be implemented by using common systemic method as in material-legislative as in juridical procedure context. By considering the abovementioned opinion V.V. Doroshkov offers classification of all abovementioned bases in material-legislative and juridical procedure aspects.

To material-legislative bases of private accusation and independent facet of accusation we may belong:

1. Special nature of crime, which is pursued according to the rule of private accusation, mainly profanes not public, but private interests of a citizen in special sphere of social relationship (every day, public, working, friendly) and so on.

2. Separate crimes, which are characterized with less social danger.

Considering an opinion of the victim which has the meaning for ascertaining the component part of the crime.

3. Possibility of releasing from responsibility of criminal law crime with regulating (reconciliation of parties) the existed conflict by the purpose, not to harm the victim mostly in future.

And by juridical procedure-legislative point there may be singled out the following bases:

1. Possibility of presenting the statements without conducting preliminary investigation, when the evidence of witnesses will be used as the statement about committing the crime.

2. The necessity of the victim's evidence for discussing the case correctly,

because he himself points to the purpose of discussing the case and presents the statements.

3. Determine such a rule of law producing where citizens would be given the possibility of high activeness in fighting against law abrogation.

4. The impossibility of giving to criminal law responsibility all persons at the time of existing latent crime<sup>6</sup>.

Truly, the crime which persecution is made according to the rule of private accusation, has special criminal law specific – all they encroach directly the subjective rights of citizens, their dignity, honesty and health.

At the time of committing the actions against legislative rights and interests there should be defended these rights and interests, among them by the state, if citizens refer to them for help... only at the time of committing sever crime the public interests come to the first stage<sup>7</sup>.

Everything changes cardinally where personal rights present direct objects of criminal encroachment, which don't concern to public and state interests. In this case the victim must decide himself how defend abrogated rights and legislative interests.

<sup>4</sup>**V.V. Doroshkov**, Private Accusation. Lawful theory and court practice. M. 2000. pg. 22-23.

<sup>5</sup>See works of Doroshkov. Pg. 22-23

<sup>17</sup> გ. ჭანტურიძე, დამცველის პროცესუალური თავისებურებები წინასწარი გამოძიების პროცესში, უკრ. „სამართალი“, 2003, №4-5, გვ. 105-107; გ. ჭანტურიძე, დამცველის საქმიანობის ზოგიერთი პროცესუალური და სამართლებრივი ასპექტი წინასწარი გამოძიების სტადიაზე. უკრ. „სამართალი“, 2004, №5-6, გვ. 71-78; გ. ჭანტურიძე, დამცველის პროცესუალური თავისებურებები საქმის მასალების გაცნობის პროცესში, უკრ. „სამართალი“, 2004, №7-8; 54-58; გ. ჭანტურიძე, დაცვის განხორციელების ზოგიერთი საპროცესო სამართლებრივი ასპექტი, უკრ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006, №4, გვ. 28-35; გ. ჭანტურიძე, საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან მიმართებაში, თბილისი, 2007, გვ. 88.

### **Summary**

Project of the doctor's degree student of the Faculty of Law at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Giorgi Chanturdze, "Use of the custodial measure - mortgage" concerns amendments and additions, made during the last years to the Criminal Procedural Code of Georgia. These amendments and additions serve to the simplification of the preliminary investigation and to the prompt and effective administration of justice. One of the results of the mentioned amendments has been the events that there were abolished such custodial measures as house arrest, handing into the police surveillance, affidavit of non-leaving and due behaviour. After the mentioned amendments, priority was assigned to such custodial measures, as mortgage, which actually substituted the strictest custodial measure: arrest.

The author believes that the use of the discussed custodial measure, mortgage, is positive. He considers Criminal Procedure Codes of various countries of the world and analyzes their positive experiences.

The author reviews the practice of use of mortgage as a custodial measure in Georgia during the last years and on the basis of the statistic date reveals, how the use of mortgage is being increased in the last years and how it actually substitutes such a strict custodial measure as arrest.

The author has cited and indicated in full accordance with the procedural legislation of Georgia, how and under which conditions the custodial measure, mortgage should be used. Also there are indicated those defaults, which still take place with the use of mortgage.

According to the author's opinion, the correct use of the custodial measure, mortgage, shall really provide fulfillment of the tasks of this important undertaking.

## დოკუმენტითა ცორული

### უჩა ზაქაშვილი

იგანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

### სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის პროცესი

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმეზე სამოქალაქო სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას. მეტიც, საქართველოს სსსკ-ის 2005 წლის 25 მარტის, 2006 წლის 28 აპრილისა და 2006 წლის 29 დეკემბრის ცვლილებებით თანახმად, სახელმწიფოს შეუძლია გამოვიდეს სამოქალაქო მოსარჩელის როლში როგორც დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის მიზნით, ასევე, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის გამო, აღმრას სამოქალაქო სარჩელი რეკატიონის, თანამდებობის პირის ან სხვა ბრალდებულის მიმართ.

სამოქალაქო სარჩელის ინსტიტუტი სისხლის სამართლის პროცესში ნაკლებადაა შესწავლილი. არ მოიპოვება არც ერთი ქართულენოვანი ნაშრომი, სადაც მოცემულ საკითხები იქნება საუბარი. შეიძლება ითქვას, აღნიშნული ფაქტი არ არის გამოწვეული სამოქალაქო სარჩელის ინსტიტუტის არააქტუალობით. მაშინ, როცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აღიარებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას და სისხლის სამართლის საქმეზე ხდება სარჩელის წარდგენა, არ შეიძლება უარგვოთ სამართლებრივი უფლებების დაცვის ამ ელემენტის მნიშვნელობა.

სხვადასხვა ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობის ანალიზით, სამოქალაქო სარჩელის, როგორც ინსტიტუტის რამდენიმე ტენდენცია იკვეთება:

პირველი - რიგი ქვეყნების კოდექსები დაზარალებულს მხარის სტატუსს არ ანიჭებენ, მაგ. ბელგია, დანია, ინგლისი, უელსი, ირლანდია, შოტლანდია. შესაბამისად, მათი როლი სისხლის სამართლის პროცესში მეტად უმნიშვნელოა. ვინაიდან სამოქალაქო სარჩელის ინსტიტუტი დაკავშირებულია დაზარალებულის, როგორც მხარის, უფლებასთან, ამ ქვეყნებში სამოქალაქო სარჩელის ინსტიტუტი არ არის განვითარებული.

მეორე - დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესში ითვლება მხარედ და სამოქალაქო სარჩელს, როგორც დაზარალებულის უფლებების რეალიზაციის საშუალებას, ცნობენ საფრანგეთის, იტალიის, საბერძნეთის, ესპანეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობები.

მესამე - გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დაზარალებულის უფლებებს მოწმის უფლებებს უთანაბრებს და სამოქალაქო სარჩელის ინსტიტუტს წმინდა თეორიულ კონცეფციად განიხილავს. მოსამართლეს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე შეუძლია უარყოს შუამდგომლობა იმ მიზანით, რომ იგი უსაფუძლოა.

### სამოქალაქო სარჩელის ინსტიტუტის ისტორიული განვითარება

ივანე ჯავახიშვილის მიერ აღდგენილი ქართული სამართლის მე-14 საუკუნის ძეგლი „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა“ (ცნობილი, როგორც აღმულას სამართალი) შეიცავს ისეთ მუხლებს და სასჯელებს, რომელებიც დღევანდელ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ჯარიბას შეიძლება გაუუივოთ. მაგალითად: რიგი დანაშაულებრივი ქმედების დისპოზიციებში იკვეთება ზიანის ანაზღაურების მოვალეობა: „თუ აზნაურმან აზნაური მოკლას, ამავე წესით დაუურვოს სისხლი, თუ ვერ ამოუვიდეს გარდაიხურწოს. მისი მამული

ბ.ნ მ...ნ (ეს ადგილი დედაში არ იკითხება. ავტ.) და მაწყუერელმან დაიჭირონ და გამოსვლისა ნახევარი მესისხლეს მისკენ სისხლის გარდახდაში”<sup>1</sup>.

„აღბურას სამართლიდან” მოყვანილ მუხლში ნათლად ჩანს, რომ აზნაურის აზნაურის მკვლელობისთვის დაეკისრებოდა გარკვეული საფასურის გადახდა, ხოლო მის გადახდამდე მისი ნაკვეთის შემოსავლების ნახევარი გადავიდოდა მესისხლეს, იგივე დაზარალებულის, განმგებლობაში. კანონი პირდაპირ ითვალისწინებდა სამართლებრივ ღირებულებას (ზიანის ანაზღაურების მოვალეობას), რასაც სამოქალაქო სარჩელის ინსტიტუტი ეშვახურება სისხლის სამართლის პროცესში. ამ შემთხვევაში არ შეიძლება საუბარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გარკვეულ ფორმებზე.

შეგაესად სხევა მკვლევარებისა, პროფესიონალი მარიამ ცაცანაშვილი ნაშრომში – „სახელმწიფო სამსართლის ზოგადი ისტორია“ ამბობს: „სისხლის აღების ჩვეულების ნაცვლად დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა დანაშაულის გამოსყიდვა გარკვეული საფასურით, საზღვაურით. სწორედ ეს საზღვაური ითვლება სისხლის დაურვებად. სისხლი არის ფულადი ან ქონბრივი საზღვაური, რომელიც დამაშავებს, მისმა ოჯახმა უნდა გადაუხადოს დაზარალებულს ან მის ოჯახს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და დაზარალებულის ქონბრივი ან უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით. ვეროპულ სამართალში სისხლის დაურვებას კომპოზიტია ქრისტიანული, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს ანაზღაურებას.“<sup>22</sup>

ქართული სამართლის ძეგლების გარდა, მსგავსი შინაგანის ფორმულირებებს აღმოსავლეთის და ევროპული ქვეყნების კანონებშიც ვხვდებით. მათ წინ ბაბილონის სამართლის კრებული, ე.წ. „ჰამურაბის კანონები“ უძღვით (შექმნილი ძვ. წ. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში<sup>3</sup>). ზემოთ ხსენებული სისხლის დაურეგის ჩემილების სწორება ამ დროიდან დატვირდა.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1890 წელს პროცესუალისტი **ა.ფ.კონი** სამოქალაქო სარჩელის სპეციალისტები, როგორც საპროცესო ინსტრუმენტები, საუბრისას ამბობდა, რომ ის არის: „ერთ-ერთი ყველაზე საღავო და ყველაზე დაუმუშავებელი ნაწილი სისხლის სამართლალში”.<sup>4</sup> 70 წლის შემდეგ, **ნ.ნ.პოლიანსკი** საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო მეცნიერების დახასიათებისას ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა.<sup>5</sup>

სამოქალაქო სარჩელის ინსტიტუტი სისხლის სამართლის პროცესში მუდამ იქცევდა მეცნიერ-პროცესუალისტთა ყურადღებას. სხვადასხვა პრობლემებთან ერთად განიხილებოდა სარჩელის ფარგლების გაფართოების საკითხი არა მხოლოდ ქონებრივ, არამედ – მოქალაქეთა კანონით დაცული უფლებების და ინტერესების აღსადგენად. გამოითქმებოდა მოსაზრებები, სისხლის სამართლის პროცესში განხილული რეარქიზაციის შინაარსის მოთხოვნები.

მეცნიერთა არაერთმნიშვნელოვანი მოსაზრებით, ვინაიდან სამოქალაქო სარჩელის საკითხი მოუწესრიგებელი იყო სისხლის სამართლის საპროცესო კანონით, უნდა გამოიყენებულიყო სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა. აღსანიშვავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სამოქალაქო სარჩელის ინსტიტუტის მომწესრიგებელი ნორმები მრავალ ხარვეზს შეიცავს და სათანადო ყურადღების გარეშეა დარჩენილი. სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებული კველაზე გლობალური პრობლემაა ამ ინსტიტუტის როლი და მისი არსებობის მიზანი სისხლის სამართლის პროცესში<sup>6</sup>.

<sup>143.</sup> ჯავახისშეკილი, „ქართული სამართლის ისტორია”, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VI, თბილისი 1982წ. 23:407.

<sup>28</sup> კაცანაშვილი, „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია”, თბილისი 1995წ. გვ. 29.

۳۰ جمادی، ۸۳. ۳۱.

<sup>4</sup> Põõsä õõneda õõneda, 1891a 11, N.40.

**Ęèàøę ö P. Oè ńň ø å i ēí A.** Iaçjia-áfieå eíñöèöödä äðäæäàíñéí äí èñéä å öäí eí á í ñ iðiòåmñä// Dí nñèëñéäy þñöèöëý. 2001 '6. N. 43-46.

## დოპტორანტთა ფორუმი

სისხლის სამართლის პროცესში წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის უპირატესობა 3-კლასიმეროვას აზრით,

ა) სამოქალაქო სარჩელის გათვალისწინება სისხლის სამართლის პროცესში უზრუნველყოფს დაზარალებულის უფლებების სწრაფი აღდგენის შესაძლებლობას;

ბ) სამოქალაქო სარჩელის გადაწყვეტა გვეხმარება კვალიფიკაციის ზუსტად განსაზღვრაში, დანაშაულის სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების სწორად დადგენასა და სასჯელის სამართლიანი ფორმის არჩევაში, დანაშაულის ხასიათის, სიმძიმის, დამნაშავის პიროვნების სწორად შეფასებაში;

გ) გვემარება არ დავუშვათ ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნები კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე;

დ) სამოქალაქო სარჩევლის საშუალებით სისხლის სამართლის პროცესში რეალიზდება საპროცესო ეკონომისის პრინციპი პი. სამოქალაქო სარჩევლის სისხლის სამართლის პროცესში განხილვა თავიდან გვაცილებს დანაშაულის გარემოებების განმეორებით გამოკვლევას სხვა სასამართლო ორგანიზმი, რაც გვეხმარება საქმის წარმოების დროისა და ხარჯების დაზიანების, ასევე, გამორიცხავს ერთი და იგივე სუბიექტის მრავალჯერად მონაწილეობას პროცესებში.

ე) როგორც დაზარალებული, ასევე, ბრალდებული თავისუფლდება სასამართლო წარმოებაში ორგენერაციი მონაწილეობისგან – კერ სისხლის (ბრალდებული), ხოლო შემდეგ სამოქალაქო (მოპასუხე) წესით. მოწმეები, თარჯიმნები, ექსპერტები და სხვა პირები თავისუფლდებიან ვალდებულებისგან და მეორედ აღარ წყდებიან საკუთარ საქმიანობას.

ვ) აღსანიშნავია სამოქალაქო სარჩელის განხილვისას ამ უკანასკნელის აღმზრდელობით როლიც მათვის, ვინც ამ პროცესში მონაწილეობს, ანუ ყალიბდება რწმენა, რომ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება არის გარდაუვალი და განუყოფელი ნაწილი სისხლისამართლებრივი პასუხისმგებისა.<sup>7</sup>

<sup>7</sup> А. Аєаæаїаðиа, "Аðаæаїаїиèе èнë а ðаї ёїаїи тðиòåññâ" æ. "Óаї ёїаїиé Ыðиòåññâ", '10, 2005å. [http://www.arbitr-praktika.ru/Arch/up2005-10\\_2.htm](http://www.arbitr-praktika.ru/Arch/up2005-10_2.htm)

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო სარჩელის განხილვისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გარკვეულ წილად ბოჭავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით აღიარებული დისპოზიციურობის პრინციპს. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, სამოქალაქო სარჩელის საფუძვლის მტკიცება და ფასის განსაზღვრა ხდება სისხლის სამართლის პროცესის წესით, ამავე მუხლის III ნაწილით კი „სარჩელზე უარი, სარჩელის ცნობა და მორიგება ხდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით და იმ პირობით, რომ დაცულ იქნეს მოთხოვნები სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცების საგნის ყველა ელემენტის დადგენის შესახებ, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრულია ამავე კოდექსის 112-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის საქმეზე უნდა დამტკიცდეს:

ა) ბრალდებულის ან სხვა პირის მოქმედება (უმოქმედობა); ბ) მოქმედების (უმოქმედობის) მართლმსაწინააღმდეგო ხასიათი; გ) ბრალი; დ) გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას; ე) დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ხასიათი და ოდენობა.“

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 450-ე მუხლით კი საქმის სასამართლო განხილვა ტარდება განსასჯელის მიმართ მხოლოდ იმ ბრალდების ფარგლებში, რომლითაც განსასჯელი სამართალში მისცეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პროკურორმა ბრალდება შეცვალა განსასჯელის სასარგებლოდ. ზიანის დადგენისას მოქმედი კანონით უპირატესობა ენიჭება და მეტიც, სასამართლოს ავალდებულებს, არ გასცდეს სისხლისამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ბრალდების ფარგლებს. შესაბამისად, მოსარჩელე სისხლის სამართლის საქმეზე ვერ სარგებლობს სამოქალაქო პროცესში აღიარებული დისპოზიციურობის პრინციპით, თავად განსაზღვროს დავის საგანი.

სისხლის სამართლის პროცესში ამოსავალი პრინციპი პია საჯაროობა და დისპოზიციურობა, რომელიც არსებითად განსხვავდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დისპოზიციურობისგან.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის მიხედვით, გამომძიებული პროკურორი და სასამართლო, რომლებიც მოქმედებენ საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, ვალდებული არიან, დანაშაული და მისი ჩამდენი პირი დაადგინონ. ამ მიზნით ისინი უფლებამოსილი არიან ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა ქმედება ჩაატარონ როგორც საკუთარი ინიციატივით, ასევე, დაინტერესებული პირის შუამდგომლობით (საჯაროობა და დისპოზიციურობა). ამავე მუხლის 4-ე პუნქტით, მხარეებს უფლება აქვთ, კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში და დადგენილი წესით თავისუფლად განკარგონ თავიანთი მატერიალურ-სამართლებრივი საპროცესო უფლებები, გავლენა მოახდინონ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაზე და სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტაზე. მე-7 პუნქტის მიხედვით კი, თუ სამოქალაქო მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე ან მხარეები მორიგდნენ, სასარჩელო წარმოება წყდება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, გამომძიებული, პროკურორი და სასამართლო ვალდებული არიან, უტესარად დაადგინონ, მოხდათ თუ არა დანაშაული, ვინ ჩაიდინა იგი და გაარკვიონ მტკიცების საგნის ყველა სხვა გარემოება... საქმის გამოძიება უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული. ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს ბრალდებულის როგორც მამსილებელი, ასევე, გამამართლებელი, მათი პასუხისმგებლობის დამამძიმებული და შემამსუბუქებელი გარემოებები. გამოძიების ორგანოები და სასამართლო არ არიან უფლებამოსილი, მტკიცების ტვირთი გადაკისრონ ბრალდებულს. ჩამოთვლილ პრინციპებს პირდაპირ ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 90-ე მუხლის III ნაწილი, რომლის მიხედვით, პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ და მომეტებული საფრთხის წყაროთი

## დოკუმენტითა ვორუმი

მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეებზე სამოქალაქო მოსარჩელის მტკიცებათა უარყოფის ტკირთი ეკისრება სამოქალაქო მოპასუხეს. 90-ე მუხლი იგივე წარმატებით ეწინააღმდევება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 10-ე მუხლის (უდანაშაულობის პრეზუმცია) II ნაწილს, რომელიც პირდაპირი ციტირებაა საქართველოს კონსტიტუციის 40-ე მუხლის II ნაწილისა: „არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, ბრალდების მტკიცების მოვალეობა ბრალმდებულს ეკისრება“. გამოდის, რომ 90-ე მუხლის III ნაწილი თვით კონსტიტუციის წინააღმდევაც მიდის. ჩვენი აზრით, აღნიშნული წინააღმდევობრივი დებულება საერთოდ ზღდმეტია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისთვის.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის პროცესი არ შეიცავს პირდაპირ მითითებას ადვოკატის ხარჯის ანაზღაურების შესახებ. კერძოდ, განსხვავებით სამოქალაქო პროცესისა, წაგებულ მსარეს არ ეკისრება ანაზღაურების ვალდებულება, რაც, რა თქმა უნდა, ასევე ხარვეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ და არსებულ წინააღმდევობად სამართლის დარგებს შორის, თუმცა მოსამართლების განმარტებით, მოსარჩელეს სარჩელშივე შეუძლია წინასწარ განსაზღვროს (თუ შესაძლებელია დადგენა) ის ხარჯები, რაც დაცვისთვის ესაჭიროება და მიმდგარ ზიანთან ერთად მოითხოვოს მისი დაკისრება მოპასუხისთვის.

სამოქალაქო სარჩელის ინსტიტუტი სისხლის სამართლის პროცესში ქართველი პროცესუალიტების ინტერესის სფეროში დღემდე არ მოქცეულა, შესაბამისად, ზემოაღნიშნულ სადაც საკითხებზე პასუხი ქართულენოვან ლიტერატურაში არ მოიძებნება.

ეკატერინბურგის სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ბოზროვი რუსეთში ერთ-ერთი პირველი გამოვიდა აღნიშნული ინსტიტუტის გაუქმების წინააღმდებით. მისი ინიციატივა იყო, ამოელოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტიდან სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტი (რუსეთის ოუსტიცია 2001 წ. №5, გვ. 29-30, „სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის პროცესში უადგილოა“). ვ. ბოზროვი საკუთარ მოსაზრებას შემდეგნაირად ასაბუთებდა: სისხლის სამართლის პროცესის დანიშნულებაა საქმის გახსნა, დანაშაულში მონაწილე პირის ბრალეულობის გამოაშკარავება და მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა. სამოქალაქო სამართლებრივ ან რაიმე სხვა პასუხისმგებლობაზე საუბარიც არ შეიძლება. 1999 წელს ვ. ბოზროვი ნაკლები კატეგორიულობით გამოდიოდა. იგი იძლეოდა წინააღმდებას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გადასინჯულიყო ნორმები, რომელიც სასარჩელო განაცხადის გამოქვეყნების წესს მოაწესრიგებდა. ამასთან, სამოქალაქო მოსარჩელის და მოპასუხის ფუნქციას შეუთავსებდა სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის ფუნქციას, მოსარჩელისა და მოპასუხის კამათში გამოსვლის რიგითობას, განსაზღვრავდა სამოქალაქო სარჩელის წერილობით ან ზეპირ გადაწყვეტას სასამართლო გამოძიებაში და მოქმედ კანონმდებლობაში სხვა ხარვეზულ საკითხებს (ვ. ბოზროვი, „ს საქმის მართლმსაჯულების თანამედროვე პრობლემები რუსეთის სამხედრო სასამართლოების საქმიანობაში. თეორიისა და პრაქტიკის საკითხები“. ეკატერინბურგი 1999 წ. გვ. 58-59)<sup>8</sup>.

### სამოქალაქო სარჩელის წარდგენის საფუძველი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (მიღებული 1998 წ. 20 თებერვალს) 30-ე მუხლის I პუნქტის თანახმად, პირს, რომელსაც დანაშაულებრივი ქმედებისგან მიაღვა ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი, უფლება აქვს, სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი. კოდექსი ასევე უშვებს შეგებებული სამოქალაქო სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას.

„**ესაზე ბევრი მომარტინი არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, ბრალდების მტკიცების მოვალეობა ბრალმდებულს ეკისრება**“. გამოდის, რომ 90-ე მუხლის III ნაწილი თვით კონსტიტუციის წინააღმდევაც მიდის. ჩვენი აზრით, აღნიშნული წინააღმდევობრივი დებულება საერთოდ ზღდმეტია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისთვის.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის 4-ე ნაწილი 2006 წლის 29 დეკემბრის ცვლილებამდე ითვალისწინებდა, რომ ბრალდებულის დაუდგენლობა არ აბრკოლებდა სამოქალაქო სარჩელის წარდგენას. სისხლისამართლებრივი დენის შეჩერების შემთხვევაში, თუ ბრალდებული დაიმაღლებოდა, მისი ადგილსამყოფელი უცნობი იყო ან პასუხისმგები მისაცემი პირი იყო დაუდგენელი, სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ შეიძლება წარდგენილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. აღნიშნული ნაწილი ცვლილების შემდეგ ჩამოყალიბდა შემდგნაირად: „თუ თანამდებობის პირს<sup>9</sup> ბრალდ ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> (წამება), 144<sup>2</sup> (წამების მუქარა), 144<sup>3</sup> (არაადამიანური მოპყრობა) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა და იგი მიიმაღლა ან მისი ადგილსამყოფელი დაუდგენელია, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი შეიძლება წარედგინოს სახელმწიფოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით”. ძველი რედაქცია წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ წინააღმდეგობას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებებთან, რომლის მიხედვითაც, მოპასუხის დაუდგენლობა გამორიცხავს სარჩელს სამოქალაქო პროცესი, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის „დ” ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს მოპასუხის გვარი, სახელი და მისამართი, ხოლო, თუ მოპასუხე იურიდიული პირია – მისი სახელმწოდება და მისამართი. ამავე კოდექსის 185-ე მუხლის მიხედვით, თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ სარჩელი შეტანილია 178-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, იგი გამოიტანს განჩინებას ხარვეზის შესების შესახებ. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვალაში არ შეავსებს ხარვეზს, მოსამართლე სარჩელს დატოვებს უმოძრაოდ და მას დაუბრუნებს მოსარჩელეს. ახალი რედაქციით აღნიშნული შეუსაბამობა ერთი შეხედვით გამოისწორებულია, მაგრამ კვლავ დაიდ რჩება რიგი საკითხები: კერ ერთი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის I ნაწილის „ა” ქვეპუნქტის და ამავე მუხლის III ნაწილის თანახმად, თუ ბრალდებული თანამდებობის პირია და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას, მაშინ მის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნა არ ჩერდება, კერძოდ, მისი მიმაღვა არ წარმოადგენს დევნის შეჩერების საფუძველს. იგი სისხლისამართლის საქმეზე იქნება როგორც მოპასუხე მხარე. ზემოაღნიშნული ცვლილების მიხედვით კი იგივე პირის საქმეზე შეიძლება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოხდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა და მოპასუხედ შეირაცხოს სახელმწიფო. ეს გარემოება სცილდება ყოველგვარ ლოგიკას. თუ სისხლის სამართლის საქმეზე მოპასუხეს წარმოადგენს თანამდებობის პირი, შეუძლებელია იგივე საქმეზე სამოქალაქო წარმოებისას მოპასუხე მხარეს წარმოადგენდეს სახელმწიფო. იგი ყველა შემთხვევაში ჩაითვლება არასათანადო მოპასუხედ და 33-ე მუხლის მე-4 პუნქტით დაცული გარანტია კი პრაქტიკაში განუხორციელებლად დარჩება. მეორე მხრივ, სადაც ოთხი სახელმწიფოს, როგორც განყენებული სუბიქტის, პასუხისმგებლობის საკითხიც. როგორც უკვე ითქვა, 33-ე მუხლის მე-4 ქვეპუნქტი იძლევა საშუალებას, თანამდებობის

<sup>9</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის თანახმად, თანამდებობის პირი (რომლის მიმართაც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი – ამ კანონის მიზნებისთვის, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი, საჯარო მოხელე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე ანდა საწარმოში, რომელმც სახელმწიფო ფლობს წილის (აქციათა) 50%-ს ან 50%-ზე მეტს, ხელმძღვანელობითი ან/და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი, რომელსაც ბრალდ ედება თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში შესაბამისად სამოხელეო ან/და სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენა, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, გამოძალვა, მითვისება ან გაფლანგვა, გადასახადებისგან თავის არიდება, საბაჟო წესების დარღვევა, წამება, წამების მუქარა ან/და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, მიუხედავად იმისა, გათავისუფლებულია თუ არა იგი დაკავებული თანამდებობიდან”.

## დოკუმენტითა ცორული

პირის მიმაღვის ან მისი დაუგენლობის შემთხვევაში სამოქალაქო სარჩელი წარდგენილ იქნეს სახელმწიფოს მიმართ სამოქალაქო წესით ანუ ზიანის ანაზღაურება მოეთხოვოს მას. საკითხავია, კერძოდ რა საფუძვლით უნდა მოხდეს აღნიშნული მოთხოვნის წარდგენა? რამდენად რეალურია სახელმწიფოსათვის ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება?

უნდა ითქვას, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი დელიქტური ვალდებულებების ცნებას განსაზღვრავს 992-ე მუხლით, რომლის მიხედვით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდევო, განზრახა ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი, ხოლო ამავე კოდექსის 1005-ე მუხლი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების მოვალეობას სახელმწიფოს მხრიდან, მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისთვის: „თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აუცილებინა ზიანი”.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი „რეაბილიტირებული პირისთვის უკანონო მსჯავრდადების, სისხლის სამართლის პასუხისმგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიებების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის სელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ, გამოძიების, პროკურატურის ორგანოების და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად, განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირი სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს.” სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული მუხლების თანახმად, სახელმწიფოს შეიძლება დაუკისროს ზიანის ანაზღაურების მოვალეობა სოლიდარულად, იმ თანამდებობის პირებთან ერთად, ვის დამაშაულებრივ ქმედებასაც (კერძოდ, წამება, წამების მუქარა ან არაადამიანური მოპრობა) მოჰყვა ზიანი. ამდენად, 33-ე მუხლი, გარდა სახელმწიფოსი, უნდა უთითებდეს თავად თანამდებობის პირზეც. წინააღმდეგ შემთხვევაში სამოქალაქო წარმოების წესით, როგორც ზემოთ მივუთითო, აღნიშნული სკოტი ყოველთვის დაზარალებულის საწინააღმდევოდ გადაწყდება.

### სამოქალაქო სარჩელის წარდგენის წესი

სამოქალაქო სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს იმ გამომძიებელთან ან პროკურორთან, რომლის წარმოებაშიცაა სისხლის სამართლის საქმე, ხოლო სამოქალაქო სარჩელს განიხილავს და წყვეტს სასამართლო, რომლის განსჯადიცაა საქმე.

თუ გამომძიებელი, პროკურორი ან სასამართლო სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან დარწმუნდება, რომ პირს აქვს სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლება, იგი ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მას ამ უფლების თაობაზე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 2006 წლის 28 აპრილის რედაქციის 33-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, პირს სამოქალაქო სარჩელის წარდეგნის უფლება პქონდა სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ მომენტში სასამართლო გამოძიების დაწყებამდე, შესაბამისად, ბუნდოვანი იყო, როგორ შეიძლებოდა მოსამართლეს დაკისრებოდა ვალდებულება, განემარტა პირისთვის სამოქალაქო სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა (სსსკ-ის 32-ე მუხლი). 28 აპრილის რედაქციით კი აღნიშნულმა მუხლმა განიცადა ცვლილება და ჩამოყალიბდა

შედევნაირად: „თუ პირს მიაჩნია, რომ ზიანი მიადგა იმ პირის დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედევად, რომლის მიმართაც წარმოებს საქმე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად, მას უფლება აქვს, წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე საბრალდებო დასკვნის ან სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე დადგენილების შედგენამდე”. აღნიშნული ცვლილებით პირს სამოქალაქო სარჩელის წარადგენის უფლება შეუძლია საბრალდებო დასკვნის ან სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე დადგენილების შედგენამდე, ხოლო ამავე კოდექსის 32-ე მუხლის მიხედვით, მოსამართლეს რჩება ვალდებულება, წერილობით შეატყობინოს მას ამ უფლების შესახებ, თუ საქმის მასალებიდან დარწმუნდება, რომ სამოქალაქო სარჩელის წარადგენა შესაძლებელია. ამდენად, დღეს მოქმედი სსსკ-ის 32-ე და 33-ე მუხლს შორის არსებობს აშკარა შეუსაბამობა და მის გამოსასწორებლად აუცილებელია 32-ე მუხლიდან სიტყვა „სასამართლოს“ ამოღება. კერძოდ, სასამართლოს ვალდებულება, განმარტოს სამოქალაქო სარჩელის წარადგენის შესაძლებლობა, ახალი რედაქციის პირობებში ხდება უსაგნო. ამდენად, მას ეს ვალდებულება არ უნდა ეკისრებოდეს.

სისხლის სამართლის საქმეზე წარადგენილი სამოქალაქო სარჩელი სახელმწიფო ბაჟით არ იძეგრება. უნდა ითქვას, რომ ხშირ შემთხვევაში დაზარალებულის მხრიდან სამოქალაქო სარჩელის სისხლის სამართლის საქმეზე წარადგენა ამ მიზეზითა განპირობებული. თუმცა აღნიშნული საკითხიც არაა სრულყოფილად მოწესრიგებული. ოურისტ ვ. ფუხაშვილის განმარტებით,<sup>10</sup> საპროცესო შეთანხმების დროს დაზარალებულის პოზიციას არანიარი მნიშვნელობა არ ენიჭება, კერძოდ, სურს თუ არა საპროცესო შეთანხმების დადება და არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანა. ამ დროს პროკურორი ვალდებულია, განუმარტოს განსასჯელს, რომ მას სამოქალაქო პასუხიმგებლობისაგან საპროცესო შეთანხმების დამტკიცება არ ათავისუფლებს, ანუ საუბარია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679<sup>9</sup> მუხლის III ნაწილზე, რომლის თანახმად, დაზარალებულს რჩება უფლება, სამოქალაქო წესით შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი სარჩელი დაიბეგრება ბაჟით, მაშინ, როცა სახელმწიფო, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დებს ნორმას, რომლის მიხედვითაც, იმ პირს, ვისაც ზიანი მიადგა დანაშაულის შედევად, არ უნდა იძეგრებოდეს სახელმწიფო ბაჟით. ოურისტ ვ. ფუხაშვილის აზრით,<sup>11</sup> აღნიშნული ტიპის სარჩელების სამოქალაქო წარმოებაში მიღებისას, საერთო წესების შესაბამისად, მოსარჩელები უნდა გათავისუფლდნენ სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან.

პირს, რომელსაც არ წარუდგენია სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე, ასევე, პირს, რომლის სარჩელი განუხილველი დარჩა, უფლება აქვს, წარადგინოს იგი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ხოლო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით წარადგენილ სარჩელზე უარის მიღება მოსარჩელს უფლებას ართმევს, განმეორებით წარადგინოს იგივე სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის VI-VII ნაწილები).

სისხლის სამართლის საქმეზე სარჩელის უარყოფის შემთხვევაში აღარ შეიძლება მისი წარადგენა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

### სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილება და უარყოფა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის I ნაწილი ადგენს, რომ სასამართლოს უფლება აქვს, მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილოს ან უარყოს

<sup>10</sup> იხ. თსუ იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში დაცული უ. ზაქაშვილის სასემინარო ნაშრომის - „სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართალში“ დანართის აუდიო ჩანაწერი.

<sup>11</sup> იქვე.

## დოკუმენტიანული ფორმა

სამოქალაქო სარჩელი გამამტყუნებელ კანაჩენში. სასამართლო ასევე უფლებამოსილია, მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს ან უარყოს სარჩელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ, სისხლისსამართლებრივი დევნის და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის განჩინებაში (დადგენილებაში) ან სამდიციო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებისა თუ მის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაში (დადგენილებაში) შემდეგ შემთხვევებში: თუ გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა; თუ გამოცემულია ამინისტრის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს ჩადენილი ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან; თუ ვითარების შეცვლის შედეგად ქმედება აღარ არის საშიში და ამავე მუხლის II ნაწილის „ბ” ქვეპუნქტში გათვალისწინებულ შემთხვევაში: თუ გარდაიცვალა ეჭვმიტანილი, ბრალდებული ან ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მისაცემი პირი.

საინტერესო 28-ე მუხლის II ნაწილის „ბ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების, როგორც სამოქალაქო სარჩელის დააკმაყოფილების საფუძვლის, უკეთ განხილვა. იურისტ ვ. ფუხაშვილი გვთავაზობს,<sup>12</sup> განვასხვაოთ სამი შემთხვევა: 1. გარდაიცვალა ეჭვმიტანილი; 2. გარდაიცვალა ბრალდებული; 3. გარდაიცვალა განსასჯელი. პირველ ორ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნია შეწყვება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმის წარმოება საჭიროა გარდაცვლილის რეაბილიტაციისა და ახლად აღმოჩენილ ან ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გამოძიების წარმოებისთვის. ასეთ შემთხვევაში საქმე წყდება წინასწარი გამოძიების ეტაპზე და საქმე ფიზიკურად ვეღარ მივა სასამართლომდე, შესაბამისად, 41-ე მუხლის I ნაწილში სამოქალაქო სარჩელის დააკმაყოფილების ან ნაწილობრივ დააკმაყოფილების საფუძვლად ამ გარემოებაზე მითითება ზემოაღნიშნულ სიტუაციაში უსაგნოა.

იმ შემთხვევაში კი, თუ გარდაიცვალა განსასჯელი, საქმე წყდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 503-ე მუხლის VI ნაწილის „ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად, ადგენს განაჩენს სასჯელის დაუნიშნავად ანუ სასამართლო მაინც იხილავს საქმეს არსებითად და თუ ფაქტობრივ გარემოებებს ჩათვლის დადგენილად. ბუნებრივია, სასარჩელო მოთხოვნა, რომელიც ამ ფაქტობრივ გარემოებებს ეყრდნობოდა და მას ადასტურებს გამოკვლეული მტკიცებულებებიც, სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს. ვინაიდან საპროცესო კანონმდებლობა განსასჯელის გარდაცვალების შემთხვევაში ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელების ვალდებულებას და სასამართლოს ავალდებულებს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის გამოტანას. ამდენად, სასამართლო უნდა გადაწყვიტოს სამოქალაქო სარჩელის საკითხიც განაჩენის დადგენასთან ერთად. მოსამართლე გამამტყუნებელ განაჩენში უთითებს, რომ ზიანის ანაზღაურება უნდა დაეკისროთ დამნაშავის მემკვიდრეებს. კონკრეტულად, მემკვიდრის ვინაობა განაჩენში არ მიეთითება, ვინაიდან სამკვიდრო იხსნება მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვის ვადაში და ამას შემდგომ მოჰყვება დროში გაწერილი სამართლებრივი პროცედურები სამკვიდრო ქონების მემკვიდრეების საკუთრებაში საბოლოოდ გადასასვლელად. შესაბამისად, მოსამართლეს წინასწარ არ შეუძლია განსაზღვროს, კონკრეტულად ვინ უნდა აგოს პასუხი გარდაცვლილის ნაცვლად, თუმცა მოსარჩელის მოვალეებად მოიაზრებიან გარდაცვლილის პოტენციური მემკვიდრეები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის II ნაწილი ადგენს, რომ სასამართლო ვალდებულია, უარყოს სამოქალაქო სარჩელი, თუ სისხლისსამართლებრივი დევნია ან წინასწარი გამოძიება წყდება სსსკ-ის 28-ე მუხლში ჩამოთვლილ შემდეგ გარემოებათა

<sup>12</sup> იქვე

გამო: თუ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება; თუ ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო; თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას; თუ კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება, არაკონსტიტუციურად არის ცნობილი; თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი იმავე ბრალდების გამო ანდა სასამართლოს (მოსამართლის) განჩინება (დადგენილება) იმავე ბრალდებით სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე; თუ პროკურორი უარს იტყვის ბრალდებაზე, ასევე, 28-ე მუხლის II ნაწილში ჩამოთვლილ გარემოებათა გამო, კერძოდ, თუ პირს არ მიუღწევია იმ ასაკისთვის, რომლიდანც დაგება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა და თუ გასულია 75-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ვადა, რომლის მიხედვითაც, დანაშაულის ერთი და იმავე შემთხვევის გამო, პირი ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში შეიძლება მიცემულ იქნეს არა უმეტეს 12 თვისა.

როგორც უკვე ითქვა, სისხლის სამართლის საქმეზე სარჩელის უარყოფა, მოსარჩელეს უფლებას ართმევს, წარადგინოს იყი სამოქალაქო სამართლებრივი წესით. ამის გათვალისწინებით ნიშანდობლივია სასამართლოს მიერ სარჩელის უარყოფის ერთ-ერთი უპირობო საფუძველი, კერძოდ, 28-ე მუხლის II ნაწილის „ა” ქვეპუნქტში გათვალისწინებული გარემოება ანუ, თუ სასამართლოში საქმის მსვლელობისას დადგინდა, რომ პირს არ მიუღწევია სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკისთვის, ეს გარემოება საკმარისი იქნება საქმის შეწყვეტისა და სამოქალაქო სარჩელის უარყოფისთვისაც. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელე საერთო წესითაც ვეღარ აღძრავს სარჩელს. ვფიქრობთ, აღნიშნული ფაქტი უხეშად აკნინებს პირის უფლებას, მოითხოვოს დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება შემდეგი გარემოების გამო:

სამოქალაქო კოდექსის III კარში განხილულია დელიქტური ვალდებულებები. 994-ე მუხლის II ნაწილში ვხვდებით მითითებას: მშობლები ან ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მეთვალყურეობაზე ვალდებული სხვა პირები მოვალენი არიან, ანაზღაურონ ზიანი, რომელიც პირმა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიაყენა სხვას. ამავე მუხლის III ნაწილი კი ადგენს: ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვნი პირი პასუხს აგებს იმ ზიანისთვის, რომელიც მან სხვას მიაყენა, გარდა იმ შემთხვევების, როცა ზიანის მიყენებისას მას არ შეეძლო თავისი მოქმედების მნიშვნელობა გაეგო. იმ შემთხვევაში, როცა ამ პირს არა აქვს საკმარისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, დამატებითი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის წარმომადგენლებსაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოუხედავად სისხლის სამართლის საქმეზე სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტისა, მოსარჩელეს საქართველოს კანონმდებლობა უტოვებს უფლებას, სასარჩელო წარმოება დაიწყოს საერთო წესებით, მაგრამ 41-ე მუხლის II ნაწილი ზღუდავს მის ამ უფლებას. უკეთესი იქნებოდა, თუ ზემოაღნიშნული გარემოება ნაცვლად სარჩელის უარყოფის საფუძვლისა, იქნებოდა სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველი და, შესაბამისად, ნაცვლად 41-ე მუხლის II ნაწილისა, ჩაიწერებოდა 41-ე მუხლის III ნაწილში, რომელიც სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძვლებს ადგენს. ასეთ შემთხვევაში პირი შეინარჩუნებდა შესაძლებლობას, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიემართა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისთვის.

აქვე განხილულ უნდა იქნეს, სამოქალაქო სარჩელის უარყოფის კიდევ ერთი საფუძველი, კერძოდ, სსსკ-ის 75-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ვადის გასვლა, რომლის მიხედვითაც, დანაშაულის ერთი და იმავე შემთხვევის გამო პირი ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში შეიძლება მიცემულ იქნეს არა უმეტეს 12 თვისა და თუ ეს ვადა უშედეგოდ გავიდა, სამოქალაქო სარჩელი ავტომატურად იქნება უარყოფილი. სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის მიხედვით, დელიქტით გმოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების

## დოკუმენტითა ვორუმი

სანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის II ნაწილით სისხლის სამართლის საქმეთა გამო აღმრულ სამოქალაქო სარჩელებზე არ ვრცელდება სამართლის სხვა დარგებში დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები, მაგრამ, ჩვენი აზრით, დაზარალებული დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას არ უნდა კარგავდეს 12-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ და ეს საფუძველი უნდა იყოს მხოლოდ სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველი, ვინაიდნ აღნიშნული უფლება მიგვჩნია უფრო მაღალ ღირებულებად, რომლის დაცვას ხელს არ უნდა უშლილეს მისგან დამოუკიდებული მიზეზებით საბრალდებო დასკრინის შესადგენად მტკიცებულებების არასაჭირო რაოდენობის შეგროვება სისხლისამართლებრივი დევნის ორგანოების მხრიდან და მათ მიერ 12-თვიანი ვადის გაშვება. ამდენად, უფრო სამართლიანი იქნება, თუ აღნიშნული საფუძველი, ნაცვლად 41-ე მუხლის II ნაწილისა, გადავა 41-ე მუხლის III ნაწილში, რაც პირს დაუტოვებს შესაძლებლობას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება საერთო სასარჩელო წესით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, არ განიხილოს სამოქალაქო სარჩელი, თუ არ არსებობს დაზარალებულის საჩივარი კერძო-საჯარო და კერძო ბრალდების საქმეთა გამო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ საქმეთა გამო სისხლისამართლებრივ დევნის ახორციელებს პროკურორი და თუ დაზარალებული შეურიგდა ბრალდებულს კერძო ბრალდების საქმეზე.

### პროკურორის მიერ სამოქალაქო სარჩელის წარდგენა და მსარდაჭერა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მიხედვით, პროკურორი ვალდებულია, წარადგინოს სარჩელი, თუ იმ პირის დანაშაულის ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, რომლის მიმართაც წარმოებს სისხლის სამართლის საქმე, ზიანი მიადგა სახელმწიფოს.

აღნიშნული მუხლი იმპერატიული ხასიათისაა და ცალსახად ავალდებულებს პროკურორს სამოქალაქო სარჩელის წარდგენას სისხლის სამართლის საქმეზე, თუ ამ დანაშაულით ზიანი მიადგა სახელმწიფოს. აღსანიშნავია, რომ, თუკი სისხლისსამართლებრივი დევნი წყდება ბრალდებულის მიმართ, მასთან დადგებული საპროცესო შეთანხმების გამო და სახელმწიფოზე მიყენებული ზიანის ნებაყოფლობით ანაზღაურების შემდეგ პროკურორის ვალდებულება სახელმწიფოზე მიმდგარი ზიანის სამოქალაქო სარჩელის გზით ანაზღაურების შესახებ ხდება უსაგნო. ბრალდებულის მიერ ზიანის ნებაყოფლობით ანაზღაურებისას სადავო აღარ არის ის ფაქტები და გარემოებები, რომლებიც სამოქალაქო სარჩელის წარდგენისა და განხილვის შედეგად უნდა ყოფილიყო მტკიცების საგანი. ზიანის ანაზღაურების შემდგომ კი სამოქალაქო სარჩელის წარდგენა კარგავს სამართლებრივ საფუძველს, ვინაიდნ აღარ არსებობს მოთხოვნის საგანი. ამდენად, უმჯობესი იქნებოდა 37-ე მუხლის პირველი ნაწილის დაკონკრეტება შემდეგნაირად: „პროკურორი ვალდებულია, წარადგინოს სარჩელი, თუ იმ პირის დანაშაულის ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, რომლის მიმართაც წარმოებს სისხლის სამართლის საქმე, ზიანი მიადგა სახელმწიფოს და ეს ზიანი ანაზღაურებული არ არის”.

### დ ა ს კ ვ ნ ა

წარმოდგენილ ნაშრომში განვიხილეთ სამოქალაქო სარჩელის ინსტიტუტი სისხლის სამართლის პროცესში. აღნიშნული ინსტიტუტის სასარგებლოდ ვფიქრობთ, გამოიკვეთა ერთი აშკარა უპირატესობა, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სახელმწიფო ბაჟისგან ათავისუფლებს სამოქალაქო მოსარჩელეს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გარკვეულ წილად უფლებრივად ბოჭავს სამოქალაქო მოსარჩევეს, რაც პირველ რიგში გამოიხატება სამოქალაქო საპროცესო სამართლით აღიარებული დისპოზიციურობის პრინციპის ძირითადი დებულებების შეზღუდვაში (მაგ. სარჩელის სავნის განსაზღვრაში მოსარჩელის ოოლის შეზღუდვა მდევნელი ორგანოს პოზიცით). მეორე მხრივ, გამამტყუნებელ განახენზე მიმტლი სამოქალაქო სარჩელის ბედი არ შეიძლება წარმოადგენდეს მოქალაქისთვის ზიანის ანაზღაურების უფლების დაცვის მყარ გარანტიას. სამოქალაქო სარჩელის სისხლის სამართლის საქმესთან ერთად განხილვა-გადაწყვეტა ეწინააღმდეგება მოსამართლეთა სპეციალიზაციის იღეას და ქმნის გარკვეულ უხერხულობას, რადგან აღნიშნული მოთხოვს დელიქტური ვალდებულებების და მთლიანად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ზემოქმედებით ცოდნას.

გარდა ამისა, წარმოლენილი ნაშრომით შევცადეთ ყურადღება მიგვეკცია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებულ ხარვეზებზე, რომლებიც უდავოდ მოითხოვს სათანადო შესწავლასა და საკანონმდებლო წესით სრულყოფას.

ბიბლიოგრაფია:

**UCHA ZAKASHVILI**  
Competitor for Doctor's Degree  
of Law Faculty of Tbilisi State University

## CIVIC PLEA IN CRIMINAL PROCEDURE

Current criminal law legislation provides for the ability of bringing civic plea within criminal case. Moreover, according to the amendments to Criminal Procedure Code of March 25, 2005, April 28, 2006 and December 29, 2006 the State is entitled to act as civil suitor claiming confiscation of illegal property. Also, the State can file civil action on the damages caused by the crime, against racketeer, official or other criminal defendant.

The institute of civil plea in criminal procedure is not widely researched. There is no Georgian monograph covering this issue. We may say that the reason of such situation definitely is not non-topicality of the institute of civic plea. While Criminal Procedure Code provides for the right of claiming reimbursement of damages and suit can be brought on the criminal case we cannot assume that this element of protecting legal rights is unimportant.

Analyzing the procedure legislations of different countries from the point of view of civic plea as a relevant institute several tendencies can be marked out:

1. Codes of some countries including Belgium, Denmark, England, Wales, Ireland and Scotland, do not consider offence victim as a party. Accordingly, victim does not play an essential role in criminal procedure. Considering that the institute of civic plea relates to the right of victim as a party the institute of civic plea is not developed in the above mentioned countries.

2. Offence victim is considered as a party in criminal procedure and civic plea as mean of realizing victim's rights is recognized by French, Italian, Greek and Spanish criminal procedure legislators.

3. In criminal procedure legislation of Germany victim's rights are equalized to the rights of a witness and the institute of civic plea is considered as purely theoretical concept. Judge may reject the motion as irrelevant without any argumentation.

### Regarding the Question of Historical Development of Civic Plea

“Book of Law on Human Offences” (also known as Law of Agbuga), the 14<sup>th</sup> century monument of Georgian law restored by Ivane Djavakhishvili includes articles and penalties which may be compared to the fine envisaged by current Criminal Code. E.g. obligation of reimbursement of damages can be found in a number of dispositions banning criminal acts. “If a nobleman kills a nobleman he shall reimburse for the blood and if he fails to do so he shall leave his place. His piece of land ..... (this part cannot be read in the original either. Author) he shall be captured and half of his property shall be held by the offence victim till offender reimburses for the blood”.<sup>1</sup>

The article cited from “Law of Agbuga” implies that a nobleman had to pay some reimbursement for killing another nobleman. Till due reimbursement was paid half of the income coming from his piece of land would be taken by offence victim. The law distinctly created legal value (obligation of reimbursing damages) realization of which is provided by the institute of civic plea in criminal procedure. In such case certain forms of demanding reimbursement of damages cannot be discussed.

Like some other researchers Professor Mariam Tsatsanashvili, in her work “General History of State and Law” – says: “Over time paying certain reimbursement for an offence replaced the folklaw of blood feud. This reimbursement is considered as ‘compensation for blood’. Blood is the monetary or material reimbursement which the offender or his family has to pay to the victim or his family in accordance with gravity of the offence and considering material or legal condition of the victim. In European law reimbursing for blood is known as ‘composition’ which means indemnification<sup>2</sup>.

<sup>1</sup>“History of Georgian Law”, Narratives in 12 volumes, Book VI, **Iv. Djavakhishvili**, Tbilisi, 1982, p.407.

<sup>2</sup>“General History of Law and State”, **M. Tsatsanashvili**, Tbilisi, 1995, p.29.

Along with Georgian monuments of law similar wordings can be found in the laws of Eastern and European countries. Before them there was the compilation of Babylon statutes i.e. Statutes of Khamurabi (created in the second half of 18<sup>th</sup> century B.C.<sup>3</sup>) which served as an origin for the custom of reimbursement for blood.

It should be mentioned that even in 1890 A.F. Kon, the procedure expert discussing the specific characteristics of civic plea as a procedure institute said that it is `one of the most disputable and least researched issue in criminal law'<sup>4</sup>. 70 years later analyzing the Soviet criminal procedure science N.N Poliansky came up with the similar conclusion<sup>5</sup>.

The institute of civic plea in criminal procedure has always attracted attention of the scientists researching procedure law. Together with other issues the question of expanding the plea for the purpose of protecting and rehabilitating not only material but also other legal rights and interests of citizens, was also discussed. There were suggested some ideas about considering regressive demands in criminal procedure.

Considering that the question of civic plea was not properly covered in criminal procedure law scientists suggested various ideas of using civil procedure legislation. It should be mentioned that the articles of Criminal Procedure Code regulating the institute of civic plea have many flaws which are not given due attention. The most global question related with civic plea is whether existence of this institute in criminal procedure is necessary<sup>6</sup> and why it should be included in criminal procedure code.

According to V. Vladimerova the advantages of civic plea brought in criminal procedure are:

- a. including civic plea in criminal procedure provides prompt restore of victim's rights;
  - b. solving civic plea helps to come up with right qualification, properly determine civil law consequences of crime and choose fair punishment. Also it is useful for characterizing crime and its gravity and criminal personality;
  - c. helps to exclude opposite conclusions on a criminal case;
  - d. the principle of 'procedural economy' is implemented through civic plea in criminal procedure. By including civic plea in criminal procedure repeated investigation of the circumstances of an offence in other courts can be avoided which helps to save time and costs of prosecution procedures and exclude repeated participation of the same subjects in legal proceedings.
  - e. Both the victim and the accused are released from repeated participation in court proceedings of criminal case first (accused) and then civil case (respondent). Witnesses, translators, experts, etc. are also released and they do not have to interrupt their own work for the second time.
  - f. We should also mention educational role of civic plea for those who participate in the proceedings i.e. it helps to establish confidence that reimbursement of the damages caused by offence is unavoidable and is inseparable part of criminal punishment<sup>7</sup>.

In my opinion V. Vladimirova's approach is incomplete because the arguments suggested by her are not enough either for recognizing or renouncing necessity of any legal institute. Civic plea in criminal procedure has many specific characteristics and without analyzing them thoroughly we should not make such conclusions. Firstly, solving the plea brought on criminal case cannot theoretically be much quicker mean of protection than the one brought in accordance with the general rules of starting civil action. Secondly, determination of civil law consequences of a crime and specifying fair punishment as well as evaluation of criminal personality, characteristics of the crime and its gravity takes place at the stage of initial investigation first and then during judicial inquiry but not while solving civic plea. Thirdly, the sentence passed by the

<sup>3</sup>“General History of Law and State”, M. Tsatsanashvili, Tbilisi, 1995, p.31.

<sup>4</sup>Þðèäè÷åêàÿ ëåòîïèñüá 1891þ 11á N. 40.

Í ïëyíñêèé I.I. I-åðê ðàçâèòëÿ ñîâåòñêé íàóêè â óãî ëîâíãî íðîöåñmà, I. 1960Ñ. 207.

“È è à ø ö Þ . Ó è n p å i é ë Á . I á c í à -å f è à è í n ð ö è ö ð ö à á ð à æ ä á ñ é í à è n è à á õ à è í à ñ í ð ö í ö á m ì à // D ñ í n è è n è à y þ ñ ð ö è ö y . 2001 1 6. n. 43-46.

<sup>7</sup> А.Äëäèìà ðîñâ, "Äðåæäíññêè èñè â óáñ ëí áíñ ïðîöåññâ", Æ. "Óáñ ëíáíñé ïðîöåññ",<sup>1</sup> 10, 2005å. [http://www.arbitr-praktika.ru/Arch/up2005-10\\_2.htm](http://www.arbitr-praktika.ru/Arch/up2005-10_2.htm)

court on criminal case has prejudicial force and it is recognized in civil law process as credible evidence. Thus V. Vladimirova's assumption that solution of civic plea within criminal case helps to avoid opposite conclusions on the same case does not have legal basis. The rest of her arguments refer to saving procedure costs and educational questions which we do not consider worth discussing.

It should be mentioned that under Criminal Procedure Code the principle of disposition recognized by Civil Procedure Code is restrained in certain terms in reference with civic plea. Namely, according to section 1 of article 38 of Criminal Procedure Code the basis of the civic plea is proved and price is determined under the rules of criminal procedure while section III of the above mentioned article states: "the rules stated by civil procedure legislation shall be applied in cases of waiving suit, conceding suit or making bargain provided that the requirements on fixing all elements of the subject of proof at the criminal case are observed. These requirements are given in article 112 of the Code according to which the following elements have to be proved at criminal case:

- a. action (inaction) of the accused or other person;
- b. lawless character of action (inaction);
- c. guilt;
- d. conditions which may have effect on the form and quality of punishment and characterize criminal personality;
- e. character and value of damages caused by crime.

Article 450 of Criminal Procedure Code states: court hearing on a case against criminal defendant shall be carried out within the scopes of the accusation under which the defendant was brought to justice except the case when prosecutor changes accusation in favor of criminal defendant. According to the current legislation while determining the damages priority is given to and the court is obligated not to exceed the limits of accusation determined by the organ executing criminal prosecution. Accordingly, plaintiff at criminal case cannot use the 'disposition principle' recognized in civil procedure to define the subject of dispute.

The basic principles of criminal procedure are publicity and disposition which essentially differs from the principle of disposition recognized in Civil Procedure Code.

According to article 14 of Criminal Procedure Code criminal investigator, prosecutor and court considering public interests `are obligated to determine crime and person who committed it. For this purpose they are entitled to execute all actions under the present Code, with their own initiative as well as on the basis of the motion of an interested party (publicity and disposition). Under section 4 of the above mentioned article "parties have right to use their material-legal procedure rights freely within the limits established by law and according to the stated rules, influence launching of criminal prosecution and solving of criminal case". And according to section 7 if civil plaintiff waives suit or the parties make a bargain action proceedings shall be terminated.

[http://www.law.columbia.edu/center\\_program/law\\_economics/wkshops/2004FallTerm?exclusive=filemgr.download&file\\_id=95185&rctcontentdisposition=filename%3DPosner,+Richard+A.++Fall+04+WS.pdf](http://www.law.columbia.edu/center_program/law_economics/wkshops/2004FallTerm?exclusive=filemgr.download&file_id=95185&rctcontentdisposition=filename%3DPosner,+Richard+A.++Fall+04+WS.pdf)  
“Mezhdunarodnye Otnosheniya”. 2001, pg. 356.

<sup>20</sup>V.V.Bezbach, V.K.Puchinskyi, “Basics of Russian Civil Law”. Moscow. “Zertsalo Teis”. 1995, pg. 120.

**Additional circumstances to be considered in interpreting agreements.** Expressions under an agreement are interpreted along with wording of such agreement upon consideration of other circumstances. Such additional circumstances may precede or follow conclusion of an agreement. Those considerable circumstances are often reinforced under the law. The Civil Code does not set any additional circumstances to be considered upon interpretation. Despite it is impossible and inconceivable to set exact definitions of all of them, but, I believe reference to such circumstances may be only helpful as to courts. Such additional circumstances shall include as follows:

*Pre-contractual negotiations of parties* – upon any long-term contractual relationship, parties often express their will through a Letter of Intent, an Instruction of Proceed, etc. If there exists an agreement by and between parties, following whereto, application of pre-contractual negotiations is imperatively excluded upon interpretation of such agreement, such pre-contractual negotiations shall not apply therefore.

*Practice established by parties in their relationships* – “Performance activity of parties in previous transactions shall be considered upon determination of specific terms of subsequent transactions.”<sup>21</sup> Those rules may not contradict any legislative covenants. “A practice established in bilateral relationship between parties shall mean assessment of circumstance, which allows to judge about prior understanding of various provisions under other preceding agreements by parties.”<sup>22</sup> If either party expresses their will for any new interpretation of covenants, them they shall give a notice thereon to another party through an established procedure.

*Actions of parties after entering in agreement* – Rights and responsibilities of parties are envisaged under an agreement. Upon entering in agreement, parties shall act as per essence of such agreement, and that allows for establishing the parties’ understanding of their rights and responsibilities.

*Type and purpose of agreement* – A type and a purpose of an agreement simplifies establishment of essence of expressions thereunder. “Upon determination of a true mutual will of parties and in consideration of a purpose of agreement, such will shall be established rather for a moment of conclusion of such agreement than interpretation thereof.”<sup>23</sup>

*Meanings of terms and expressions generally acknowledged in corresponding sectors of the entrepreneurship* – In a specific sector of the entrepreneurship, the certain terms bear different meanings. “If both an expressive and an acceptor of will belong to a same business circle, then such acceptor may refer to the fact that s/he construed expressions addressed thereto in the same way as acknowledged by the said circle.”<sup>24</sup> If either party to an agreement does not belong to that sector of business, then the perceptual ability of such acceptor should be considered.

### **Interpretation of Agreement**

*Customs* – In relationships under the Private Law, application of trade customs and traditions shall be recognized by relevant parties. “Trade customs should apply even if either party is unaware or parties disagree on application thereof. However, if parties agree on contractual covenant that they should not apply trade customs, then the latter should be binding therefore.”<sup>25</sup> For instance, INCOTERMS (International Commercial Terms), UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, etc. constitute the codes of trade customs and traditions.

---

<sup>21</sup>**M.I.Braginskyi**, V.V.Vitryanskyi. The above referred work. pg. 269.

<sup>22</sup>“Comments to the Civil Code of Russian Federation”. I Volume. (By-Article). Second edition. Executive Editor O.N.Sadikov. Moscow. 2002, pg. 827.

<sup>23</sup>**L.Chanturia**. The above referred work. pg. 338.

<sup>24</sup>Comments to the Civil Code of Georgia. III Volume. pg. 167.

<sup>25</sup>**I.V.Eliseev**, “Civil and Legal Regulation of International Trade of Goods”. Saint Petersburg. “Yuridicheskyi Tsentr Press”. 2002, pg. 56.

Compliance with contractual terms by parties thereto is binding, if parties make the imperative reference thereto in a contractual wording. “The scope of application of the UNIDROIT Principles is rather wider than of those under INCOTERMS, since they regulate all general issues of conclusion, performance and/or consequences of breach of any international contract,”<sup>26</sup> while INCOTERMS envisages only basics of delivery upon international trade.

**Good faith and fair entrepreneurship principles** – Upon entering in any agreement, parties shall act in good faith. And the fair entrepreneurship principle, along with the good faith principle, serves for protection of interests of parties of civil relationships and sustainability thereof. PECL imperatively forbids exclusion of such obligation from contractual relationships or any limitation thereof.

**Comparative and legal analysis of interpretation of agreement.** Comparison of national legislation with the laws of foreign states as regards to interpretation of agreements allows for fixing the similarities and differences, as well as making various judgements in terms of the law.

**The Continental Law with reference to interpretation of agreements.** Expressed will and interpretation of agreements are referred to in relevant Articles of the code known as Major Codifications. For instance, the German Civil Code (Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands -§133, §157), the German Trade Code (Deutsches Handelsgesetzbuch - §346), the Austrian Civil Code (Allgemeines Bürgerliches Gesetzbuch - §914-916), the French Civil Code (Code civil des Français - §1156-1164), the Spanish Civil Code (Código Civil de España - §1281 - 1289).

The Continental Law acknowledges the subjective interpretation method in general, however, there are some cases of choice in favour of expression as well. In particular, in the German and Austrian Civil Codes, prevalence of the unexpressed will over expressed one of a party is evident in interpreting. The French and Spanish Civil Codes relevantly consider expression of will as well, but, sometimes, set prevalence of expression over the will also.

The German Law family (Germany, Austria) does not provide any interpretation rules as to judges. The interpretation rules are missing in the laws *per se*, however, that does not mean ignorance of the listing of certain circumstances to be considered in interpreting. Simply, such listing is little shorter, than in case of the Roman Law. For instance, the Civil Codes of France and Spain include the whole chapter thereon.

As regards to interpretation of agreements, there exists the applicable Doctrine of Clear and Exact Terms (“clauses claires et précises”) adopted by the cassation court of France. The said doctrine supports the objective interpretation method, following wherefore, interpretation of any dualistic or irrelevant expression shall occur as per true or presumable intention of parties; and as to clear and exact expressions, interpretation is based upon an objective meaning.

**The Common Law with reference to interpretation of agreements.** Interpretation of agreements is characterized by the numerous peculiarities in the Common Law. Firstly, those peculiarities are caused by alternate understanding of the agreement concept in the Common Law *per se*. For instance, in Common Law, a judge is in charge of interpretation of unambiguous wording of an agreement, and juries are in charge of interpretation of ambiguous wordings. And in general, the Common Law acknowledges the objective interpretation method.

The said method is spread over with regard to both the express and unexpress (i.e. implied) agreements. The first occurs as per actually expressed will of parties, and in case of the second one, the law refers to an actual state as an agreement. “A direct express agreement is the agreement expressed in words (in writing or verbally), and an implied agreement is the agreement, whereunder an intention of parties is expressed through their implicative action.”<sup>27</sup>

---

<sup>26</sup>D.Samond, D.Williams, The above referred work. pg. 150.

<sup>27</sup>H.R.Cheeseman, “Business Law”. Legal, E-commerce, Ethical and International Environments. Fifth edition. Upper Saddle River, New Jersey. “Pearson Prentice Hall”. 2004, pg. 192.

As regards to interpretation of agreements, the modern US Contract Law constitutes both the successor of the English Contract Law, as well as the bearer of the differing notions. "In the United States, there exist several sources of the Contract Law, including the Common Contract Law, the Federal Trade Law and the Contract Law Code."<sup>28</sup> The latter includes the model principles of the Contract Law composed by the nomographers and despite frequent application thereto by lawyers and judges, it does not constitute the law.

It shall be noted as well that in Anglo-American Law system, along with the Common Law, there is also operated the so called Equity Law, which constitutes the integrity of consideration differing from the Common Law to the certain extent. The Equity Law constitutes "the doctrine, which allows judges to adopt decisions in good faith based upon fairness, moral rights and the natural law."<sup>29</sup> Following to the existing opinion, the Equity Law rather corrects than contradicts the Common Law.

For instance, while the Common Law prioritizes the objective interpretation of an expressed will, the principles of the Equity Law sound little different: (1) any breach shall be eliminated by assignment of remedies to a sufferer; (2) the Equity Law rather appreciates an intention than a form; (3) a justice seeker shall act justly; (4) a seeker of justice in vindication of justice shall be innocent as to any relationship; etc.

*The formed soviet countries with reference to interpretation of agreements.* The soviet civil law did not provide any relevant meaning of interpretation of agreements and until adoption of the principles of the Civil Law (the so called "Basics of the Civil Law in USSR), there existed no provisions reinforced in law for regulation of the said matter.

Nowadays, the Civil Codes of formed soviet states recognize the norms that refer to both the express will and interpretation of agreements. Consideration of the actual amendments gives an interesting picture based upon the examples from the civil laws of the CIS and the so called Baltic states. In particular, in civil laws of the said countries, the subjective and objective methods of interpretation of a will and expression thereof are referred to the almost evenly.

The objective interpretation method is acknowledged by Russian Federation (Art.431), Byelorussia (Art.401), Uzbekistan (Art.363), Kazakhstan (Art.392), Kyrgyzstan (Art.392), Tajikistan (Art.463), Armenia (Art.447) and the Ukraine (Art. 213 and 637). In particular, in interpreting an agreement, a court takes into account literal meanings of terms and expressions thereunder. "If ambiguous, the literal meaning of an agreement shall be established through comparison of other terms and a general essence of such agreement."<sup>30</sup>

If the rules hereinabove do not allow for establishing essence of an agreement, it should be determined through the true joint intention of parties upon consideration of purpose thereof. Some part of scientists believes that the said view neatly fixes the true intent of parties, however, one may meet those thinking otherwise as well. "The literal interpretation mainly rather clarifies expression of will of parties than truth of their will, which may differ in numerous cases."<sup>30</sup>

The Civil Code of Turkmenistan regulates problems faced upon interpretation like the Georgian Civil Code does, and the Civil Code of Azerbaijan acknowledges both of the interpretation methods (Art.404). Moldova (Art.715-732), Lithuania (Art.6.193-6.195) and Latvia (Art.1504-1510) refer to the interpretation matter the whole chapters, whereunder notions related to both of the interpretation concepts are summarized to the certain extent.

At the same time, it shall be noted that except the Civil Codes of Georgia and Turkmenistan, the Civil Codes of the former soviet states provide for the long list of additional circumstances to be considered in interpreting. Prior negotiations and correspondence between parties, a practice adopted in mutual relationships, customs of business relationships, subsequent action of parties, etc. are referred to as above.

<sup>28</sup>**H.R.Cheeseman.** "Business Law". Legal Environment, Online Commerce, Business Ethics and International Issues. Sixth edition. Upper Saddle River, New Jersey. "Pearson Prentice Hall". 2006, pg. 153.

<sup>29</sup>**V.A.Belov.** "The Civil Law". General Part. Textbook. Moscow. JSC "Tsentr Yurinfor". 2002, pg. 260.

<sup>30</sup>**A.D.Koretskyi.** "Theoretical and Legal Basics Doctrine of Agreement". Saint-Petersburg. "Yuridichaskyi Tsentr Press". 2001, pg. 176.

Finally, the arguments set hereinabove neatly prove topicality of the matter of interpretation of agreements, as well as necessity and importance of study thereof. We may conclude that interpretation shall not mean only perfunctory clarification and serve for establishing the essence.

#### **BIBLIOGRAPHY**

1. The Civil Code of Georgia. Tbilisi. “Bona Causa”. 2007.
2. The German Civil Code. Second edition. Series of “German and European Laws”. Moscow. “Walters Cluver”. 2006.
3. The German Trade Code. Series of “German and European Laws”. Moscow. “Walters Cluver”. 2005.
4. The Austrian Civil Code (Allgemeines Bürgerliches Gesetzbuch – in German)  
<http://www.ibiblio.org/ais/abgb1.htm>
5. The Civil Code of France (Code civil des Français – in French)  
[http://www.napoleon-series.org/research/government/c\\_code.html](http://www.napoleon-series.org/research/government/c_code.html)
6. The Civil Code of Spain (Código Civil de España – in Spanish)  
[http://noticias.juridicas.com/base\\_datos/Privado/cc.html](http://noticias.juridicas.com/base_datos/Privado/cc.html)
7. The Civil Code of the Republic of Lithuania (in English)  
[http://www3.lrs.lt/pls/inter2/dokpaieska.showdoc\\_e?p\\_id=245495](http://www3.lrs.lt/pls/inter2/dokpaieska.showdoc_e?p_id=245495)
8. The Civil Code of the Republic of Latvia. Saint-Petersburg. “Yuridichaskyi Tsentr Press”. 2001
9. The Civil Code of Russian Federation, the Civil Code of Moldova, the Civil Code of Tajikistan (in Russian)  
<http://www.cis-legal-reform.org>
10. The Civil Code of Uzbekistan, the Civil Code of Kazakhstan, the Civil Code of Kyrgyzstan (in Russian)  
<http://lawlib.freenet.uz>
11. The Civil Code of Azerbaijan, the Civil Code of Armenia, the Civil Code of Byelorussia (in Russian)  
<http://grants.rinti.ru>
12. The Civil Code of Turkmenistan (in Russian) <http://www.tax.gov.tm/russian/law068ru.html>
13. The Civil Code of the Ukraine (in Russian) <http://jguard.ru>
14. INCOTERMS 2000 (INCOTERMS 2000 - in Russian) <http://www.vescc.com/incoterms2000.htm>
15. United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (in Russian)  
[http://www.cisg.ru/content/download/cisg\\_ru.pdf](http://www.cisg.ru/content/download/cisg_ru.pdf)
16. UNIDROIT Principles of International Commercial Contracts 2004 (in English) <http://www.unidroit.org>
17. The Principles of European Contract Law (in English)  
<http://www.jus.uio.no/lm/eu.contract.principles.part1.1995/>
18. US Uniform Commercial Code (in English) <http://www.law.cornell.edu/ucc/ucc.table.html>
19. Comments to the Civil Code of Georgia. I Volume. Tbilisi. “Samartali”. 1999.
20. Comments to the Civil Code of Georgia. III Volume. Tbilisi. “Samartali”. 2001.
21. K.Zvaiger, H.Hotz. “Introduction of the Comparative Law in Private Law”. v.II. Tbilisi. “Jisaya”. 2001.
22. L.Chanturia. “Introduction of General Part of Georgian Civil Law”. Tbilisi. “Samartali”. 2000.
23. Z.Akhvlediani. “The Law of Obligation”. Second Edition. Tbilisi. “Samartali”. 1999.
24. Digest of the Georgian Private Law. I Volume. Tbilisi. “Saya”. 2004.
25. A.Kobakhidze. “The Civil Law”. Tbilisi. “Sakartvelos Matsne”. 2001.
26. T.Zambakhidze. “Basics of Legal Regulation of Electronic Trade (Problems and Prospects)”. Georgian Law Review. 8/2005-1/2.
27. “Towards a European Civil Code”. The Hague/London/Boston. “Kluwer Law International”. 1998.
28. “Principles of European Contract Law”. Part I and II. The Hague/London/Boston. “Kluwer Law International”. 2000.
29. Contract Law. Selected source materials. Selected and edited by S.J. Burton. St. Paul. Minn. “West Publishing Co”. 1995.

30. "The Law of contract". By G.H. Treitel. Ninth edition. London. "Sweet & Maxwell". 1995.
31. H. R. Cheeseman "Business Law". Legal, E-commerce, Ethical and International Environments. Fifth edition. Upper Saddle River, New Jersey. "Pearson Prentice Hall". 2004.
32. H. R. Cheeseman "Business Law". Legal Environment, Online Commerce, Business Ethics and International Issues. Sixth edition. Upper Saddle River, New Jersey. "Pearson Prentice Hall". 2006.
33. R. L. Miller, G. A. Jantz "Business Law Today". Third edition. St.Paul/Minneapolis/New York/Los Angeles/San Francisco. "West Publishing Company". 1994.
34. R. August "International Business Law". Text, Cases and Readings. Fourth edition (International edition). Upper Saddle River, New Jersey. "Pearson Prentice Hall". 2004.
35. Contract - <http://en.wikipedia.org/wiki/Contract>
36. R. A. Posner "The law and economics of contract interpretation" –  
[http://www.law.columbia.edu/center\\_program/law\\_economics/wkshops/2004FallTerm?exclusive=filemgr.download&file\\_id=95185&rtcontentdisposition=filename%3DPosner.+Richard+A.++Fall+04+WS.pdf](http://www.law.columbia.edu/center_program/law_economics/wkshops/2004FallTerm?exclusive=filemgr.download&file_id=95185&rtcontentdisposition=filename%3DPosner.+Richard+A.++Fall+04+WS.pdf)
37. "Comments to the Civil Code of Russian Federation". I Volume. (By-Article). Second edition. Executive Editor O.N.Sadikov. Moscow. 2002.
38. A.B.Borisov. "Comments to the Civil Code of Russian Federation". (Article-by-article). Second edition. Moscow. "Knizhnyi Mir". 2003.
39. M.I.Braginski, V.V.Vitryanski. The Contract Law. I Volume. Moscow. 2000.
40. A.D.Koretskyi. "Theoretical and Legal Basics Doctrine of Agreement". Saint-Petersburg. "Yuridichaskyi Tsentr Press". 2001.
41. Y.V.Romanets. "System of Agreements in Russian Civil Law". Moscow. "Yurist". 2001.
42. A.Y.Plotnikov. "The New INCOTERMS – 2000». Contents, practice of application, comments. Moscow. 2002.
43. V.A.Belov. "The Civil Law". General Part. Textbook. Moscow. JSC "Tsentr Yurinfor". 2002.
44. I.A.Pakrovskyi. "Key Problems of the Civil Law". Moscow. "Statut". 2001.
45. "The Roman Private Law". Textbook. Edited by I.B.Novitskyi and I.S.Pereterskyi. Moscow. "Yurist". 1996.
46. I.Pukhan, M.Polenak-Akimovskyi. "The Roman Law". (Translation from Macedonian). Moscow. "Zertsalo-M". 2003.
47. I.B.Novitskyi. "The Roman Law". Moscow. "Teis". 1998.
48. D.Samond, D.Williams. "Basics of the Contract Law". Moscow. "Inostrannaya Literatura" Publishing House. 1955.
49. O.S.Yoffe. "The Obligation Law". Moscow. "Yuridicheskaya Literatura". 1975.
50. V.A.Enson. "Contract Law". Moscow. "Yuridicheskaya Literatura". 1984.
51. K.Koch, U.Magnus, P.Winkler v.Mohrenfels. "International Private Law and Comparative Jurisprudence". Moscow. "Mezhdunarodye Otnoshenia". 2001.
52. V.A.Savelyev. "The German Civil Code". Moscow. "Yurist". 1994.
53. "The Civil Law". Textbook. Edited by A.P.Sergeyev and Y.K.Tolsty. Sixth edition. Moscow. "Prospect". 2006.
54. G.Lask. "US Civil Law". Moscow. "Inostrannaya Literatura" Publishing House. 1961.
55. I.V.Eliseev. "Civil and Legal Regulation of International Trade of Goods". Saint Petersburg. "Yuridicheskyi Tsentr Press". 2002.
56. "Problems of the Civil and Entrepreneurial Laws in Germany". Translation from German. Moscow. BEK Publishing House. 2001.
57. A.Y.Bushev, O.A.Makarov, V.F.Popopopolou. "The Commercial Law of Foreign States". Moscow/Saint-Petersburg /Nizhnyi Novgorod/Voronezh/Rostov-on-Don/Ekaterinburg/Samara/Kiev/Kharkov/Minsk. "Piter". 2003
58. D.Y.Mayer. "Russian Civil Law". Part I. Moscow. "Statut". 1997.  
<http://lawref.narod.ru/uchebn/meier1/meier1.htm>
59. V.V.Bezbach, V.K.Puchinskyi. "Basics of the Russian Civil Law". Moscow. "Zertsalo Teis". 1995.

### თემა სუბიტაშვილი

იგანე ჯაფახიშვილის სახელობის  
თბილისის საქართველოს უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

### ხელშეკრულების განხილვის თანახედროვა ქართულ სამრეკლამო სამართალში

საბჭოთა პერიოდში საქართველოში ხელშეკრულების განმარტებას ღეგალური ხასიათი არ გააჩნდა. საქართველოს 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსი და არც საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსი ხელშეკრულების განმარტების რაიმე სახით დეფინიციას არ შეიცავდა. პირველად საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის 52-ე, 337-ე, 338-ე, 340-ე, 345-ე, 350-ე მუხლებში პჰოვა აღილი გარიგებისა და ხელშეკრულების განმარტების ზოგადმა დებულებებმა, რამაც ქართულ ცივილისტიკაში დასაბამი მისცა ხელშეკრულების ახსნა-განმარტების სამეცნიერო კვლევას.

დღევანდლამდე საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით ტაბუდადებულ ხელშეკრულების ახსნა-განმარტებას სამეცნიერო კვლევის გზა გაეხსნა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო პრაქტიკაში სამოქალაქო ხელშეკრულებების ახსნა-განმარტება დღეისათვის ხშირად არაკალიფიციური და მეცნიერულ საფუძვლს მოკლებულია. ფიქტურობთ, ამის გამომწვევი მიზეზი უპირველესად ხელშეკრულების მეცნიერული ახსნა-განმარტების სიმწირეა, მით უფრო, ქართულ ენაზე. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 21 ივლისის №2ბ/ 801-06 განჩინებას, რომლის სამოტივაციო ნაწილით სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლი (ბეს ცნება) განმარტებულია გაურკვევლად და დამახინჯებულად: „აღნიშნული ნორმის შინაარსიდან, ასევე, ნასყიდობის ხელშეკრულების არსიდან გამომდინარე, ბე არის ძირითადი ხელშეკრულების ნაწილი და იგი იდება მხარეთა შორის ძირითადი ხელშეკრულების დადგის უზრუნველსაყოფად“. ვთვლით, რომ სასამართლო „ბეს“ ნამდვილ არს რომ ჩასწერდომოდა, მას ამავე კოდექსის 153-ე მუხლთან შეპირისპირების გზით უნდა გაერკვია მისი, როგორც უზრუნველყოფის საშუალების, აქცესორული ბუნება და მიხვდებოდა, რომ ბე ძირითადი ხელშეკრულების დადგის უზრუნველსაყოფად კი არ იდება, არამედ ის უკვე არსებული ხელშეკრულების მოთხოვნების უზრუნველყოფის საშუალებაა.

სამოქალაქო სამართლის სუბიექტები ურთიერთ შორის ხელშეკრულებას სხვადასხვა ფორმით დებენ – ზეპირად, წერილობით, მოქმედებით, უმექმედებით, დუმილით და სხვა. დღეს ელექტრონული ტექნიკის არნახული განვითარების პირობებში ნების გამოვლენის საშუალებებიც ახალ ფორმებს იძენს. იმისათვის, რომ ნების გამოვლენამ დასახულ მიზანს მიაღწიოს, იგი უნდა გაკეთდეს გარკვევით, არაორაზროვანად, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა გარიგების მონაწილე მხარეები მოქმედების ერთგვაროვან ფორმაში სხვადასხვა შინაარსს დებენ. რაკი გარიგების ნამდვილობა იმაზეა დამოკიდებული, სწორად გაიგო თუ არა მეორე მხარემ ის, რისი თქმაც ნების გამოვლენ პირს სურდა, ნათელი ხდება, თუ რა მნიშვნელოვანია მეორე მხარის მიერ გამოვლენილი ნების სწორად გაგება. მხარეების მიერ დიდი მცდელობის მიუხედავად, რომ ხელშეკრულებაში მათი ნება სრულყოფილად და გასაგებად დააფიქსირონ, ხშირად არ აქცევენ ყურადღებას ისეთ საკითხებს, რომელთა მნიშვნელობა მათთვის მხოლოდ მოგვიანებით ხდება ცნობილი. ინტერპრეტატორის ამოცანაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დაადგინოს და გაარკვიოს გარიგებაში გამოხატული გაურკვევლი მომენტები, სინამდვილეში

რას გულისხმობდნენ მხარეები და სწორად გაიგო თუ არა კონტრაპენტმა მეორე მხარის მიერ გამოვლენილი წება.

სელშეკრულების განმარტების აუცილებლობის შესახებ გ. შერშენევიჩი წერდა, რომ კონტრაქტებმა რაოდენ ყურადღებით და სრულყოფილადაც არ უნდა განსაზღვრონ სელშეკრულებაში თავიანთი პირობები, ისინი ბოლომდე მაინც ვერ ითვალისწინებენ ყველა იმ საკითხს, რომელიც შეიძლება მომავალში წამოიჭრას. ამიტომ ნათელი ხდება, თუ სელშეკრულების დიდი ნაწილი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, რატომ საჭიროებს მისი შინაარსის განმარტებას.<sup>1</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში ორი განსხვავებული შეხედულება არსებობს იმის შესახებ, თუ რა ხერხითა და საშუალებებით უნდა განიმარტოს ხელშეკრულება. მაგალითად, პროფესორ გ. ხუბუას აზრით, „განმარტების ხერხები ერთმანეთისაგან შეიძლება განვასხვავოთ განმარტების ობიექტის მიხედვით. მაგალითად, კანონი განსხვავებული ხერხებით უნდა იყოს განმარტებული, კიდრი – ხელშეკრულება“<sup>2</sup>.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ უკულიო დე ლა მორანდიერი წერს: თუ ხელშეკრულების შინაარსში რაიმე გაუგებრობა წარმოიშვა, სასამართლო ვალდებულია, იმგვარადვე განმარტოს ის, როგორც – კანონი. ამასთან, ის ვალდებულია, გამოიყენოს იგივე ხერხები და საშუალებები, რა ხერხებსაც და საშუალებებსაც მიმართავს იგი კანონის განმარტების დროს, რისთვისაც იგი ვალდებულია, პირველ რიგში ახსნას მხარეთა საერთო, ნამდვილი ნება.<sup>3</sup> ამავე აზრს იზიარებს, პროფესორი ლ. ჭანტურიაც და თვლის, რომ გარიგების, ანუ ნების გამოვლენის განმარტება ემსგავსება კანონის განმარტებას. ორივე შემთხვევაში ზუსტდება ბუნდოვანი, საუკუო აზრი. იგი განსხვავებას კი მხოლოდ იმაში ხედავს, რომ კანონის განმარტებას ზოგადი სასიათი აქვს, ე.ი. სავალდებულოა ან გამოიყენება უკელას მიმართ და მიზნად ისახავს კანონის ბუნდოვანი ადგილების ერთგვარი გაგების უზრუნველყოფას. გარიგების განმარტების მიზანი კი უფრო კიწროა – გარიგების მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთობის გარკვევა, ამიტომ ამგვარ განმარტებას ძალა აქვს მხოლოდ გარიგების მონაწილეებისათვის.<sup>4</sup>

მიგვაჩნია, რომ ჟიულიი დე ლა მორანდიერი და პროფესორი ლ. ჭავჭურია სრულიად სამართლიანად მიუთითებენ კანონისა და ხელშეკრულების ახსნა-განმარტების ერთიან ბუნებაზე. ეს თუნდაც იმით აიხსნება, რომ კანონის განმარტება, ისევე, როგორც ხელშეკრულების განმარტება, ერთ მიზანს ემსახურება. ეს მიზანი მათი ურთიერთმისადაგებაა. განმარტების ობიექტიც ხშირად ანალოგიურია. მაგალითად, არასწორი, ორაზროვანი გამონათქვამი, ამიტომ მათი ახსნა-განმარტების მეთოდებიც ერთნაირი იქნება, მაგალითად, გრამატიკული (სიტყვა-სიტუაციი) განმარტება.

ზემოაღნიშვნულის მიუხედავად, შეუძლებელია, არ შევჩერდეთ იმ თავისებურებებზე, რაც, კანონის განმარტებისაგან განსხვავებით, ხელშეკრულების განმარტებისათვის იყოს დამახასიათებელი, მაგრამ ეს თავისებურება ეხება არა კვლევის საშუალებებსა და ხერხებს, არამედ ობიექტს. კანონის ახსნა-განმარტებისას დავას იწვევს საკითხი, თუ ამ განმარტების დროს რა უნდა დადგინდეს, ანუ რა უნდა იყოს კვლევის საგანი – კანონის ნება თუ კანონმდებლის ნება. მართალია, ხელშეკრულების ახსნა-განმარტების დროსაც უნდა დადგინდეს

<sup>1</sup>oþ. **Á Øåðøåíâæð.** Ó-åáíèéú ðóññèàãi áðàæäàíñèàãi íðàâà. Í . 1912ã ñoð. 521.

<sup>2</sup> ინგილოვა ხუბუა. სამართლის თეორია. თბილისი - 2004 წ. გვ. 151.

<sup>3</sup>nb. **Æ þeé èí áá éà lì ðòå íá üå ð.** Áðææááññéíà lì ðòåáí Óðåáíöéé. lìñéåà - 1960 á. ñòð. 299-300.

<sup>4</sup> იხ. ლ-ჭარტურია. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბილისი - 1997წ. გვ.333.

## დოქტორანტთა ფორუმი

ოფერენტისა და აქცეპტანტის ნება ზოგადად, მაგრამ აღნიშნულის გარდა მეცნიერებაშიც და პრაქტიკაშიც ჩნდება კითხვები: ხელშეკრულების განმარტებისას რა არის მთავარი? ოფერენტისა და აქცეპტანტის ნებისმიერი მოქმედების რომელ ეტაპზე უნდა შეჩერდეს ინტერპრეტატორის ყურადღება – გამოვლენილ ნებასა თუ მათ შინაგან ნებაზე?

მაგრამ, სანამ უშაალოდ შევეხებოდეთ ხელშეკრულების მხარეთა ნებასა და ნების გამოვლენას, გვინდა შევეხოთ ლიტერატურაში ამასთან დაკავშირებით გამოთქმულ კიდევ ერთ სადაცო საკითხს, კერძოდ, რომელ კატეგორიას განეკუთვნება ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ნება და გარეგნულად გამოხატული ნება – ფსიქოლოგიურს თუ სამართლებრივს? პროფესორი ლ. ჭანტურია თვლის, რომ ნების გამოვლენა სამართლებრივი ცნებაა, სამართლებრივი ინსტიტუტის „ერთი შეხედვით შეიძლება წარმოიშვას შთაბეჭდილება, რომ ნების გამოვლენა ფსიქოლოგიის კატეგორიაა. ასეთი აზრი ლოგიკურია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნება წარმოადგენს ფსიქოლოგიის კატეგორიას, მაგრამ სამოქალაქო სამართალში ნების გამოვლენა (ხაზგასმა ეკუთვნის ლ. ჭანტურიას) წმინდა სამართლებრივი ცნებაა, სამართლებრივი საშუალება იმ ქმედობის გამოსახატავად, რომლის მიზანია განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა. თუმცა ეს არ გამორიცხავს ნების გამოვლენის ანალიზისას ფსიქოლოგიისადმი მიმართვას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს, როცა ნების გამოვლენის ნაკლზე ან სხვადასხვა ზემოქმედების შედეგად გამოვლენილ ნებაზე იქნება საუბარი. მიუხედავად ამისა, დღევანდელ სამოქალაქო სამართალში გაბატონებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც ნების გამოვლენა არის სამართლებრივი ცნება, სამართლებრივი ინსტიტუტი.“<sup>5</sup>

პროფესორ ლადო ჭანტურიას მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით ორი გარემოების გამო: პირველი, ცნობილია, რომ მეცნიერების ამა თუ იმ დარგის თავისთვადობას, დამოუკიდებლობას მისი კვლევის საგანი და მეთოდი განსაზღვრავს. სამოქალაქო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული საგნის ცნება მოკლედ შეიძლება ასე ჩამოვალიბოთ: იგი არის ქონებრივი და პირადი ხასიათის ურთიერთშეფასებითი საზოგადოებრივი ურთიერთობა, ხოლო ამ ურთიერთობის კვლევის მეთოდი მხარეთა იურიდიული თანასწორობაა. აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისით თვით პროფესორი ლ. ჭანტურია არ „გამორიცხავს ნების გამოვლენის ანალიზისას ფსიქოლოგიისადმი მიმართვის“ საჭიროებას, ანუ თვითონვე აღიარებს, რომ ნების გამოვლენის კვლევა (შესწავლა) ფსიქოლოგიის საგანია. შესაბამისად, ნება და ნების გამოვლენა სამოქალაქო სამართლის კვლევის საგნად ვერ იქნება გაგებული და მეორე, როგორც ციტირებული ტექსტიდანაც ირკვევა, პროფესორი ლადო ჭანტურია „ნების გამოვლენას“, „ნებისმიერი მოქმედებისაგან“ (ხაზგასმა ჩვენია თ.ს.) დამოუკიდებლად განიხილავს, მაშინ, როდესაც იგი „ნებისმიერი მოქმედების“ ერთ-ერთ პერიოდს შეადგინს და მისი მთლიანისაგან ამოგდება, საერთოდ გაუგებარს გახდის ნების და ნების გამოვლენის თეორიებს საერთოდ. მაგრამ ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ რაკი ნებისმიერი მოქმედება ფსიქოლოგიის კატეგორიაა, უარი ვთქვათ მის გამოყენებაზე. გარიგება ნების გამოვლენა და ამიტომ ვერც სამოქალაქო სამართლის მეცნიერება აცდება ნებელობის პრობლემის კვლევას. მაგრამ რაკი სამართალს არ ძალუს „ნებისმიერი მოქმედების“ დამოუკიდებლად კვლევა, საჭირო შემთხვევაში სამართალმა მეცნიერების შესაბამისი დარგის, მოცემულ შემთხვევაში, ფსიქოლოგიის მეცნიერების მიღწევებით უნდა იხელმძღვანელოს.

როგორც უკვე ითქვა, ხელშეკრულების განმარტებისას დიდ ინტერესს იწვევს მხარეთა ნებისა და გამოვლენილი ნების საკითხი. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობას განსხვავებული პოზიცია ეკავა. ერთი უპირატესობას ანიჭებდა „ნების თეორიას“, მეორე –

<sup>5</sup>ხ. ლ. ჭანტურია. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბილისი - 1997წ. გვ.330.

„ნების გამოვლენის თეორიას“: მათ შორის განსხვავება კი იმაში მდგომარეობდა, რომ, როცა ნება და ნების გამოვლენა ერთმანეთს არ შეესაბამებოდა, უნდა გარკვეულიყო, რომელი თეორიისთვის მიუნიჭებინათ უპირატესობა.

ხელშეკრულების განმარტების წესსა და საშუალებებზე თანამედროვე რუსულ სამოქალაქო სამართლები მუცნილ იურისტთა შორის ერთიანი აზრი არ არსებობს.

როგორც მ.ბრაინის კი აღნიშვნავს, „ნების თეორიის“ მიხედვით, ხელშეკრულების შესაბამისი პირობები არარსებულად არის მიჩნეული და სასამართლოსთვის მას მნიშვნელობა არა აქვს, ხოლო „ნების გამოვლენის თეორიის“ მიხედვით, სასამართლო უკულვებელყოფს ხელშეკრულებაში დაშვებულ შეცდომებს და ხელშეკრულებაში გადმოცემულ პირობებს ნამდვილად აღიარებს, ანუ იმის ნამდვილობაში, რაც მხარეებმა გამოხატეს ხელშეკრულებაში, ეჭვის შეტანა აღარ შეიძლება. ამ დებულებას გერმანელი და რუსი სპეციალისტები შესაბამის ენაზე მხატვრულად გამოთქვამენ: „Ein ann – Wein ort“, „ჩემი ამ ია ბი ამასტები - ია წერასტე“,<sup>6</sup> ქართულ ენაზე კი ეს დებულება შესანიშვნავი ფრთიანი გამოთქმით შეიძლება გამოვხატოთ – „გაფრენილ სიტყვას უკან ვერ დაიბრუნებ“ და თუ კარგად დავუკვირდებით მას, ადგილად აღმოგაჩენთ, რომ „ნების თეორია“ მიმართულია სუსტი მხარის (შეცდებილი მხარის) უფლებების დასაცავად, ხოლო „ნების გამოვლენის თეორია“ მიმართულია შეცდენილის კონტრაპენტის უფლებების დასაცავად და საბოლოო ჯამში, ფართო გაგებით, ეს მეორე თეორია იცავს გარიგებას და შესაბამისად ბრუნვის ინტერიერებს.<sup>7</sup>

ნებისა და ნების გამოვლენის ურთიერთშეფარდებით მნიშვნელობა საერთოდ გარიგებებისა და კერძოდ ხელშეკრულებისათვის დიდი ხანია აქტიურად განიხილება სპეციალურ ლიტერატურამი. მსჯელობის საგანი უპირატესად იმას ეხება, თუ რატომ და რისთვის განწყდა კანონში ნებისა და ნების გამოვლენის პოზიციის გამომსატველი ნორმები და რაში მდგომარეობს მათი არსი. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მრავალი ავტორის მიერ გამოთქმული სხვადასხვა შესხდეულებების კლასიფიკაციას შეეცადა 6. რაბინოვჩი და ისინი სამ ჯგუფად დაყო:<sup>8</sup> პირველ ჯგუფს მიაკუთვნა „ნების თეორიის“ მიმღევარი ავტორები, რომლებიც თვლიან, რომ როცა ნება შეცნობადია და შესაძლებელია ნამდვილი აზრის (შინაარსის) დადგენა, დავის წარმოშობის შემთხვევაში უნდა მივწიროთ ნებას; მეორე ჯგუფს მიაკუთვნებს იმ ავტორებს, რომლებიც პირიქით თვლიან, რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ნების გამოვლენას, რომ, თუ ნება სათანადოდ არ არის გამოვლენილი, არც ნების შინაარსზე მსჯელობა შეიძლება; და ბოლოს, ავტორთა მესამე ჯგუფს განეკუთვნებიან ისინი, რომლებიც შემოიფარგლებიან მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ გამოვლენილი ნება უნდა შესაბამისობის ნებას, მაგრამ არ სახავნ საკითხის გადაწრის

<sup>6</sup>ibid. Ії е ді аñеèé Е.А., Іñíїâíûå їðíáëåìû ãðàæäàíñêïâî їðàâà. Іñíñêâà – 2001ã. ñòð. 237.

**i. Äðaaééñééé, Á.Äéðöýíñééé, Áíáí áidöííá íðaaí, eíéää iäðaaý, línéää – 2001á ñöð. 264.**

**Đaáéñíäé÷ Í.À.,** Íåäáéñòåéòåéüíñòù ñääééë è åå íñéåáñòåéý, Ëåíéñåðå -1960å ñòð. 6 è íñé.

გზებს. თვით ნ. რაბინოვიჩი კი მივიღდა იმ დასკვნამდე, რომ ნების გამოვლენისა და ნების შეუთავსებლობის შემთხვევაში, თუკი ნება შეცნობადია და ხელშეკრულება საერთოდ ნამდვილად უნდა იყოს (წონილი, უპირატესობა უნდა მიერიჭოს ნებას და არა ნების გამოვლენას.<sup>9</sup>

დღეს მოქმედი რუსეთის სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე, მ.პრაგინსკი განმარტავს, რომ გარიგება არის ნებელობითი აქტი და რომ გარიგების საფუძველს ნება წარმოადგენს. სწორედ ამიტომაა, რომ ოვალთმაქცური და მოჩენებითი გარიგებები, სადაც, ერთ შემთხვევაში, საერთოდ არ არსებოს ნება, ხოლო მეორე შემთხვევაში ნება დაფარულია და ე.ი. შეიცავს ხარგებს (ნაკლიანია), ასეთი გარიგებები მიჩნეულია ბათილ გარიგებებად და აქედან გამომდინარე, ასკვის, რომ გარიგების ნამდვილობისათვის გამოვლენილი ნება უნდა შეესაბამებოდეს მხარის ნამდვილ ნებას.<sup>10</sup>

კ-ცვალებულტი და ჰ-კოტცი იხილავენ რა კონტინენტური ევროპის ქვეყნების კოდექსების მიერ შემოთავაზებულ ხელშეკრულების განმარტების პრინციპებს, უკმაყოფილებას გამოოქვამენ (განსაკუთრებით კი ფრანგული სამოქალაქო კოდექსის მიმართ) და საეჭვოდ მიიჩნევენ მათ ღირებულებას. კოდექსის ამოცანა არ არის, წერენ ისინი, მოსამართლისათვის პრაქტიკული ლოგიკის სავარჯიშოთა კრებული გახდეს და აიძულოს იგი ზეპირად ისწავლოს მატერიალურ-სამართლებრივ შინაარსს მოკლებული სამართლის გამოყენების ტექნიკური წესები, არამედ ხელშეკრულების განმარტებისას მოსამართლე ღრმად უნდა ჩასწვდეს განსახილველი საქმის გარემოებას, რადგან საკანონმდებლო წესების ნებისმიერი მშრალი განზოგადება მხოლოდ შეცდომის მომტანა, ამიტომ განმარტების წესები ერთობლივად უნდა შეიმუშავოს სასამართლო პრაქტიკაში და დოქტრინინაში.<sup>11</sup>

კ-ცვაიგერტისა და ჰ-კოტცის ფრანგული სამოქალაქო კოდექსისადმი „გულისწყრომა,“ კვიფრობთ, მთლად გამართლებული არ უნდა იყოს. მართალია, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1157-1164-ე მუხლები თვითონ განმარტავს ნების გამოვლენის ზოგიერთ ნაკლს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს არ შეიძლება აღვიქვათ როგორც მოსამართლეზე ზემოქმედებისა და მისთვის „ტექნიკური წესების“ დაზეპირების მცდელობა. ამის ნათელი მაგალითს იძლევა დასახელებული კოდექსის 1156-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს სრული თავისუფლება ეძღვავა ხელშეკრულების მხარეთა ნების გამოვლენის დადგენაში.

არაერთმნიშვნელოვანია გერმანული სამოქალაქო სჯულდების პირობები ხელშეკრულების განმარტებასთან მიმართებაში. სჯულდების 133-ე პარაგრაფში ნათქვამია, რომ **ნების გამოვლენის** განმარტებისას უნდა გაირკვეს ხელშეკრულების მხარის ჭეშმარიტი ნება, რაც უდავოდ იმაზე მიანიშნებს, რომ უპირატესობა ენიჭება **ნების გამოვლენას**, ხოლო იქვე 157-ე პარაგრაფში კითხულობთ, რომ ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერად, სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებათა გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში კანონი 133-ე პარაგრაფისაგან განსხვავებით სრულ თავისუფლებას ანიჭებს ინტერპრეტატორს, უპირატესობა მიანიჭოს ნების ან ნების გამოვლენის ოფირიას. სწორედ ამის გამო გერმანული კომპარატივისტები სინაზულს გამოოქვამენ, რომ გერმანულმა სამართალმა ვერ გადალახა ნებასა და ნების გამოვლენის ოფირიებს შორის არსებული წინააღმდეგობა.<sup>12</sup> სინაზულს გამოოქვამენ იმის გამოც, რომ პრაქტიკაში იშვიათია შემთხვევები, როდესაც შეიძლება პარტნიორთა ნამდვილი ნების დადგინა და რაკი ასეა,

<sup>9</sup>በ. **Đàáèíâè÷ Í.À.** ደაሳხელუბუሉ እაሸርዻሙ, በቃጪ፡

<sup>10</sup>ib. I. Áðææíñééé, Å.Åèòðýíñééé. Äíâí áíðííá íðåáí, éíéää íåðâàÿ, línñéâà – 2001ã. ñòð. 170.

<sup>11</sup> ის. კონტად ცვაგერტი, ჰაან კოტცი. შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სკურრეში. ტომი II. თბილის – 2001 წ., გვ. 87.

<sup>12</sup> იხ. კონრად ცვალევრტი, ჰან კოტც. შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში. ტომი II. თბილის – 2001 წ., გვ. 89.

მოქმედებს ნების გამოვლინება, რომლის აზრი უნდა შეესატყვისებოდეს გონიერი ადამიანის მიერ მასში ჩადებულ აზრს.

იმ თავისებურებათა გამო, რაც კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართლისაგან განასხვავებს საერთო სამართალს, ამ უკანასკნელზე უფრო დაწვრილებით შევჩერდებით. ინგლისისა და ამერიკის სასამართლოებში დიდი ხანია დამკვიდრებულია წესი, რომლის მიხედვით ხელშეკრულების განმარტებისას მნიშვნელოვანია არა მხარეთა ნება, არამედ მისი გარეგნული გამოვლინებები და არასოდეს გადაუხვევენ ამ წესს. საერთო სამართლის მიხედვით, ხელშეკრულება გონების მდგომარეობა კი არ არის, არამედ მოქმედება და ამ სახით უნდა გაირკვეს ქცევის შედეგი. მხარეები უნდა გასამართლდნენ არა იმის მიხედვით, თუ რა ჩაიფიქრების, არამედ მათი ნათქვამის, ნაწერის ან ნამოქმედარის მიხედვით. ეს მოთხოვნა ფორმალურად ყველა სამართლის სისტემისათვის კი არის დამახასიათებელი, მაგრამ ინგლისურ-ამერიკული სამართლისათვის მას შეუქცევადი ხასიათი აქვს. ინგლისელი ავტორები ჯ. სალმონიდი და ჯ. ვილიამისი წერდნენ, რომ ნება, რასაც კანონი ამა თუ იმ სამართლებრივ შედეგს უკავშირებს, არის არა ფარული, მხარის გამოუვლენი სურვილი, არამედ ისეთი ნება, რაც იმგვარად არის გარეგნულად გამოვლენილი, რომ დაინტერესებულ პირს და მოსამართლეს, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, იძულებითი ძალით აღჭურავს, რათა შეძლოს მისი შინაარსის გაგება. შეუ საუკუნეების საერთო სასამართლოს უმაღლესი სასამართლოს ცნობილი მოსამართლის – ბრაინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ადამიანის აზრი რომ კონტროლს არ ექვემდებარება, ეს გაცვეთილი ჭეშმარიტებაა, ადამიანის აზრს თვით ეშმაკიც ვერ გაიგებს“.<sup>13</sup>

ანალოგიურ აზრს გამოთქვამს ამერიკელი პროფესორი ჰ. რამდენადაც ხელშეკრულება ვალდებულების თავის თავზე ნებაყოფლობით აღებას ეფუძნება, ოფერენტის მიერ წინადაღების გაქოთხა უნდა მოხდეს ხელშეკრულების დადგების განზრახვით. ამიტომ განზრახვა ოფერტის არსებით პირობას წარმოადგენს. სასამართლოს მიერ განზრახვის შემოწმება შხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით ხდება. განზრახვის სუბიექტურ კრიტერიუმს – თუ ნამდვილად რა ჰქონდა მხედველობაში ხელშეკრულების მონაწილე მხარეს – მნიშვნელობა არა აქვს. განზრახვის არსებობა-არარსებობის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მტკიცების სახით გამოიყენოს ის, თუ რას ფიქრობდა იგი, ე. ი. როგორი იყო მისი შინაგანი რეაქცია მომხდარის მიმართ. ამ საკითხს საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვს, – ასკვის ჰ. ლორენს კ. კლასკი.<sup>14</sup>

ამრიგად, სრული დამაჯერებლობით შეიძლება ითქვას, რომ ინგლისურ-ამერიკული სამართალი ცალსახად და მტკიცედ იცავს ხელშეკრულების განმარტების ისეთ გაგებას, „ნების გამოვლენის თეორია“ რომ ჰქონდა.

საქართველოს 1923 წლის და 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსები ხელშეკრულების ახსნა-განმარტების შემცველ რაიმე ნორმას არ იცნობდნენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ხელშეკრულების ახსნა-განმარტებები საერთოდ არ ხდებოდა და არ ექცეოდა ყურადღება, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში ნებისა და ნების გამოვლენის თეორიებისადმი დამოკიდებულება ძირითადად მქაცრი და ერთგვაროვანი იყო. ბევრი ავტორი, ვინც კი ამ საკითხს შეეხბოდა, მცირე კომენტარით შემოიფარგლებოდა იმის თაობაზე, რომ გარიგების მონაწილე მხარის ნების გამოვლენა უნდა შეესაბამებოდეს მის შინაგან ნამდვილ ნებას და რომ წინააღმდეგ შემთხვევაში გარიგება ბათილად იქნებოდა

<sup>13</sup> იხ. **Нà წíà է Աèëüýն.** Ինíîâû աîâî աî ծíîâî իðàâà. իåðââî ա ն աíâèèèñêîâî. լինêâà – 1955â. հòð. 26

<sup>14</sup> იხ. **Ա Էանե.** Աðâæäâíñêîâ իðàâî ՆØÀ. իåðââî ա ն աíâèèèñêîâî. էçä. էíñòðàííàÿ ըèòåðåòóðà. լինêâà – 1961â. հòð. 62. օàìæå հòð. 86.

ცნობილი. <sup>15</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკნაც შესაბამისი კეთდებოდა, რის მიხედვითაც უპირატესობა ნების თეორიას ენიჭებოდა. საერთოდ კი, როგორც უკვე აღინიშნა, ნებისა და ნების გამოვლენის თეორიისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანი იყო.

თანამედროვე პირობებში საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების სამოქალაქო კოდექსების დამოკიდებულება ხელშეკრულების განმარტებასთან დაკავშირებით, ფაქტობრივად, ერთნაირია. მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1156-ე მუხლში გადმოცემულია ხელშეკრულების ახსნა-გნმარტების ზოგადი დებულება, რომლის მიხედვითაც, „შეთანხმებათა განმარტებისას პირველ რიგში უნდა გაირკვეს, თუ როგორი იყო ხელშეკრულების მონაწილე მხარების განზრახვა და არ შევჩერდეთ მის სიტყვასიტყვით შინაარსზე.“ კოდექსის 1156-ე მუხლის მოძღვნო 1157-1164-ე მუხლები კი ხელშეკრულების ცალკეული პირობების განმარტებებს ეხება. მაგალითად, 1158-ე მუხლში ნათქვამია, რომ ორაზროვანი გამონათქვამი ისე უნდა გავიგოთ, რაც უფრო მეტად მიესადაგება ხელშეკრულების შინაარს; 1162 მუხლი – შეთანხმების საეჭვოობისას იგი უნდა განიმარტოს იმ მხარის საწინააღმდეგოდ, რომელმაც გამოხატა ეს პირობა და იმ მხარის სასარგებლოდ, რომელმაც იკისრა გაღდებულება და სხვა.

გერმანიის სამოქალაქო სჯულდებაში ხელშეკრულების განმარტების ზოგადი დებულებები ორ ნორმაშია გადმოცემული – 133-ე და 157-ე პარაგრაფებში. 133-ე პარაგრაფში ნათქვამია, რომ „ნების გამოვლენის განმარტებისათვის უნდა გაირკვეს მხარეთა ჭეშმარიტი ნება და მხოლოდ სიტყვასიტყვითი გამონათქვამის აზრით არ დავემაყოფილდეთ (არ დავეყრდნოთ).“ ამ ნორმის შინაარსობრივი გაგრძელებაა 157-ე პარაგრაფი – „ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების მოთხოვნათა საფუძველზე და სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებათა გათვალისწინებით.“

რუსეთის ფედერაციის მოქმედმა სამოქალაქო კოდექსმა სხვა სიტყვებით გაიმეორა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსისა და გერმანიის სამოქალაქო სჯულდების ხელშეკრულების განმარტების ზოგადი დებულებები.

სასამართლოს მიერ ხელშეკრულების პირობების განმარტებისას მხედველობაშია მისაღები მასში სიტყვებისა და გამონათქვამების სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა. ხელშეკრულების პირობების სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა, ბუნდოვანების შემთხვევაში, დაინდება მთლიანად ხელშეკრულების პირობებსა და შინაარსთან შეპირისპირების გზით.

თუ მოცემული მუხლის პირველ ნაწილში შემცველი წესებით არ დგინდება ხელშეკრულების შინაარსი, მაშინ უნდა გაირკვეს მხარეთა ნამდვილი საერთო ნება ხელშეკრულების მიზნების გათვალისწინებით (რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 436-ე მუხლი).

1923 და 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსებისაგან განსხვავებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა, კონტინენტური ევროპის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით გარიგების (ხელშეკრულების) ახსნა-განმარტებას საქმიან ადგილი დაუთმო. კოდექსის 52-ე მუხლი გადმოგვცემს ხელშეკრულების განმარტების ზოგად პირობებს – „ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან“. მაგრამ ქართული სამოქალაქო კოდექსი ხელშეკრულების განმარტების მხოლოდ ზოგადი დებულებებით არ კმაყოფილდება და

<sup>15</sup> იხ. მაგალითად, ტბანა-ჟერა ი. ა. ა ესეაა წიას ადამიანის იდას ი. ი. ი. მას ადამიანის იდას ი. ა. ტბანა-ჟერა 1985 წ. 222; პ. ა. ა ესეაა წიას ადამიანის იდას ი. ი. მას ადამიანის იდას ი. ა. ტბანა-ჟერა 1979 წ. 220; პ. ა. ა ესეაა წიას ადამიანის იდას ი. ი. მას ადამიანის იდას ი. ა. ტბანა-ჟერა 1990 წ. 79 და სხვა.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მსგავსად, ხელშეკრულების ცალკეული პირობების განმარტებასაც ახდენს. მაგალითად, 337-ე მუხლი იძლევა ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამების განმარტების წესს: თუ ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამები შეიძლება გაეგებულ იქნეს სხვადასხვაგარად, მაშინ უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმას, რომელიც ჩვეულებრივ მიღებულია ხელშეკრულების დამდები მხარეების საცხოვრებელ ადგილზე. თუკი მხარეებს სხვადასხვა საცხოვრებელი ადგილი აქვთ, გადამტყვეტია აქცევაზე საცხოვრებელი ადგილი, ხოლო 338-ე მუხლი მრავალმნიშვნელოვნი გამონათქვამების განმარტებას ეხება: „ხელშეკრულებაში ურთიერთგამომრიცხველი ან მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ გამონათქვამს, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება ხელშეკრულების შინაარსს“.

როგორც ვხედავთ, კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამოქალაქო კოლექტები ხელშეკრულების განმარტებას ერთგვაროვნად ახორციელებენ. ხელშეკრულების განმარტების მოწესრიგებელი ნორმების სისტემა ორი ჯგუფისაგან შედგება. პირველს განებუთვნება ზოგადი დებულებები, ხოლო მეორე ჯგუფის ნორმებით მოწესრიგებულია ხელშეკრულების ცალკეული პირობების განმარტების თავისებურებები. ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელოვანია ხელშეკრულების განმარტების ზოგადი დებულებები, რადგან სწორედ ისინი იწყებს დაკას როგორც პრატიციაში, ისე — მეცნიერებაში.

საქართველოს სამოქადაგო კოდექსის 52-ე მუხლი აღიარებს ხელშეკრულების განმარტების როგორც ნების თეორიას, ისე — ნების გამოვლენის თეორიას, მაგრამ არაფერს ამბობს, თუ რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესი უფლება. ასეა ზემოთ დასახელებულ სხვა კოდექსებშიც და აზრით სხვადასხვაობაც ამით არის გამოწვეული.

1997 წლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოქმედებამდე მოქმედი 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსი, როგორც უკვე ვთქვით, ხელშეკრულების განმარტების ნების და ნების გამოვლენის თეორიის შესახებ არაფერს წერდა, მაგრამ სამართლის ღოქტრინა უპირატესობას ნების თეორიას ანიჭებდა, იქიდან გამომდინარე, რომ ნების გამოვლენა სრულ შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ნამდვილ ნებასთან. მოქმედმა სამოქალაქო კოდექსმა (მუხლი 52-ე) არა პირდაპირ, მაგრამ მაინც ერთგვარი მინიშნებით გააძლიერა ნების გამოვლენის მნიშვნელობა. ამგვარი დასკვნის საშუალებას გვაძლევს 52-ე მუხლის წინადაღება – „არა მარტო და გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრი“, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულების სიტყვასიტყვითი აზრი ყოველთვის უნდა დაღვინდეს. და მაინც იმის მიუხედავად, რომ **ნების გამოვლენა** ყოველთვის ექვემდებარება შეფასებას, არ ნიშნავს ნების გამოვლენის თეორიის უპირატესობას ნების თეორიის მიმართ.

კანონმდებლის საერთო აზრიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, არც ნების თეორიას შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა. ამის საილუსტრაციოდ მოვიყენოთ მოჩვენებითი გარიგება. მაგალითად, მეუღლეებმა ა-ძ და ბ-ძ ურთიერთშორის მოახდინეს ქონების გაყოფა მოჩვენებით, იმ მიზნით, რომ ა-ს კრედიტორებს მოთხოვნის დაქმაყოფილება არ მოეთხოვათ მთლიანი ქონებიდან. თუკი ნების თეორიის პრიმატით ვიხელდებანელებთ, ა-სა და ბ-ს შორის დადებული ხელშეკრულება ნამდვილად უნდა იყოს მიჩნეული, მაგრამ სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლი სრულიად სამართლიანად აღიარებს მას ბათილ გარიგებად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ცალსახად არც „ნების თეორიას“ და არც „ნების გამოვლენის თეორიას“ არ შეიძლება დავუჭიროთ მხარი. ამიტომ სრულიად ვთანხმებით ვრიასანცევის მოსაზრებას, რომ ხელშეკრულება არის სუბიექტური ელემენტის – ნების და ობიექტური ელემენტის – ნების გამოვლენის ერთობლიობა<sup>16</sup>.

პოზიცია, რომ უპირატესობა არც ნების თეორიას და არც ნების გამოვლენის თეორიას არ უნდა მიღებინავთ, უფრო ადგილი გასაგები გახდება, თუ ნებისმიერ მოქმედებას ფსიქოლოგიური

<sup>16</sup> o. Nîâåòñêîå ãðàæääíñêîå ïðàâî . ìñêåà – 1975 å. ñòð.195.

## დოკუმენტთა ფორმი

კუთხით შევხედავთ. ფსიქოლოგიაში დადგენილია, რომ **ნებისმიერი მოქმედება, სუბიექტის მიერ გააზრახული, მიზანდასახული, გაცნობიერებული მოქმედებაა.** „სუბიექტი ჯერ შეაფასებს სიტუაციას, იმსჯელებს მის შესახებ, ამ შეფასების შედეგად გამოიტანს გადაწყვეტილებას, განიზრახავს მოქმედებას და ამ განზრახვის თანახმად იმოქმედებს“.<sup>17</sup>

როგორც ვხედავთ, ნებისმიერი მოქმედება სამი ელემენტისაგან, ანუ როგორც თვით ფსიქოლოგები უწოდებენ, სამი პერიოდისაგან შედგება: პირველ პერიოდს შესაძლებელ მოქმედებათა გაცნობიერება და მათი შეფასება შეადგენს. პირველ პერიოდში შესაძლებელი მოქმედებები აზროვნების საგანს წარმოადგენს, სუბიექტი მსჯელობს სხვადასხვა შესაძლებელი მოქმედების ღირებულებებზე. ეს პერიოდი გონიერივი პროცესია, რაც არ კმარა იმისათვის, რომ ადამიანმა იმოქმედოს. ამისათვის გადაწყვეტილების გამოტანაა საჭირო.

მეორე პერიოდს გადაწყვეტილების გამოტანა შეადგენს. შეფასება, რომელიც პირველ პერიოდში მოხდა, მხოლოდ მოსამზადებელი ოპერაციაა ამ მეორე პერიოდისათვის – გადაწყვეტილების გამოტანისათვის. გადაწყვეტილების მიღება პირველ პერიოდში შესრულებული შეფასების საფუძველზე ხდება.

ნებისმიერი მოქმედების მესამე პერიოდს გადაწყვეტილების პერიოდი შეადგენს<sup>18</sup>. ნებისმიერი მოქმედების, როგორც ფსიქოლოგიური კატეგორიის, პირველი და მეორე პერიოდი სუბიექტის შინაგანი, ნამდვილი, ჭეშმარიტი ნების გამოხატულებაა, ხოლო მესამე პერიოდი პირველი და მეორე პერიოდის შედეგია – შინაგანი ნების გამოვლენაა. ისევე როგორც ნებისმიერი მოქმედების მესამე პერიოდი არ შეიძლება არსებობდეს პირველი და მეორე პერიოდის გარეშე მისგან დამოუკიდებლად, ასევე არ შეიძლება არსებობდეს ნების გამოვლენა ნების გარეშე და პირიქით, ამიტომ ისინი ერთობლიობაში უნდა განიხილებოდეს, რაც ხელშეკრულების განმარტების გადაწყვეტისათვის ნიშნავს: რაოდენ მყაფიოდაც არ უნდა იყოს ხელშეკრულებაში სიტყვასიტყვითი აზრი დადგენილი, ყველა შემთხვევაში უნდა გაირკვეს ან ვივარაუდოთ ნებისმიერი მოქმედების პირველ და მეორე პერიოდში გააზრებული ნების არსებობა და პირიქით, პირველ და მეორე პერიოდში გააზრებული ნამდვილი, ჭეშმარიტი ნების დადგენა თავისთავად არავთარ თურიდოულ შედეგს არ მოგვცემს, თუ არ გვექნა ნებისმიერი მოქმედების მესამე პერიოდი – თუ რაიმე სახით არ იქნა გამოვლენილი ნება. ამიტომაც ნების და ნების გამოვლენის თეორიები მხოლოდ ერთობლიობაში უნდა იყოს განხილული და რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭება, უბრალოდ, შეუძლებელია.

ვფიქრობთ, აღნიშნული პოზიცია სრულიად შეესაბამება ვენის 1980 წლის კონვენციას, რომელიც, საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ, მართალია, ხელშეკრულების განმარტების სპეციალურ ნორმას არ შეიცავს, მაგრამ კონვენციის მე-8 მუხლში განხილულია მხარის განცხადების ან სხვაგარი მოქმედების განმარტების წესი. კერძოდ, კონვენციის მე-8 მუხლის პირველ ნაწილში ნათქვამია: ამ კონვენციის მიზნებისათვის მხარის განცხადება ან სხვაგარი მოქმედება განიხილება მისი განზრახვის შესაბამისად, თუ მეორე მხარემ იცოდა ან არ შეიძლება არ სცოდნოდა, როგორი იყო ეს განზრახვა.

შეიძლება ითქვას, რომ ვენის კონვენციამ „ნების თეორიისა“ და „ნების გამოვლენის თეორიებს“ შორის შეაღებური პოზიცია დაიკავა და ამით განიზრახა ერთობლივად სუსტი მხარის უფლებებისა და ბრუნვის ინტერესების დაცვა და, შესაბამისად, არც ნების და არც ნების გამოვლენის თეორიას არ ანიჭებს უპირატესობას.

<sup>17</sup> იხ. რ.ნათაძე. ფსიქოლოგიის მოკლე კურსი. თბილისი – 1969 წ. გვ. 270.

აშკარაა, რომ ქართული კანონმდებლობა ამ მხრივ არანაირ დატვირთვას არ აძლევს მოპასუხის მიერ სარჩელზე წერილობითი პასუხის წარუდგენლობას და ეს გარემოება არანაირად არ მოქმედებს საქმისწარმოების საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შეცვლაზე, როგორც ეს გერმანულ კანონმდებლობაშია. მოუხდედად მოპასუხის წერილობითი პასუხის არქონისა, საქართველოში საქმის განხილვა ხორციელდება ზეპირი მოსმენით და არც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის უფრო მარტივი სქემა არსებობს, როგორც ეს გერმანულ საპროცესო კანონმდებლობაშია.

როგორც გერმანული, ისე, ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ეხება პროცესზე გამოცხადებული მხარის მიერ საქმის განხილვაში მონაწილეობაზე უარის განცხადებას. გერმანული კოდექსის მსგავსად, ქართული კოდექსის მიხედვით, პროცესზე გამოცხადებლად ჩაითვლება მხარე, რომელიც, მართალია, გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე სასამართლოს მიერ მითითებულ დროს, მაგრამ უარი განაცხადა საქმის განხილვაში მონაწილეობაზე. მართალია, ჩვენი კოდექსი ამ დებულებების შინაარსობრივ დეტალიზებას არ აკეთებს, თუმცა ლოგიკურია, რომ საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე უარი მხარემ შესაძლოა განაცხადოს საქმის განხილვის დაწყებისთანავე, ანდა, არ არის გამორიცხული, რომ მონაწილეობაზე უარი გაცხადებულ იქნეს პროცესის სხვა ეტაპზე. პროცესში მონაწილეობაზე უარის ტოლფასად ასევე შეიძლება ჩაითვალოს, მოუხდედავად გარკვეულ ეტაპამდე მხარის პროცესში მონაწილეობისა, მის მიერ სასამართლო სხდომის თვითნებური ანდა ცერემონიულად დატოვება. უდავოა, რომ ყველა ასეთ შემთხვევაში ეს იქნება მხარის გამოცხადებლობა, რაც, რასაკვირველია, მეორე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, შესაძლოა, გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების

გამოტანის საფუძველი. გერმანული კოდექსის 334-ე პარაგრაფი იხილავს მხარის პროცესში ნაწილობრივ მონაწილეობის შემთხვევასაც, რომელიც გულისხმობს მხარის ისეთ ჩართვას საქმის განხილვაში, როდესაც, იგი მიუხედავად სხდომაზე დასწრებისა და განხილვაში მონაწილეობისა, არ იძლევა განმარტებებს ფაქტებთან, ღოკუმენტებთან ანდა მხარეთა დაკითხვის თაობაზე შეამდგომლობებთან დაკავშირებით. მიუხედავად ასეთი სიტუაციისა, გერმანული კოდექსი გამორიცხავს ასეთ შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. ასეთი გარემოება აშეარად დარჩენილია ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რეგულირების მიღმა, ანუ არცოუ ადვილად მისახვედრი და განსასაზღვრია, როგორ მოიქცევა ქართული მართლმსაჯულების ორგანო, თუ საქმის განხილვის დროს ზემოთ მოყვანილი სიტუაცია შეიქმნება – ჩათვლის იგი მხარის მსგავს, ნაწილობრივ მონაწილეობას პროცესში საქმის განხილვაში მონაწილეობად და უარს იტყვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, თუ უარის თქმად – მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში და მეორე მხარის შუამდვომლობით მიიღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

მართალია, მსგავსი ურთიერთობის წარმოშობისა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რომელიც არეგულირებს სასამართლო წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობას, სასამართლო იყენებს კონის ან სამართლის ანალოგიას, მაგრამ, ვფიქრობთ, უკეთესი იქნებოდა, კანონმდებელმა ეს მეტად ბუნდოვანი საკითხი კონკრეტული ნორმით დაარეგულიროს და არ გახდეს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების საგანი.

ყველა ის გარემოება, რაც ზემოთ იყო ჩვენ მიერ განხილული პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით, ვრცელდება სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროსაც. თუმცა, სააპელაციო სასამართლოში მოსარჩელები შეიძლება პირობითად მოპასუხის ადგილი დაიკავოს, ხოლო მოპასუხებ – აპელანტის, რაც იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ ასაჩივრებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას. საყურადღებოა, რომ ჩვენი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დამატებით მაინც ამასვილებს ყურადღებას სააპელაციო სასამართლოში მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაზე. კოდექსის 387-ე მუხლის მიხედვით დადგენილია, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს სააპელაციო სასამართლოში მხარის გამოუცხადებლობას. თუ საქმის ზეპირ განხილვაზე არ გამოცხადდება სააპელაციო საჩივრის აღმძრელი პირი, მაშინ მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომლითაც აპელანტს უარს ეტყვის სააპელაციო საჩივრის დაკავოფილებაზე. ეს დებულება ზუსტად იმეორებს იმ ურთიერთობის მოწესრიგების წესს, როცა პირველი ინსტანციის სასამართლოში სხდომაზე არ ცხადდება მოსარჩელე. რაც შეეხება გარემოებას, როდესაც სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე, აპელანტის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც (კოდექსის შესაბამისად) შეიძლება დაემყაროს მომჩივანის ახსნა-განმარტებას. ეს ის გარემოებაა, რომელიც სარჩელის დაკავოფილების თაობაზე პირველ ინსტანციაში გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილებისაგან განხილვის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნებს აკმაყოფილებს მომჩივანის ახსნა-განმარტებას საფუძველზე და არა იმ აუცილებელი პირობით, რომ სარჩელის საფუძვლები იურიდიულად ამართლებდეს სასარჩელო მოთხოვნას. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ აპელანტის ახსნა-განმარტება აუცილებლად უნდა შეეხებოდეს სწორედ მოთხოვნის საფუძვლიანობას და არა რაიმე ზოგად განმარტებას, მით უმეტეს, რომ ასეთ შემთხვევაში უნდა მოვიშველიოთ პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას დადგენილი ის წესი, რომლითაც აუცილებელ პირობადაა დადგენილი სარჩელის მოთხოვნათა დაუსწრებელი

## დოკუმენტითა ცორული

გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებისას – სარჩელის საფუძველი იურიდიულად ამართლებდეს და განაპირობებდეს მოთხოვნას. სააპელაციო საჩივრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებისას სააპელაციო საჩივრის დადასტურებულად ჩათვლილი გარემოებები უთუოდ იურიდიულად უნდა ასაბუთებდეს აპელანტის მოთხოვნასაც.

გაცილებით ნათლად გასაგები დებულებებითაა მოცემული სააპელაციო წარმოებისას მხარის გამოუცხადებლობის შედეგები გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, რომლის 539-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მიხედვით აპელანტის გამოუცხადებლობა საქმის ზეპირ განხილვაზე, დამთავრდება დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მისი აპელაციის დაუკმაყოფილებლობის შესახებ, რასაც წინ უნდა უძღვოდეს გამოცხადებული მხარის შუამდგომლობა. იგივე პარაგრაფის მე-2 ნაწილი კი რეგლამენტაციას უკოთხს აპელაციის მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევას: თუ აპელანტი სასამართლოს წინაშე იშუამდგომლებს მოპასუხის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, მაშინ აპელანტის არგუმენტები საქმის გარემოებებთან მიმართებაში ჩაითვლება დამტკიცებულად. თუ რამდენად ასაბუთებს ეს მტკიცებულებები სააპელაციო მოთხოვნებს, მათი დაკმაყოფილებაც ამის შესაბამისად ხდება. თუ ასეთი საფუძველი არ არსებობს, მაშინ აპელაცია არ დაკმაყოფილდება.

გერმანული კოდექსის 539-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის მსგავსად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები. მსგავს შემთხვევებს თუ გადავხედავთ, ეს შეიძლება იყოს პირველ ინსტანციაში მოსარჩელის, ხოლო აპელაციაში აპელანტის განმეორებითი გამოუცხადებლობა პროცესზე, იმ შემთხვევაში, თუ პირველი გამოუცხადებლობისას საქმის განხილვა გადადებულ იქნა, ან იგივე გარემოებებში მოპასუხის განმეორებითი გამოუცხადებლობა, ანდა პროცესზე გამოცხადებული მხარის უარი საქმეში მონაწილეობის მიღებაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აყალიბებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებელობის გარემოებებს და 233-ე მუხლი მიუთითებს, რომ დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, თუ აღმოჩნდება, რომ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებელი მხარე იმავე კოდექსით დადგენილი წესით (რომლებიც კოდექსის 70-78-ე მუხლებითა მოცემული) მოწვევული არ ყოფილა სხდომაზე, ანუ მისთვის ან არ ჩაუბარებიათ სასამართლო უწყება საერთოდ, ან ჩააბარეს მაგრამ ისე, რომ შეზღუდული დროის გამო ვერ შეძლო პროცესზე დროულად გამოცხადება, ან საქმის განხილვისთვის მომზადება ანდა უწყება კი დროულად გადაეცა, მაგრამ თავად უწყება ისე იყო შედგენილი, რომ არ შეესაბამებოდა მისთვის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და არ ირკვეოდა მისი შინაარსი და სხვა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული პირის შუამდგომლობა არ შეიძლება, დაკმაყოფილდეს, თუ სასამართლოსთვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა ისეთი დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენები, რომლებსაც სასამართლოში მხარის დროული გამოცხადებისათვის ხელისშეშლა შეძლო.

არ შეიძლება, ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ საპროცესო კოდექსი ამ შემთხვევაში თავად სასამართლოს უტოვებს უფლებას, გადაწყვიტოს, რომელი მოვლენა მიაკუთვნოს ასეთ შემთხვევებს და, ასევე, იყო თუ არა ესა თუ ის მოვლენა იმ დროს და იმ სიტუაციაში დამაბრკოლებელი გარემოება სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის. ავილოთ, მაგალითად შემთხვევა, როდესაც მხარის პროცესზე გამოუცხადებლობის მიზნად დასახელდა მისი წარმომადგენლის დასწრება სხვა პროცესზე, თუმცა ეს ფაქტი სასამართლოსთვის ცნობილი გახდა წარმომადგენლის განცხადების და არა სხვა ოფიციალური დოკუმენტის (მაგალითად,

სასამართლო უწყების) მეშვეობით. გამოცხადებულმა მხარემ არ მიიჩნია მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი განცხადება საქმარის მტკიცებულებად პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზისათვის და დააყენა შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე. სასამართლომ არ დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა, თუმცა იგი ვალდებული იყო, მხარის პროცესზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის უფრო სანდო მტკიცებულებას დაყრდნობოდა. ამ მაგალითის მიხედვით პარადოქსული ისაა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მიზანი – სასამართლოს ეფექტური მუშაობა, სასამართლო დავების სწრაფი გადაწყვეტა, მხარეთათვის მოტივაციის შექმნა, რომ გამოცხადნენ სასამართლო პროცესზე და მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვაში, არ გააჭირონ იგი, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე შესაძლოა, მათ საწინააღმდეგოდ დამთავრდეს – ამ შემთხვევებში სრულიად უგულებელყოფილ იქნა. სასამართლოს არც კი უცდია, გაერკვა და დაედგინა გამოუცხადებელი მხარის მიერ წარდგენილი მიზეზი, მისი სანდობა და საპატიოობა, რითაც შედეგად მივიღეთ გაჭირობული სასამართლო პროცესი, მაშინ, როდესაც გამოუცხადებელი მხარე სწორედ შესაძლოა დასჯილიყო იმისათვის, რომ არ იზრუნა, სასამართლოში წარედგინა უტყუარი მტკიცებულება. მოუხედავად იმისა, რომ პროცესზე გამოცხადებული მხარე შესაძლოა საფუძვლიანად არ იზიარებდეს ასეთ შემთხვევაში სასამართლოს პოზიციას, ამ დროს ქართველი კანონმდებელი დუშეს იმაზე, თუ როგორ შეიძლება გამოსწორდეს სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, სამწუხაროდ, არაფერს ამბობს იმ შემთხვევაზე, როდესაც შესაძლოა სასამართლო უკანონოდ, მაგრამ მაინც უარი განცხადოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე. უდავოა, რომ აქ თუნდაც ბუნდოვანი ან ბოლომდე გაუშლებელი საპროცესო ნორმების სწორად გამოყენებისათვის პროფესიულ სიმაღლეზე უნდა იდგნენ მოსამართლები, თუმცა მათი არაპროფესიონალიზმი ან უპასუხისმგებლობა მძიმე ტვირთად არ უნდა აწვებოდეს როგორი მიხედვის მხარეს, რაც შესაძლებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი მოქმილი ცვლილებების შედეგად გამოირიცხოს. თუ გარემოებებისა და მოვლენების ჩამონათვალს ვერ დააზუსტებს კოდექსი (რაც ალბათ შეუძლებელია), ის მაინცაა შესაძლებელი, რომ კავითოდ ჩამოყალიბდეს თუნდაც მოვანილი მაგალითის მიხედვით – სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარი სხდომის ოქმი დაფიქსირებული მხარის შეამდგომლობის მარტივი უარყოფით უნდა თქვას თუ განჩინებით გააფორმოს. პირველ შემთხვევაში სასამართლოს არაკანონიერ მოქმედებაზე რეაგირება ნულის ტოლფასი იქნება, რადგან ქართული საპროცესო კოდექსი ასეთ ბერებებს არ შეიცავს. რაც შეეხება განჩინების ფორმით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმას და საქმის განხილვის გადადებას სხვა დროისათვის, აქ ალბათ უფრო მეტადაა შესაძლებელი, თუნდაც პროცესუალური თვალთახდებით, რომ მხარემ კანონიერი რეაგირება მოახდინოს მისთვის მოუღებელ ნებისმიერ ქმედებაზე, რომელსაც იარსებებს მხარისა თუ სასამართლოს მხრიდან. ასეთი განჩინების გასაჩივრებისა და მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში მხარე შეძლებს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას და, შესაძლოა, მისთვის სასარგებლო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებასაც.

ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არა, მაგრამ გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დაწვრილებით რეგლამენტაციას უკეთებს მსგავს შემთხვევას, როდესაც 336-ე პარაგრაფში მიუთითებს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელზეც შესაძლებელია კერძო საჩივრის შეტანა. თუ ეს განჩინება გაუქმდება, მაშინ გამოუცხადებელი მხარე აღარ იქნება გამოძახებული ახალ სხდომაზე. კოდექსის ამ დებულებებიდან ძალიან აღვილია დასკვნის გაკეთება – სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა, უკანონო უარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, გამოსწორდა და ეს მოხდება იმ სხდომის აღდგენით, რომელზეც არ იყო ერთი მხარე და გამოცხადებული მხარე ითხოვდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას.

როდესაც გერმანული კოდექსი ცალსახად უთითებს, რომ ახალ სხდომაზე აღარ იქნება მოწვეული წინა სხდომაზე გამოცხადებელი მხარე, ეს ავტომატურად ნიშნავს იმ შესაძლებლობის აღდგენას, რომ გამოცხადებულმა მხარემ კვლავ მოითხოვოს მეორე მხარის გამოცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა იგივე მოტივაციით და მიიღოს კიდეც იგ. ჩვენი აზრით, გერმანული კოდექსის ამ დებულებების ქართულ კოდექსში ჩადება ბევრად გაამარტივებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება-არმიღებასთან დაკავშირებულ ბევრ სირთულეს და ხელს შეუწყობს საქმითა დროულად და ეფექტურად გადაწყვეტას.

ყველა ქვეყნის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესაძლებლობა, რაც დარღვეული ან სადაცვად გამხდარი უფლების სასამართლო წესით დაცვის ფუნდამენტური უფლების სავალდებულო ელემენტადაა მიჩნეული. სწორედ ამ მიზნით, სახელმწიფოთა სასამართლო სისტემები პირველი ინსტანციის სასამართლოს გარდა, ითვალისწინებს სასამართლო ორგანოთა ზემდგომ როგორებსაც, რომელიც შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით ამოწმებენ ქვემდგომ სასამართლოთა გადაწყვეტილებებს.

საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო სამართლის აუცილებელი წესი, რომელიც განიხილება როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და არსებითი გარანტია საჩივრის შეტანის უფლებისათვის, არის უარესობისაკენ შემობრუნების აკრძალვა (ქართული კოდექსი ასეთ პრინციპს არ ითვალისწინებს). ასე, მაგალითად, საფრანგეთში დადგენილია, რომ იმ მხარის მდგომარეობა, რომელმაც გაასაჩივრა სასამართლო გადაწყვეტილება, არ შეიძლება გაუარესდეს იმასთან შედარებით, რასაც მხარემ მიაღწია პირველი ინსტანციის სასამართლოში. ამ წესიდან გამონაკლისი შეიძლება გახდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებაზე საჩივრი მხორე მხარემაც წარადგინა.<sup>5</sup>

რასაკვირველია, გასაჩივრებას ექვმდებარება სასამართლოს მიერ მიღებული ყველა სახის გადაწყვეტილება, თუმცა, რამდენადაც დაუსწრებელი გადაწყვეტილება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებისაგან ბევრი ნიშან-თვისებით განსხვავდება, გარკვეული თავისებურებებით სასიათდება გასაჩივრების წესებითაც.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 236-ე მუხლის შესაბამისად, პროცესზე გამოცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გაასაჩივროს გადაცემიდან 10 დღეში და მოითხოვოს როგორც ამ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება, ისე, საქმის წარმოების განახლება. თუმცა არ შეიძლება კურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ 236-ე მუხლი ამ უფლების უზრუნველყოფისათვის მხარეს უდგენს, საჩივრით მიმართოს არა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, როგორც ეს ზოგადად ყველა სახის გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვისაა დადგენილი, არამედ თავად ამ გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს. კოდექსის დებულებების მიხედვით, ნათელია ჩვეულებრივი გადაწყვეტილების გასაჩივრების წესებისგან დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების განსხვავება, როგორც საჩივრის განმხილველი სასამართლო ინსტანციის, ისე, გასაჩივრების ვადის მიხედვით.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი უფრო მეტ დროს აძლევს დაინტერესებულ მხარეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის. 339-ე პარაგრაფის მიხედვით, ეს ვადა გადაწყვეტილების გადაცემიდან ორ კვირას შეადგენს. გერმანელი კანონმდებლები უფრო მეტად ცდილობენ ამ ურთიერთობის რეგულირებას იგივე პარაგრაფის მე-2 ნაწილის

<sup>5</sup> 1. კაბიე. აბახანიშეე იძიო ამ ჯანმრთელობის მიზნით. 1 ი წელი 2005. მდ.161.

შესაბამისად, თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილება საზღვარგარეთ უნდა გაიგზავნოს ან პუბლიკაციის მეშვეობით უნდა გამოქვეყნდეს, სასამართლო ცალკე უთითებს გასაჩივრების ვადას თავად დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში, ანდა მოგვიანებით სპეციალური განჩინებით დაადგენს მას. მსგავსი ნორმები ქართულ კანონმდებლობაში არ გვხვდება და არც ისაა ძნელი მისახვედრი, რომ, თუ გერმანული კოდექსით მოწესრიგებულ ურთიერთობა საქართველოშიც წარმოიქმნება, შესაძლოა ბევრი უხერხულობა შეიქმნას მათ დარეგულირებასთან დაკავშირებით. ერთ შემთხვევაში შესაძლოა საზღვარგარეთიდან 10 დღეში საჩივრის გამოგზავნა და ჩაბარება ვერ მოესწროს, მეორე შემთხვევაში კი, რამდენადაც პუბლიკაციის დღე გადაწყვეტილების ჩაბარების დღედ ჩაითვლება, საერთოდ ვერ შეძლოს საჩივრის წარდგნა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გასაჩივრებისათვის ზოგადად დადგენილ საკმაოდ მოკლე ვადაში ვერც პუბლიკაცია აღმოაჩინოს და ვერც საჩივრის მომზადება მოესწროს.

წარმოებაში მიღებული საჩივრის განხილვა ხდება სასამართლო სხდომაზე, რომელზეც კოდექსით დადგენილი წესით მოწევული იქნება ორივე მხარე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 240-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ძეველი რედაქციის შესაბამისად, თუ საქმის სასამართლო განხილვის შედეგად აღმოჩნდებოდა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმებულიყო, სასამართლოს გამოკინდა ახალი გადაწყვეტილება. იგივე მუხლის ღლესაც მოქმედი მე-2 პუნქტი კი უთითებს, რომ თუ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჩივრის დაუკმაყოფილებლობის და გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ. არ შეიძლება, არ შევნიშოთ, რომ მაშინ, როდესაც მითითებული მუხლის მეორე პუნქტი ზუსტ რეგლამენტაციას უკეთებს სასამართლოს მიერ ამ შემთხვევაში გამოცემული აქტისა და ასევე დამდგარ შედეგს, პირველი პუნქტით აბსოლუტურად გაუგებარი იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე რა აქტი უნდა გამოიყა სასამართლოს, ანდა, რას ნიშნავდა და გულისხმობდა ამ პუნქტში მითითებული ახალი გადაწყვეტილება. კოდექსში ამ და მასთან დაკავშირებულ სხვა ბუნდოვანებებზე ჩემს სტატიაშიც – „დაუსწრებელი გადაწყვეტილება – ხარვეზები კანონმდებლობაში“ – მქონდა საუბარი.<sup>6</sup>

აშკარაა, მეორე პუნქტით რისი თქმა სურდა კანონმდებელს, პირველი პუნქტი კი სხვადასხვაგარი ინტერპრეტაციით აღიქმებოდა. ერთი შეხედვით, ამ პუნქტის წაკითხვისას ჩნდება დასკვნა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას სასამართლო აფიქსირებს ახალი გადაწყვეტილებით (სასამართლო აქტით), ანუ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უქმდება გადაწყვეტილებით. ამ ინტერპრეტაციაში შეიძლება ეჭვის შეტანის საფუძველიც არ იყოს, რადგან, იქვე მე-2 პუნქტი აცხადებს, რომ თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ უქმდება, გამოიდის განჩინება (როგორც ასეთი სასამართლო აქტი), რომელითაც საჩივრი არ დაკმაყოფილდება და ძალაში დარჩება დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

პრაქტიკაში ეს საკითხი წესრიგდებოდა გარკვეული ზეპირი მითითებების საფუძველზე და მიუხედავდ იმისა, რომ საპროცესო კოდექსში ამის თაობაზე ვერსად ამოვიკითხავდით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისას მოსამართლებს გამოკინდათ განჩინება, რომელიც უთითებდა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.

მისასალმებელია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 240-ე მუხლის 1-ლი პუნქტი (2006 წლის ახალი რედაქციით) ამჯერად უკვე სრულიად გასაგებად იძლევა პასუხს – დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების ვერდიქტის მიღების შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება, რომლითაც აუქმებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

<sup>6</sup> „იურიდიული მეტზური“ საინფორმაციო, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი №1. თბ. 2005 გვ.15-17.

## დოკუმენტითა ზორ უძი

იგივე კოდექსის 241-ე მუხლი უთითებს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საქმის განხილვა უნდა განახლდეს, თუმცა ეს ფორმულირება აშკარად არ განსაზღვრავს, საქმე იმავე სხდომაზე უნდა განახლდეს, რომელზეც დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა, თუ სხვა სხდომაზე. ასევე ზეპირი მითითების შესაბამისად, პრაქტიკაში სასამართლო იმავე სხდომაზე იწყებდა საქმის განხილვას, თუმცა, ამის შესახებ ცალსახად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოდექსში არ იყო მითითებული. ეს ბუნდოვანება შეიძლება, ზუსტი რეგლამენტაციით არა, მაგრამ მაინც მოხსნა 240-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ახალმა რედაქციაში (2006 წელი), რომელშიც მითითებულია, რომ თუ სასამართლო განჩინებით აუქმებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, ამის შემდეგ იწყება სარჩელის განხილვა. ე.ი. ლოგიკურად საქმის განხილვა გავრმელდება იმავე სხდომაზე, თუმცა შესაძლებელია, რომ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე საქმის განხილვა გადაიდოს სხვა დროისათვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლი უშვებს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. მუხლის ახალი რედაქციიდან არა, მაგრამ ძველი რედაქციიდან აშკარად ირკვეოდა, რომ მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესაძლოა მაშინ გამოვიდეს, როდესაც მხარე, შეიტანა რა სასამართლოში საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ, არ გამოცხადდება სასამართლო სხდომაზე დანიშნულ დროს. აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება, რომ როგორც ძველი რედაქციის მიხედვით „მეორე“ დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ისე ახალი რედაქციის მიხედვით „განმეორებითი“ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილ იქნეს მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელიც აქამდე ერთხელ უკვე არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და ამის გამო მისი ინტერესების საზიანოდ გამოტანილ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სწორედ ამ გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით, მის მიერ შეტანილი საჩივრის განხილვისათვის დანიშნულ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო, შესაძლოა კვლავ გამოვიდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც იქნება მეორე ანდა განმეორებით გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება. დაადგინა რა მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წესი და შესაძლებლობა, 242-ე მუხლში კანონმდებელმა ეს გადაწყვეტილება დაუკავშირა გასაჩივრების საშუალებებს, რომლებზეც ქვემოთ გვეჩნება საუბარი. გასაჩივრების საშუალებებთანაა დაკავშირებული ამ მუხლის ახალი რედაქციით დადგენილი, განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ჩვენი აზრით, მოქმედი ნორმით აპსოლუტურად გაურკვევლია, რას ნიშნავს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აღნიშნული მუხლის 1-ლი პუნქტი აცხადებს, რომ „მხარეს არა აქვს უფლება, საჩივარი შეიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით, თუ მის მიმართ ერთხელ უკვე გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება“. მაგ. როდესაც სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მხარე, რის გამოც მის წინააღმდეგ გამოვიდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლის გასაჩივრების შედეგად ის გაუქმებულ იქნა და განახლდა საქმის წარმოება. იგივე მხარის ერთ-ერთ, რომელიმე მომდევნო სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო, სასამართლომ კვლავ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მისი ინტერესების საზიანოდ. საინტერესოა, როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში ეს პირი? თუ კოდექსის ზემოთ აღნიშნული ნორმის მიხედვით ვიმსჯელებთ, მას უფლება არა აქვს, ასეთ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანოს მის მიმღებ სასამართლოში და შეუძლია მხოლოდ სააპელაციო საჩივრის შეტანა. თუ ქართველი კანონმდებელი 242-ე მუხლის ახალ რედაქციაში სწორედ ამას გულისხმობთ, ამ საკითხის ასე რეგულირება სრულიად არ არის კონკრეტულ ურთიერთობაზე სწრაფად და მოქნილად რეაგირების საშუალება, რადგან საქმე გვეჩნება გასაჩივრებისათვის უფრო გაზრდილ ვადასთან და, შესაბამისად, ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი „განმეორებითი“

დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ამ სიტუაციიდან ბევრს ვერაფერს მოიგებს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსრულებას აღარ ექვემდებარება.

ვფიქრობთ, ამ საკითხთან დაკავშირებით კანონმდებელმა უფრო მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს, რათა არ აღმოჩნდეს, რომ კოდექსის ძევლი რედაქციით მოცემული დებულებები ხშირად გაცილებით უფრო სწორად არეგულირებს ურთიერთობებს, ვიდრე ნორმები ახალი რედაქციით (ასეთი მაგალითი ჩვენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არცთუ იშვიათია).

არ შეიძლება, ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ, როდესაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მსჯელობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხზე, 391-ე მუხლის მე-5 ნაწილში უთითებს: იმ შემთხვევაში თუ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე, ასეთი საკასაციო საჩივრი დასაშვებია და განსახილველად მიიღება მიუხედავად საჩივრის საგნის ღირებულებისა. კოდექსის ამ მუხლის წინა რედაქცია საკასაციო საჩივრის დასაშვებობას ამ და ყველა სხვა შემთხვევაში შემოფარგლავდა საჩივრის საგნის ღირებულებით – 1000 ლარით და ყველა სხვა შემთხვევაში დაუშვებლად მიიჩნევდა საჩივრის, თუმცა, როგორც ჩანს, საჩივრის საგნის ღირებულების კასაციაში დასაშვებობისათვის გაზრდას კანონმდებელმა მიაყოლა საჩივრების დიფერენციაციაც და მათი დასაშვებობისადმი სხვადასხვაგვარი მიღომა, რაც მისასაღმებელია.

იგივეს თქმა არ შეიძლება სააპელაციო საჩივრის დასაშვებობაზე, რადგან კოდექსის 365-ე მუხლი ქონებრივ-სამართლებრივ დავებში დასაშვებად მიიჩნევს ყოველგარი დიფერენციაციის გარეშე ისეთ საჩივარს, რომლის ღირებულება 1000 ლარს აღემატება. თუმცა, რადგან კოდექსი არაფერს ამბობს არაქონებრივი ხასიათის საჩივრებზე, საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში დასაშვებია ყველა მათგანი. სააპელაციო წესით კი საქართველოში შესაძლოა გასაჩივრდეს I ინსტანციის სასამართლოს განჩინება საჩივრის დამაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე, ასევე, დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან ერთად სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 240-ე მუხლის მე-3 ნაწილის ძევლი რედაქციის მიხედვით, სააპელაციო წესით გასაჩივრებას ექვემდებარებოდა როგორც სასამართლოს ახალი გადაწყვეტილება, ისე, მისი განჩინება. აյ საყურადღებოა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა, როგორ მოიქცეს მხარე, რომლის სასარგებლოდაც იყო გამოტანილი ეს გადაწყვეტილება, როცა ის არ ეთანხმება სასამართლოს მოტივაციას გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე და სურს, გაასაჩივროს ეს ვერდიქტი. თუ ადრე 240-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ძველი რედაქცია) მნიშვნელოვანი გასაგები იყო, რა აქტით უნდა გაუქმებულიყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი გასაჩივრებულიყო. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ამ ნორმის ახალი რედაქცია გასაგებად გვამცნობს, რომ, თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, სასამართლოს ამის თაობაზე გამოქვება განჩინება; თუმცა ეს მუხლი გაურკვეველს ტოვებს საკითხს ამ განჩინების სააპელაციო წესით გასაჩივრების თაობაზე. თეორიულად დასაშვებიც რომ იყოს, პრაქტიკულად ეს შეუძლებელია, რადგან დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საქმის განხილვა იწყება მაშინვე, რაც დაინტერესებულ მხარეს საშუალებას არ აძლევს, სააპელაციო წესით გაასაჩივროს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება, მაშინ, როდესაც შესაძლებელია გასაჩივრებულ იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვება. ჩვენი აზრით, ეს გარემოება უხეშად არღვევს იმ მხარის უფლებებს, რომლის სასარგებლოდაც მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა, მით უმეტეს, თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ სასამართლომ შესაძლოა მიკერძოებით გააუქმოს მანამდე მის მიერვე გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

## დოკუმენტი ვორუში

საგულისხმოა ისიც, რომ, თუ მხარე, რომლის სასარგებლოდაც იყო გამოტანილი ახლა უკვე გაუქმებელი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, პროტესტს გამოხატავს და უარს იტყვის, ჩაერთოს განახლებული საქმის განხილვაში, იგი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232-ე მუხლის შესაბამისად, გამოუცხადებელ მხარედ ჩაითვლება და ამას შესაძლოა მოჰყვეს ამჯერად უკვე მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

თუ 240-ე მუხლის მე-3 პუნქტის ძეველი რედაქციის ონტერპრეტაციას მივყვებით, იქ დასახელებული ახალი გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება ეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საქმის ხელახლა განხილვის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების (ახალი გადაწყვეტილების?!?) სააპელაციო წესით გასაჩივრებას, მაშინ გაუგებარია, რატომ დასკირდა კანონმდებელს ამისი დაფიქსირება ამ მუხლსა და ამ კონტექსტში, რადგან ეს ისედაც ნათლად ჩანს კოდექსის 364-ე მუხლის შესაბამისად – სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში. 240-ე მუხლის მე-3 ნაწილი ამ მხრივ გასწორდა – მის ახალ რედაქციაში აღარ არის საუბარი სასამართლოს ახალ გადაწყვეტილებაზე, მაგრამ სამაგიეროდ აღარც იმ განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობასა და წესზე მითითებული, რომლითაც დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა. აღნიშნული ნორმა მიუთითებს მხოლოდ იმ განჩინების სააპელაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობაზე, რომლითაც სასამართლომ უარი თქვა საჩივრის დაქმაყოფილებაზე და ძალაში დატოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

მხარის პრეტენზიაზე, რომ მისცემოდა სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების გასაჩივრების უფლება, სასამართლო უარს აცხადებდა მაშინ, როდესაც არცერთი კონკრეტული ნორმით ეს უარი არ იყო დასაბუთებული. მითითება კეთდებოდა დანერგილ პრაქტიკაზე, თუმცა გაუგებარია, რის საფუძველზე იყო ეს პრაქტიკა დანერგილი. რაც შეეხება ახლანდელ მდგომარეობას, როდესაც 240-ე მუხლის მე-3 ნაწილმა ცალსახა რეგლამენტაცია მოგვცა და სააპელაციო გასაჩივრებას დაუქვემდებარა მხოლოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე გამოტანილი განჩინება, კანონმდებელმა აშკარად მიგვანიშნა განზრახვაზე, რომ ის განჩინება, რომლითაც დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდება, გასაჩივრებას არ დაექვემდებარება (თუ ყურადღებას გადავიტანთ 377-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის მიხედვითაც, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოტანამდე მიღებული ყველა განჩინება, მიუხედავად იმისა, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა, შეიძლება სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი გახდეს, დასაფიქრებელია, ხომ არ შეიძლება, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ განჩინებაც ამ კატეგორიის განჩინებებში მოვაქციოთ? თუმცა, შესაძლოა, ეს საკითხიც რიგ პრობლემებს უკავშირდებოდეს).

ვფიქრობთ, ეს საკითხი სხვა ბევრ საკითხთან ერთად, კანონმდებლისაგან მეტ ფურადღებასა და დახვეწას მოითხოვს. სასურველია, კანონში არ გვქონდეს ბურუსით მოცული, გაუზრებლად დაფიქსირებული და მრავალგვარად წაკითხვადი ნორმები, რომელთა სუბიექტურმა ინტერპრეტაციამ საბოლოოდ სასამართლოს მიერ საქმეში მონაწილე პირთა უფლებების დარღვევასთან შეიძლება მიგვიყვანოს.

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას უკავშირდება გარკვეული შედეგები. ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება კი, ჩვენი აზრით, არის ის, რომ მხარეს, რომლის სასარგებლოდაც გამოვიდა გადაწყვეტილება, შეუძლია მოაგვაროს პრობლემა და აღიდგინოს ის უფლება, რომლის დარღვევის გამოც მან სასამართლოს მიმართა. ასეთი გადაწყვეტილება დაინტერესებული მხარის ინიციატივით, შესაძლოა, დაექვემდებაროს იძულებით აღსრულებას, რასაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 267-ე მუხლი ადგენს.

გარკვეული კატეგორიის, თუმცა საკმაოდ შეზღუდულ ფარგლებში, საქმეებისათვის იგივე კოდექსის 268-ე მუხლი უშვებს მათზე გამოტანილი გადაწყვეტილებების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემას, რაც უკავშირდება ამ გადაწყვეტილებების აღსრულებას მათი გამოტანისთანავე, ანუ აღსრულებას მათ კანონიერ ძალაში შესვლამდე. სხვა სახის გადაწყვეტილებათა გვერდით, რომლებიც ამ მუხლში ძირითადად გვარეობითი ნიშნითაა დადგენილი, წარმოდგენილი იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილებები. 268-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ პუნქტის მიხედვით, დაინტერესებული მხარის შუამდგომლობით დაუყოვნებლივ აღსასრულებლად შესაძლოა გადაცემული ყოფილიყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რა კატეგორიის და ხსიათის დავაზე იქნებოდა ის გამოტანილი. ჩვენი აზრით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულებადობის შესაძლებლობა იყო ის ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი, რაზედაც იდგა დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსი და მხარეთა რიდი მისადმი. ვფიქრობთ, სწორედ ამ გარემოებას შეეძლო მხარის იძულება, რომ თავი არ აერიდებინა სასამართლო პროცესზე გამოცხადებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მისთვის ცნობილი იყო გამოუცხადებლობის შედეგი – მის წინააღმდეგ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მისი სისრულეში მოყვანა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოებათაგანი კი ამ შემთხვევაში ის იყო, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსი – დროულად, სწრაფად გადაწყდეს საქმე – შესრულებული იყო. მართალია, დაუსწრებელი გადაწყვეტილების აღსრულების პარალელურად შესაძლოა მეორე მხარეს გაეგრძელებინა საქმე სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციებში, მაგრამ თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილება სწორად იყო გამოტანილი, ის ძალაში რჩებოდა და მხარე, რომლის სასარგებლობაც იყო გამოტანილი ეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, გაცილებით ადრე მიიღებდა მართლმსაჯულების განხორციელების შედეგს, ვიდრე ეს დადგებოდა II და III ინსტანციის სასამართლოებში საქმის განხილვის შემდეგ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის დღეს მოქმედი რედაქციის მიხედვით, დაუყოვნებლივ აღსასრულებელ გადაწყვეტილებათა შორის აღარ მოაზრება დაუსწრებელი გადაწყვეტილებები, თუმცა, რატომ – საკმაოდ ძნელი ასახსნელია. უცნობია, რა მოტივაციას ეყრდნობოდა და რა მიზნებს ისახავდა კანონმდებელი, როდესაც დაუსწრებელი გადაწყვეტილებები ამოღებულ იქნა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასაცემ გადაწყვეტილებათა ნუსხიდან.

მაშინ, როდესაც ქართველმა კანონმდებელმა საერთოდ ამოიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილებები დაუყოვნებლივ აღსასრულებელ გადაწყვეტილებათა ნუსხიდან, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 708-ე პარაგრაფის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილებები არათუ ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას, ისინი იმ გადაწყვეტილებების კატეგორიაშია, რომელთა დაუყოვნებლივი აღსრულება ყოველგვარი უზრუნველყოფის გარეშე ხდება. გაუგებარი ხდება, რას ემსახურება ქართულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულების დაუშვებლობა. ჩვენთვის პირადად ასეთი დამოკიდებულება აუხსნელია და ვფიქრობთ, დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებების კატეგორიიდან დაუსწრებელი გადაწყვეტილების ამოღება დააკნინებს თავად დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსს, როლსა და მიზანს პროცესის თეორიაში, მითუმეტეს, პრაქტიკაში.

თუმცა, საგულისხმოა, რომ ჩვენს საპროცესო კოდექსში არაერთი ნორმაა, რომლებიც მრავალჯერადი შეცვლის შემდეგ, კვლავ პირგანდელ სახესა და შინაარსს დაუბრუნდა. ვფიქრობთ, 268-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ პუნქტიც გარკვეული დროის შემდეგ ამ კატეგორიის ნორმებში მოეცემა.

IRMA MEREBASHVILI  
PhD Student at Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University Law Faculty

## THE DEFAULT JUDGMENT IN GEORGIAN AND FOREIGN LEGISLATIONS

The protection of civil rights through the Courts is carried out by the declaration of rights, perhaps through the restitution of the situation which existed before the violation of rights or through the prevention of action which infringes the right or through the changing or termination of legal relationships and etc. For achieving this role the Court takes judgment, which by itself constitutes the act of rights' protection.

The court decision is the judiciary act. The court decision must be clear and it has to envisage concrete conclusions. The court should finally settle the dispute between the parties and precisely define existed rights and obligations.

The default judgment is one of the judgments adopted by the Court on civil cases in case of absence of a party and on the basis of the present party's solicitation.

According to the opinion of the famous scholar of the previous century, professor I.E. Engelmann, default judgment is established in procedural legislation in order to deprive the respondent the possibility to evade from court decision because of absence at the court proceedings. During XV-XVI centuries the sanctions established for bringing party before the court in an obligatory way in Italian and German legislations were changed by the norms which envisaged the fact of absence of respondent as a condition to enable the applicant to present his own evidences and conclusions resulted in taking the judgment by the court. Perhaps the judgment taken on unilateral basis could be unreasonable and unfair, but according to the view for that time the judgment adopted on the basis of absence on court proceedings of a party was not subject to changing. The development of norms regulating default proceedings in French procedure served for the elimination of that unfairness, when it was established that the appearance of respondent at court proceedings affected on judgment changing. The default proceedings have been much more developed in German and Austrian legislations with the tendency that the application of default judgment was possible against the plaintiff so that the conclusions of the absent party stayed beyond the attention of the court and the case was decided only on the basis of evidences and conclusions presented by the present party.

Although the change of this judgment was possible, if the absent party would address the court and would appear at the court proceedings for competing against the other party.<sup>1</sup>

It is important, that the default judgment proceedings had the same development in Russian procedure. For the beginning of 20<sup>th</sup> century default judgment was a judgment which was adopted against a respondent who failed to appear before the Court, who had possibility to present his own views but had not done so. This kind of judgment should be adopted against the plaintiff only if he had brought the counter claim and become a respondent in the proceedings.<sup>2</sup>

According to the procedural legislation of the countries which encompasses the norms on the default judgment, the meaning of default judgment adoption is the application of sanction against a party who was convened by the court but has not appeared due to unreasoned failure.

This sanction itself results in taking a judgment which is not in consistence and is against the interests of the absent party. The exceptions to this rule are the circumstances when besides the fact of absence for taking the default judgment it is essential to examine the reasonableness of relieves requested as it is established in Georgia. Or case when the default judgment is taken after the examination of evidences provided by the present party. Also default judgment shall be taken not only after the examination of

<sup>1</sup>I. E Engelmann, Course of Russian Civil Procedure. Iuriev. 1912. p. 370.

<sup>2</sup>See, supra note 1.

evidences provided by the present party, but also after the assessment of all evidences existed in the suit itself.

When only one party is present at the proceedings it is quite impossible to thoroughly examine and assess the circumstances of the case, because the other party does not oppose the first party with its evidences and views. Basing on this opinion default judgment could not reflect reality though it is one of the means to punish the party, which fails and evades from participation in court proceedings without any honorable reason. In case if the party decides to engage in court proceedings, most of the legislations find the appeal of judgment and the case hearing possibility permissible. It is very important to note that the absence of a party at court proceedings shall be equaled with his unwillingness to participate in case hearings.

The default judgment is one of the new institutes which appeared in the civil legislation of the independent Georgia. This institute is represented in our legislation in the same way as it is in the developed countries. This is the opportunity to take the default judgment against both the plaintiff and the defendant in case of absence at court proceedings, when this absence is present despite the notification envisaged by the legislation. The present party makes the solicitation before the court on the adoption of the default judgment. This is possible in both cases at first instance court and at court of appeals.

According to the previous addition of Article 230 of the Civil Code of Georgia if the defendant was not present at the main session of the court and he was notified through the way envisaged by the code than the factual circumstances indicated in the suit would be deemed proved and the court would take the default judgment. This Article which seems theoretically well-defined. Appeared to cause non desirable effects. This is the reason that the Article was reformulated and nowadays the absence of the defendant should not be the basis for taking the default judgment and moreover the ground for unconditional granting of relief.

If the plaintiff would not appear at the main session of the court and he was notified through the way envisaged by the procedural code, the court shall take the default judgment on not granting of relief on the basis of the solicitation of the defendant. In this case two conditions shall be met for taking the default judgment: I. The present defendant has to make solicitation before the court for the taking of default judgment and II. the absence of the plaintiff should not be the result of non notification (i.e. hindering circumstances envisaged by the Civil Procedural Code should not exist for the taking of the default judgment).

The situation when more then one plaintiffs participate in the court proceedings should be kept in mind. It is very important how the case should be decided in case if one or more of the several plaintiffs do not appear before the court. It has to be kept in mind how the complicity from the plaintiffs' side is presented. The case when we are having the complicity on the basis of subparagraphs "b", and "c" of paragraph 1 of Article 86 of the Civil Procedural Code i.e. when the relieves requested are caused of the same grounds; Or the relieves requested are the same despite their basis and subjects and it is quite logical that the court can take the default judgment on the basis of other party's solicitations in case of the absence of one of the accomplices. As to the complicity arised from subparagraph "a" of paragraph 1 of Article 86 of the Civil Procedural Code it is impossible to hear the case without the participation of all subjects of the relationship, because this Article refers to the suit which shall be filed by several plaintiffs together or against several defendants if the subject of the suit is the common right. Accordingly, if one of the accomplices or more are absent at court proceedings and only one accomplice appears, the court can not take default judgment as far as the appearance of the present accomplice before the court means the appearance of all accomplices and the court shall resolve the dispute by the ordinary judgment and not by the default one.

The case when the respondent has not raised the solicitation before the court on the taking of the default judgment because of the absence of the plaintiff is very interesting. According to paragraph 2 of Article 229 the court shall leave the suit unheard or shall appoint the hearing of the case for another time, if the plaintiff is against the leaving the suit unheard. The abovementioned norm makes the imperative declaration, that the court shall take the default judgment in case of repeated absence of the plaintiff. Despite that this part of the norm is much stricter, attention shall be paid on another circumstance, namely there is no essential

condition for taking of the default judgment – the solicitation of the present party on the default judgment adoption. The abovementioned norm indicates that the court itself shall take the default judgment without the consent of the party or his solicitation. Though one of the essential conditions is the clarification of the circumstance whether the absent plaintiff was convened to the court session according to the rules of the civil procedural code or not. If the force-majeure took place which infringed the right of the party to appear before the court and these circumstances became known. Or whether the absent party was notified of factual circumstances of the case or not; or there did not exist any preconditions for filing the suit.

The Civil Procedural Code of Georgia separately refers to the case of absence of defendant. According to the new formulation of Article 230 the essential condition for taking the default judgment on granting the relief is the solicitation raised by the plaintiff before the court (Perhaps this was not even meant under the previous formulation of that article); It is very important that the factual circumstances, which are proved as a result of the absence of the defendant and solicitation raised by the plaintiff, indicated in the suit are legally inconsistency with the relief requested. Otherwise the court would not grant the relief requested to the plaintiff. It is very important to note that the absent defendant should be notified in accordance with the rules of legislation on the court session and the abovementioned hindering circumstances for taking the default judgment should not exist.

The previous formulation of the abovementioned article of the procedural code excluded the two conditions for taking the default judgment – I. The solicitation of the present plaintiff and the most important II. The factual circumstances, which were the basis for taking the default judgment. Though these circumstances of the suit may be inadequate compared with the relief requested. It is very nice that this norm of the code has been transformed and was formulated in a way which excludes granting of relief for illogical and groundless suits through taking the default judgment. If the factual circumstances of the suit do not comply with the relief requested according to the commentary on the civil procedural code “The court shall take ordinary judgment and not the default one and the plaintiff who is present at the court session shall not be granted relief requested”<sup>3</sup>.

Despite the fact that the Civil Procedural Code does not unilaterally define what kind of judgment shall be taken in the abovementioned case default or ordinary one, it is very difficult not to agree with the commentators of the Code, when they state this opinion and if this will be envisaged by the code, the rule of conducting proceedings will be specified too.

The rule of protection of the respondent from taking the default judgment against him is very much specific according to the German Code. It is very easy to grant the plaintiff relief requested if the defendant does not comply with the rules and moreover fails to appear at the court proceedings. Paragraph 276 of the abovementioned Code states that if the Court does not appoint the preliminary hearing of the Case, the respondent must notify the Court in a written way during two weeks from the submission of the suit that he intends to protect himself from the suit. The defendant is also given additional two weeks for the preparation of his official position on the suit which shall be sent to the plaintiff for consideration and answer. If the defendant misses the two week term and fails to notify the Court on his position whether he intends to protect himself from the suit or not, than the Court defines the hearing of the case without the oral proceedings and of course the plaintiff has no difficulties to request the adoption of default judgment against the defendant on granting the relief.<sup>4</sup>

It has to be noted that the Civil Procedural Code of Georgia like the provisions of the Civil Procedural Code of German envisages the sending of suit and enclosed documents to the defendant at the preliminary stage of a the case in order to enable the respondent to prepare his official answer on the suit and on the enclosed documents. The Georgian Code unlike the German one does not encompass the issue of asking the respondent whether he intends to protect himself from the suit or not. There should be the case when the defendant does not agree with the suit but he himself does not intend to actively take part in the court

---

<sup>3</sup>T. Liliashvili, V. Khrustali. The Commentary on the Civil Procedural Code of Georgia. Tbilisi 2007. p.392.

<sup>4</sup>Civil Procedural Code of German. Moscow 2006. p. 91.

proceedings and entrusts to the Court to decide the case without attending the Court proceedings. The defendant shall not even notify the Court on his absence. To my mind, it is very important that Georgian Code envisage any definite provisions referring to those relationships.

Despite that the Georgian legislation lacks this detail, attention should be paid on another circumstance. Notwithstanding the fact that the respondent is officially requested to present his answer on the suit to the court during the definite time of period, the non-fulfillment of this obligation does not cause any negative results.

In spite of the fact that Article 206 of the Civil Procedural Code of Georgia declares the obligations of parties and states that the failure of presenting written materials or conducting a certain action, which was instructed by the court, derogates the party's right to conduct such action at the main hearing of the case by the court. It is very difficult to identify whether this article applies to the fulfillment of the obligation by the defendant which was instructed by the court namely referring to the obligation to present his position and opinions to the court on the suit during a definite period of time. Examining the court cases it is very difficult to discover even a single example when the failure to present the written position on the suit created some problems for the defendant and the plaintiff easily was granted the relief. Attention is not paid to the fact whether the defendant presented his written position on the suit or not in Georgian court proceedings and it must be said that the hearing of the most of the cases starts without written position of the defendant in the case materials. The most of the defendants protect themselves from the suit through the explanations made during the oral hearing of the case (in case if he has not presented the counter claim because of the case circumstances) and the fact of non-existence of written answer does not create any problems by procedural point of view. In the similar case as it was stated above, German code directly indicates in paragraph 276 that the failure of the defendant to send written answer to the court, enables the court not to appoint the oral hearing of the case upon the solicitation of the plaintiff, which clearly will not serve the defendants position as far as he can not protect himself from the suit. This will be the condition for taking the default judgment on granting the relief to the plaintiff (in case if the circumstances indicated in the suit are clearly linked to the relief requested).

It is clear that the Georgian legislation does not pay attention to the failure of the respondent to present the written answer on the suit and this does not effect on the changing of the rule of proceedings established by the procedural code as it is established in German legislation. Despite the non-existence of the written answer of the defendant, the hearing of the case is carried out through oral hearing in Georgia and the default judgment taking scheme is not easy at all as it is in German procedural legislation.

The conflicting parties have no right to take measures for evacuation of children to a foreign country, unless these children are their citizens, although there are exceptions as well, especially when things come up to the health and treatment of the children or when evacuation is necessary for their safety. Evacuation of children can only take place under a written consent of the parents or a guardian. If such persons prove to be unavailable, then the consent of those individuals, who have a legal obligation to take care of such children, will be necessary. During the whole evacuation period, continuous learning process will be ensured for the children and in compliance with the will of their parents, religious and moral studies will also be included in the curriculum.

While rearing children, the environment in which the children will grow is of paramount importance. Therefore, by protecting children's families, the international humanitarian law also protects those moral values, religion, culture and traditions in which the child is growing.

---

<sup>16</sup>Prosecutor v. Foday Saybana Sankoh, Issa Hassan Sesay, Morris Kallon and Augustine Gbao  
(case NoSCSL – 2004-15-PT)

<sup>17</sup>Prosecutor v. Charles Ghankay Taylor (Case NoSCSL – 03-01-1)

<sup>18</sup>Prosecutor v. Thomas Lubanga Dyilo

The conflicting parties have to take necessary measures, in order not to allow the orphaned children less than 15 of age, or those separated from their families in the course of the war actions, to be abandoned and left all on their own. They should be brought up by the persons of the same cultural tradition. In order to simplify the return of the evacuated children to their countries and families, the public service bodies fill in a card with the names of each child (with a photo attached), which then will be sent out to the central news agency of the Red Cross International Committee.

The 4<sup>th</sup> Geneva Convention also envisages that the pregnant women, as well as the women already in labor and their babies should get additional nourishment according to their physical needs.<sup>19</sup>

Transportation of the interns should always be carried out in a humane way. Women who are already in labor will not be transported, if their health is endangered, unless it is commanded by security measures.<sup>20</sup> As we see, the decisive factor in such situations is the safety of the interns and not the war conditions.

The 1<sup>st</sup> additional protocol also envisages the situation with the mothers of little children. According to the 4<sup>th</sup> Convention, "The conflicting parties will try to make agreements during the war activities on setting free the interns of particular categories; they must also agree on their repatriation, return to the former dwelling places or hospitalization in a neutral country. This specially concerns children, pregnant women and mothers of the babies or little children."<sup>21</sup>

The 4<sup>th</sup> Geneva Convention stipulates that: "Each major country, participating in the agreement will allow transportation of all types of cargo containing medical and hospital materials and equipment, as well as objects designed for religious service and intended for the civilian population, even if the latter is their enemy. They also have to allow transportation of food products, clothes and all types of parcels containing sustainable means, designed for children less than 15 years, pregnant women and women already in labor."<sup>22</sup>

It includes necessary products for normal development of physical and mental capacities of human beings.

Dwelling on the above said, the international humanitarian law is strictly stipulating the obligations of the conflicting parties to protect the civilians; in particular, to ensure protection of the rights of those persons who are under special means of protection as well as defend them from the war activities and all the consequences caused by such acts. It is just the gravest conditions of the victims of war that brought about adoption of these conventions and the additional protocols to them; international *ad hoc* tribunals and international criminal courts had also been established for this purpose. It should be specially emphasized that today, sexual violations and the problem of children-soldiers has become a major issue on the world agenda. The mentioned perpetrations are regarded by the *ad hoc* tribunals and international criminal courts as crimes against humanity or war crimes. Yet, there is a view point that the humanitarian law still contains a number of questions pertaining to this theme which are too vague and command more accuracy in their contents as well as further improvement of form. All countries must ratify all the conventions and agreements with regard to protection of women's and children's rights; especially, the Convention on *Children's Rights* and its additional protocol on *Involvement of Children in the War Activities*, as well as the Roman Statute etc.

It is necessary that the international community will be urgently involved in resolution of the above mentioned problem, so that the process of reintegration of the children-soldiers and programs of similar contents will be duly supported. It is also necessary to increase medical, psychological, social and legal aid to those persons, who fell victim to sexual violence. Violation of the rights of medical personnel and the clergy is somewhat ignored as well, which shows in the lack of literature on these issues. There are a lot of materials, which explain how the above mentioned persons will be protected, although you would find very little information on the facts of violation of their rights in the reports and articles published by the same international organizations and the governmental bodies, despite the fact that such facts are numerous in fact. It is necessary to allocate special groups of experts who would undertake substantial studies of the violations of the rights of the persons under special protection in an armed conflict.

---

<sup>19</sup>Article 89.

<sup>20</sup>Article 127.

<sup>21</sup>Article 132 of the Geneva Convention.

<sup>22</sup>Article 23.

ეპისტოლები

ივანე ჯაგაბერიშვილის სახელმძღვანელოს თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

# ორკესის კონცერტის მოთხოვების გათვალისწინება ქართულ სამართლები

## 1. შესავალი

თითოეულ სახელმწიფოში, მისი ისტორიულ-სამართლებრივი ტიპი პოლოგიდან გამომდინარე, ჩამოყალიბებულია დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემა, მათ შორის, ისეთი, რომელიც არეგულირებს სამართალურთიერთობებს ეკოლოგიის სფეროში. სხვადასხვა ობიექტურ უსუბიექტურ მიზეზთა გამო, საქართველოს ეკოლოგიური კანონმდებლობა უფრო მოგვიანებით ჩამოყალიბდა და განვითარდა, ვიდრე საზღვარგარეთის პროგრესულ ქვეყნებში.

გარემოს დაცვის საკითხები ქართული სახელმწიფოს არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში გარკვეულწილად აქტუალური იყო. ეს გამოიხატებოდა ორგორც ხალხურ ტრადიციებში, ასევე, გარკვეულ სახელმწიფო აქტებში. ასე, მაგალითად, ტყის და ბუნების დაცვის აუცილებლობის შესახებ ჯერ კიდევ მე-12 საუკუნის დოკუმენტებშია მოხსენიებული. გარემოსდაცვითი საქმიანობა იმ ფორმით, რომელიც დღესდღეობით ითვლება მისაღებად, საქართველოს ტერიტორიაზე მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს. ამ პროცესს მეტ-ნაკლებად პერმანენტული ხასიათი ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების პერიოდშიც და, მიუხედავად სერიოზული ნაკლოვანებებისა, მაინც კითარდებოდა.

დღესდღობით ქართული ეკოლოგიური სამართალი ტრანსფორმაციის პროცესშია  
და საქმაო ზეგავლენას განიცდის როგორც შიდა, ასევე, გარე ფაქტორებისგან. ერთი მხრივ,  
საქართველოში მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური ცვლილებები მიმდინარეობს, მეორე  
მხრივ კი ქვეყანაში ყოველდღიურად ძლიერდება სამოქალაქო საზოგადოება და იგი საერთაშორისო  
სამართლის ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით ცდილობს, ინტეგრირდეს მსოფლიოს დემოკრატიულ  
საზოგადოებასთან – საბჭოთა კანონმდებლობას თანდათანობით ენაცვლება ახალი ნორმატიული  
აქტები, ყალიბდება საკანონმდებლო ბაზა, რომელსაც სფუძვლად უდევს ევროკავშირის მიერ  
მიღებული ნორმატიული აქტების, საერთაშორისო შეთანხმებებისა და გაერთიანებული ერების  
ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოს დაცვისა და განვითარების კონფერენციის  
მიერ მიღებული „გარემოს დაცვისა და განვითარების რიც დეკლარაციის“, „21-ე საუკუნის  
გლობალური განვითარების პროგრამის – 21-ე დღის წესრიგის“ დასკვნითი დოკუმენტები.  
1995-2007 წლებში საქართველოს პარლამენტის მიერ გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის  
სფეროში მიღებულ იქნა ორ ათეულზე მეტი საკანონმდებლო აქტი. თანამედროვე კანონმდებლობის  
საფუძვლებში ჩადებულია ახალი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, საქართველოში ყოველგვარი  
ბუნებათსარგებლობა ფასინდა. აქედან გამომდინარე, შემოღებულია სხვადასხვა მოსაკრებები,  
ხოლო ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობა რეგულირდება  
ლიკანზებისა და ნებართვების გაჯემის სისტემით.

ეკოლოგიური პრობლემები ყოვლისმომცველია. ისინი თითოეული ჩვენგანის და მთელი ქვეყნის უსაფრთხოებას საჭრონებს უქმნის. სწორედ ამიტომ, ყველა სახელმწიფომ, მათ შორის, საქართველოს

## დოკუმენტიანული ფორმა

საქართველომაც, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის განვითარება-დახვეწა.

შიდასახელმწიფოებრივი ეკოლოგიური სამართლის დახვეწა, უპირველეს ყოვლისა, ხელს შეუწყობს ზოგადად საზოგადოების ეკოლოგიისადმი დამოკიდებულების სრულყოფას და განავითარებს თვით სახელმწიფოების ურთიერთკავშირს ამ სფეროში, რადგან ეკოლოგიური პრობლემები ხშირ შემთხვევაში სცილდება კონკრეტული სახელმწიფოს ოფიციალურ საზღვრებს და საფრთხეს უქმნის კაცობრიობის ჯანმრთელობას. ეკოლოგიურ პრობლემასა და იმ საფრთხეს შორის კი, რომელიც ადამიანთა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას საფრთხეს უქმნის, პირდაპირი კავშირი არსებობს, რასაც თან სდევს საკითხით დაინტერესებულ პირთა საქმიანობის შევიწროება და მათთვის საინტერესო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევა.<sup>1</sup>

მეორე მხრივ, შიდასახელმწიფოებრივი ეკოლოგიური სამართლის განვითარება ხელს შეუწყობს საზოგადოების ჩართვას გარემოსდაცვითი საკითხების შემუშავების პროცესში. ეჭვგარეშეა და ამას არაერთი მეცნიერული კვლევა ადასტურებს, რომ ეკოლოგია და ადამიანის უფლებები პირდაპირ ურთიერთკავშირიშია. ამდენად, ეკოლოგიური კანონმდებლობის განვითარება რეალურ საფუძველს დაუდებს თვით უზრდამენტური უფლებების დაცვასაც, რამეთუ ეკოლოგიური უფლებები განიხილება სოციალურ და ისეთ უფლებებად, როგორებიცაა: უფლება ინფორმაციაზე, უფლება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობასა და უფლება მართლმსაჯულებაზე. კავშირი გარემოსა და ადამიანის უფლებების დაცვას შორის კი თვალნათელია.<sup>2</sup>

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებებისა და ეკოლოგიური სამართლის შიდასახელმწიფოებრივი სისტემის თანადორულ განვითარებას რამოდენიმე უპირატესობა აქვს: იგი ხელს შეუწყობს გარემოს დაცვის მნიშვნელობის გაძლიერებას; გაადვილებს საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების ჰარმონიზაციას; გაზრდის საზოგადოების გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის დონეს.

ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სტანდარტები, სამწუხაროდ, ქართულ შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ სისტემაში არც თუ ისე დაცულია, როგორც ევროპისა და ამერიკის კონტინენტის განვითარებულ ქვეყნებში. ამასთან, არ არსებობს საკითხის კომპლექსურად შემსწავლელი ეროვნული იურიდიული ლიტერატურა. საქართველოს საკანონმდებლო სისტემა არაერთგვაროვნად იძლევა ეკოლოგიური უფლებების განმარტებისა და აღსრულების საშუალებას, რაც ხშირად იწვევს ქვეყნის საერთაშორისოსამართლებრივი ვალდებულებების იგნორირებას. მიუხედავად მეტ-ნაკლებად არსებული საკანონმდებლო გარანტიებისა, დღესდღეობით ქართული ეკოლოგიური სამართლებრივი სისტემა, სამწუხაროდ, საკმაოდ სუსტია, რისი მიზეზიც, ძირითადად სამართლებრივი იერარქიის დარღვევა და საკანონმდებლო კოლიზიებია. ქართული ეკოლოგიური კანონმდებლობა მოითხოვს შემდგომ დახვეწას და თანამედროვე მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკოლოგიურ სტანდარტებთან ადაპტირებას. ადამიანის ეკოლოგიური უფლებების სამომავლოდ სრუყოფილად რეალიზაციის მიზნით, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ეროვნული ეკოლოგიური კანონმდებლობის ოპტიმიზაცია და საერთაშორისო სამართალთან ინტეგრაცია.

ზემოაღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ისეთ ტერიტორიებზე ცხოვრობს, რომლებიც დაბინძურების აშკარა წყაროებთან ახლოს მდებარეობს (ქარხნებთან, მშენებლობებთან და ა.შ.), რომ აღარაფერი

<sup>1</sup>M. R. Anderson, Human Rights Approaches to Environmental Protection: An Overview, in Alan E. Boyle and Michael R. Anderson (edc.), Human Rights Approaches to Environmental Protection, 4-5 (1996).

<sup>2</sup>G. Handl, Human Rights and the Protection of the Environment: A Mildly Revisionist View, in Antonio Augusto Cancado Trindade (ed.), *Human Rights, Sustainable Development and the Environment*, San Jose de Costa Rica and Brasilia, 119 (1992).

ითქვას საქართველოს მთანეთსა და ზღვისპირა დასახლებებზე, რომლებიც მუდმივი ეკოლოგიური კატასტროფების საფრთხის ქვეშ იმყოფება. ამასთან, მნიშვნელოვანია ეკოლოგიური უფლებების ქვეყნის შიდა სამართლებრივი რეალიზაციის საკითხის შესწავლა საერთაშორისოსამართლებრივ სისტემაში ინტეგრაციის პროცესის გათვალისწინებით. საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოს კონსტიტუციის ამავე მუხლის თანახმად, საერთაშორისო შეთანხმებებს, მემორანდუმებსა და კონვენციებს, მათ შორის, გარემოს დაცვის სფეროში, ენიჭება პრიორიტეტი ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებაში, თუ, რა თქმა უნდა, ისინი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.<sup>3</sup> ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან, საერთაშორისო სამართლის ნორმების (რომლებიც ძირითადად ზოგადი მთითებებს იძლევა და მხარეებს მოქმედების მინიმალურ სტანდარტებს უსაზღვრავს) ეროვნულ სამართალში ინკორპორაცია მათი ეფუძლიანობის ხარისხს ზრდის და წარმოქმნის შესაბამისი ეროვნული ნორმატიული ბაზის შემუშავების აუცილებლობას.<sup>4</sup>

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რამდენად ასახავს ქართული შიდასახელმწიფოებრივი სამართალი გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საზოგადოების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის შესახებ ორპუსის კონვენციის (შემდგომში – ორპუსის კონვენცია) მოთხოვნებს, რომლის წევრი სახელმწიფო საქართველო 2000 წელს გახდა<sup>5</sup>. ამ მიზნით, წინამდებარე სტატუსიში შეფასებულია ქართული სამართლებრივი სისტემის ორპუსის კონვენციისთან პარმონიზაციის დონე, ხოლო გამოვლენილი სამართლებრივი ხარვეზების იდენტიფიცირების საფუძველზე მომზადებულია შესაბამისი რეკომენდაციები საქართველოში ორპუსის კონვენციის სრულყოფილად განხორციელების მიზნით.

## 2. ორპუსის კონვენციის სამართლებრივი საფუძვლები

1998 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის ეგიდით (UNECE) ქალაქ ორპუსში (დანია) მიღებულ იქნა კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის, ინფორმაციისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ, რომელიც გარემოსდაცვით კონვენციებს შორის ახალი თაობის კონვენცია და მიზნად ისახავს მომავალში გარემოს დაცვისა სფეროში საზოგადოებისა და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების როლის გაძლიერებას. აღიარებს რა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების პროცესში მონაწილეობის, ინფორმაციისა და მართლმსაჯულების სფეროში ხელმისაწვდომობაზე მოქალაქეთა უფლებებს, კონვენცია ასევე მიზნად ისახავს გარემოს დაცვის საკითხებში მთავრობათა ანგარიშებისა და გამჭვირვალეობის დონის ზრდის ხელშეწყობას. კონვენცია განიხილება როგორც გარემოს, ისე – დემოკრატიის დაცვის მნიშვნელოვან ბერკეტად, რომელიც ხშირად მოიხსენიება როგორც რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაციის მე-10 პრინციპის განხორციელების მოდელი.<sup>6</sup> კონვენცია ეფუძნება ეკოლოგიური უფლებების

<sup>3</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მე-6 მუხლი (1995).

<sup>4</sup> J.Ebbesson, Compatibility of International and National Environmental Law, 205 (1996).

<sup>5</sup> საქართველოს პარლამენტის დადგენილება №135 (2000).

<sup>6</sup> 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაციის მე-10 პრინციპი: „გარემოსდაცვითი საკითხების მართვა უმჯობესია განხორციელდეს ყველა დონეზე და თითოეული მოქალაქის საერთო ძალისხმევით. ეროვნულ დონეზე, ყოველი მოქალაქე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოების ხელში მყოფი წესისმიერი ინფორმაციით, თუნდაც მავნე ნივთიერებებისა და საქმიანობების შესახებ. მოქალაქეებს საშუალება უნდა ჰქონდეთ მონაწილეობა მიღონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სახელმწიფონი ვალდებული არიან უზრუნველყონ ინფორმაციის საჯარობა და ხელი შეუწყონ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. სახელმწიფო, აგრეოვე, ვალდებულია უზრუნველყონ მოქალაქეთათვის სასამართლო და ადმინისტრაციული წარმოებაზე ხელმისაწვდომობა, ისევე, როგორც მათვის ზიანის ანაზღაურება და შესაფერისი დახმარება“.

## დოქტორანტთა ფორუმი

დაცვის სამ კომპონენტს, რომელთაც ზშირად „სამ საყრდენს“ უწოდებენ: საზოგადოების მონაწილეობა, ინფორმაციისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა. ორპუსის კონვენცია ადგენს ზემოაღნიშნული უფლებების დაცვის მინიმალურ სტანდარტებს და არ ზღუდვს მხარეებს, განახორციელონ ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებეს გარემოსდაცვითი ინფორმაციის სრულ ხელმისაწვდომობას და გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესა და სამართალწარმოებაში საზოგადოების უფრო აქტიურ მონაწილეობას.<sup>7</sup> ამასთან, კონვენციის თანახმად, დაუშვებელია დისკრიმინაცია ეროვნული, რასობრივი ან სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით.

ორპუსის კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები ვრცელდება ყველა საჯარო დაწესებულებაზე, ყველა ტიპის საზოგადოებრივი მოშოსურების საწარმოზე (მათ შორის მუნიციპალურზე და სხვ.) და მათი კონტროლის ქვეშ მყოფ ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირზე. ორპუსის კონვენცია საზოგადოებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ანიჭებს უფლებებსა და რეალურ შესაძლებლობებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის, კონკრეტულ თუ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში მონაწილეობის მიღებისათვის, აღჭურვას მათ სასამართლო დაცვის საშუალებებითა და მართლმსაჯულებაზე გამარტივებული ხელმისაწვდომობით. ამ სფეროში მთავრობებისათვის მკაფიო ვალდებულებათა დაკისრებით კონვენცია უზრუნველყოფს ინფორმაციის მეტ გამჭვირვალობას, მის უფრო ეფექტიან ხელმისაწვდომობასა და გავრცელებას, რაც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საშუალებას აძლევს, რეალური გავლენა იქნიონ გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდილი შესაძლებლობები ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საშუალებას აძლევს, უკეთ გაერკვნენ და მეტი ცოდნა მიიღონ გარემოს პოტენციურ რისკებსა და საშიშროებებზე, რომლებიც მათ, მათ ოჯახებსა თუ ადგილობრივ მოსახლეობას ემუქრება.

ორპუსის კონვენცია ადგენს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის რეალური განხორციელებისათვის სავალდებულო მოთხოვნილებებს. შესაბამისად, თითოეული მსარე ვალდებულებას კისრულობს, ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში კონვენციით განსაზღვრულ საქმიანობებზე ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემისას და გარემოსდაცვითი ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებისას მოახდინოს დაინტერესებული საზოგადოების ადგენატური ინფორმირება, მიიღოს შესაბამისი პრაქტიკული და/ან სხვა ზომები იმისათვის, რათა საზოგადოებამ გამჭვირვალე და სამართლიან ჩარჩოებში საბოლოო გადაწყვეტილებების მიღებამდე ანუ ადრეულ ეტაპზევე მიიღოს მონაწილეობა გარემოსთან დაკავშირებული გეგმების, პროგრამების, პოლიტიკის შემუშავებასა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემისას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.<sup>8</sup> საყურადღებოა, რომ ორპუსის კონვენცია სათანადო ყურადღებას უთმობს არასამთავრებო სექტორის საქმიანობას და ტერმინთა განსაზღვრებაში, მათ, როგორც დაინტერესებულ საზოგადოებას, ისე განმარტავს. ეს კი საზოგადოების გარემოსდაცვითი საქმიანობის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართვის არაჩვეულებრივი საშუალებაა.

<sup>7</sup> კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“, მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი.

<sup>8</sup> „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოებას მონაწილეობის და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი.

კონვენცია ადგენს, რომ ნებისმიერი ფიზიკურ და იურიდიულ პირის მიერ გასაჩივრებას უნდა ექვემდებარებოდეს საჯარო დაწესებულების ყველა ის გადაწყვეტილება, მოქმედება ან უმოქმედობა, რომლითაც საზოგადოების გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისა და ინფორმირებულობის უფლება დაირღვა და რომელიც გარემოს დაცვის ეროვნული კანონმდებლობის დებულებებს ეწინააღმდეგება. თავისძავად, მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა არის ბერკეტი გარემოსდაცვითი სამთავრობო დაწესებულებების გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რაც მათ აიძულებს, იმოქმედონ მხოლოდ და მხოლოდ კანონმდებლობის ფარგლებში.<sup>9</sup> საინტერესოა, რომ ორპუსის კონვენციის ფუძემდებლებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პრინციპის გარანტიების ხელშეკრულებაში გამტკიცებისათვის რეალური საფუძვლები პქნიდათ. ერთი მხრივ, ეს იყო ადმინისტრაციული და სასამართლო გარჩევების პროცედურების გადების დარღვევა, ხოლო მეორე მხრივ – იმ გადასახადების არაგონივრული ოდენობები, რომლებიც პროცესის მხარეებს უნდა გადაეხადათ, რაც თავისთავად მათვის დამატებით დაბრკოლებას ქმნიდა. სწორედ ამ დაბრკოლებების აღმოფხვრის მიზნით კონვენციამ დაადგინა, რომ მართლმსაჯულების პროცედურა არ უნდა იყოს საზოგადოებისათვის უკიდურესად ძვირადღირებულ ღონისძიება, პროცედურები უნდა იყოს დროული, ხოლო მის შესახებ ყველა ინფორმაცია – ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ორპუსის კონვენციის შემუშავება, რომლის წევრი სახელმწიფო საქართველოცაა, მნიშვნელოვანი ნაბიჯია ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში. იგი უზრუნველყოფს ამ უფლებების დაცვის გარანტიების განვითარებას, რადგან შესაბამისი გარემოსდაცვითი ინფორმაციის ფლობა ეკოლოგიური უფლებების დაცვის ერთ-ერთი ბერკეტია და იძლევა რეალურ საშუალებას, რათა კარგად ინფორმირებული, დაინტერესებული საზოგადოება აქტიურად ჩაერთოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და სახელმწიფოსთან ერთად დადგეს ამ უფლებებისა და გარემოს დაცვის სადარაჯოზე.

### 3. ეროვნული სამართლებრივი სისტემის ძირითადი მიმართულებები ორპუსის კონვენციით გარანტირებული უფლებების დაცვის სფეროში

ინფორმაციის გამჭვირვალობა, მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების უშუალო მონაწილეობის პრინციპი დემოკრატიული სახელმწიფოს მთავრი მოთხოვნაა. ამდენად, ამ ინსტიტუტის განვითარება დღევანდელი ქართული სამართლებრივი სისტემისათვის მეტად აქტუალურია, თუ გავითვალისწინებთ ევროპულ სამართლებრივ სისტემაში საქართველოს ინტეგრაციის ამჟამად მიმდინარე პროცესს. ქართული სამართლის მიხედვით, ინფორმაციის თავისუფლება გულისხმობს სახელმწიფო ორგანოებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის ღიაობას. სრული გამჭვირვალების პირობებში საზოგადოებაში აღარ ჩნდება ეჭვი საჯარო მოხელეთა არაკეთილ სინდისიერების შესახებ. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მოთხოვნა ვრცელდება ნებისმიერ საჯარო დაწესებულებაზე და, აგრეთვე, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე ამ დაფინანსების ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ გარდა კონსტიტუციისა, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმადაც, საერთაშორისო შეთანხმებებს, მემორანდუმებს და კონვენციებს, მათ

<sup>9</sup>R.Eckersley, Greening Liberal Democracy: The Rights Discourse Revisited, in Brian Doherty and Marius de Geus (eds.), *Democracy and Green Political Thought*, 230 (1996).

<sup>10</sup>„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი (1996).

შორის, გარემოს დაცვის სფეროში, ენიჭებათ პრიორიტეტი ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებაში, თუ, რა თქმა უნდა, ისინი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას<sup>10</sup>. ეს იმას ნიშნავს, რომ ორპუსის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება საქართველოს დემოკრატიული განვითარებისა და ეროვნული სამართლებრივი სისტემის დახვეწის რეალური საშუალებაა. საქართველომ ერთ-ერთმა პირველმა მოახდინა მისი რატიფიცირება. მართალია, კონვენციის რატიფიცირებას არ მოჰყოლია კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობისკენ გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ ქვეყანამ გაიზიარა „ხელმისაწვდომობის პრინციპების“ დამკვიდრების აუცილებლობა, უდავოდ მისასალმებელია.<sup>11</sup>

როდესაც საუბარია ორპუსის კონვენციით გარანტირებული ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის ეროვნულ გარანტიებზე, უპირველეს ყოვლისა, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციას, რომელიც უფრო ადრე იქნა მიღებული ვიდრე ორპუსის კონვენცია. საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლში საუბარია საქართველოს მოქალაქეების ეკოლოგიურ უფლებებზე, რომლებიც სამი მიმართულებით ვლინდება: უფლება – ცხოვრობდე ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში; უფლება – სარგებლობდე ბუნებრივი გარემოთი; უფლება – მიიღო სრული, დროული და ობიექტური ინფორმაცია საკუთარი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ. გარემოსდაცვითი უფლებების საკონსტიტუციო აღიარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კონსტიტუცია სამართლებრივი სისტემის სათავეში დგას, ყველა სხვა ნორმა მის შესაბამისად უნდა გამოიცეს,<sup>12</sup> რადგან ისინი სამართლებრივი იერარქიის უფრო დაბალ საფეხურზე დგას, ადვილია მათი შეცვლა ან, თუნდაც, გაუქმება.<sup>13</sup> ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაწილის მიზანია, გამოააშკარავოს, რომ საქართველოში მოქმედი ეკოლოგიური კანონმდებლობა ხშირად არათუ საქართველოს კონსტიტუციას, არამედ ორპუსის კონვენციით ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებსაც კი ეწინააღმდეგება.

გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის პრინციპს განსაზღვრავს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“<sup>14</sup>, რომლის მიხედვით, გარემოსდაცვითი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აუცილებელია საზოგადოების ჩართვა, რადგან სწორედ ამ მიმართულებით ურთიერთთანამშრომლობა და შეთანხმებული მოქმედება საბოლოოდ უზრუნველყოფს ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების ხარისხის გაუმჯობესებას. ზემოაღნიშნულ უფლებათა შელახვის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ინდივიდები უფლებამოსილი არიან, მიმართონ მართლმსაჯულებას, რაც საქართველოს კონსტიტუციით არის გარანტირებული.

ეროვნული სამართლებრივი სისტემის ძირითადი ანალიზის დაწყებამდე უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი პრობლემები, რომლებიც შინდასახელმწიფოებრივ სამართლში შეიქმნა ორპუსის კონვენციით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულდლობასთან დაკავშირებით, გამოწვეულია 2005 წელს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით, რაც სამართლებრივ ნორმათა დროში მოქმედების მიხედვით უფრო გვიან მიღებული და, შესაბამისად, მოქმედი ნორმატიული

<sup>10</sup> ქარანტინი, გარემოსდაცვითი მმართელობა საქართველოში და ევროკავშირის როლი მის გაძლიერებაში, 4 (2006).

<sup>11</sup> Brandl, Ernst and Bungert, Hartwin, Constitutional Entrenchment of Environmental Protection: A Comparative Analysis of Experiences Abroad, 4 (1992).

<sup>12</sup> G. Witzsch, The Right to a Healthy and Decent Environment in New Lesotho Constitution?, 10 (1992).

<sup>13</sup> „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი (1996).

<sup>14</sup> ამგვარ ვალდებულებას ადგენს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

აქტია. აღნიშნული კანონის მიღებამ, რასაც თან არ ახლდა საკანონმდებლო ცვლილებები შესაბამის ნორმატიულ აქტებში<sup>15</sup>, მძიმე საკანონმდებლო ვაკუუმი შექმნა გარემოსდაცვით კანონმდებლობაში და ფაქტობრივად მკვდარ ნორმებად აქცია ათეულობით საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი (ქვემოთ იხილეთ კონკრეტული კოლიზიები).

### 3.1. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება

გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიღების რეალური ბერკეტია საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც 37-ე მუხლის შესაბამის განმარტებასაც იძლევა: „ადამიანს უფლება აქვს, მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ.“<sup>16</sup> ამგვარად, მოქალაქეებს უფლება აქვთ, მოითხოვონ ნებისმიერი გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია სახელმწიფოსაგან, გარდა სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოებისა. რეალურად, გარემოსდაცვითი ინფორმაციის ფლობა, ეს არის ბერკეტი იმ საშიშროების წინაშე, რაც ეკოლოგიური კრიზისს შეიძლება მოჰყვეს. ეს ინფორმაცია აუცილებელია ეფექტური მონიტორინგის, რეგულირების განხორციელების, დაბინძურების აღკვეთისა და შემცირებისათვის<sup>17</sup>. საინტერესოა, აგრეთვე, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტიც, რომელიც ასევე ეხება ინფორმაციის საჯაროობას და აღგენს რომ, „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში (...) არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას“.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით აღიარებულია ინფორმაციის თავისუფლების ძირითადი უფლება: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.“<sup>18</sup> ამ უფლების ძირითადი კომპონენტია ინფორმაციის თავისუფლად მიღების გარანტია. კერძოდ, ყველას აქვს უფლება, ყოველგვარი დაბრკოლებისა და შეფერხების გარეშე მიიღოს ინფორმაცია საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, რადგან თითოეული მოქალაქისათვის, როგორც თავისუფლად და დამოუკიდებელი პიროვნებისათვის, განვითარებისა და დემოკრატიული წესწყობილების განმტკიცებისათვის ინფორმაციის თავისუფლება არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თვით აზრისა და მასობრივი ინფორმაციის თავისუფლები.<sup>19</sup>

ინფორმაციის თავისუფლების კონსტიტუციური გარანტიები ასახულია საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, რომლის თანახმად, ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს უფლება აქვს, მოითხოვონ საჯარო დაწესებულებაში დაცული ყველა ინფორმაცია, თუ იგი არ განეკუთვნება სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ და პირად საიდუმლოებას. კოდექსი აწესებს საჯარო ინფორმაციის გაცემის კონკრეტულ წესისა და ვადებს,<sup>20</sup> რომლის მიხედვითაც, განცხადების წარდგენის შემდეგ ინფორმაცია საჯარო დაწესებულებამ უნდა გასცეს დაუყოვნებლივ, რაც, იურიდიული ლიტერატურის თანახმად, ნიშნავს ინფორმაციის გაცემას მოთხოვნისთანავე, ანუ განცხადება რეგისტრაციის დღესვე უნდა მოხდეს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირთან, რომელიც კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემას. თუ საჯარო ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემა

<sup>16</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 37-ე მუხლი (1995).

<sup>17</sup> მ. ინდეი, ეიტარი ადამიანის უფლებების შესახებ კანონი, 1980 წელი.

<sup>18</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 24-ე მუხლი (1995).

<sup>19</sup> ლ. იშორია, კ. კორკელია, კ. ქუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 192 (2005).

<sup>20</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მე-3 თავი (1999).

## დოკუმენტითა ცორული

შეუძლებელია, მისი მოცულობისა და კანონით გათვალისწინებული სხვა მიზეზების გამო, დაწესებულებას შეუძლია გამოიყენოს 10-დღიანი ვადა, ოღონდ ამის შესახებ, აგრეთვე, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს განმცხადებელს.<sup>21</sup>

საინტერესოა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი IX თავში (115-ე მუხლი) ადგენს გარემოსდაცვითი ნებართვების გაცემასთან დაკავშირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულბას საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესის გამოყენებით, რაც საზოგადოების ინფორმირებისა და მათი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვის ფართო შესაძლებლობას იძლევა. სამწუხაროდ, 2005 წლის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონმა დაადგინა, რომ ნებართვების გაცემა ხდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, რაც საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისგან სრულიად განსხვავდება და არ იძლევა საზოგადოების ინფორმირებისა და მათი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვის შესაძლებლობას.

ნიშანობლებით ისიც, რომ „ლიცენზიებისა და ნებართვების“ შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებულმა მთავრობის დადგენილებამ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ უამრავი გაუგებრობა წარმოქმნა, მათ შორის, ინფორმაციის საჯაროობის კომპონენტის დაცვის მხრივაც. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების 3<sup>1</sup>-ე მუხლით სავალდებულოა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა, ეს ვალდებულება განსაზღვრულია საქმიანობის განმახორციელებლისათვის და არა სახელმწიფო ორგანოთათვის. აღნიშნული დამატებით გაუგებრობას იწვევს, რადგან, ორჰესის კონვენციის თანახმად, ეს სახელმწიფოს ვალდებულებაა და ამ უფლების დელეგირება საქმიანობის განმახორციელებლებზე (ინგესტორებზე) გაუმართლებელია, ვინაიდან ეს უკანსაკუნძლი არ წარმოადგენს კონვენციის შსარებს.<sup>22</sup> ამასთან, ზემოაღნიშნული დადგენილება არ იძლევა დაინტერესებული საზოგადოების მხრიდან გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინების კონტროლის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, კრძოლ, საზოგადოებისათვის გაურკვეველი რჩება, გათვალისწინებული იქნება თუ არ მათი მოსაზრებები.

გარემოსდაცვითი ინფორმაციის საჯაროობის საკითხებზე საუბარია „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონშიც, რომელიც არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში. კანონით დადგენილია გარემოს დაცვის მირთადი პრინციპი, რომელთა შორისაა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპიც, რაც იმას ნიშავს, რომ ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ და და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის<sup>23</sup>. კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, საზოგადოებრიობის ინფორმირებისათვის, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

<sup>21</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მე-40 მუხლი (1999).

<sup>22</sup> 2005 წელს მიღებულმა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონმა გარკვეული პრობლემები შეუქმნა არსებულ პრაქტიკას და შეცვალა „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ 1996 წლის კანონის მოქმედების სფერო, რომელიც დღემდე არ არის გაუქმებული. აღარ არსებობს საქმიანობათა ოთხ კატეგორიად დაყოფის სამართლებრივი საფუძვლები და გნისაზღვრა იმ სამსახურისათვის გარემოს ვადები 3 თვიდან 20 დღემდე. ყოველივე ეს განსაზღვრულია, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წ. 1 სექტემბერის დადგენილებაში, რომელიც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია და არ შეიძლება არეგულირებდეს იმ სამართალურთიერთობებს, რომლებიც საკანონმდებლო აქტით უნდა რეგულირდებოდეს.

<sup>23</sup> „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველო კანონის მე-5 მუხლი (1996).

ყოველწლიურად წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნულ მოხსენებას, რომლის შედეგადაც სახელმწიფო დაწესებულებები ვალიდებული არიან, მოთხოვნიდან არა უგვიანეს 2 თვისა უსასყიდლოდ მიაწოდონ სამინისტროს მათ ხელთ არსებული ინფორმაცია. დღემდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ მომზადებულ და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებულ იქნა გარემოს მდგომარეობის შესახებ ოთხი ანგარიში – 2001, 2002, 2003 და 2004 წლებისთვის. არცერთი ეროვნული მოხსენება არ იქნა გამოქვეყნებული, მთულენავად იმისა, რომ ამ მოხსენებების მომზადების უპირველესი მიზანი სწორედ საზოგადოების ინფორმირება იყო. უფრო მეტიც, კანონმდებლობით, ნორმატიული აქტები უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. ეროვნული მოხსენებების შემთხვევაში, ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებულ იქნა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებები ეროვნული მოხსენებების დამტკიცების თაობაზე, მაგრამ არა თავად მოხსენებები.<sup>24</sup>

ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის გავრცელების ვალდებულება, რასაც ორპუსის კონვენცია ადგენს, ნიშნავს არა მხოლოდ ამ ინფორმაციის აქტიურ, ანუ მოთხოვნისას გავრცელებას, არამედ პასურ, ნებაყობლობით გავრცელებასაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, დგება სახელმწიფოს მხრიდან პრევენციული ინფორმირების განხორციელების ვალდებულებაც. ამ მხრივ საინსტერესოა „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონი, რომელიც აღნიშნულთან მიმართებით საქმაოდ ბუნდოვანია. კანონი, სამწუხაროდ, არ ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, მოსალოდნელი ან მომხდარი ბუნებრივი და ტექნიკური ავარიისა და სხვა ეკოლოგიური კატასტროფის შესახებ საზოგადოებას დროულად მიაწოდოს ინფორმაცია, სამაგისტროდ ავალდებულებს საქართველოში მყოფ ყველა მოქალაქეს, ინფორმაცია ამგვარი მდგომარეობების შესახებ აცნობოს სათანადო კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს ან განაცხადოს საჯაროდ<sup>25</sup>.

ინფორმაციის გავრცელების საკითხის სამართლებრივი დარეგულირების მიზნით მიღებულია „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და „სურსათის უცნებლობისა და ხარისხის შესახებ“ კანონები<sup>26</sup>, რომელთა მიზანია მომხმარებელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა, მათთვის პროდუქციის შესახებ დროული, სრული და ობიექტური ინფორმირება, რათა მათ მიეცეთ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, თუმცა 2005 წლის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის საფუძველზე გამოცემულმა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 1-ლი სექტემბრის დადგენილებაში კვების მრეწველობა, რომელიც საქმაოდ მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, აღარ განისაზღვრება როგორც გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებულ საქმიანობად.<sup>27</sup> ამასთან, ზემოაღნიშნული დადგენილების შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (რაც დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებისა და მათი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვის ერთ-ერთი საშუალებაა) აღარ ექვემდებარება ისეთი საქმიანობები, მათ შორის, წიაღის მოპოვება, სოფლის მეურნეობა, ხე-ტყის გადამუშავება, ქაღალდის, ტყავისა და საფეიქრო

<sup>24</sup>ქ-გუჯარაძე, გარემოსდაცვითი მმართელობა საქართველოში და ევროკავშირის როლი მის გაძლიერებაში, 12 (2006).

<sup>25</sup>„გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

<sup>26</sup>„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი (1996) და „სურსათისა უცნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონი (1995).

<sup>27</sup>ქ-გუჯარაძე, გარემოსდაცვითი მმართელობა საქართველოში და ევროკავშირის როლი მის გაძლიერებაში, 14 (2006).

## დოკუმენტითა ზორ უძი

წარმოება, ზოგიერთი სახის ინფრასტრუქტურული პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა და ა.შ., რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, აღნიშნულის გათვალისწინება სავალდებულოა, რადგან ორპუსის კონვენციის დანართი ადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობების სრულ ჩამონათვალს, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სწორედ ზემოაღნიშნულ საქმიანობებს. ამდენად, აღნიშნული გარემოებების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში კვლავ დგება საქართველოს მიერ საერთაშორისსამართლებრივი ვალდებულებების იგნორირების პრობლემა.

რაც შეეხება ორპუსის კონვენციით განსაზღვრულ კიდევ ერთ საკითხს – დამაბინბურებელ ნივთიერებათა გაშვებისა და გადატანის რესტრების შემუშავებას, საზოგადოებისთვის მათ ხელმისაწვდომობას, ეს საკითხი საქართველოს კანონმდებლობით საერთოდ არ რეგულირდება. საქართველომ 2003 წლის მაისში ხელი მოაწერა ორპუსის კონვენციის ოქმს „დამაბინბურებელ ნივთიერებათა გაშვებისა და გადატანის რესტრების შესახებ“, თუმცა საქართველოს ხელისუფლება თავს იკავებს ამ ოქმის რატიფირებისგან<sup>28</sup>.

### 3.2. საზოგადოების მონაწილეობის უფლება

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი გარემოს დაცვის საერთაშორისოსამართლებრივ პრინციპებზე დაყრდნობით ადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ვალდებულებას, საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას იხელმძღვანელონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის პრინციპით, რაც ნიშნავს საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტი ჩარჩო კანონია და, შესაბამისად, სამართალურთიერთობები მისი ნორმების დაცვით უნდა რეგულირდებოდეს, მითუმეტეს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში საქმე საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპთან გვაქვს, რაც არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულებით, მათ შორის, ორპუსის კონვენციით არის გარანტირებული.<sup>29</sup>

სამწუხაროდ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართვის კუთხით ქართულ კანონმდებლობაში ვაკუუმია შექმნილი, რაც ძირითადად, 2005 წელს „ლიცენზიებისა და ნებართვების“ შესახებ საქართველოს კანონის მიღებით არის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ მთავრობის დადგინდებამ საკანონმდებლო ხარვეზები წარმოქმნა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის კომპონენტის დაცვისათვის. აღნიშნულ დაგენერილებაში საერთოდ არ არის განსაზღვრული ამგვარი ვალდებულება, რაც გაუგებობას იწვევს. ერთი მხრივ, სახელმწიფოს აკისრია საერთაშორისო ხელშეკრულებების კეთილსინდისიერად შესრულების ვალდებულება<sup>30</sup> (მათ შორის – ორპუსის კონვენციისა, რომელიც პირდაპირ ავალდებულებს სახელმწიფოებს, უზრუნველყონ საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი

<sup>28</sup>ლოდეუ, როგორ გამოვიყენოთ ორპუსის კონვენცია საქართველოში: სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთათვის, 23 (2004).

<sup>29</sup>კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ, მე-14 მუხლი; კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ, მე-4 (1) მუხლი და ა.შ.

<sup>30</sup>„საერთაშორისო სამართლის პრინციპების და სახლმწიფოთა შორის მეგობრულ ურთიერთობებისა და თანამშრომლობის შესახებ“ 1970 წლის გაეროს დეკლარაცია და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 103-ე მუხლი.

გადაწყვეტილებების მიღების პროცესში), რომელთა შეუსრულებლობა საერთაშორისო პასუხისმგებლობას იწვევს, მეორე მხრივ კი, სახელმწიფო ვალდებულია, შეასრულოს „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და კანონდარღვევაა მთავრულებყოფა კანონქემდებარე ნორმატიულ აქტის საფუძველზე.

საინტერესოა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილებით კიდევ ერთი პრობლემა შეიქმნა, რომელიც ხელს შეუშლის ორპუსის კონვენციის განხორციელებას, კერძოდ, დადგენილების მე-6 მუხლით საქმიანობა შეიძლება გათავისუფლდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან (რაც, თავისთავად, საზოგადოების მონაწილეობის კომპონენტის განხორციელების პირდაპირი საშუალებაა), თუ „საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს, რომ საქმიანობა დაიწყოს და გადაწყვეტილება ამის შესახებ დროულად იქნეს მიღებული“. აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგება ორპუსის კონვენციით ნაკისრ ვალდებულებას, რომლის თანახმად, ხელშემკვრელი მსარეები კისრულობენ ვალდებულებას, მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესი გახადონ საჯარო და უზრუნველყონ დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელიც ზეგავლენას ახდენს ან, სავარაუდოა, რომ მოახდენს გარემოს შემადგენელ ელემენტებსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. კონვენცია ასევე ადგენს ამგვარი ქმედებებისგან ხელისუფლების ორგანოების გათავისუფლების პირობებს, რომელთა შორის საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების არსებობის შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან საქმიანობის გათავისუფლება მითითებული არ არის. მთავრობის დადგენილების ამგვარი მიღვომა პრაქტიკულად იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ნებართვა გაიცეს და ინგრენსტორმა საქმიანობის განხორციელება დაიწყოს ისე, რომ გარემოზე ზემოქმედება არ შეაფასოს და არ შეასრულოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ვალდებულება. ყოველივე ზემოაღნიშნლიდან გამომდინარე, საკმაოდ გაუგებარია ქართველი კანონმდებლის მოტივაცია, რასაც საფუძვლად, ფაქტობრივად, საერთაშორისო ვალდებულებებისა და შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების იგნორირება უდევს.

### 3.3. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი ადგენს, რომ ყველა მოქალაქეს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. აღნიშნული საკონსტიტუციო გარანტია ვრცელდება ნებისმიერ მოქალაქეზე მისი ნებისმიერი უფლების დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის, იმ უფლებებისა, რომლებიც გარემოსდაცვითი შიდასახელმწიფოებრივი სამართლითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით (მათ შორის – ორპუსის კონვენციით) არის გარანტირებული. ამასთან, საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, სარჩელი დასაშენება, თუ საჯარო დაწესებულებების ქმედებამ პირის კანონიერი უფლებისა და ინტერესის პირდაპირი და უშუალო ზიანი გამოიწვია.

საქართველოს კანონმდებლობა ცნობს ოფიციულ საჩივრის წარდგენის, ისე – სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას. აღმინისტრაციული საჩივრის წარდგენისა და განხილვის წესს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განსაზღვრავს, რომლის თანახად, ადმინისტრაციული საჩივრი ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრების შიდა მექანიზმია, რომელიც აღტერნატიულ ან არჩევით მექანიზმს წარმოადგენს და სასამართლოში მიმართვისთვის აუცილებელ პირობას არ ქმნის. დღეს ადმინისტრაციულ ორგანოებში დამკვიდრებული პრაქტიკით, აღმინისტრაციული საჩივრის წარმოება საერთოდ არ ჰგავს

<sup>31</sup>თვეურჩიანი, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, ინფორმაციის თავისუფლება, 27 (2005).

## დოკუმენტთა ფორმი

კვაზი-სასამართლო წარმოებას. უფრო მეტიც, ის არც შემდგომ, სასამართლოს წარმოებას აძლევს რაიმეს და არც იმ პირს, რომელიც გასაჩივრების აღნიშნულ მექანიზმს იყენებს<sup>31</sup>.

ადმინისტრაციული წარმოება, იშვიათი გამონაკლისების გარდა, წინ არ უძღვის სასარჩელო წარმოებას, რაც ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ ნდობის დაბალ ხარისხზე მეტყველებს. ორგორც პრაქტიკა ცხადყოფს, ადმინისტრაციულ საჩივარზე, რეალურად, არავითარი ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს. ეს უკანასკნელი ადმინისტრაციული ორგანოსთვის ერთხელ უკვე გაგზავნილი განცხადების შესხენებას უფრო წააგავს, ვიდრე განცხადების დაქმაყოფილება-არდაკმაყოფილებაზე აპელაციას. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოსთვის ადმინისტრაციული სარჩელების წარდგენის შემთხვევები ცნობილი არ არის, მოუხედავად იმისა, რომ სასამართლოსგან განსხვავებით, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურა ბევრად სწრაფია და თან — უფასო.<sup>32</sup>

სამწუხაროდ, დღესდღობით ქართული ეკოლოგიური პრეცედენტები სამართლი არც თუ ისე განვითარებულია. ერთი მხრივ, მოსახლეობის მიერ ეკოლოგიური საკითხების იურიდიული მხარის გაუთვითცნობიერებლობა იწვევს მათ პასიურობას საკუთარი ეკოლოგიური უფლებების დარღვევის გამო სასამართლოსათვის მიმართვისას. მეორე მხრივ, გარემოსდაცვითი პრობლემების სირთულიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, სასამართლოები, საქმეთა განხილვისას, ხშირად პრობლემების წინაშეც დგებიან. ამდენად, საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტილებების გამოტნისას მოწვეულ ექსპერტთა ჩვენებების გამოყენების პრაქტიკა მართლმსაჯულების სისტემაში ფართოდ უნდა დაინერგოს.<sup>33</sup>

მნიშვნელოვანი პრობლემებია საქმეთა განხილვის ვადებთან დაკავშირებით (საპროცესო ვადების დარღვევა), ხშირად საქმების განხილვა ჭიანურდება. ამას ემატება კიდევ ფინანსური ვალდებულებებიც, რაც სარჩელის აღმვრას ერთვის თან და სასამართლოსთვის მიმართვისას დამატებით დაბრკოლებას ქმნის.

სასამართლოში სარჩელის აღმვრისას პირმა უნდა გადაიხადოს ბაჟი, რომლის გადახდის წესი და ოდენობა საერთო სასამართლოებში დამოკიდებულია დავის საგნის ღირებულებაზე. არაქონებრივი დავებისას განსაზღვრულია ბაჟის გარკვეული ფიქსირებული ოდენობა, თუმცა სასამართლოს უფლება აქვს, თავად განსაზღვროს დავის საგნის ღირებულება საქმის მოცულობის, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის, შემოსავლისა და სხვა გარემოებებისა გათვალისწინებით. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციულ დაგებზე სასამართლო მაღალ ბაჟს აწესებს, რაც თავისთავად ზღუდავს საზოგადოების მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობას.<sup>34</sup>

რაც შეეხება საადვოკატო მომსახურეობას, ადვოკატთა საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში გატარდა ცვლილებები, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე. კერძოდ, საუბარია 2006 წლის ივლისში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ სასამართლოში წარმომადგენლობის მარეგულირებელ დებულებებში შეტანილ ცვლილებებზე, რომელთა თანახმად, პირებს, რომლებსაც არ გაუვლით ადვოკატთა ტესტირება და არ არიან გაწევრიანებული ადვოკატთა ასოციაციაში, შეეძლებათ მხარის უფლებების დაცვა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში და მათ ეკრძალებათ წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში. ასეთი ცვლილება ძალზე ზღუდავს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებისადმი მიმართვის შესაძლებლობას, მითუმეტეს სოციალურად

<sup>32</sup>თ.გურჩიანი, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, ინფორმაციის თვისუფლება, 28 (2005).

<sup>33</sup>T.Ayward, Constitutional Environmental Rights, 111 (2005).

<sup>34</sup>ქაუჯარაძე, გარემოსდაცვითი მმართელობა საქართველოში და ევროკავშირის როლი მის გაძლიერებაში, 19 (2006) და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველო კანონის მე-4 მუხლი.

დაუცველი ფენებისათვის, რომლებსაც აღარ ექნებათ თავისი სურვილისამებრ შეარჩიონ წარმომადგენელი სასამართლოში. ფაქტიურად, სახელმწიფო მოქალაქეებს აიძულებს დაიქირავონ ტესტირებაგავლილი და ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებული ადვოკატი ან საერთოდ უარი თქვან პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება ხელისუფლების ორგანოების, ადგილობრივი ორგანოებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებზე, რაც თავისთავად არათანაბარ პირობებში აყენებს მხარეებს და პირდაპირ ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართლის მთავარ და წამყვან – სუბიექტთა თანასწორობის პრინციპს<sup>35</sup>.

გამომდინარე ზემოაღნიშნული სამართლებრივი და აღსრულებითი პრობლემებიდან, საქართველოში, სამწუხაროდ, ეკოლოგიური უფლებების დაცვის მოტივით სასამართლოებისადმი წარდგენილი სარჩელების რიცხვი ძალიან მცირეა. მხლოდ ბოლო წლებში, ისიც საერთაშორისო ეკოლოგიური ორგანიზაციებისა თუ არასამთავრობო სექტორის აქტიური მუშაობის შედეგად დაფიქსირდა რამდენიმე საჩივარი ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების დაცვისა და ეკოლოგიური ინფორმაციის საჯაროობის დაცვის მოთხოვნით.

Mentioned provision is at variance with obligations assumed under Aarhus Convention by virtue of which parties to Convention are obliged to publicize the process of significant environmental decision-making and ensure involvement of all stakeholders in decision-making that is known to or is supposed to impact environment and human health. Conditions of release from obligations assumed are also provided by Aarhus Convention, and general public interest is not among the grounds for release. Approach assumed by Governmental Decree allows for Environmental Impact Permit to be granted and for investor to start business activity without performing environmental impact assessment and not fulfilling obligation of public participation in decision making. Following all of the above, motivation of Georgian lawmakers in factual neglect of international obligation and domestic legislation is unclear.

### 3.3 Right to Access to Justice

Article 42 of the Constitution of Georgia grants every citizen the right to go to the court, in order to protect own rights and freedoms. This constitutional guarantee extends to every citizen and to breach of any right, including those provided under domestic environmental legislation and international treaties Georgia is a party to, Aarhus Convention included. Georgian legislation of practice acknowledges lawfulness of suit in case action of the public institution has resulted in breach of citizen's right and direct and immediate detriment to citizen's interest.

Georgian legislation provides both for administrative complaint and court suit. Procedure of lodging an administrative complaint is established by the General Administrative Code of Georgia. Under the General Administrative Code of Georgia, Administrative Complaint is an inner means of appeal for administrative body and does not constitute a prerequisite for reference to the court. Practice adopted today by administrative bodies with regards to proceeding of administrative complaints bears little resemblance to quasi-legal proceedings. Moreover, it does not support legal proceedings if any take place later, nor provides any relief for the person to choose it as means of appeal.<sup>30</sup>

Administrative proceedings, with rare exceptions, do not precede legal proceedings in court, testifying to low level of trust towards administrative bodies. As seen from practice, administrative complaint is not usually followed by any actual administrative proceedings at all. The latter resembles more a reminder to administrative bodies about application already sent rather, than issue of allowing/denying an appeal. No cases of lodging administrative complaints on environmental issues are known, despite better speed of the procedure as compared with legal proceedings, still more it is gratuitous.

Unfortunately, modern Georgian environmental case-law is weak in respect of court decisions too. Apart from low level of public awareness resulting in reluctance to apply to the court to defend own environmental rights, court system is equally passive and weak as seen from general level of court decisions<sup>31</sup>. Due to complexity of environmental problems, courts often face formidable problems of knowledge when dealing with environmental cases. Thereto, while dealing with environmental cases courts shall use testimony of experts in order to arrive at judgments.<sup>32</sup>

Apart from abovementioned, problems with regards to procedural dates are evident, deadlines are often exceeded prolonging proceedings beyond any sense to the extent the very subject-matter of case is lost topped with financial obligations related to suit constituting additional obstacle to reference to the court. In

---

<sup>30</sup>T.Gurchiani, Court Practice Analysis, *Accessibility of Information*, 27 (2005).

<sup>31</sup>T.Gurchiani, Court Practice Analysis, *Accessibility of Information*, 28 (2005).

<sup>32</sup>T.Hayward, Constitutional Environmental Rights, 111 (2005).

order to file a suit, person is obliged to pay a tax whose amount for general courts depends on the value of the subject-matter of case. For non-property suits amount of tax is fixed, though the court is authorized to define the tax amount of its own accord depending on the value of subject-matter, case volume, property status and income level of the parties and other circumstances. Unfortunately, there are cases of setting high rate of the tax for administrative cases, which in itself is a hindering factor for accessibility of justice.<sup>33</sup>

As for advocacy services, alterations made to advocacy regulatory legislation should be paid heed to, as those in particular are likely to considerably restrict accessibility of justice. In particular, 2006 July provisions of the Civil Code of Practice regulating court representation are of interest, as those allow only persons who have passed advocacy testing and are members of bar association to legally represent parties in the courts above court of first instance (i.e. in courts of appeal and courts of cassation). Alteration of the kind restricts citizens' access to higher courts not mentioning socially exposed groups who are bereaved of the right to choose their court representative of their own accord. Actually the State forces citizens either to hire certified advocate, member of the bar association or not appeal on first instance court decision at all. It should be noted that mentioned restriction is not extended to representatives of governmental bodies and local authorities, which puts the parties in unequal position at the outset and directly contradicts the main and basic principle of the civil law – equality of subjects<sup>34</sup>.

Following from mentioned legal and executive problems, number of suits filed on environmental cases is, unfortunately, quite low in Georgia. Only in recent years and only thanks to international environmental organizations and national non-governmental organizations efforts several suits have been filed on cases of protection of the right to enjoy healthy environment and protection of access to information on environmental matters.

One of the first suits has been filed under the framework of the Program of Center for Strategic Research and Development of Georgia – ‘Citizens for Ecologically Sustainable and Safe Environment’ – with whose support citizens T. Beridze, N. Gobejishvili and others have applied to Tbilisi Krtisanisi-Mtasminda District Court demanding protection of their environmental rights. Plaintiffs, who lived near the landfill, have explained in their claim that by virtue of the Tbilisi People’s Deputies Council #1499 Decree dated November 3, 1989 ‘Saqarkhno’ District Council Executive Committee should have performed recultivation-regeneration of the allotted land. However, at the moment of filing a suit (2002), landfill was still there though not recorded on the balance of the Tbilisi Municipality Accomplishment Service. Despite repeated requests, plaintiffs haven’t been provided with technical and other documentation concerning landfill. As alleged by plaintiffs, even basic standards of sanitary and hygiene have been neglected on the landfill and no safety measures have been taken creating favorable conditions for spread of diseases and epidemics. In drawing up their complaint, plaintiffs have been guided by Article 37 of the Constitution of Georgia, Aarhus Convention and Articles 6 and 34 of the Law of Georgia on Environmental Protection<sup>35</sup>. According to plaintiffs’ statement, they had right to live in health-safe environment and right to receive true information on their living and working environment in its fullness and in timely manner.

The claim has been allowed by the court and it has been ruled that landfill had to be closed in sensible time agreed upon by the parties. Unfortunately the Judge did not include into court decision mention of breaches of Article 37 of the Constitution, relevant articles of the Law of Georgia on Environmental Protection and Aarhus Convention.<sup>36</sup>

On May 17, 2003, Association Green Alternative has filed a suit against the Ministry of Environmental Protection and Natural Resources and Baku-Tbilisi-Ceyhan Pipeline Company, demanding environmental

<sup>33</sup>**K.Gujaridze**, Environmental Management in Georgia and Role of European Union in its Strengthening, 19 (2006) and Law of Georgia on State Tax, Article 4 (1998).

<sup>34</sup>**K.Gujaridze**, Environmental Management in Georgia and Role of European Union in its Strengthening, 21 (2006).

<sup>35</sup>Law on Environment Protection, Article 6, Rights of Citizens in Environment Protecting Matters and Article 34, Waste Environmental Requirements.

<sup>36</sup>Tbilisi Krtisanisi-Mtasminda District Court, Resolution #3/162 (2002).

permit granted by the Ministry on November 30, 2002 on transportation of petroleum to be cancelled. Green Alternative's claim has been grounded on failure to ensure public participation procedures provided by the legislation of Georgia and on allegation that construction of the pipeline according to the plan permitted by the Ministry was harmful to the environment. Association has been basing its procedural authority on Article 2.5 of the Aarhus Convention, by virtue of which environmental non-governmental organization constitutes *the public concerned*. On June 24, 2004, Tbilisi District Court has accepted the complaint following fulfillment by the Association additional requirements, though finally suit haven't been accepted to legal proceedings.<sup>37</sup>

On September 17, Preparatory Session has been held at Tbilisi District Court on case Association Green Alternative v. Ministry of Environmental Protection and Natural Resources and Spie Capag-Petrofac International Ltd, Contractor of Baku-Tbilisi-Ceyhan (BTC) Pipeline Company (Third parties: Georgian International Oil Corporation and BTC Pipeline Company). The case referred to the environmental permit granted by Ministry of Environmental Protection and Natural Resources of Georgia on December 24, 2003 to the project of Spie Capag-Petrofac International Ltd. The project implied disposal of construction waste to the specific containers kept at appropriate deposition site on the land plot near the constructors' camp at the entry of Marneuli and its transportation for burning purposes to so-called *incinerators* in the village Jandari in Gardabani region. Plaintiff Green Alternative claimed that granting mentioned environmental permit the Ministry has committed infringement of the legislation of Georgia with regards to public access to information on environmental matters and violated law of Georgia on Environmental Permit, as project investor haven't been asked to present documentation necessary for granting environmental permit. Unfortunately, on the contrary to its authority under Georgian legislation, the Ministry of Environmental Protection and Natural Resources has by its sole decision satisfied ungrounded request made by Spie Capag-Petrofac International Ltd to be released from environmental impact assessment obligation. On September 17, 2004, representative of the defendant (the Ministry of Environmental Protection and Natural Resources) presented Tbilisi District Court Session with order of the contemporary Minister for Environmental Protection and Natural Resources nullifying environmental permit granted to Spie Capag-Petrofac International Ltd on December 24, 2003. Same order allowed Spie Capag-Petrofac International Ltd to carry on its activity allowed for under nullified permit within limits set by environmental permit granted by the Ministry to BTC Pipeline Company on November 30, 2002. Plaintiff Green Alternative due to new matter has asked for extra time in order to file defined suit.<sup>38</sup>

The issue of special interest is another suit that already has passed through all instances of domestic legal proceedings and, in accordance with European Convention on Human Rights, has been submitted to the European Court of Human Rights<sup>39</sup>.

Mentioned case refers to protection of environmental rights from noise and air pollution. On October 25, 2001 Citizens T. Kamushadze, A. Tsulukiani, G. Gochashvili, O. Gureshidze, L. Alavidze and V. Jugheli has filed suit in Tbilisi District Court against ITERA International Energy Corporation, JSC Sakgazi, JSC AES Telasi, JSC Tboelektrotsentrali, Tbilisi Municipality, Ministry of Heat and Energy of Georgia and Ministry of Environmental Protection and Natural Resources of Georgia. The suit was based on the location of living building of the plaintiffs near Tboelektrotsentrali heat and power plant. The plant has been operated in the conditions incompatible with basic sanitary requirements affecting population of adjacent territories. Plaintiffs alleged that Tboelektrocentrali heat and power plant has been emitting black dust from its chimney and its power generators and high voltage lines passing over the living building have been ruining plaintiffs' health. For evidence, plaintiffs have produced Conclusion of Tbilisi State University Chemical Technologies Laboratory stating that at times toxic content of the air has exceeded pollution standards tenfold or more. Also, plaintiffs has produced Tbilisi State University Chair of Labor and Psychology Conclusion according

---

<sup>37</sup>Tbilisi District Court, Resolution #3a/307 (2003).

<sup>38</sup>Tbilisi District Court, Resolution # 54 (2004).

<sup>39</sup>Currently the case is being accepted by the European Court.

to which level of noise pollution in the living building has exceeded standards of noise-producing waves intensity, causing increase of negative impact and stimulating development of psychosomatic disorders. Plaintiffs alleged that Tboelektrocentrali plant has been consuming amount of oxygen above admissible level and has been emitting in return toxic agents in excessive concentration. Following all of the above, plaintiffs demanded payment of tangible and intangible damages in accordance to Articles 318<sup>40</sup>, 408<sup>41</sup> and 1000<sup>42</sup> of the Civil Code of Georgia.

Tbilisi District Court Administrative and Taxation Board have partially answered to a claim with its decision of March 12, 2004. Besides payment of tangible damages expressed in destruction of living building basement walls through inflow of water from the Tboelektrocentrali plant, JSC Tboelektrocentrali and the Ministry of Environmental Protection and Natural Resources have been jointly imposed liability to pay A. Tsulukiani and T. Kamushadze compensation of GEL 5,000 each, for spiritual injury arising from damage inflicted to their health. The Board has ruled that damage has been inflicted through the fault of Tbilisi Municipality, the Ministry and JSC Tboelektrocentrali. The Board has confirmed that damage to A. Tsulukiani and T. Kamushadze's health has been inflicted through noise and exhaust of the heat and power plant. The ruling of the Court has been based on the Organic Law of Georgia on Local Self-Governances and Governances, Law of Georgia on Capital of Georgia and Provision of the Ministry of Environmental Protection and Natural Resources obliging institutions as listed to carry out activities directed at protection of environment and basic human rights in environmental matters.

The plaintiffs have demanded disaffirmation of the Tbilisi District Court Board decision and appealed to the Supreme Court of Georgia. Appellants have been demanding full satisfaction of an original claim. Their appeal now has been based on Laws of Georgia on Environmental Protection, on Water and on Protection of Ambient Air and they stated that their environmental rights have been violated.

Latter appeal is of particular interests as, for the first time in the history of Georgia, legal proceedings plaintiffs in order to protect their environmental rights have referred to case law of European Court of Human Rights (case of *López Ostra v. Spain*<sup>43</sup>) by virtue of whose ruling Spanish Government has been obliged to pay damages in the amount of 4,000,000 Pesetas. Mentioned ruling haven't been taken into consideration by the Board, as contrary to *López Ostra v. Spain* case plaintiffs possessed information on Tboelektrocentrali plant operation beforehand and their settlement and the very construction of their house has happened later than Tboelektrocentrali plant. In this part the Board has been guided by the Article 6 of the law on Payment of Damages Inflicted by Hazardous Substances. Final ruling provided payment of intangible damages only for Kamushadze and Tsulukiani following from the health condition caused by noise and exhaust.<sup>44</sup>

It is remarkable that appellants haven't been satisfied by the decision of the Supreme Court and has applied to the European Court of Human Rights (*I. Jugheli and others v. Georgia*). Despite the fact that legal proceedings haven't started yet and procedures related to filing of a suit are being underway, the case constitutes first invaluable precedent of Georgian citizens going to the European Court in order to protect their environmental rights.

#### 4. CONCLUSION

Given study allows us to make several conclusions and forward recommendations in respect of domestic legal guarantees of protection of the rights provided under Aarhus Convention and of implementation of the Convention itself. It may be said that recent reforms bereft the public not only of the way to express its

<sup>40</sup>Civil Code of Georgia, Article 318, Obligation to Disclose Information.

<sup>41</sup>Civil Code of Georgia, Article 408, Obligation to Reinstate Initial Situation.

<sup>42</sup>Civil Code of Georgia, Article 1000, Responsibility for Damage arising from Increased Danger of Buildings.

<sup>43</sup>*Lopez Ostra v. Spain*, Case 41/1993, judgment of 9 December 1994.

<sup>44</sup>Administrative and Other Cases Chamber of the Supreme Court of Georgia, Resolution #bs-586-507-k-04 (2005).

view, but also of any chance to be informed timely or to participate in environmental activity related decision-making. It should be stressed that sole reason for this situation is constituted by weak bureaucratic control and vague legal requirements of public participation (requirements easily avoided both by the Ministry and by the investor). Those require improvement, toughening and detailed elaboration.

Domestic legal system of Georgia is quite often at odds with number of requirements of Aarhus Conventions dealing with public participation in decision-making and so called ‘lower limits’ of access to information and justice. Parties to Convention should aspire to elaboration of the legislation exceeding standards set by the Convention. Unfortunately in case of Georgia development goes the wrong way.

Given study testifies to scattering of regulations dealing with environmental rights through several legal instruments of Georgian legislation, which makes their perception as a whole all but impossible. Yet it's possible to somewhat systematize environmental rights related legislation through adoption of specific law directed at elaboration of Article 37 of the Constitution of Georgia and Aarhus Convention provisions. Even if no legal act specifically directed at inter-compliance of Georgian legislation and Aarhus Convention is adopted (the feat in itself requiring elaboration of the whole corpus of related laws), existing laws and acts should be harmonized between themselves and with Aarhus Convention.

As subjective observation it may be added that apart from legal collisions reviewed above, Georgian society is in the regrettable but real state of mistrust towards judicial, though this is right the institution guaranteeing protection of the rights. Absence of retrained judges constitutes just another problem, which, of course, is beyond issues of legal regulation and relates rather to executive problems. Apart from perfection and strengthening of domestic legal system it is desirable for the state to take appropriate steps towards appropriate fulfillment of the legal requirements, increase of public awareness on Aarhus Convention related matters and improvement of public trust towards all three branches of power.

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
პრაქტიკის ანალიზი უძრავი ქონების კეთილსიღლისიერი  
შემძღვის უფლებებისა და უფლებების დაცვის შემთხვევა**

შინაარსი

I. კანონმდებლობა

II. დოქტრინა

III. პრაქტიკა

1. სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის ინტერპრეტაცია
2. სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის მოქმედების ფარგლები
3. სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის ინტერპრეტაცია (მართლზომიერი და კეთილსინდისიერი შემძენის გამოყვანა)
4. კეთილსინდისიერების მოქმედების დრო
5. მუცლეუთა თანასაკუთრება და უძრავი ქონების კეთილსინდისიერი შემძენი

**I. კანონმდებლობა**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კეთილსინდისიერი შემძენის უფლებრივ მდგომარეობას დეტალურად აწესრიგებს. ამ მხრივ იგი თანამედროვე ეკროპულ კერძო სამართალთან სრული ჰარმონიზაციით გამოირჩევა. მთავარი საკითხი ამ შემთხვევაში ქონების მესაკუთრისა და კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების სამართლიანი ბალანსირებაა. სამოქალაქო კოდექსი ამ საკითხს წყვეტის არამარტო ბრუნვის კონკრეტული მონაწილის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ თვით ამ ბრუნვის სიმყარისა და სტაბილურობის ინტერესების ვათვალსიწინებით.

მოძრავი და უძრავი ქონების ბრუნვის შემთხვევაში კანონმდებლობა მესაკუთრისა და კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესთა კონფლიქტის საკითხს განსხვავებულად აწესრიგებს. თუ პირველ შემთხვევაში წინა პლანზე დგას ქონების მესაკუთრის ინტერესები, მეორე შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭება კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებს. ამას თავისი ახსნა მოეძებნება, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ამჯერად, საჭიროდ მიგვაჩნია თავად საკანონმდებლო ნორმები მოვიშველით.

აღნიშნული საკითხის მოწესრიგების აუცილებლობა გამოწვეულია სამოქალაქო კოდექსის იმ ფუნდამენტური ნორმით, რომელიც შექმნა უძრავ ქონებაზე საკუთრების წარმოშობას. ამ კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, „უძრავი ნივთის შესაძნად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში“.

უძრავი ქონების შეძენის ეს წესი განაპირობებს კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვის მოწესრიგებას. სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლში აღნიშნულია: „შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებული ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე“.

\* დამუშავებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილების მიერ.

**კეთილსინდისიერი შემძენის ასეთი უფლებრივი მდგომარეობა გამოწვეულია საჯარო რეესტრის სპეციფიკური დანიშნულებით სამოქალაქო ბრუნვის მექანიზმი. სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად:**

„1. რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმუცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიღრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა.

2. იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იმენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტობა”.

ამგვარად, როცა საქმე ეხება უძრავი ქონების შეტყინვას, აქ საჯარო რეესტრის (უფლების რეგისტრაციის ფაქტის) სანდოობის პრეზუმუცია არსებობს, მაშინ როცა მოძრავი ნივთების მფლობელის შემთხვევაში არსებობს სანდოობის ვარაუდი. **მოქლევა, ორივე შემთხვევაში მოქმედებს შესაძენი უფლების ნამდვილობის ვარაუდი.** ეს კარგად ჩანს სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლიდან, რომლითაც დადგენილია:

„1. ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე.

2. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა ნივთზე საკუთრებითი ურთიერთობის სასიათი კლინდება საჯარო რეესტრიდან. საკუთრების პრეზუმუცია არ გამოიყენება არც ძველი მფლობელის მიმართ, თუ მან ეს ნივთი დაკარგა, მოპარეს ან სხვაგვარად გავიდა იგი მისი მფლობელობიდან. საკუთრების პრეზუმუცია მოქმედებს ძველი მფლობელის სასარგებლოდ მხოლოდ მისი მფლობელობის პერიოდში“.

აღსანიშნავია ის, რომ მოცემული საკითხები ნაწილობრივ მოწესრიგებულია სპეციალური კანონმდებლობითაც. აქ დასახელებული ნორმებიდან ნათლად ჩანს, რომ უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შეძენა ამ ქონებაზე საკუთრების შეძენის თავისებურებითა განპირობებული. მოწესრიგების ასეთი ფორმა ბევრად წააგავს გერმანული სამართლის დანაწესებს.

ახლა რაც შეეხება ზემოთმოტანილი ნორმების კომენტარებსა და დოქტრინალურ ახსნა-განმარტებას.

## II. დოქტრინა

დოქტრინისათვის ამოსავალია კეთილსინდისერი სამოქალაქო ბრუნვა, რასაც საფუძველს უყრის მოქმედი სამოქალაქო კოდექსი. ბრუნვის კეთილსინდისიერება ამ ბრუნვის მონაწილეობითა კეთილსინდისიერებაა, ეს კი გულისხმობს ბრუნვის მონაწილეებისადმი სანდოობას. ასეთი ურთიერთდამოკიდებულება გამარტივებული და ცოცხალი სამოქალაქო ბრუნვის აუცილებელი წინაპირობაა. ეს სრულიადაც არ ნიშავს ურთიერთობის მონაწილეთა მხრიდან ერთმანეთის მიმართ თვალდახუჭულ ნდობას. იგი აუცილებლად გულისხმობის წინდახედულობის გონივრულ მასშტაბს, რომლის იგნორირებამაც შეიძლება ბრუნვის მონაწილე არაკეთილსინდისიერ მონაწილედ აქციოს და დაცვის მიღმა დატოვოს. კეთილსინდისიერება იმდენად მნიშვნელოვანია სამოქალაქო ბრუნვისათვის, რომ უფლებისა და კეთილსინდისიერების, როგორც ფასეულობათა, ურთიერთდაპირისპირების შემთხვევაში ზოგჯერ კეთილსინდისიერება იმარჯვებს და თავად ხდება უფლების წყარო. კანონმდებელი სხვაგვარად ვერც კი მოიქცევა. საქმე იმაშია, რომ ცალკეულ შემთხვევებში კეთილსინდისიერებისადმი პრიორიტეტის მინიჭებით კანონმდებელი იცავს თავად სამოქალაქო ბრუნვას, როგორც ფასეულობას და ამ გზით ბრუნვის მონაწილეთა პატივსადებ ინტერესებს.

## სასამართლო პრაქტიკა

სამოქალაქო ბრუნვის მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ ყოველი მხარე იმ ტვირთის მატარებელი შეიძლება იყოს, რომლის ზიდვაც მას შეუძლია. როცა მტკიცდება, რომ იგი უძლურია ზიდოს ეს ტვირთი, პასუხისმგებლობის საკითხიც იჩხნება.

ჩემის მიერ მოყვანილ ნორმებში ერთმანეთის პირისპირ დგანან მესაკუთრე და კეთილსინდისიერი შემძნი. როგორც უკვე ითქვა, მათი მდგომარეობა არსებითად განსხვავებულია მოძრავი და უძრავი ნივთების შეძენისას. სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლიდან გამომდინარე, მოძრავ ქონებაზე საკუთრების შეძენა ხდება მისი გადაცემით. აქ ისეთი სინამდვილე ყალიბდება, როდესაც ერთმანეთის პირისპირ დგანან ნივთის მესაკუთრე და მისი შემძნი. მათ შორის არ დგას არავითარი სხვა ისეთი პირი, რომელიც, თავის თავზე აიღებდა რაიმე პასუხისმგებლობას. ნივთის შემძნის ბედილბალი მთლიანადაა დამოკიდებული გამსხვისებლის სამართლებრივ მდგომარეობაზე და საკუთარ წინდახედულობაზე. არ აღმოჩნდება გამსხვისებელი მესაკუთრე – შემძნის კეთილსინდისიერება ვერ გახდება ყოველთვის მისი უფლების დაცვის იარაღი. უმეტესწილად, აქ საკუთრება იმარჯვებს კეთილსინდისიერებაზე და ამის გამო ორთაბრძოლა მესაკუთრის სასარგებლოდ მთავრდება.

სრულიად სხვა სურათი გვაქვს უძრავი ქონების შეძენისას. აქ უკვე დაპირისპირებულ მხარეებს შორის დგას, უხეშად რომ ვთქვათ, „არბიტრი”, რომელიც პასუხისმგებლობის ძირითად ტვირთს თავის თავზე იღებს. ეს „არბიტრი“ საჯარო რეესტრია, რომლის წყალობითაა, რომ კეთილსინდისიერება იმარჯვებს საკუთრებაზე. ის ძირითადი ტვირთი, რომელიც გამსხვისებლის უფლებამოსილების შესაძლებელად უკისრებოდა შემძნს, ნორმატიულად საჯარო რეესტრის ხელშია აღებული.

ყოველივე ეს ერთგვარად ამარტივებს კეთილსინდისიერი შემძნის ტვირთს. როგორც მოყვანილი ნორმებიდან ჩანს, საჯარო რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმუცია. რახან ეს ასეა, შემძნს ნაკლებად ხელეწიფება, შეამოწმოს გამსხვისებლის უფლებრივი მდგომარეობა. აქედან გამომდინარე, მისი წინდახედულობის ფარგლებიც შესაბამისად ვიწროა. მართალია, კანონმდებელი კი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ შემძნა შეიძლება იცოდეს, რომ „გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე“, მაგრამ მისი გამორკვევა ერთობ ძნელი უნდა იყოს. თუკი საკუთრების უფლებას ფეტიშისტურად მიუდგებით, ცხადია, გაგვიჭირდება იმ სინამდვილისადმი შეგუება, როდესაც იმარჯვებს კეთილსინდისიერი შემძნი. ამისი აღქმა მართლაც ძნელია ისეთი სინამდვილის პირობებში, როდესაც ერთმანეთის პირისპირ დგანან სრულიად უძრალო მესაკუთრე და ასეთივე შემძნი. ერთი შეხედვით, როცა მესამე პირია გამსხვისებელი, რომლის სახელზედაც არასწორად აღირიცხა საკუთრება საჯარო რეესტრში, რატომ უნდა დაიჩაგროს მესაკუთრე? განა ის, რის შეძნის საფუძველიც ხარვეზიანა, შეიძლება საბოლოოდ შეძნილად ჩაითვალოს? განა შეძნის ობიექტური საფუძველი არ არის ამ შეძნის ნამდვილობის საფუძველი და არა პირთა სუბიექტური ნება? თუმცა, აქ მარტო სუბიექტური ნება – კეთილსინდისიერება არ არსებობს, აქვე ხარვეზიანი ობიექტური ნება საჯარო რეესტრისა. მოკლედ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც სუბიექტური ნება ასწორებს ობიექტურის ნაკლ. ე. ი. თუკი შემძნი კეთილსინდისიერია, საჯარო რეესტრის ხარვეზიანობაც იჩრდილება და იგი ვერაფრით ვერ შველის უფლებაწართმეულ მესაკუთრეს. წარმოვიდგინოთ ასეთი მაგალითი: მესაკუთრე ხანგრძლივი მივლინებით წავიდა უცხო ქვეყანაში და საკუთარი ბინა დროებით სარგებლობაში დაუტოვა ახლო ნათესავს. ამ უკანასკნელმა ყალბი დოკუმენტების მეშვეობით მიაღწია იმას, რომ საჯარო რეესტრში აღირიცხა, როგორც ამ ბინის მესაკუთრე და იგი გაასხვისა პირზე, რომელიც ამ ფაქტის მიმართ იყო კეთილსინდისიერი. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ძალიანაც რომ ეცადოს ბინის დაბრუნებას მისი ნამდვილი მესაკუთრე, ვერაფერს გახდება,

კეთილსინდისიერ შემძენს დარჩება იგი საკუთრებაში. წმინდა ადამიანური პოზიციიდან თუ შევხედავთ ამ საკითხს, ნამდვილი მესაკუთრის უფლებას ცოტა ვინმე თუ შეეწინააღმდეგება. დავა უნდა გადაწყდეს მის სასარგებლოდ და კეთილსინდისიერი შემძენის საწინააღმდეგოდ. მაგრამ რა შედეგები მოჰყვება, ამას თუ დაუშვებო? კველაზე მძიმე შედეგი იქნება სამოქალაქო ბრუნვის შეფერხება და მისაღმი უნდობლობის გაჩენა. რახან შემძენი არ იქნება დაცული მისი კეთილსინდისიერების შემთხვევაშიც, ცხადია, ინტერესი მოიკლებს უძრავი ნივთის შესაძენად. უფრო გარკვევით, რომ ვთქვათ, მოიშლება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და შეძენილ უფლებებს საეჭვოობის დაღი დაედება. კიდევ უფრო დაზუსტებით რომ ვთქვათ, ეჭვეშ დადგება სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოება, რომელიც, როგორც ფასეულობა, ამ ბრუნვის მონაწილეთა უფლებების გარანტიაა.

საჯარო რეესტრის არსებობა კეთილსინდისიერ შემძენს ათავისუფლებს მომეტებული პასუხისმგებლობისა და რისკისაგან.

ამდენად, კვლავ უნდა ითქვას, რომ უძრავი ქონების შეძენის რეჟიმის პირდაპირი შედეგია კეთილსინდისიერი შემძენის უფლების ცალსახად პრიორიტეტული დაცვა. აქვე უნდა ითქვას, რომ უძრავი ქონების შეძენის წესი თანაბრად ვრცელდება ყველა სახის საკუთრებაზე, ეს იქნება ინდივიდუალური თუ საერთო. დოქტრინაში კამათს იწვევს მეუღლეთა თანასაკუთრებაზე უფლების წარმოშობის საკითხი. მიგვაჩნია, რომ იმ დროიდან რაც საქართველოში შემოღებულ იქნა საჯარო რეესტრი, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება არცერთ შემთხვევაში არ წარმოიშობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გარეშე. ამ პოზიციას ადგას საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. საკონსტიტუციო სასამართლომაც 1998 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხებოდა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის კონსტიტუციურობას, საგანგებოდ გაუსვა ხაზი ფორმის მნიშვნელობას უფლების წარმოშობის საქმეში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი საკუთრების უფლება, იგი გარიგების საფუძველზე წარმოიშობა თუ კანონის საფუძველზე, საბოლოოდ წარმოშობილად ჩაითვლება საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით. ამიტომაც, კანონის დანაწესი, რომ „მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შემნილი ქონება წარმოადგენს საერთო ქონებას (თანასაკუთრებას)“ – არ უნდა გავიგოთ მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი აზრით. ამ შემთხვევაში, სინამდვილეში, საუბარია თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველზე, თავად ეს თანასაკუთრება იქმნება ორივე მეუღლის სახელზე აღნიშნული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციით. მოკლედ, არც კერძო ნება, რომლის შედეგია - გარიგება და არც ნორმატიული ნება, რომლის შედეგია - კანონი, თავისთავად არ არის საკმარისი გარემოება საკუთრების უფლების წარმოშობად.

### III. პრაქტიკა

#### 1. სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის ინტერპრეტაცია

უძრავი ქონების კეთილსინდისიერი შემძენის უფლების დაცვის შესახებ საკმაოდ ვრცელი სასამართლო პრაქტიკა დაგროვდა. საქართველოს უზენაესი სასამართლო აღნიშნული მუხლის გამოყენების პრინციპულ გარემოებებსაც ხაზგასმით გამოყოფს. ასე, მაგალითად, 2006 წლის 9 მარტის განჩინებაში (№ას-9 80-1243-05) სასამართლომ ცალკე გამოყო ნორმა-პრინციპი:

## სასამართლო პრაქტიკა

„უძრავი ნივთის გამსხვისებლის მესაკუთრედ მიჩნევისათვის საკმარის საფუძველს წარმოადგენს შემძენისათვის, რომ გამსხვისებელი მესაკუთრედ რეგისტრირებული იყოს საჯარო რეესტრში”. რაც შეეხება კეთილსინდისერი შემძენის უფლებას, სასამართლო მას მიიჩნევს აღნიშნულიდან გამონაკლისად. კერძოდ, სასამართლოს აზრით, „ეს ის შემთხვევაა, როდესაც შემძენმა იცის, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული გამსხვისებელი არ არის მესაკუთრე”. აქედან გამომდინარე, სასამართლო აკეთებს შემდეგ დასკვნას: „.... აღნიშნული ნორმით დაწესებული შემძენის კეთილსინდისერების დადგენისათვის, საკმარისი არ არის მხოლოდ საჯარო რეესტრის მონაცემების გათვალისწინება, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არსებითი საკითხია მესაკუთრის ვინაობისადმი შემძენის სუბიექტური დამოკიდებულება (იცოდა თუ არ იცოდა). შესაბამისად, შემძენის ინტერესების მარეგულირებელი ნორმის გამოყენებისას უნდა შემოწმდეს როგორც საჯარო რეესტრის მონაცემები, ასევე უტყუარად უნდა დადგინდეს, რომ შემძენმა არ იცოდა ქონების სხვა მესაკუთრის თაობაზე”.

რაც შეეხება კეთილსინდისერების ახსნას, სასამართლოები ძირითადად შემოიფარგლებიან კონკრეტული შემთხვევების ანალიზით. ჩვენ მიერ მოძიებულ მასალებში ამ მხრივ არ ჩანს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმის ზოგადი ინტერპრეტაცია. ვინაიდან კეთილსინდისერებას აფუნქნებს შემძენის სუბიექტური დამოკიდებულება გარკვეული ფაქტებისადმი, სასამართლოს განსაკუთრებული სიფრთხისილე მართებს მისი შეფასებისას. შემძენს არ შეიძლება მოეთხოვოს ისეთი გარემოებების ცოდნა, რომელიც აღმატება (სცილდება) მისი შესაძლებლობის ფარგლებს. კეთილსინდისერების შეფასებისას მთავარია შემძენის მხრიდან ფაქტების გაცნობიერების შესაძლებლობა და არა თავად ინტერესი ამ ფაქტებისადმი. სხვა სიტყვებით, შეფასების საგანია აღნიშნული ფაქტების ცოდნა და არა მიზანმიმართული ცოდნა.

შესწავლილი პრაქტიკა მოწმობს, რომ 185-ე მუხლის ინტერპრეტაცია ხდება სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებთან ორგანულ კავშირში, რომლებიც მისთვის საფუძველსა და გასაღებს წარმოადგენს. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 183-ე, 312-ე და სხვა მუხლებთან ერთად.

### 2. 185-ე მუხლის მოქმედების ფარგლები

სასამართლოების პრაქტიკაში ზოგჯერ წამოიჭრება საკითხი იმ პირზე სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის გავრცელების შესახებ, რომლის მესაკუთრედ რეგისტრაცია საჯარო რეესტრში ფერხდება მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით. საკისაციო სასამართლოს 2004 წლის 3 დეკემბრის განჩინებიდან შემდეგი ვითარება დასტურდება: ი.ძ. და ი.წ. იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში. ერთად ცხოვრების პერიოდში შეიძინეს ბინა, რომელიც აღირიცხა ერთ-ერთი მეუღლის, კერძოდ, ი.წ. სახელზე. ამ უკანასკნელმა ი.ჭ.-თან გააფორმდა აღნიშნული ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება, რისი ბათილობა და თანასაკუთრებაში წილის აღიარება მოითხოვა ი. ბ-ძ. მართალია ბინის ნასყიდობის გარიგება გაფორმდა, მაგრამ შემძენის ნებისაგან დამოუკიდებლად არ მოხერხდა მისი (ი. ჭ-ის) საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

სასამართლოს წინაშე დადგა საკითხი ი. ჭ-ის შენაძენის ნამდვილობისა და მისი დაცვის მიზანშეწონილობის თაობაზე.

ამდენად, ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმებულია, არსებობს რეგისტრაციის ნება, მაგრამ რეგისტრაცია ჯერ არ მომხდარა ქონებაზე ყადაღის დადების გამო. მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების შემძენის პროცესი არ დასრულებულა, რაიონულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ი.ჭ. არის კეთილსინდისერი შემძენი. ამ მოტივით, სასამართლომ არ დააგმაყოფილა ი.ბ-ის მოთხოვნა ბინის ნასყიდობის ბათილად ცნობაზე.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაშიც ანალოგიურად იქნა განმარტებული უძრავი ქონების კეთილსინდისიერი შემქნა. კერძოდ, პალატის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის ... „185-ე მუხლი იცავს მყიდველის ქონებრივ ინტერესებს, ანუ გარანტიას იძლევა თუ მყიდველმა შეიძინა უძრავი ნივთი საჯარო რეესტრში მითითებული ამ ნივთის მესაკუთრისაგან, რისთვისაც გადაუხადა მას განსაზღვრული თანხა, იგი არ დაზარალდება, ნივთი მას არ ჩამოერთმევა და აღნიშნული არ შეიძლება იყოს დამოკიდებული იმაზე, მოასწრო თუ არა მყიდველმა აღრიცხვა საჯარო რეესტრში ამ ნივთის მესაკუთრედ, მით უფრო, როდესაც ... აღრიცხვა ვერ ხერხდება ბინაზე დადებული ყადაღის გამო”.

**ამდენად, სააპელაციო პალატის განმარტებით, კეთილსინდისიერი შეძენის ძალაუნარიანობა მოქმედებს უძრავ ქონებაზე საკუთრების საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე.**

ვთვიქრობთ, რომ სწორი პოზიცია დაიკავა საკასაციო სასამართლომ, რომელმაც შეახსენა სააპელაციო სასამართლოს, რომ 183-ე მუხლის ალტერნატივა არ მოეპოვება, კერძოდ ის, რომ უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. 311-ე მუხლის თანახმად კი საჯარო რეესტრში შეიტანება საკუთრება და სხვა სანივთო უფლებები, რომლებიც უკვე არსებობს.

თუ გავიზიარებდით სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, მაშინ ირლვევა სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 185-ე მუხლებით გათვალისწინებული წესი. ვიდრე ხელშეკრულების საფუძველზე დათმობილი საკუთრება არ აღირიცხება საჯარო რეესტრში, მანამ არც ეს უფლებაა და არც მისი კეთილსინდისიერი შემძნი. 185-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება მკაცრად მოხაზულ სამართლებრივ სივრცეშია და მისი სხვაგან გადატანა, კერძოდ, სახელშეკრულებო ურთიერთობის სივრცეში დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ განჩინებაში აღნიშნა, რომ 185-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია, როცა მესამე პირის უფლება სათანადოდ არ არის გაფორმებული.

### **3. სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის ინტერპრეტაცია (მართლზომიერი და კეთილსინდისიერი შემძნის გამიჯვნა)**

სასამართლომ კარგად უნდა გამოარკვიოს, უძრავი ქონების შემძნი მართლზომიერი შემძნია თუ კეთილსინდისიერი. შეუძლებელია, ერთდროულად პირი იყოს მართლზომიერი შემძნიც და კეთილსინდისიერიც. სამწუხაროდ, პრაქტიკა იცნობს ასეთ დამოკიდებულებასაც, რაშიც „ბრალეული“ უნდა იყოს სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის პირველი წინადადება, რომლის თანახმადაც „კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელიც ნივთს მართლზომიერად ფლობს“. საქმე იმაშია, რომ კეთილსინდისიერი მფლობელობის საკითხი მხოლოდ მაშინ დგება, როცა მფლობელობა არამართლზომიერია. ამ შემთხვევაში კეთილსინდისიერება ფარავს არამართლზომიერებას და იგი ხდება უძრავი ნივთის შემძნის საფუძველი. ამიტომაც, როცა დადგენილია, რომ მფლობელობა მართლზომიერია, უფლების დასაბუთების საფუძვლად კეთილსინდისიერებაზე მინიშნება სრულიად ზედმეტი და უადგილოა.

საკასაციო სასამართლოს 2005 წლის 19 მაისის განჩინებაში (№ას-1355-1481-04) ასეთი სადავო ურთიერთობას ვხვდებით: მ.გ. იძენს ვინმე ი.პ.-საგან უძრავ ქონებას (მიწის ნაკვეთებსა და სახლს). ამ უკანსაკნელს კი ეს ქონება შეუძნია ს.ს-საგან. ვინაიდან ს.ს. არ ათავისუფლებდა მ.გ-ის მიერ შემძნილ ბინას, მან სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და კიდეც აღიდგინა მასზე პირდაპირი მფლობელობა. ს.ს. თავის მხრივ კი თვლიდა, რომ აღნიშნული ქონების მესაკუთრე კვლავაც თვითონაა, რადგანაც ი. ბ-მ მას მოტყუების გზით წაართვა ეს

## სასამართლო პრაქტიკა

ქონება. აქედან გამომდინარე, იგი მოსარჩევე მ.გ-ის საკუთრებას ეჭვის ქვეშ აყენებდა. სააპელაციო სასამართლომ ვერ დაინახა ს.ს-გან ი.ბ-ზე აღნიშნული ქონების საკუთრებაში გადაცემის არამართლზომიერება, რაც თავისთავად უნდა მივიწნოთ, რომ უეჭველს ხდის მ.გ-ს მიერ ქონების შეძენის მართლზომიერებას. მიუხედავად ამისა, რატომდაც სააპელაციო და საკასაციო სასამართლოს მთელი უკურადღება გადააქვთ ქონების შეძენის კეთილილსინდისიერების ფაქტზე. ასე მაგალითად, საკასაციო სასამართლოს განჩინებაში ნათქვამია: „ვინაიდან, მ. გ-თან ხელშეკრულების გაფორმების დროს სადავო ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებული იყო ი.ბ., სააპელაციო სასამართლომ მ.გ. მიიჩნია კეთილსინდისიერ შემძენად”. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ შემძენის კეთილსინდისიერების ცნობისათვის არ არის კონსტიტუციური ნიშანი, ქონების გამსხვისებრელზე რეგისტრაციის ფაქტი. ასეთი ნიშანი იქნებოდა რეგისტრაციის ხარვეზიანობა (არამართლზომიერება) და ამ ფაქტის მიმართ შემძენის კეთილსინდისიერება. როცა ქონების რეგისტრაციას უხარვეზოდ აღიარებს სასამართლო, მაშინ შემძენი კეთილსინდისიერი კი არ არის, არამედ მართლზომიერია.

### 4. კეთილსინდისიერების მოქმედების დრო

საკასაციო სასამართლომ 2005 წლის 16 სექტემბერს განჩინებაში (№ას-409-756-05) 185-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით ასეთი დებულება დააფიქსირა: „კეთილსინდისიერების ფაქტი უნდა არსებობდეს ნივთის გადაცემამდე”. **უძრავი ქონების შეძენასთან დაკავშირებით, კეთილსინდისიერება 185-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს იწვევს მხოლოდ ამ შემთხვევაში, როცა ის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე არსებობს.** რეგისტრაციის შემდგომდროინდელი სინამდვილე, კერძოდ ის, რომ პირმა გაიგო ქონების შეძენის არამართლზომიერების შესახებ, სამართლებრივად უმნიშვნელოა. ქონების შეძენის შემდეგ, პირი ხდება მისი მართლზომიერი მფლობელი და ამდენად შეძენის სამართლებრივი ბუნება უცვლელი რჩება. ამიტომაცა, რომ თუკი შემდგომ ამ პირისაგან შეიძენს ვინმე უძრავ ქონებას, მას საქმე ექნება მართლზომიერ მფლობელთან.

მოკლედ, **შეძენის აღიარების მომენტიდან ასპარეზიდან ქრება ამ შეძენის მიმართ სუბიექტური დამოკიდებულება.**

### 5. მეუღლეთა თანასაკუთრება და კეთილსინდისიერი შემძენის უფლებრივი მდგომარეობა

სასამართლო პრაქტიკა ერთობ მდიდარია მეუღლეთა თანასაკუთრების კეთილსინდისიერი შემძენის შემთხვევებით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ 2002 წლის ერთ-ერთ განჩინებაში (№3კ/932-02) დააფიქსირა პოზიცია, რომელიც, ვფიქრობთ, რომ სწორად წარმოაჩენს მეუღლეთა საერთო ქონებაზე საკუთრების წარმომობის მომენტს.

დიდმა პალატამ ხაზი გაუსვა გარემოებას, რომ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება წარმომობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით და ამის ძირითადი მიზანია შემძენის ინტერესების დაცვა. კერძოდ, მეუღლეთა თანასაკუთრებასთან მიმართებით აღნიშნა: „... შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში ერთად შეძენილ, სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე (თანასაკუთრებაზე) მეუღლეთა საკუთრების უფლება წარმომობა მხოლოდ საჯარო რეესტრში ორივე მათგანის რეგისტრაციის შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში მესამე პირების მიმართ რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად”.

აქედან უკვე ცხადი ხდება, რომ სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის ის დებულება, რომ „მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას)”, არ უნდა განიმარტოს მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი აზრით.

**ასეთი ქონება საერთო საკუთრებად იქცევა მხოლოდ ორივე მეუღლის უფლების საჯარო რეგისტრში რეგისტრაციით.** ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კასატორმა მისივე ნებით ხელიდან გაუშვა შესაძლებლობა, საჯარო რეგისტრში აღრიცხულიყო როგორც თანამესაკუთრე. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პალატამ განსაზღვრა სამოქალაქო კოდექსის 158-ე და 1160-ე მუხლების ადგილი სამოქალაქო ნორმების ურთიერთმიმართების მექანიზმში. კერძოდ, თუ დოქტრინასა და ნაწილობრივ – პრაქტიკაში გავრცელებული იყო აზრი, რომ 158-ე მუხლი 1160-ე მუხლთან მიმართებით ზოგად ნორმას წარმოადგენდა, პალატის აზრით, ორივე შემთხვევაში სპეციალურ ნორმებთან გვაქვს საქმე. ეს უნდა მეტყველებდეს მოწესრიგების საგნობრივ განსხვავებაზე. კერძოდ, განჩინების თანახმად, „სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი იძლევა კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვის სამართლებრივ გარანტიებს, ხოლო 1160-ე მუხლი აწესებს თანამესაკუთრე მეუღლის ინტერესების დაცვის იურიდიულ მექანიზმს”.

პალატა თვლის, რომ ამ შემთხვევაში კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი, ვინაიდან თანამესაკუთრე მეუღლემ არაფერი იღონა საკუთრების უფლება საჯარო რეგისტრში რომ დაერეგისტრირებინა.

ბუნებრივია, კეთილისინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვის საკითხი მაშინაც დადგება, როცა თანამესაკუთრე მეუღლისაგან მაღულად მოხდება ერთ-ერთი მეუღლის სახელზე მთელი საკუთრების რეგისტრაცია. მიგვაჩნია, რომ ვერც ეს შემთხვევა ვერ გახდება კეთილსინდისიერი შემძენის უფლების უარყოფის საფუძველი.

## **ავტორთა საყურადღებოდ!**

ჟურნალში გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი ნაშრომის შინაარსი უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს მის სათაურს.

სარედაქციო კოლეგია ნაშრომს დასაბეჭდად იღებს თემის აქტუალობის, მისი დამუშავების სარისხისა და საქართველოში სამართლის განვითარებაზე შესაძლო გავლენის გათვალისწინებით.

ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიებით, ქართულ ენაზე, დოქტორანტებისათვის – ქართულ და ინგლისურ ენებზე. სხვა ავტორებს თარგმანის ნაცვლად შეუძლიათ, ქართულ ტექსტითან ერთად წარმოადგინონ ინგლისურნოვანი რეზიუმე.

ქართული ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს „AcadNusx“ ან „LitNusx-ში“, ხოლო ინგლისური – „Times New Roman-ში“; შრიფტის ზომა – 11, სქოლით – 8; სქოლით უნდა აიკრიფოს „Footnote“-ით. ხაზებს შორის დაშორება – ერთი ერთული. დოქტორანტების მიერ წარმოდგენილი ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს 10-12 გვერდი. სხვა სახის ნაშრომი არ უნდა აღმატებოდეს 12 გვერდს.

გადაწყვეტილებას ნაშრომის გამოქვეყნების, გამოქვეყნებაზე უარის თქმის ან შესწორების შესახებ იღებს სარედაქციო კოლეგია, რომელიც უფლებას იტოვებს, მოსთხოვოს ავტორს, შეიტანოს შესწორებები, დამატებები ნაშრომში; უარი თქვას ან გადადოს მისი გამოქვეყნება, შეასწოროს ენობრივად და დახვეწოს სტილისტურად.

გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი ნაშრომი სარეცენზიოდ ეგზაგნება ავტორისათვის ანონიმ ორ მეცნიერს. თუ ერთი რეცენზია იქნება უარყოფითი, ნაშრომი არ გამოქვეყნდება, ხოლო რეცენზიის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება უარყოფით რეცენზიად.

წარმოდგენილ ნაშრომში საავტორო უფლების დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებელია ავტორი.

ჟურნალი „მართლმსაჯულება“ უფლებას იტოვებს, გამოიყენოს გამოქვეყნებული ნაშრომი ავტორის ნებართვისა და მისთვის პინორარის გადახდის გარეშე.

ავტორის შეხედულებები, დასკვნები და განმარტებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ჟურნალის ძირითად პოზიციას.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი, მმ. ზუბალაშვილების ქ. №32

**E-mail:** [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ტელ.: 98-51-72